საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

მასალები ჯურის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1980

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გურიის რაიონებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დამუშავებული ცალკეული საკითხების კრებულს. ნაშრომში თემების სახით წარმოდგენილია ძველი და ახალი სამეურნეო კულტურები, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, შრომის ორგანიზაციის ფორმები, ტანსაცმელი, მღებრობა, ბავშვთა აღზრდის საკითხები, მიცვალებულის კულტი, ხელოსნობის დარგები და სხვ.

ბ $\frac{10602}{М\ 607\ (06) — 81}$ 239—80 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1981

რედაქტორისაგან

გურია, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, ზღვის სანაპირო ზოლით, რბილი კლიმატით, დაბალი მთაგორიანი მდებარეობით, უხვი მცენარეული საფარით, შესანიშნავი სამკურნალო წყლებით, ბახმაროს გამაჯანსაღებელი ჰაერით, ჩაისა და ციტრუსების უხვმოსავლიანი რაიონებით კეთილი და გამრჯე, შრომისა და ბრძოლაში შემმართებელი ხალხის ადგილსამყოფელია. საძი რაიონი განლაგებულია 2000 კვ. კმ ფართობზე. ზღვის სანაპირო ზოლში გაუდის მაგისტრალური რკინიგზის ხაზი და საავტომობილო გზა.

გურიის მოსახლეობა, თავისი მდებარეობისა და შინაგანი ვითარების წყალობით, ისტორიულ წარსულში მძიმე პირობებში ცხოვრობდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს კუთხეებიდან ყველაზე მეტად გურიაში იგრძნობოდა არსებული ცხოვრების საწინააღმდეგო მოძრაობა.

გურულ გლეხთა მოძრაობამ თავი გამოამჟღავნა 1905 წელს, როცა იგი რევოლუციურ გამოსვლებში გადაიზარდა.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამჭრჭვებით გურულ გლეხთა ახალი ცხოვრების დასაწყისს ჩაეყარა საფუძველი. ახალმა ცხოვრებამ თან მოიტანა ცხოვრების ახალი წესი. შეიცვალა რა წარმოების ძველი წესი, დამყარდა ახალი საწარმოო ურთიერთობის ფორმები, რასაც მოჰყვა ცვლილებები საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაში, ახალმა ცხოვრებამ ბევრი სიახლე მოიტანა, მაგრამ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ამ სიახლეთა შიგნით კიდევ დარჩა რაღაც ელემენტები ძველი ყოფიდან, რომელთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გურიაში სახალხო მეურნეობის ისეთმა რენტაბელურმა დარგებმა, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები და ტექნიკური კულტურები, დიდი სამეურნეო გადატრიალება მოახდინა. ამას თან მოჰყვა მეურნეობის წარმოების ახალი სამეურნეო მანქანა-იარაღების დანერ-

გვა სამეურნეო საქმიანობაში, რამაც გააძლიერა ტექნიკური ინ-ტელიგენციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში. ეს ხაზი აღმავალი გზით მიდის. ჩვენი თანამედროვე სოფელი სულ სხვა სახეს იღებს. ძველი გურული სოფლის ცენტრის ძირითად ობიექტს აქა-იქ ხის ეკლესია და საწვრილმანო დუქანი წარმოადგენდა. ახლა სოფლების დაგეგმარება ქალაქური დასახლების ტენდენციებისაკენ იხრება, ქალაქთან შედარებით უფრო შეუზღუდავი თავისუფალი არქიტექტურული ნაგებობებით (კულტურის სახლები, ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციული სახლები, კლუბები, მაღაზიები სკოლები და სხვ.) სოფელი ნაყოფიერი შრომისა და დოვლათის წარმოების ობიექტად იქცა.

გურულმა სოფელმა აშკარად დაკარგა თავისი ძველი იერსახე. გაქრა ისლით დახურული შუაცეცხლიანი სახლები, შეიცვალა დასახლების გურული ტიპი, სამეურნეო დანიშნულების მრავალი (ნალია, საქათმე, საღორე, ახორი, და სხვ.) ნაგებობები შეერწყა ახალი ტიპის ნაგებობათა ერთიანობას.

გურული საცხოვრებელი ნაგებობის განვითარება გარკვეული კანონზომიერებით მიმდინარეობდა, ისლით გადახურული ჭუხნა სახლი, რომელიც მიწაზე იყო უშუალოდ დადგმული, შემდეგში მიწიდან ქვის ან ხის ბიჯგებზე შედგმული სახლით უნდა შეცვლილიყო. ამის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა ორსართულიანი სახლი, რომელსაც გურიაში პალატიან სახლს უწოდებდნენ.

პალატიანი სახლის კედლები გურიაში წაბლის ხის ფიცრებისაგან შენდებოდა. კედლის შენება ორი წესით მიმდინარეობდა: კუთხეებში თუ ბოყვები იყო დასმული და ფიცარი ბოყვის ღარებში ლაგდებოდა, ასეთ სახლს ბოყვიანი ერქვა, ხოლო თუ ფიცრები ერთიმეორესთან ყელებით იყო გადაჭიმული, ასეთი წესით ნაგებ სახლს ყელიანი ეწოდებოდა, ყელიანი სახლები უკეთესად ითვლებოდა. გავიდა დრო, ხის მასალა შეცვალა აგურმა და ბლოკმა. თანამედროვე გურიაში გავრცელებული სახლი არაჩვეულებრივად დიდი მოცულობისაა. ტიპური დადგენილი გეგმა არ არსებობს, მაგრამ სახლის დაგეგმირებაში ბუხარს, როგორც შენობის ცენტრალურ ნაწილს, კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე ზოგიერთი საცხოვრებელი სახლი არაფრით არ განსხვავდება გურიის დაბა ქალაქებში არსებული სახლებისაგან. ასევე ავეჯი და შინაგანი განლაგება ყოველნაირად თანამედროვე მაღალი კულტურული დონის შესაბამისობაშია წარმოდგენილი.

გურიაში, როგორც წესი, ზედა სართულის ერთი ოთახი სტუმრებისათვის არის გათვალისწინებული. სტუმარმა რომ არ მოიწყინოს, ოთახში თავის შესაქცევად დადგმულია რადიომიმღები, აქვეა ჭადრაკი ან ნარდი, ჟურნალ-გაზეთები და სხვ. სტუმარ-მასპინძლობის უძველესი ტრადიცია გურიაში ყოველთვის იყო განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. დღევანდელ პირობებში მან ახალი შინაარსი შეიძინა და ახალი საბჭოური ფორმები მიიღო. სოფელში მოსული სტუმრის პატივისცემამ, მისადმი ყურადღება მასპინძლის ოჯახის ფარგლებს სცილდება. სტუმარს ყურადღებას აქცევს მთელი სოფელი. იწვევენ ყველა იმ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რაც სოფელში ტარდება. სტუმრისადმი პატივისცემა ბოლო წლებში სარაიონო მნიშვნელობის ზრუნვის საგანიც გახდა. მაგ., 1977 წლის ზაფხულში ლანჩხუთის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა იმ დროს სტუმრად ჩამოსულთათვის სათანადო მოსაწვევები დაგზავნა: „ძვირფასო მეგობარო! რაიონში ჩამოსული სტუმრების კულტურული დასვენების მიზნით, შემუშავებულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს თქვენთვის დაგეგმილია ღონისძიებანი შემდეგი პროგრამით:

1. 8 საათზე შეკრება პარტიის რაიკომში.
2. 9 საათზე — ქალაქის ახალმშენებლობის დათვალიერება.
3. 11 საათზე ნინოშვილის სახლმუზეუმის დათვალიერება.
4. 12 საათიდან 17 საათამდე გრიგოლეთის ბოგვერაძის კუნძული.
5. 18 საათზე დასწრება ფეხბურთის მატჩზე სსრ კავშირის პირველობაზე მოასპარეზე „ა“ კლასის მეორე ლიგის გუნდებს შორის „გურია“ და გორის „დილა“.

გთხოვთ, გვეწვიოთ! საორგანიზაციო კომიტეტი“.

გურიის 1977 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, როგორც რაიონის საპატიო სტუმარი, მიწვეული იყო ამ ღონისძიებაზე. აქვე იყვნენ ლანჩხუთის ახლო სოფლებში ჩამოსული სხვა სტუმრებიც. სტუმრებმა ამ ღონისძიებით, გარდა რაიონის ღირსშესანიშნაობებისა, ერთიმეორეც გაიცნეს და რაიონის სისხლსავსე ცხოვრებას უფრო ახლო შეხვდნენ.

ჩვენ არ ვიცით, კიდევ რომელ რაიონში ტარდება ეს ღონისძიება ან ვინ არის მისი პირველი წამომწყები, ჩვენ მხოლოდ ფაქტი აღვნიშნეთ. ფაქტს, რომელსაც სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებში სიახლე შეაქვს და ახალ მაღალ დონეს გამოხატავს.

გურიის სოფლის ცხოვრებაში მრავალი სიახლე დაინერგა. სიახლე იგრძნობა, როგორც საწარმოო და საზოგადოებრივ სფეროში, ისე საოჯახო ურთიერთობაში. საწარმოო სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფის სხვადასხვა მხარეზე.

საოჯახო ყოფა რამდენიმე ასპექტში წარმოდგინდება საქორწინო ნათესაურ ურთიერთობაში, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში, რელიგიურ რწმენა—წარმოდგენებთან. დაკავშირებულ რიტუალებში. ხალხურ ფოლკლორში. ცეკვა-თამაშში და აღზრდის წესებში.

თანამედროვე ცხოვრების პირობებში სწრაფად ქრება ძველი ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალები, თითოეულ ამ ასპექტს კი საგანგებო შესწავლა სჭირდება.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსურმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციებმა გურიაში გამოავლინეს მთელი რიგი საკითხებისა, რომელთაც ესაჭიროებათ მონოგრაფიული კვლევა-ძიება. ასეთად გვეჩვენება მიცვალებულის კულტი, ხის დამუშავების ხელოვნება, ქვის დამუშავების ხალხური წესები, ქორწინების წესები და სხვ.

1934 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებს ყურადღება მიუქცევიათ გურული ცეკვებისათვის. ამასთან დაკავშირებით მაშინდელ დირექციას ჩოხატაურში ლუკა არსენის ძე ბერძენიშვილისათვის საგანგებო წერილიც მიუწერია ამის გამო. თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ეთნოგრაფიულ მასალას, ამ წერილის ტექსტი ნათლად ღაღადებს.

მოქ. ლუკა ბერძენიშვილს ჩოხატაური.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ძალიან დაინტერესებულა, — ერთი ძველებური ცეკვით, რომელიც, საერთოდ რომ ვთქვათ, ახლა გადავარდნილი იქნება. როგორც ჩვენ ნიკო ბერძენიშვილისაგან გავიგეთ, მამათქვენს და ორ თქვენს ბიძას ეს ცეკვა სცოდნიათ. არ ვიცით, არც ამ ცეკვის სახელი და არც ის, თუ როგორ სრულდებოდა ის, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ ვინმემ იცის გურიაში ამ ცეკვის შესახებ, ეს ყოვლის უპირველესად თქვენ იქნებით.

საქართველოს მუზეუმს სურს ეს ცეკვა ასწეროს და შეისწავლოს რაც შეიძლება დაწვრილებით.

ამიტომ გთხოვთ, გვაცნობოთ დაზღვეული წერილით, გეგულებათ თუ არა გურიაში ამ ცეკვის მოცეკვავე ხალხი, თუ გეგულებათ, გთხოვთ, დაგვისახელოთ ასეთი პირები და გვაცნობოთ მათი მისამართი.

ამას გარდა გთხოვთ, თუ შესაძლებელია, შეადგინოთ ამ ცეკვის სრული აღწერილობა და გადმოგვიგზავნოთ საქართველოს მუზეუმში სწავლული მდივნის სახელზე.

ვინაიდან ამ ცეკვას მეცნიერებისათვის, შესაძლებელია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, საქართველოს მუზეუმს იმედი აქვს, რომ დასმარებაზე უარს არ იტყვით. მსწავლული მდივანი (ძ. შევარდნაძე)".

„ჩენო ლუკა, ეს ამბავი, მართალია, ცეკვას ეხება, მაგრამ საცეკვაო არ არის, არამედ სერიოზულია. შენი დახმარება საჭიროა და იმედი მაქვს არ დაიზარებ და რაც იცი ამის გარშემო ზედმიწევნით, დეტალურად ასწერ და გამოგზავნი. ვფიქრობ, ანტონ ძნელაძესაც უნდა ახსოვდეს რამე აქედან. ან შეიძლება შენ იცოდე — ვის ახსოვს, ან ხომ არ არის ვინმე იმათგანი ცოცხალი ვინც თვითონ ცეკვავდა.

საქმე შეეხება იმ „ქაჯურ ცეკვას", რომლის შემსრულებლებად მე თვით მინახავს განსვენებულნი მამა შენი და ბიძა შენი. ეს არ იყო არც „ლეკური—არც „ბაღდადური" არც სხვა ცნობილი ცეკვა. იქ მოტივიც სხვა იყო და თამაშობაც. სამწუხაროდ, ეს ძე მაშინ ვნახე, როცა ჯერ კიდევ 7—8 წლის თუ ვიქნებოდი. ამბობდნენ მაყურებლები (ეს იყო აღდგომის „სათამაშოში" ჩოხატაურში, იქ, სადაც შემდეგ „საპარასკევო" იყო): არსენე და გლახუნე ქაჯურს ცეკვავენო".

ეხლა თუ რამ გახსოვს ამ ცეკვის შესახებ ან იცი ისეთი პირი, რომელსაც ასეთი რამ ახსოვს, მისწერე ამ ხალხს, კულტურული საქმეა. იმედი მაქვს არ დაიზარებ. შენი ნიკო ბერძენიშვილი. 11/XII—34 წ. ტფილისი".

ამ წერილებს რა შედეგი მოჰყვა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ, როცა 1978 წელს იგივე ჩოხატაურის რაიონში „ქაჯური" ცეკვის შესახებ მოხუცებს ვეკითხებოდით, მათ ეს ტერმინიც კი ძლივს ახსოვდათ.

„ქაჯური“ ცეკვის მაგალითი მრავალი საკითხის მიმართ შეიძლება გამოდგეს. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ ეთნოგრაფიული მასალის შეკრება უნდა მიმდინარეობდეს უფრო აქტიურად, ამ საქმეში რაიონების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა უფრო მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ. მოსაწონია და მისაბაძი ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივა, რომელმაც რაიონის ისტორიკოსთა დახმარებით ცალკეული სოფლის ნარკვევები შექმნა. ახლა ეს მასალები დიდ დახმარებას უწევენ. როგორც თვით მუზეუმს, ისე რაიონში სამუშაოდ ჩასულ ისტორიკოსებს. ეთნოგრაფებს, ფოლკლორისტებს და ეკონომისტებს.

წინამდებარე კრებული მხოლოდ რამდენიმე თემით შემოიფარგლა. ავტორთა კოლექტივმა იცის, რომ ამ თემებით გურიის მთლიანი სურათის ჩვენება ძნელი საქმეა. თანამედროვე გურიის ეკონომიკური მხარის და სულიერი კულტურის დონის ყველა მხარის წარმოჩენას რამდენიმე ასეთი კრებული დასჭირდება.

გ. ჯალაბაძე

ძველი და ახალი სამეურნეო კულტურები გურიაში

გურია ისტორიულ ეთნიკური რეგიონია, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე. გურიის ტერიტორია დღეისათვის ლანჩხუთის, მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონებით არის წარმოდგენილი. გურიის მთელი ფართობი შეადგენს ორი ათას კვ. კმ. გურიაში ორი ქალაქია, სამი დაბა და 58 სასოფლო საბჭო, რომელშიც შედის 190 სოფელი, გურიის მოსახლეობა 1959 წლისათვის 146 ათასამდე კაცს აღწევდა[1]. გურიის მოსახლეობის ძირითად შემადგენლობას 30-იან წლებამდე ქართველობა შეადგენდა[2]. საქალაქო ცხოვრების წინსვლა-განვითარებამ, სხვადასხვა სახის საწარმოების შექმნამ და ჩაის შრომატევადი კულტურის გავრცელებამ დიდი რაოდენობით მიიზიდა როგორც რაიონის გარედან, ისე რესპუბლიკის გარედან მოსული, მათ შორის არაქართული მოსახლეობაც. 1959 წლისათვის არაქართულმა მოსახლეობამ 13%-ს გადააჭარბა[3]. ქალაქებსა და დაბის ტიპის დასახლებებში ჩასახლდნენ სომხები, ქურთები რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები და სხვა. თუ 1926 წელს გურიის მთელი მოსახლეობა ქართველებით 99.6% იყო წარმოდგენილი, 1960 წლისათვის ქართველთა რაოდენობამ სხვა ერების წარმომადგენელთა მომატების შემდეგ 86.4% შეადგინა[4]. გურია საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული, დამუშავებული მიწების 1 კვ. კმ-ზე მოდის 200 კაცი.

ტერიტორიულად ყველაზე დიდი ფართობი ჩოხატაურის რაიონს უჭირავს, მოსახლეობით კი მახარაძის რაიონი სჭარბობს. სა-

---

[1] ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, მახარაძე—ლანჩხუთის ქვერაიონის მოსახლეობა, მახარაძე—ლანჩხუთის ქვერაიონის (გურიის) ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 68.

[2] იქვე, გვ. 67—68.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 67.

ქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გურიის ცენტრი ოზურგეთი იყო, რომლის მოსახლეობა XIX ს. დასასრულს 4000 კაცს აღწევდა.

გურია მდებარეობით სუბტროპიკულ ზონაშია მოქცეული, წლიური ნალექები 2000 მმ აღემატება, მთაბორცვიანი მდებარეობით ხასიათდება. ვერტიკალური ზონალობა იწყება ზღვის სანაპიროდან და გრძელდება ბახმაროს მთებამდე, სოფლები სხვადასხვა სიმაღლეზეა განლაგებული. მდინარეთა ხეობების თავისებურმა მდებარეობამ და დინების შესაბამისად ხეეთა განლაგებამ ხელი შეუწყო ცალკეული სამეურნეო უბნების თავისებურებათა ჩამოყალიბებას. ამის შესაბამისად გურია გეოგრაფიული მდებარეობით წარმოგვიდგება ზღვის სანაპირო რაიონად, რომელიც უფრო დაბლობებით ხასიათდება და მთა-ბორცვიან ზონად, რომელიც ზღვის სანაპირო ზოლს ეკვრის. როგორც პირველი, ისე მეორე ზონა სამეურნეო დანიშნულებით ძველი დროიდანვე ყოფილა ათვისებული.

სამიწათმოქმედო გაშლილი ველები და ფართობები გურიაში არ არის, თუ არის, ისიც ძალზე მცირეა და უმნიშვნელო. ამდენად, სახნავ-სათესი მიწების ფართობები მცირე ნაკვეთებად არის წარმოდგენილი. ეს გარემოება თავიდანვე უარყოფითად მოქმედებდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებაზე.

ტრადიციულ სამეურნეო კულტურას გურიაში შეადგენდა ღომი, სიმინდი, ლობიო, ჭვავი, იშვიათად ქერი, ზოგიერთ სოფელში დამოწმდა მასალა პურის ისეთი ჯიშის შესახებ, რომელსაც თავთავებს აწყვეტდნენ და ისე ფშვნეტდნენ. ხორბლის ამ სახეობის არც სახელია შემორჩენილი და არც მისი მოვლა-მოყვანის წესები ახსოვთ.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავდათ ბრინჯი, თამბაქო და ბამბა.

ღომის კულტურა დიდი ხნის წინათ მიუტოვებიათ, თუმცა ახსოვთ მისი მოვლა-მოყვანის წესები და ჯიშები. ღომის კულტურა სიმინდის კულტურამ შეცვალა. ღომისაგან განსხვავებით სიმინდში ხდებოდა ლობიოსა და სოიოს შეთესვა, რომელსაც ჩვეულებრივ 1/5 წილს ურევდნენ.

სიმინდის კულტივაცია თითქმის ისეთივე იარაღებით მიმდინარეობდა, როგორც ღომისა. გვიანდელი დროისათვის ღომის ვიწრო პირიანი თოხი განიერი თოხებით შეიცვალა. ამას გარდა სიმინდის თოხს უნდა შეცვლოდა აგრეთვე სატარე მოწყობილობა.

ჩანს, რომ მრგვალი სატარის ნაცვლად თოხმა შეიძინა ოთხკუთხა ფორმის სატარე, რომელსაც ტარი მყარად ეგებოდა. ამას კი თოხით მომუშავისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სამეურნეო იარაღები, მათ შორის თოხები სხვადასხვა სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისათვის საჭირო სამუშაოების წესაბამისად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ერთი საინტერესო კონკრეტული მაგალითი გურიაში მეჩაიეობასთან არის დაკავშირებული. კოლექტივიზაციის დაწყებას დაემთხვა ჩაის პლანტაციების გაშენება. პირველ ხანებში კარსი იქნა აღებული იქითკენ, რომ ჩაისათვის ახალგაეხილი მიწები გამოეყენებინათ. იმ პერიოდში გლეხობას არ გააჩნდა ბლეერი სამეურნეო იარაღები, მათ შორის ჯერ კიდევ არ იყო საპლანტაჟე გუთნები, ტრაქტორის წევაზე. გლეხებს ახალ ნატეხ მიწებში რკინის კეტებით და წერაქვებით უხდებოდათ მიწაში დარჩენილი ფესვების ამოძირკვა და მიწის გასუფთავება. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობნელი მჭედლის ვასილ გიორგის ძე თავართქილაძის (70 წლისა, 1978 წ.) გადმოცემით, მას, როგორც მჭედელს, აგრონომმა მისცა ნახაზი და მახარაძის კოლმეურნეობის დავალებით ბევრი „თოხნაჯახი" გამოჭედა. კომბინირებული იარაღის თოხნაჯახის სიმაღლე 30 სმ ყოფილა, ცულის სიმაღლე—10 სმ, ცულის პირის სიგანე—10 სმ, თოხის ტანის სიმაღლე—15 სმ, სამუშაო პირის სიგანე—10 სმ.

თოხნაჯახს იყენებდნენ დაფესვიანებული ახალნატეხი მიწის დასაბარავად. თოხის მხრიდან გადმობარავდნენ და ცულის მხრიდან ფესვებს ამოჭრიდნენ, ასეთი კომბინირებული იარაღები საერთოდ მრავლად იყო საქართველოს მთის რაიონებში შემონახული (ქარჩი, ცულქარჩი, ცულწერაქვი და სხვ.)

მიუხედავად მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელი პირობებისა, გურიაში მიწათმოქმედების კულტურას ოდითგანვე ბისდევდნენ. ამის მაუწყებელია გურიის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი რაოდენობით მოპოვებული სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს თოხები, დაცული როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ისე მახარაძისა და ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ისტორიის შესწავლისას არქეოლოგმა დ. ქორიძემ საკმაოდ საფუძვლიანად გააშუქა ბრინჯაოს განძების აღმოჩენის პუნქტები და განძთა შემადგენლობიდან ვრცლად შეეხო სამეურნეო იარაღებს (სურ. 1).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურიის ძველი ადმინისტრაციული ზღვარი რიონიდან ჭოროხამდე და მესხეთიდან შავ ზღვამდე

ტერიტორიას მოიცავდა. ბრინჯაოს ხანაში იყო თუ არა ეს მიკრორაიონი რაიმე ცალკე ეთნიკური ერთეულის სახით წარმოდგენილი, ძნელი სათქმელია. ბრინჯაოს განძეულობა და საერთოდ ამ



სურ. 1. ბრინჯაოს თოხები (გუთურის განძი)

დროის სამიწათმოქმედო იარაღები საგრძნობლად ბევრ პუნქტებშია ნაპოვნი. პუხქტების უმრავლესობა ჭოროხიდან მოკიდებული გაუყვება გურიას, გასდევს ქვემო იმერეთის მთისძირა ზოლს და ქუთაის—წყალტუბოზე გავლით გადადის რაჭასა და ლეჩხუმში ბრინჯაოს იარაღების ნაირსახეობითა და სიუხვით გამოირჩევა ჭოროხიდან ურეკ-გოგოლესუბნამდე ტერიტორია, სადაც ოცზე მეტი პუნქტია აღრიცხული. ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ბრინჯაოს თოხის ტიპებიდან დ. ქორიძე გამოყოფს ბართოხის ტიპს[5], რომელსაც ოთ. ჯაფარიძე გულის ფორმის თოხებს უწოდებს[6]. დ. ქორიძის გამოკვლევით, გულის ფორმის თოხები თავისი ფუნქციით ბართოხის სამუშაოს ასრულებდა, რომელთა გავრცელება აჭარა-გურიის იქით არსად არ არის მიკვლეული[7]. თავისთავად ეს გარემოება მეტად საყურადღებოა. აშკარაა, რომ გულის ფორმის თოხები, რომელიც სხვადასხვა პუნქტშია ნაპოვნი, ერთდროული არ არის. ყველაზე ადრეულად ურეკის ბრინჯაოს თოხი ივარაუდება (XII—სმდე ძვ. წ. ა.). ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული მსგავსი ია-

---

[5] დ. ქ ო რ ი ძ ე კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 82.

[6] ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 189.

[7] დ. ქ ო რ ი ძ ე, იქვე.

ია რაღები აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონებში სწორედ მიწის პირველადი დამუშავებისათვის გამოიყენებოდა[8].

გურიის ტერიტორიაზე განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ბრინჯაოს მხრებდაქნილი თოხები. ამ მხრივ ერთ-ერთი



სურ. 2. ბრინჯაოს თოხის ტიპები (გუთურის განძიდან)

საინტერესოა გუთურის განძი (სურ. 2) (გუთურის განძი დაცულია ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში კოლ. № 04354), თოხებს გორდა პირი ახასიათებს, მხრებდაქნილია, მრგვალი და სქელი სატარით, სიმაღლე 11 სმ. უდიდესი სიგანე მხრებისა 12—15 სმ აღწევს. პროფილში ყუის სისქე 1,5—2 სმ-ია. ერთ ეგზემპლარს

[8] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-ბ, გვ. 207.

(№04354/14) ყუის სისქე გარეთა აქვს მიქცეული. ეს იშვიათი შემთხვევაა და მეტალურგის ძიებას უნდა წარმოადგენდეს, რომ მას გაუმჯობესებული თოხი შეექმნა. იმდენად, რამდენადაც თოხის შიგნითა მხარე მუშაობის დროს ნოტიო ნიადაგებში მიწას ბევრს იდებს, სატარესთან შიგნით მიმართული სისქე ხელს შეუწყობდა მეტი მიწის აღებას. დასახელებული თოხის ფორმის სახით ჩვენ უთუოდ. გაუმჯობესების ცდასთან უნდა გვქონდეს საქმე. შესაძლებლად მიგვაჩნია ეს გაუმჯობესება აქ, გურიის მიწაზე მომხდარიყო. ჩვენ ქვემოთაც გვექნება ამაზე საუბარი, როცა ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ თოხებს განვიხილავთ. აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გურიაში თოხს ტარის გაწყობის შესაბამისად არჩევდნენ თავგარე და თავშიგნითას. თავგარე დაბლისა, ე. ი. ბარის სოფლებში იხმარებოდა, თავშიგნითა ზეგნის სოფლებში. თავგარე სწორტანიანი და მაღალი იყო, აღნიშნავს ლიხაურელი მთხრობელი რუბენ სალუქვაძე (70 წლისა, 1977 წ.)

ბრინჯაოს თოხების სიუხვე მიწათმოქმედების კულტურაზე მეტყველებს.

რა მდგომარეობა გვაქვს ეთნოგრაფიულ ყოფაში. რა სახის თოხები იყო გურიაში ხმარებული? ამის შესახებ ნათლად მეტყველებს დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული ჩვენი ექსპედიციების მიერ ველზე შეკრებილი და დაცული თოხების კოლექცია (სურ. 3).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურიაში განასხვავებდნენ ტანის მიხედვით თავგარეს და თავშიგნითას, ეს იყო ბარისა და ზეგანის თოხები დანიშნულების მიხედვით არჩევდნენ ღომის სათოხნს, სიმინდის პირველად და მეორად სათოხნს. სადაურობის მიხედვით არჩევდნენ ლანჩხუთის, სუფსისა და მახარაძის თოხს. ლანჩხუთისა და სუფსის თოხები ერთგვარ და ერთნაირ მიწებში იხმარებოდა, ხოლო მახარაძის თოხები უფრო ზეგანის სოფლებში იყო გამოყენებაში, გურულ თოხს, როგორც წესი, ყუა უკეთდება ოთხკუთხა ფორმისა და ტარიც ცულისებურად ზურგიდან ეგება. აღსანიშნავია, რომ გურიაში თოხის ტარის დაგებას თავისი წესი გააჩნია, თოხის ტარი მის მომხმარებელს შუბლამდე უნდა წვდებოდეს. თოხის აღწერილობას ასეთი ტერმინებით მოიხსენებენ. ყუა, პირი, ყურები და ტარი. სხვადასხვა ხასიათის მიწის სამუშაოებისათვის იყენებდნენ კომბინირებულ თოხებს, რომლებსაც გააჩნდათ წერაქვისებური სათხრელი და თოხის პირი. ან თოხის და ცუ-

ლისპირი. ასეთ იარაღს თოხნაჯახა რქმევია. თოხნაჯახებს ადრეც იყენებდნენ, მაგრამ მათი ფართოდ გამოყენება ემთხვევა ჩაის ფართობებისათვის ტყეებუჩქიანი ადგილების გაწმენდის სამუშაოებს, რაც მასიურად 1928 წლიდან დაიწყო (სურ. 4).

ჩ ა ი. საქართველოში სიტყვა ჩაი მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში ჩნდება. თვით ჩაის კულტურა გურიაში XIX ს. 40-იან წლებში ყოფილა შემოტანილი[9]. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილა გორაბერეეოულის ჰამულების მფლობელი კონსტანტინე ვახტანგის ძე ერისთავი. უფრო მოგვიანებით მიხეილ ერისთავმა დაამზადა პირველი ქართული ჩაი[10].

1903 წლიდან ოზურგეთის მაზრის მიქელ-გაბრიელის თემის ზედუბანში მ. ნაკაშიძემ თავის მამულში 9 დეციტინაზე გააშენა ჩაის პლანტაცია, აქვე მან 1908 წლისათვის ააგო პირველი მცირეძალიანი ჩაის ფაბრიკა. ეს იყო ჩაის პირველი ფაბრიკა ოზურგეთის მაზრაში[11].



სურ. 3. გურიაში გავრცელებული თოხის ტიპები

---

[9] ნ. დ ე ვ ი ძ ე, მახარაძე—ლანჩხუთის ქვერაიონის სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება. მახარაძე—ლანჩხუთის ქვერაიონის (გურიის) ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 127; რ. კ ვ ი ნ ტ რ ა ძ ე, გორაბერეეოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, თბ., 1974, გვ. 4.

10. ბ. შ ა ფ ა ქ ი ძ ე, ბრძოლა ჩაის კულტურის განვითარებისათვის საქართველოში 1921—1927 წ. წ., საკანდ. დისერტ. ხელნაბეჭდი, 1971, გვ. 9.

[11] იქვე, გვ. 11.

900-იანი წლებიდან ჩაის ბუჩქის გაშენებით გლეხობაც დაინტერესდა, თუმცა გლეხობა მის გაშენებას მაინც აქტიურად არ ეკიდებოდა. 1914 წლამდე საქართველოში 988.8 ჰექტარი ჩაის



სურ. 4. სამიწათმოქმედო იარაღები (მახარაძის მუზეუმის კოლექცია)

პლანტაცია იყო გაშენებული[12]. პირველი მსოფლიო ომის დროს პლანტაციები მოუვლელობის გამო დაზიანდა და შეძცირდა (სურ. 51).

ჯერ კიდევ 1901 წელს რუსეთის სახელმწიფო მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ოზურგეთში დააარსა თამბაქოსა და ჩაის საც-

[12] ბ. შ ა ფ ა ქ ი ძ ე, ბრძოლა ჩაის კულტურის განვითარებისათვის საქართველოში 1921—1927 წ.წ. საკან. დისერტ. ხელნაბეჭდი, 1971, გვ. 12.

დელი პლანტაცია. ამ ორგანიზაციას უნდა ეზრუნა ახლომახლო რაიონებში ჩაისა და თამბაქოს პლანტაციების გავრცელების სტიმულირებისათვის. საქართველოში გასაბჭოების დროისათვის ეს პლანტაციები საკმაოდ დაცემული და დაზიანებული იყო. საბჭოთა კავშირს, რომელიც ახალი გამოსული იყო სამოქალაქო ომებიდან და ურთიერთობა არა პქონდა ჩაის მწარმოებელ ქვეყნებთან, სჭირ-



სურ. 5. სამეურნეო იარაღები (ჩოხატაურის მუზეუმის კოლექცია)

დებოდა ჩაი. ამასთან, საქართველოსათვის ჩაის წარმოება იყო ერთი ისეთი სამეურნეო დარგი, რომელიც ხელს შეუწყობდა როგორც დაცემული მეურნეობის აღდგენას, ისე საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ დაწინაურებას. ამ მიზნით ფართოდ გაიშალა მუშაობა როგორც ჩაის პლანტაციების გაშენების, ისე ნედლეულის გადასამუშავებელი ფაბრიკებისა და ჩაის წარმოებისათვის სპეციალისტების მომზადების ხაზით.

ჩაის კულტურის წარმოება შრომატევადია და, გარდა სათანადო ცოდნისა, დიდძალ მუშახელს მოითხოვს, ამიტომ მისი ფართოდ დანერგვა თავიდანვე აწყდებოდა სიძნელეებს—თუ სად უნდა გაშენებულიყო, ვის უნდა მოეკლო პლანტაციებისათვის,

წვრილ გლეხურ მეურნეთა მიერ უნდა განხორციელებულიყო მისი წარმოება თუ კოოპერაციის გზით? იმდენად, რამდენადაც ჩაის წარმოებაში არ იყო დანერგილი მექანიზაცია, აგრონომიული ცოდნა და სხვ. ამიტომ ჩაის წარმოება ორი მიმართულებით განვითარდა—კოოპერაციისა და მის გვერდით წვრილ გლეხურ მეურნეობებში მისი დანერგვის გზით[13].

1924 წელს ოზურგეთის მაზრის სოფ. ჭანიეთში დაარსებულ იქნა ჩაის ერთ-ერთი პირველი სასოფლო-სამეურნეო საწარმოარტელი"[14]. მალე ჭანიეთის მაგალითი მისაბაძი გახდა მეზობელი სოფლებისათვის.

ჩაის კულტურის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1925 წელს დაარსებულ აქციონერულ საზოგადოებას „საქართველოს ჩაის", რომელიც ხელს უწყობდა როგორც ჩაის ჯიშიანი კულტურების გავრცელების, ისე მისგან მიღებული ნედლეულის მიღებას და გადამუშავების ორგანიზაციას; ეხმარებოდა ჩაის მწარმოებელ არტელებს და გლეხურ მეურნეობებს; აწარმოებდა ნედლი ჩაის შესყიდვას ფაბრიკებისათვის და ახალისებდა ჩაის ბუჩქის გავრცელებით დაინტერესებულ გლეხებს[15].

ოზურგეთში მოეწყო ჩაის საცდელი სამეცნიერო კვლევითი სადგური (1928 წ.), რომელსაც გააჩნდა ფილიალები აჭარასა და ზუგდიდში. საცდელი სადგური წლების განმავლობაში დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. სწავლობდა რაიონის ნიადაგებს და ადგილებზე აძლევდა კონსულტაციებს და ურჩევდა ჩაისათვის გამოსადეგ ნაკვეთებს.

1928 წლიდან შეიქმნა ანასეულის ჩაის ცენტრალური საცდელი სადგური (რომელიც 1930 წლიდან გადაკეთდა ჩაის კვლევით ინსტიტუტად). ჩაის საცდელმა სადგურმა კიდევ უფრო გააფართოვა მეცნიერული მუშაობა.

1924 წელს სოფელ გორაბერეჟოულში, ერისთავების მამულში გაიხსნა გურიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა გურიის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში.

1931 წელს ქ. მახარაძეში დაარსდა ჩაის ტექნიკუმი, რომელ-

---

[13] ბ. შ ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

[14] იქვე.

[15] იქვე, გვ. 42.

მაც დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რაიონებისათვის სპეციალისტების მომზადების საქმეში.

ჩაის ფართობები თანდათან იზრდებოდა. 1928 წლისათვის გურიაში 1380 ჰექტარი პლანტაცია იყო, ეს მაშინ როცა მთლიანად საქართველოში ჩაის ფართობი შეადგენდა 3163 ჰექტარს[16].

საკოლმეურნეო მოძრაობამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი მეჩაიეობის განვითარებას: 1929 წელს შეიქმნა ნასაკირალის, 1930 წელს ლაითურის, 1931 წელს ნატანების საბჭოთა მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობის ძირითად სამეურნეო კულტურას ჩაი წარმოადგენდა. საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენდნენ სხვა სოფლებისათვის მაგალითის მიმცემს.

ჩაის ფართობები ზრდა დღის წესრიგში აყენებდა მოსავლის აღების პირობებს. იმდენად, რამდენადაც ჩაის ფოთლის წარმოებაში მექანიზაცია ნაკლებად იყო დანერგილი, მთელი რიგი სამუშაოები ხელით სრულდებოდა. განსაკუთრებით ძნელი იყო ბიწის სამუშაოები (შემობარვა, გაწმენდა, გამოთოხნა) და ფოთლის კრეფა (სურ. 6.) 1930-იანი წლებიდან გლეხები ცდილობენ როგორმე გაიუმჯობესონ სამუშაო პირობები. 1930 წელს მახარაძის რაიონის სოფ. მელექედურის სკოლის მასწავლებელი ი. მჟავანაძე იგონებს ჩაის საკრეფ მანქანას[17]. მართალია მის გამოგონებას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ თავისთავად მცდელობა, რომელიც ჩაის სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული, დაიწყო.

1932 წელს „საქართველოს ჩაი" კონკურსს აცხადებს ჩაის საკრეფი მანქანისა და სხვა სამუშაოთა მექანიკური მანქანა-იარაღების გამოგონებაზე[18], კონკურსში მრავალმა მეცნიერმა და ინჟინერმა მიიღო მონაწილეობა. კომისიამ განიხილა საკონკურსოდ წარმოდგენილი მანქანები და პროექტები, მაგრამ ცდები კვლავ უშედეგო აღმოჩნდა. თავისი მხრით გლეხებიც არ იყვნენ უმოქმედოდ.

როგორც ცნობილია, და ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩაის მწკრივთა შორისი მანძილის დაბარვა და მიწის გაფხვიერება ჩაისათვის აუცილებელია. უამისოდ ჩაის ბუჩქი მოსავალს არ მოგვცემს. დაბარვის ნაცვლად შეიძლებოდა მიწის ამ ზოლის სახვნელით გაფხვიერება, მაგრამ შებმული სახვნელის ბუჩქთა შორის ტარება შეუძ-

---

[16] ბ. შ ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ, გვ. 69.
[17] ბ. შ ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 161.
[18] ბ. შ ა ფ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

ლებელი იყო. გამოსავალი ერთი იყო: შეიძლებოდა გურული სახვნელი კავის გადაკეთება ცხენის სახვნელის ტიპად და ამასში



სურ. 6. სახვნელი იარაღები გურიაში

ცხენის შებმა და რიგთაშორისის მოხვნა, მაგრამ ჩაის რიგთაშორისი ძველ პლანტაციებში 120 სმ შეადგენდა. ამ მანძილის თითქმის ნახევარზე ჩაის ბუჩქები იყო გადამჯდარი, ასე, რომ 60 სმ მანძილზე ერთკბილიანი გურული კავით რიგთაშორის ორჯერ ან სამჯერ მაინც შუაში უნდა გაევლო ცხენს; ხოლო კავი ბუჩქების ძირებისაკენ უნდა მიემართა მხვნელს. სურათის მიხედვით თითქოს ადვილი შესასრულებელია, მაგრამ ესეც ძალიან მძიმე სამუშაოს წარმოადგენდა, რამდენიმე სოფელში, როგორც ჩანს, გაჩნდნენ რაციონალიზატორი გლეხები და შეიმუშავეს ორ და სამკბილიანი კავები ცხენის წევაზე. გაუმჯობესებული კავის საფუ-

ძველს გურული კავი წარმოადგენდა. თუ როგორ გარდაქმნეს გურული ერთკბილიანი სამკბილიან სახვნელად, ამაზე მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურის მკვიდრს რუბენ ნაოსოვის ძე სალუქვაძეს (70 წლ. 1977 წ.) მოვუსმინოთ—„1930 წელს ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, გაშენდა ჩაები და რიგთაშორის დასამუშავებლად არ იყო იარაღი. ამუშავებდნენ ცხენით და ხის კავით, მაგრამ ძნელი იყო. ერთი გუთნის ნაცვლად გავაკეთე ორიგუთნიანი კავი, გავაკეთე ჩემი ბრიგადისათვის. მერე სხვა ბრიგადებსაც გავუკეთე—ხუთი ასეთი კავი და იმით იხვნებოდა რიგთაშორისი ფართობი.



სურ. 7. სახნისები

ავიღე თელის კავი, იმას თავი მოვუხრიშე, შემდეგ გავხიე-გავხერხე ორად, გავწიე 1 მეტრზე, შუაში შევუდგი მერმე კავი. თითოეულ კავს გავუკეთე გუთანი და სახნისი. კავისთავი იყო მაგრად შეკრული, კასრის სალტე მქონდა გადაჭირებული. მასში ვაბამდით ცხენს. სამი კავიდან სახელური ჰქონდა ერთს, იმას რომელიც შუაში იყო. სახელური მილურსმული იყო ორი ბოლტით, შუა კავის მუხლზე (სურ. 8).

ეს სახვნელი 1932 წელს გამოვიგონე და იმუშავა სამამულო ომის წლებშიც, გუთნის სიგრძე 40—50 სმ ზევით არ შეიძლება, სისქე 25—30 სმ. კავი უნდა ყოფილიყო სისქით თითო 9 სმ. ერთი ცხენი თავისუფლად ამუშავებდა. ხარებსაც უბამდნენ. მაგრამ ცხენი ჯობდა, გუთანი უნდა ყოფილიყო აკაცია ან ბეოლი, ეს ორი

ხე მაგარია და არ ილეშება, არ იჩიჩქნება და ძალას არ თხოვს. მსხალიც შეიძლება, ისიც სუფთა ხეა. ასეთ იარაღს ხის კულტივატორს ვეძახდით აქ ჩვენა.



სურ. 8. გურიაში გავრცელებული სახვნელი კავი

ეს გამოგონება მე გაჭირვებამ გამაკეთებინა. მე დურგალი ვარ და გავაკეთე, მევიაზრე. ზოგიერთი მევიხმარე მასალის მოტანაზე. სხვიდან მე ეგ არ გადმომიღია. მანამდე ერთგუთნიანი ცხენის სახვნელი იყო და მე სამიანი გავაკეთე. ამ ხის სამკბილიან სახვნელს ომის წლების მერე აღარ უმუშავია. მერე მექანიზაცია შემოვიდა და იმან შეცვალა“.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ჩაის კულტურის წარმოებას გლეხები თავისი მხრით შემოქმედებითად შეხვდნენ. სამკბილიანი სახვნელი კოლმეურნეობას დიდ შეღავათს აძლევდა, იზოგებოდა შრომადღეები და გამოთავისუფლებული მუშახელის დასაქმება ხდებოდა სხვა სამუშაოზე.

აღსანიშნავია, რომ მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა სამეგრელოშიც, რაზედაც ჩვენ მითითებული გვაქვს სამეგრელოს მემინდვრეობის შესწავლასთან დაკავშირებით. სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ჩაის პლანტაციები გურიაში. გურია ჩაის პლანტაციებისა და სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის საქმეში საქართველოს მასშტაბით პირველ ადგილზეა. ჯერ კიდევ 60-იან წლებში საქართველოს მთელი ჩაის ფართობების 24%-ზე მეტი გურიაზე მოდიოდა[19].

[19] მ. დ ე ვ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 127.

გურიაში 4 საბჭოთა მეურნეობა მეჩაიეობას მისდევს (ლაითურის, ნარუჯის, ნასაკირალის და ნატანების), რომელთა განკარგულებაშია 2,5 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია. დანარჩენ კოლმეურნეობებზე 12 ათასამდე ჰა ჩაის პლანტაცია მოდის.



სურ. 9. უღლები

აქ ჩვენ გვინდა რამდენიმე მაგალითის მოყვანა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იზრდებოდა ჩაის პლანტაციები ცალკეულ სოფლებში და როგორი იყო ცხოვრების სურათი. მახარაძის რაიონის სოფელი ძიმითი ტიპიური გურული სოფელია, მდებარეობს სუფსის მარჯვენა მხარეზე, ორაგვის მთის სუფსისაკენ დაქანებულ კალთაზე. სოფელი გაფანტულად არის განაშენიანებული. 80 წლის წინ იგი 4 უბნად იყო წარმოდგენილი (თირის, კოხას, ფაფჯაკურის და ცენტრის).

ისტორიულ საბუთებში ძიმითი ხშირად არ მოიხსენიება. 1660—1662 წლებში ვამეყ დადიანს, მის მეუღლეს ელენეს და გიორგი გურიელს ძიმითის წმინდა კვირიკეს ეკლესია თავისი 8 კომლითურთ ბიჭვინთის ეკლესიისათვის შეუწირიათ. იგივე საბუთი 1664 წელს გიორგი გურიელს განუახლებია და დაუდასტურებია. აღნიშნულ საბუთში მოხსენიებული გვარებიდან ძიმითში დღემდე მოსახლეობენ: კბილიანიშვილები, ჩხაიძეები და მგელაძეები[20].

[20] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, 1921, გვ. 67—71.

ძიმითს კარგი მდებარეობა აქვს, მაგრამ გლეხობა მაინც მძიმე გაჭირვებას განიცდიდა. განსაკუთრებით უჭირდა მას შემდეგ, რაც ბატონყმობის გადავარდნის შედეგად გლეხობა მიწების გარეშე დარჩა. მცირემიწიანობის გამო მოსახლეობა ან სხვის მიწას ამუშავებდა ან მიდიოდა სოფლიდან სხვა სახის სამუშაოს საშოვნელად. XIX ს. მეორე ნახევარში გურულ გლეხთა საშოვარზე გასვლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ეს ფაქტი ჰქონდა მხედველობაში ძიმითელ მთხრობელს, როცა ამბობდა: „ძიმითელი გლეხი უსახსრობის გამო კურტანაკიდებული ნოვოროსიისკში უნდა წასულიყოო“.

XIX ს. 60-იანი წლებიდან ვენახის და აბრეშუმის ჭიის დაავადებამ დიდი ზიანი მიაყენა გლეხურ მეურნეობას. სოფლად ქურდობა-ძარცვა ყაჩაღობა-ფირალობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ადგლობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა რაღაც ეღონა. გურიაში ქურდობის ასალაგმავად სოფლებში ხევისთავები აურჩევიათ. ხევისთავობის, როგორც სოფლად წესრიგის დაცვის მიზნით შექმნილი ინსტიტუტის დასაწყის თარიღად ანტონ ხინთიბიძეს 1889 წელი მიაჩნია[21].

ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, რომელსაც XIX ს ჟურნალ-გაზეთები გვაწვდიან, ჩანს, რომ ხევისთავობის ინსტიტუტს უფრო ადრე ჰქონია ჩამოყალიბებული სახე. მაგალითად, 1874 წლის „სასოფლო გაზეთში“ მოთავსებულია წერილი ძიმითის და მამათის საზოგადოების მცხოვრებთ შორის ერთიანი ვალდებულების შესახებ. ეს ვალდებულება ითვალისწინებდა ცხენის და სხვა პირუტყვის ქურდობის მოსპობას. საამისოდ კი სოფელში, მამასახლისისა და ნაცვლის გარდა, აურჩევიათ ხევისთავად თავადი სვიმონ დავითის ძე გუგუნავა, აზნაურნი სიმონ ვახუშტის ძე და ალექსანდრე გიტოს ძე გოთუები და სხვები[22], განჩინების მიხედვით ხევისთავს ევალებოდა სოფელში შემოეღო საგუშაგო განრიგი, რომელიც თვალყურს ადევნებდა სოფელში შემსვლელებს და სოფლიდან გასულთ. ხევისთავობას ძიმითის სოფლის ისტორიასთან გარკვეული კავშირი აქვს. აქედან იწყება საერთოდ ამ ინსტიტუტის ისტორია.

ძიმითი ღარიბი სოფელი იყო. სოფლად მოხელეები თვითნებობდნენ, 1897 წელს ძიმითელი კორესპონდენტი „კვალში“ წერ-

---

[21] ანტონ ხინთიბიძე, გურული ფირალები, თბ., 1938, გვ. 13—14.
[22] გაზ. „სასოფლო გაზეთი“, 1874, № 10.

და: „ყველამ კარგად იცის, რომ სოფლის ბედიღბალი დიდკაცობაზეა დამყარებული, ვისაც ისინი განიზრახავენ, მამასახლისად ის უნდა იყვეს არჩეული“. რადგან აქაური გლეხობა სულ თავადაზნაურობის მიწაზე მუშაობს და ამით ჰკვებავს ცოლშვილს“[23]. ამის გამო გლეხობას აიძულებდნენ ხმა მიეცათ თავად-აზნაურთა სასურველი კანდიდატურისათვის. იგივე „ძიმითელი“ განაგრძობს— „როცა მეორეთ მოაწია არჩევნების დრომ, მოურავმა „იკადრა“ სოფელში „ჩამორება“ და ყველანი დაგვაშინა და დაგვაფეთა, თუ ისევ მამასახლისათ ს. უ-ძე არ დაგირჩენიათ ჩვენ მამულში ფეხი არ დაადგათ სამუშაოთო“. ძიმითელები კი მამასახლისის არჩევას დახურული კენჭისყრით მოითხოდნენ[24] (სურ. 10).

სურ. 10. ძველებური გურული სახლი

არ შეიძლება არ შევეხოთ ძიმითის სკოლის წარსულსაც. ძიმითის სკოლის ისტორია 1869 წლიდან იწყება. იმხანად ძიმითში ერთკლასიანი სასწავლებელი იქნა დაარსებული, სადაც თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ.

---

[23] კვალი, 1897, № 29.
[24] კვალი, 1897, № 17.

1900 წლისათვის მასწავლებელი ტ. თაბუკაშვილი წერდა, ძიმითში, სწავლის მსურველთა 2/3 სკოლის გარეთ რჩებაო. მისივე ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ 1879 წლიდან ამ სოფელში სკოლა არსებობს, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 7%-ს არ აღემატებოდა[25]. 1900 წელს ძიმითის სკოლის შესახებ „კვალში" წერდნენ: სკოლების შენობებს არა უშავს, მაგრამ ზოგში წვიმს, ზოგს ბუხარი არა აქვს, ზოგს კარებიო[26].

ძიმითის სოფლის წარსულის შესახებ კიდევ ერთი ფაქტი შეიძლება აღვნიშნოთ, ეს ეხება ძველი სოფლის ცენტრს, სადაც, სკოლის გარდა, არსებობდა ვინმე ფოკას დუქანი. გაზეთი „კვალი" წერდა, რომ ამ დუქანთან დაკავშირებული იყო გაუთავებელი ლოთობა და უწესრიგობა[27], რომ იგი ცუდი მაგალითის მიმცემი იყო ახლომდებარე სკოლის მოწაფეებისათვის. ძიმითი სოფლის სიღარიბის სინონიმად იყო ქცეული, მენშევიკების ბატონობის წლებში რაიმე მნიშვნელოვანი გარდაქმნა არ განუცდია. სოფლის ზოგიერთმა მოსახლემ გამოიჩინა ნოვატორობა და დარგო ათიოდე ჩაის ბუჩქი, მაგრამ ძიმითი მაინც რჩებოდა ერთ-ერთ ჩამორჩენილ და მიყრუებულ კუთხედ. ძიმითის თემში სხვა ნაკლთან ერთად შალარიაც მძვინვარებდა. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივნი გაურბოდნენ აქ ცხოვრებას, ხოლო ქალები ამ სოფელში გათხოვებას. ძეზობელი სოფლებიდან ძიმითში ქალის გათხოვება სასჯელად იყო მიჩნეული. „ჭკვიანად იყავი თორემ ძიმითში გაგათხოვებო" აშინებდნენ მეზობელი სოფლის ქალიშვილებს.

ასეთი იყო ძველი ძიმითის მკრთალი სურათი.

როგორია ძიმითი დღეს — ამის შესახებ ვრცელი გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს და შეიძლება იმ ვრცელმა გამოკვლევამაც ვერ მოიცვას ყველა ის საკითხი, რომლითაც დღევანდელი სოფელი ცხოვრობს.

სოფელში დღეისათვის 508 მეკომურია 1775 მცხოვრებით, 1930 წელს ძიმითში საკოლმეურნეო არტელი ჩამოყალიბდა. ამავე წელს კოლმეურნეობის საერთო კრებამ მოიწონა ძიმითელი კომკავშირელი ახალგაზრდობის წინადადება, რომ კოლმეურნეობას მიკუთვნებოდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელი.

---

[25] Т. Табукашвили. Дзимитское общество. СМОМПК. Тб., 1900, 27, с. 153.

[26] კვალი, 1900, № 36.

[27] კვალი, 1900, № 36.

კოლექტიურმა შრომამ თავისი ნაყოფი მალე გამოიღო. ამოაშრეს ჭაობიანი „სამთაგანი“, გატეხილი და ათვისებულ იქნა „სატურიას“ ტყე, „დათვის საბუქნელა “ და სხვ.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისათვის ცალკეულ გლეხთა ჩაის პლანტაციების გაერთიანების საფუძველზე 22 ჰექტარი შედგა. ძიმითელებმა სწრაფი ტემპით მოჰკიდეს ხელი ჩაის გაშენებას. 1933 წლისათვის ჩაი იმდენად დიდ შემოსავალს იძლეოდა; რომ კოლმეურნეობის წლიურმა ფულადმა ბრუნვამ 1 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 1950 წლისათვის კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 7,300 ათას მანეთს შეადგენდა, აქედან მხოლოდ ჩაი იძლეოდა 6,769 ათას მანეთზე მეტს. 1948 წელს ძიმითის კოლმეურნეობამ ჩაის სარეკორდო მოსავალი მოიყვანა. მაღალი შრომითი ბიღწევებისათვის 6 ძიმითელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო ჯილდო, ორი კაცი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 11 კაცი—შრომის წითელი დროშის ორდენით, 225 კაცი—მედლებით.

1970 წლისათვის ძიმითს 270 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გააჩნდა, საიდანაც მოწეულ იქნა 13838 ცენტნერი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1977 წლისათვის 270 ჰექტარზე აღებულ იქნა 23376 ცენტნერი. 1977 წელს გამომუშავებული იყო 176 033 კაცდღე, ფულად გაიცა 1434 285 მანეთი, კაცდღეზე 8,03 მან.

შემოსავალი ჩაიდან შეადგენდა 389,656 მანეთს, დაფნიდან — 2833, ხილიდან — 158367, ყურძნიდან — 1520, ციტრუსებიდან— 175423, ტყის ხილკენკრიდან — 660. მცენარეული და დანარჩენიდან—63358 მანეთს და სხვ.

კოლმეურნეობას გარკვეული შემოსავალი გაუჩნდა მებოცვერეობიდან, ქლორელის წარმოებიდან, მეკალათეობიდან სამხერხაოდან და ასფალტის წარმოებიდან.

კოლმეურნეობას ჰყავს აგრეთვე მსხვილფეხა მერძეული ფერმა, ფუტკრის 77 ოჯახი, და სხვ. კოლმეურნეობას ემსახურება 22 ტრაქტორი, მექანიზებულია სოფლის მეურნეობის ბევრი დარგი. აქვე მინდა შევნიშნო, რომ 1937 წლიდან სოფელ ძიმითში გაიხსნა საშუალო სკოლა. დღეისათვის ამ სკოლის პედკოლექტივი ადგილობრივი კადრით არის წარმოდგენილი. სკოლამ დიდი როლი შეასრულა სოფლის მოსახლეობის ზოგადი განათლების საქმეში. ბევრი ახალგაზრდა დაუსწრებელი სწავლების წესით ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და აქვე განაგრძობს მუშაობას მაღალკვალიფიციურ სამუშაოზე, რაც სოფელს საკმაოდ გააჩნია.

ორიოდე სიტყვით გვინდა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავის კოლმეურნეობის მდგომარეობა. აღვწეროთ.

სოფელი ხიდისთავი გუბაზოულის სანაპიროზეა გაშენებული. XIX საუკუნეში ხიდისთავი გურიაში საკმაოდ დიდ სავაჭრო ცენტრად იქცა, სადაც თავს იყრიდნენ მრავალი კუთხიდან მოსული ვაჭრები. თვით სოფელში იყო ბევრი სავაჭრო და სახელოსნო დუქანი. 1876 წლის ერთ საბუთში, რომელიც კალანდაძეების გაყრილობას ეხება, ხიდისთავი ქალაქად მოიხსენიება[28]. შემდეგში ხიდისთავმა არახელსაყრელი მდებარეობისა და კერძო სავაჭრო და სახელოსნო მაღაზიების გაუქმების შემდეგ ქალაქის იერი დაკარგა. მოიშალა ის დიდი ბაზრობა და იარმუკობა, რომელიც ამ პუნქტში იმართებოდა ხოლმე.

1938 წელს კოლმეურნეობა არ იყო ჯერ კიდევ წელმომაგრებული. სოფელში მცხოვრები ყოფილი ხელოსნები და ვაჭრები ორჭოფულ პოზიციაზე იდგნენ. 1929—30 წლებში შესული კოლწევრები შემდეგში ისევ გავიდნენ. 1938—1939 წლებიდან კოლმეურნეობისაკენ კვლავ შემობრუნება იწყება. კოლმეურნეობაში მიღებისათვის 40 მანეთი საწევრო გადასახადი იყო დაწესებული. ისინი, ვინც ხელახლა უბრუნდებოდა კოლმეურნეობას, საწევრო გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ.

ჩოხატაურის რაიონულ არქივში დაცული მასალის მიხედვით ჩანს, რომ 1939 წელს კოლმეურნეობაში უკან დაბრუნებაზე ან წევრად შესვლაზე მაინც ძირითადად ქალთა განცხადებებია შეტანილი[29].

1940 წლისათვის კოლმეურნეობის შემოსავალს იძლეოდა ვენახი, ჩაი, ტუნგო, ციტრუსები, ჩაი გაშენებული იყო 24 ჰექტარზე, მთელი შემოსავალი შეადგენდა 158800 მანეთს. მთელი წლის მანძილზე 19564 შრომადღე იქნა გამომუშავებული, აქედან ქალებმა გამოიმუშავეს 7847 შრომადღე, კაცებმა—11600[30].

1950 წლისათვის ჩაის ფართობი გაიზარდა 66 ჰექტრამდე, საიდანაც 95 ტონამდე ჩაის ფოთოლი და 21 ცენტნერი ჩაის თესლი მიიღეს. 1950 წლის ბოლოს კოლმეურნეობის ფულადმა ბრუნვამ 2474,494 მან. შეადგინა[31]. 1960 წელს კი გაიზარდა 4141 998 მანეთამდე[32]. შრომადღეზე განაწილებულ იქნა 11,50 მან. 1970 წელს

---

[28] ჩოხატაურის მუზეუმის ფონდი, № შწ 1620.

[29] ჩოხატაურის რაიონული არქივი, ფონდი 769, ანაწ. 1, ფ. 1.

[30] იქვე, ფონდი 69, ანაწ. 1, ფ. 24.

[31] ჩოხატაურის რაიონული არქივი, ფ. 69, ანაწ. 1, ფ. 10.

121 511 შრომადღეზე განაწილდა 309 063 მანეთი. პრემიების ჩათვლით კაცდღეზე განაწილდა 3,48 მანეთი.

ჩოხატაურის რაიონის ფარცხმის სასელოვნოს კოლმეურნეობის სტრუქტურა

1978 წლისათვის



ს ურ. 11 ჩოხატაურის რაიონის სოფ. ფარცხმის სტალინის სახ. კოლმეურნეობის სტრუქტურა.

1975 წელს ჩაის ფართობი შეადგენდა 156 ჰ-ას. მოიკრიფა 809 ტონა ფოთოლი, ჩაიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 765351 მანეთი. ქალებმა გამოიმუშავეს 42 147 კაცდღე, კაცებმა— 37 157 კაცდღე. კაცები ძირითადად დასაქმებული იყვნენ ვენახების, ციტრუსების, სიმინდის, ხილის, ფერმებისა და მექანიზაციის სამუშაოებზე. ასე, რომ ქალთა შრომა რამდენადმე ფართოდ არის წარმოდგენილი ჩაისთან დაკავშირებულ სამუშაოებზე[33].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხიდისათვის კოლმეურნეობაში, გარდა ხიდისთავისა, 5 სხვა დასახლებაც არის გაერთიანებული (ზენუბანი, ახალშენი, წიფნაგორა, მეწიეთი, და ჭაჭიეთი).

ანალოგიური სურათია თითქმის გურიის ყველა სხვა სოფელში. ჩაი, როგორც სამეურნეო დარგი, მიუხედავად მასთან დაკავშირებული მთელი რიგი მძიმე სამუშაოებისა, რომელიც წლის არცერთ დროს არ ნელდება, მაინც არის მაღალეფექტური შემოსავლის წყარო. ჩვენს ხელთ არის ძიმითის კოლმეურნეობის წევრთა ძიერ

---

[32] ჩოხ. არქ., ფ. 54, ანაწ. 2, ფურც. 1,2.

[33] 1970 და 1975 წლის სტატისტიკური მონაცემები აღებულია უშუალოდ კოლმეურნეობის ანგარიშებიდან სოფ. ხიდისთავში.

1970 წელს გამომუშავებულ კაცდღეთა რაოდენობა, საიდანაც ჩანს, თუ რა ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს წლის ყოველ დროს.

თ ვ ე ე ბ ი	სამუშაოზე გამოვიდა კაცი	გამოიმუშავეს კაცდღე
იანვარი	479	6150
თებერვალი	485	5920
მარტი	667	10747
აპრილი	585	8789
მაისი	869	17756
ივნისი	845	18340
ივლისი	881	15479
აგვისტო	646	12286
სექტემბერი	616	8986
ოქტომბერი	385	4293
ნოემბერი	515	7715
დეკემბერი	409	5050
საშუალოდ	615	197

ამ ცხრილიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდი დატვირთვით მუშაობს სოფლის თითოეული შრომისუნარიანი კოლმეურნე.

ჩვენი საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის დამახასიათებელია ზრუნვა მშრომელთა მატერიალური და სულიერი კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. გურიის სოფლებს ყველა პირობა გააჩნიათ, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ საკოლმეურნეო დოვლათი, გაზარდონ შემოსავალი და აამაღლონ თითეული მშრომელის ცხოვრების კულტურის დონე.

საუკუნეების მანძილზე კოლხეთის სამეურნეო კულტურაში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედებას ეჭირა. მიწათმოქმედებიდან მემინდვრეობა გამოირჩეოდა. მემინდვრეობაში XVII საუკუნიდან სიმინდის კულტურა დაინერგა, რამაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ღომის კულტურა განდევნა. მემინდვრეობა, როგორც ერთი ძირითადი სამეურნეო დარგი, მარტივი სამეურნეო იარაღებით

იწარმოებოდა. ახლა მათ ნაცვლად მანქანებია დანერგილი, თუმცა ჩაის მოვლა-მოყვანის და კრეფის საქმეში ხელით შრომა კვლავ ძალაშია. აქ კი ჯერჯერობით ქალის შრომაა წამყვანი. ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ 64 ათასამდე კაცდღე ჩაის კრეფის 4 თვიან სეზონზე მოდის, როცა წამყვანი ქალის შრომაა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ქალი შრომითი შემოქმედია, ოჯახის ძირითადი ძალაა.

იგი ეკონომიკური დოვლათის შემქმნელია როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საოჯახო და საკოლმეურეო მშენებლობის ხაზით. ქალის შრომა მეჩაიეობის რაიონებში წამყვანია და წინა პლანზე დგას.

ყოველივე ამას არ შეიძლება, რომ არ მოჰყოლოდა საოჯახო ურთიერთობაში ქალისადმი დამოკიდებულების ახლებური განსაზღვრა.

მ ე ბ რ ი ნ ჯ ე ო ბ ა. გურიაში ჩვენი შეკრებილი მასალების მიხედვით დადგენილ იქნა, რომ ზოგიერთ სოფელში მოჰყავდათ ბრინჯი. გურიაში ბრინჯის ორი სახეობა ითესებოდა, მშრალი და ნოტიო ნიადაგებისათვის. ბრინჯის დასათესად მიწის ნაკვეთს ისევე ამუშავებდნენ, როგორც სიმინდისათვის. მიწის ნაკვეთს წინასწარ გაასუფთავებდნენ ბალახისა და ჩალისაგან. თესლოვან ბალახს ნაკვეთში აგროვებდნენ და წვავდნენ, რომ მოსავალი არ დასარეველიანებულიყო, შემდეგ იწყებდნენ მიწის მოხვნას ორ კვალზე, ე. ი. ჯერ ერთი მიმართულებით დახნავდნენ, ხოლო შემდეგ მას გარდიგარდმო გადახნავდნენ. სათესლე ბრინჯი ჩენჩიანი ითესებოდა. მას საკმაოდ სქლად თესავდნენ. ერთ ქცევაზე სამი ფუთი მაინც უნდა დაეთესათ, დათესილზე რამდენჯერმე გადაატარებდნენ ჩელტს. ნათესის ზედაპირი კარგად უნდა ყოფილიყო გაფხვიერებული და მოსწორებული. ბრინჯი საერთოდ აპრილში ითესებოდა. თესვა 20 აპრილამდე უნდა დამთავრებულიყო. აღმოცენებას იწყებდა 20 დღის შემდეგ. ორი კვირის აღმოცენებულს პირველი მარგვლა სჭირდებოდა; 2 კვირის შემდეგ გათოხნიდნენ, ხოლო მესამედ კიდევ ერთხელ გაწმენდდნენ, რომ სარეველა არ მოძალებოდა. როცა თაველი ოქროსფერს მიიღებდა, შემოსულად ითვლებოდა, მას ეკენისთვეში ნამგლით მოჭრიდნენ ძირში, კონავდნენ პატარა კონებად და გადაჰქონდათ სახლში; ბრინჯს გადახურულ ადგილზე აწყობდნენ, რომ კარგად გამომშრალიყო, შემდეგ მას ფიცარზე „დარეკავდნენ“ და „კაკალს გააყრევინებდნენ“. მარ-

ცვალს აშრობდნენ და ბეღელში — ხულაში ინახავდნენ. გამოყენების წინ ბრინჯს ჩამურებში ყრიდნენ და ჩენჩოს აცილებდნენ.



სურ. 12 ა) სობჩი ბოსტნის სამარგლი,
ბ) თავთავების მოსაწყვეტი ჩხირები

ბრინჯი სათუთი მოსავლელია, განსაკუთრებით ე. წ. სველი ბრინჯი, რომელიც დათესვიდან მოსავლის აღებამდე სისტემატურად წყალში უნდა იყოს. მოსავლის აღების წინ ორი კვირით ადრე წყალს წყვეტდნენ და გამოაშრობდნენ, რომ მოსავალი მშრალად აეღოთ. რაც შეეხება მშრალ ბრინჯს, იგი გავრცელებული ყოფილა როგორც სამეგრელოში, ისე გურიაში, აჭარასა და ლაზეთში. მშრალი ბრინჯის შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი ოდიშის აღწერისას მიუთითებდა, რომ მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად"[34].

ეთნოგრაფი ჯ. რუხაძე თავის ნაშრომში „ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში" მოკლედ შეეხო ბრინჯის კულტურას და აღნიშნა, რომ მშრალი ბრინჯი ძირითადად მთაში იყო გავრცელებული[35]. იგი გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" 1 ტომში (გვ. 361) გამოთქმული მოსაზრებიდან, სადაც ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა, რა ნ. მარის ცნობებს ჭანეთში მშრალი ბრინჯის მოვლა-მოყვანის შესახებ, აღნიშნული აქვს: „განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჭანეთში ეხლაც ყოფილა ბრინჯის ადგილობრივი მუქი, მაგრამ გემრიელი ჯიში, რომე-

---

[34] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 170.

[35] ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1976, გვ. 62.

ლიც თურმე ურწყავი, მთაშიც კი ხარობს და მშრალ ადგილებშიც იზრდება"[36].

აჭარელთა გადმოცემით, აჭარაში თეთრი ბრინჯი მოჰყავთ „ინგლისურადი" „ძველათ იყო თათრულადი", რადგან მთხრობელი ინგლისურად თეთრ ბრინჯს უწოდებს ალბათ „თათრულადი" ის ძუქი ბრინჯია, რომელიც ნ. მარს ჭანეთში დაუმოწმებია. მაგრამ საერთოდ თქმა, თითქოს მშრალი ბრინჯი ძირითადად მთაში იყო გავრცელებული, ეს ძნელი დასაჯერებელია. გურიის მასალების მიხედვით ჩანს, რომ, როგორც მშრალი, ისე სველი ბრინჯი მხოლოდ ზღვისპირა ზოლში მოჰყავდათ ან ზღვისპირა ზოლიდან ოდნავ დაცილებულ, მაგრამ დაბალი მდებარეობის სოფლებში.

აღსანიშნავია, რომ, გარდა მოყვანის თვალსაზრისით ორი განსხვავებული ხასიათისა, რაც სისველე-სიმშრალით და სითეთრე-სიმუქით გამოიხატება, სხვა დამახასიათებელ ჯიშობრივ განსხვავებაზე რაიმე მასალა არ იკრიბება.

1804 წელს პ. ლიტვინსკი იმერეთში გავრცელებულ მარცვლეულთა შორის მოიხსენიებს „აჭარულ ბრინჯს"[37]. შესაძლებელია ამ ტერმინში სწორედ მშრალი, მუქი ფერის ბრინჯი იყოს ნაგულისხმევი. თუმცა პ. გუგუშვილის გამოკვლევით, მშრალი ანუ ძთის ბრინჯი (Oryza montania) აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში 1852 წლიდან შემოუტანიათ ჩინეთიდან[38]. ბრინჯის კლასიკურ ქვეყნად კავკასიაში მაინც აზერბაიჯანი უნდა მივიჩნიოთ, სადაც, შ. გულიევის გამოკვლევის მიხედვით, იქ 13 სხვადასხვა ჯიშისა და .სახელწოდების ბრინჯი ყოფილა გავრცელებული[39]. XIX საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანში ბრინჯისათვის 50 ათასი დესეტინა მიწა მუშავდებოდა და მოჰყავდათ 7 მილიონ ფუთზე მეტი[40].

ბრინჯი კახეთის ისტორიულ დოკუმენტებში ჩელთუქის სახელით მოიხსენიება, ხოლო ნაკვეთი, რაზედაც ბრინჯი მოჰყავდათ— საჩელთუქე ალაგად[41]. ტერმინი ჩელთუქი თურქული სიტყვაა და კახეთში აზერბაიჯანულიდან უნდა იყოს გავრცელებული.

---

[36] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1 თბ., 1930, გვ. 361.

[37] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX ს-ში, ტ. III, თბ., 1959, გვ. 265.

[38] იქვე, გვ. 295.

[39] Ш. А. Г у л ј е в. Азербајчанда Zалтикчилик, баки, 1977, с. 33.

[40] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 302.

[41] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1940, გვ. 368—370.

კახეთში რომ ბრინჯი გვიანი შუა საუკუნეებისათვის დიდი რაოდენობით ითესებოდა, ამაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი. იგი წერს: „რამეთუ უფროს გაღმა მხარს შინა და უმეტეს ელისენში; ეგრეთვე ბანბასა და ბრინჯსა სთესენ გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესავენ ბრინჯ-ბამბას"[42]. დასახლებულ რაიონებში რომ ბრინჯი მოჰყავდათ, ამ ცნობას ცოტა მოგვიანებით XVIII საუკუნის მოგზაური გიულდენშტედტიც იმეორებს[43].

მართალია არქანჯელო ლამბერტი მიუთითებს, რომ სამეგრელოში იმდენად ბევრი ბრინჯი მოჰყავდათ, რომ „არაცთუ აქაურებს ჰყოფნით „არამედ მიაქვთ ოსმალეთის გემებსაც, რომელნიც აქ მოდიანო"[44]. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრინჯს მაინც დიდი ფართობები არ ეთმობოდა.

კოლხეთში ბრინჯის მოყვანის საქმეს ხელს უწყობდა დიდი რაოდენობის ნალექები (წლიურად 2000 მმ მეტი), რომელიც ძირითადად ბრინჯის სავეგეტაციო პერიოდზე ემთხვეოდა. XIX ს. მეორე ნახევრიდან ბრინჯის კულტურა აზერბაიჯანში ბამბის კულტურამ შეავიწროვა, ხოლო კოლხეთში ჩაის კულტურის განვითარებამ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში სახელწოდება ბრინჯი ორი სახელით არის ცნობილი: ბრინჯის, რომელიც IX საუკუნეში ახალი სპარსულიდან უნდა შემოსულიყო აღმოსავლეთ საქართველოს გზით და „ორიზა" რომელიც ბერძნულიდან უნდა შემოსულიყო კოლხეთში. აქედან გამომდინარე, თვით ბრინჯის კულტურის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში მიიჩნევს საბერძნეთის გზით მოსულად, რომის ანდა ბიზანტიის ჰეგემონიის ხანაში[45].

მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ე ო ბ ა. გურიაში მეთამბაქოეობა მეურნეობის ისეთი დარგია, რომელიც ძირითადად XIX ს. მეორე ნახევარში განვითარდა და საეურნეო ეკონომიკური მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაასრულა. მეთამბაქოეობა გურიაში მეჩაიეობამ შეცვალა. მიუხედავად მისი ასე ხანმოკლე არსებობისა, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მეურნეობის ამ დარგს შევ-

---

[42] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 103.

[43] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა, საქართველოში, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 17, 67.

[44] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1, გვ. 361.

[45] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 360.

ხებოდით, რადგან გურული გლეხის სამეურნეო საქმიანობაში მას გარკვეული ადგილი ეკავა.

როგორც ვახუშტის აღწერიდან ჩანს, საქართველოში თამბაქო მოჰყავდათ, მაგრამ მისი მოყვანა საოჯახო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფარგლებს არ სცილდებოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეურნეობის ამ დარგს გარკვეული აღმავლობა განუცდია. ზოგიერთი გლეხური ოჯახი თამბაქოს 0,5 ჰას თესდა. თამბაქოდან გლეხობამ დიდი შემოსავალი გაიჩინა. მეთამბაქოეობის მასიურად წარმოება, როგორც გაზ „კავკაზის“ (1875 № 146) კორესპონდენცია იუწყება, 1860-იანი წლებიდან დაწყებულა. წერილის ავტორის აზრით, 1860-იან წლებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მევენახეობა, ხოლო 1960-იან წლებში მეაბრეშუმეობა. როგორც ერთიდან, ისე მეორე დარგიდან საკმაოდ კარგი შემოსავალი მოაკლდა ადგილობრივ მოსახლეობას. დაცემული მეურნეობის გამოსწორებისათვის ზრუნვა ამავე პერიოდში დაიწყო. ორიენტაცია აღებულ იქნა მეთამბაქოეობაზე. პირველი, ვინც გურიაში ამ დარგს მიაქცია ყურადღება, იყო კონსტანტინე ვახტანგის ძე ერისთავი. მან 1860 წელს თურქეთიდან შემოიტანა საუკეთესო ჯიშის თამბაქოს თესლი და თან მოიყოლია თამბაქოს მომყვანი თურქი სპეციალისტები. თამბაქომ პირველ წელსავე ერთ ქცევაზე 30—40 მანეთი სუფთა მოგება მისცა. 1865 წლიდან კ. ერთისთავის წამოწყებას მხარი აუბეს გურიის აზნაურობამ და 1870 წლისათვის თამბაქოს ნათესებმა 60 ქცევამდე მიაღწია. საიდანაც 1000 ფუთი თამბაქო იქნა მიღებული, ფუთი თამბაქოს გასაყიდი ფასი შეადგენდა 3—5 მანეთს.

თამბაქოს მოყვანა დაიწყეს ჩოხატაურის ახლომახლო სოფლების მოსახლეობამ (ბასილეთი, ჯვარცხმა, აკეთი, ერკეთი და სხვ.)

თამბაქო ორი ჯიშისა — სამსუნისა და ტრაბიზონისა ითესებოდა. უმეტესად არჩევდნენ სამსუნის თამბაქოს. ჯერ სანერგეს დათესავდნენ თებერვალში, ხოლო მაისის თვეში ხდებოდა ნერგების გადანერგვა ძირითად ნაკვეთებში. სანერგე ძირითადად ეზოკარმიდამოს ტერიტორიაზე ჰქონდათ მოთავსებული. მაისში იწყებდნენ ნერგის გადარგვას საგანგებოდ მომზადებულ მიწის ნაკვეთზე.

1875 წლისათვის „კავკაზის ცნობით“ მეთამბაქოეობას ბისდევდა გურიის 120 აზნაური და თავადი და 1500 კომლი გლეხი. თამბაქოს ნათესების საერთო ფართობი 1000 ქცევას მაინც შეადგენდა. ერთი ქცევა საშუალოდ 15 ფუთ მშრალ თამბაქოს იძლეო-

და. 1974 წელს 15 ათასი ფუთი იქნა მოწეული, რაც ფულზე გადაყვანილი 80 ათას მანეთამდე შემოსავალს იძლეოდა.

მიწა, რაზედაც თამბაქო უნდა დაერგოთ, ორგზის უნდა გადახნულიყო — სიგრძეზე და სიგანეზე. ორგზის გადახნულ მიწას „დაჩელტავდნენ", შემდეგ კი კავით დაკვალავდნენ. იმისათვის რომ კვლებს შორის სწორად დაეცვათ მანძილი, ხშირად კავის ნაცვლად თოხით იცოდნენ კვლების გატარება. მანძილი კვლებს შორის 50 სმ უნდა ყოფილიყო, ხოლო სიგრძივ ნერგიდან ნერგამდე 20—25 სმ.

„თამბაქოს თოხი ორხელ, სამხელ უნდოდა. მნიშვნელობა ჰქონდა პირველ და მეორე თოხნის ხარისხს. თამბაქოს ფოთლის შეტეხვა ივლისის დამლევს (25) იწყებოდა. პირველი შეტეხვიდან 10 დღის მერე მეორე შეტეხვა ტარდებოდა. სულ 4-ჯერ იცოდნენ შეტეხვა". თამბაქოს ფოთოლს ყუნწებით ბაწარზე ააცმევდნენ და კიდებდნენ ე. წ. „მაშინაში". მაშინა წარმოადგენდა ოთხი ფიცრისაგან შეკრულ ჩარჩოს, რომელსაც სიგრძე 4 მეტრი და სიგანე 2,5 მეტრი ჰქონდა, ბაწრები, რომელზედაც თამბაქო იყო აცმული, მაშინაში ჩაებმებოდა და ისე შრებოდა. ღამღამობით „მაშინები" შეჰქონდათ ფარდულებში, რომელსაც კაზარმას უწოდებდნენ. თამბაქოს ფოთოლი 15 დღეში შრებოდა. გამშრალი თამბაქოს ორ სამი აცმა-ბაწარს მოკეცავდნენ და კიდებდნენ კაპებზე, თითოეულ ასეთ ანაკრეფს „ხეფენგს"უწოდებდნენ. შემდეგში ხეფენგებს ხუთ სხვადასხვა ხარისხად აწყობდნენ, რასაც ტეხად დალაგება ერქვა.

დახარისხებულ თამბაქოს ადგილზევე იძენდნენ შემსყიდველები, რომელთაც თან მოჰყავდათ თამბაქოს ცალებად შეკვრა-შეფუთვის მცოდნე პირები, შეფუთული თამბაქო გადაჰქონდათ ქ. ბათუმში" (მთხრობელი იოსებ ივანეს ძე დოლიძე, ს. განახლება ჩოხატაურის რაიონი, 1978 წ.).

ნაკვეთში დარჩენილი ღერებიდან იღებდნენ სათესლე მასალას. თვით ღერებს კი წვავდნენ ან შეიძლებოდა მისგან მახორკის გაკეთება, მაგრამ გურიაში ამ დანიშნულებით ღერებს არავინ იყენებდა.

თამბაქოს გარდა საბაზრო დანიშნულებისა, თავადაც იყენებდნენ, ეწეოდნენ ჩიბუხით და ქაღალდში გახვეული სახითაც. თამბაქოს ღეჭვა გურიაში არ დაგვიმოწმებია. როგორც ადგილზე შეკრებილი მასალიდან ჩანს თამბაქოს ჭრიდნენ საგანგებო დანების საშუალებით, რომელსაც ადგილობრივი მჭედლები ამზადებდნენ

(იხ. სურ. 13). დანას ჰქონდა ორი ყუნწი და თხელი, ბრტყელი პირი. ერთ ყუნწს გააჩნდა ნახვრეტი, მეორეზე ეგებოდა ტარი. ნახვრეტიანი ყუნწი ჩამაგრებული იყო სადგარში, ტარის აწევ-დაწევით თამბაქოს კონებს ჭრიდნენ და შემდეგ იყენებდნენ.



სურ. 13. თამბაქოს საჭრელი.

თამბაქოს მოვლა-მოყვანა მძიმე საშუშაო პროცესების შემცველია. ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმთელობაზე და ალბათ იმიტომაც, რომ ჩაის კულტურა უფრო მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე თამბაქოს მეურნეობა, ამ დარგმა გურიაში შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა.

ДЖАЛАБАДЗЕ Г. В.

СТАРЫЕ И НОВЫЕ ХОЗЯЙСТВЕННЫЕ КУЛЬТУРЫ В ГУРИИ

Резюме

В работе дается характеристика хозяйственного быта Гурии. Выделены и изучены основные отрасли сельского хозяйства: полеводство, табаководство, рисоводство и чаевод-

ство. После установления Советской власти в Грузии основной отраслью сельского хозяйства в Гурии стало чаеводство. В работе описываются перемены, происшедшие в хозяйственном и семейном быту гурийцев в связи с развитием чаеводства.

В работе дан, статистический показатель производственного быта передовых колхозов, занимающихся чаеводством. Из статистики видно, что каждый трудоспособный член колхоза, почти ежедневно занять на чайных плантациях. На основе статистических материалов автор делает вывод, что чаеводство в Грузии является ведущей, а также трудоемкой отраслью сельского хозяйства, требующей механизацию и огромную затрату рабочей силы.

თ. გ ე ლ ა ძ ე

კოლექტიური შრომის ფორმები გურიაში

კოლექტიური შრომა კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზეა ცნობილი და მას, როგორც ისტორიულ კატეგორიას, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სტადიაზე სხვადასხვა ფორმა ჰქონდა[1].

შრომის მარტივი კოოპერაცია ჩაისახა წინაკლასობრივ საზოგადოებაში, ნ. ზიბერი შრომით კოოპერაციას „პირველყოფილი ეკონომიკური წყობილების არსებობის პირობას" უწოდებს[2]. წინაკლასობრივ საზოგადოებაში წარმოქმნილი შრომითი კოოპერაციის ფორმები განაგრძობდნენ არსებობას საზოგადოების განვითარების მომდევნო სტადიაზე. კოოპერაციის ძველ ფორმებში, რომლებმაც გადნონაშთის სახით მოაღწიეს XX საუკუნემდე, მეტ-ნაკლებად შეცვლილი ბუნებით, დაცულია სხვადასხვა დროისა და სოციალური წყობილების დამახასიათებელი წესები. ამიტომ მათი თავდაპირველი ბუნების აღდგენა შესაძლებელია კოლექტიური შრომის ამა თუ იმ ფორმის „მოცემულ სოციალურ გარემოში მისი კონკრეტული სახით შესწავლისა და ისტორიულ ასპექტში განხილვის საფუძველზე"[3]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გურიის ეთნოგრაფიული მასალა. ჩვენი ინტერესები ამჯერად ისაზღვრება მემინდვრეობასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომის ფორმებით გურიაში.

ჩვენს ხელთარსებული ეთნოგრაფიული მასალა ასახავს XX ს. დასაწყისის სურათს. ეს პერიოდი სოფლის ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდს წარმოადგენდა. ეკონომიკურმა უთანასწორობამ,

---

[1] К. Маркс. Капитал, т. I, 1951, с. 340.

[2] Н. Н. Зибер. Очерки первобытной экономической культуры, М., 1937, გვ. 12.

[3] ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, თბ., 1941, გვ. 14.

გლეხობის ქონებრივმა დიფერენციაციამ, სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ თავისებური დაღი დაასვა მის ყოფას, კერძოდ, კოლექტიური შრომის ძველმა ფორმებმა ახალ ვითარებაში მნიშვნელოვნად შეიცვალეს სახე. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ხოლმე თავისებურ სინკრეტიზმს — განვითარების სხვადასხვა სტადიისათვის დამახასიათებელი მომენტების თანაარსებობას[4].

შრომის ორგანიზაციის ამ მრავალფეროვნების სისტემატიზაციის მიზნით, საჭიროა კოლექტიური შრომის თითოეული ფორმის დეტალური ანალიზი. კოლექტიური შრომის სხვადასხვა მხარეების — მიწათსარგებლობის, კოლექტიური შრომის ორგანიზაციის, მონაწილეთა უფლებრივი დამოკიდებულების, შრომის განაწილების, შრომითი მონაწილეობის ხარისხისა და შორმის შედეგის განაწილების, ასევე კოლექტიურ შრომასთან დაკავშირებული ადათ-ჩვეულებების ანალიზი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ კოლექტიური შრომის ფორმების განვითარებასა და გარდაქმნის პროცესს.

გურიაში ფართოდ იყო გავრცელებული შრომითი ურთიერთდახმარების ფორმა, რომლის დროსაც მეზობლები ეხმარებოდნენ ერთ ოჯახს, ამ უკანასკნელის მოწვევით. სამუშაოს პატრონი მოწვეულ პირთ, ჩვეულებრივ, უმასპინძლდებოდა. ასეთი სახის შრომითი დახმარება) ხდებოდა ანაზღაურების გარეშე. კოლექტიური შრომის ეს ფორმა გურიაში ცნობილი იყო ნადისა და ხარნადის სახელწოდებით. ურთიერთდახმარების ამ ფორმას მიმართავდნენ მემინდვრეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა სამუშაოს დროს. გურიაში XIX საუკუნეში მემინდვრეობის კულტურებიდან ძირითადად სიმინდი მოჰყავდათ[5]. ამიტომ კოლექტიურ შრომას მიმართავდნენ ძირითადად სიმინდის მოყვანასთან დაკავშირებული სამუშაოების დროს. ასეთები იყო: ხვნა-თესვა, თოხნა, მოსავლის აღება, გადატანა, სიმინდის გარჩევა და დაფშვნა. თოხნის, მოსავლის აღების, სიმინდის გარჩევისა და დაფშვნის დროს მოწყობილ კოლექტიურ შრომას ნადი ეწოდებოდა, ხოლო ხვნასა და მოსავლის გადატანის დროს მოწყობილ კოლექტიურ შრომას (სადაც გამწევი ძალაც გამოიყენებოდა), ხარნადს ეძახდნენ.

---

[4] ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[5] Д. П. Н о с о в и ч. МИЭБГКЗК, I, 1885, გვ. 750.

ნადს განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ თოხნის დროს, რადგან ეს უკანასკნელი მეტად შრომატევად სამუშაოს წარმოადგენდა. სიმინდს ორჯერ თოხნიდნენ. პირველ გათოხნას უწოდებდნენ „მარგვლას“. ეს ხდებოდა აპრილის ბოლოს. ორი კვირის შემდეგ მეორედ უნდა გათოხნილიყო. ეს იყო „გათოხვა“, მოროდი“. ზოგჯერ მესამედაც თოხნიდნენ. განსაკუთრებით მძიმე სამუშაოს წარმოადგენდა მარგვლა. გარდა ამისა, მთიან ადგილებში, რომლებსაც კავი ვერ მიუდგებოდა, მიწას თოხით ამუშავებდნენ. ისე, რომ ნადი იმართებოდა მარგვლისას, გათოხვნისას და თესვის დროს (ეს უკანასკნელი მთიანი ადგილებისათვის იყო დამახასიათებელი).

ნადში მოწვეულ მუშათა რაოდენობა სხვადასხვა იყო, მაგრამ რვა კაცზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო. როგორც ა. წულაძე წერს, „ნადის რიცხვი ისაზღვრებოდა მომღერლების მიხედვით. ერთ პირ ნადში 8—12 კაცი შედიოდა, ორპირში—16—24, ხშირად უფრო მეტიც“[6]. თოხნის დროს ნადში მხოლოდ კაცები მონაწილეობდნენ.

შრომას სიმღერა აადვილებდა და ხალისს მატებდა. თოხნის დროს მღეროდნენ ყანურს ანუ ნადურს. ამ სიმღერას რვა კაცი სჭირდებოდა: 2 დამწყები (მთქმელი), 2 გამყივანი (გადამძახებელი) და ორ-ორი ბანი (შემხმობი), თოხებს სიმღერის ტემპს აყოლებდნენ როგორც მომღერლები, ისე არამომღერლები. თოხების დარტყმა და სიმღერა რიტმული უნდა ყოფილიყო. თოხნის დროს ჭამა ოთხჯერ იყო მიღებული: საუზმე, სადილი, ზარმელი და ვახშამი. საუზმე და ვახშამი სამუშაოს პატრონის სახლში იმართებოდა, ხოლო სადილი და ზარმელი, თუ მინდორი ახლოს იყო, სახლში, ხოლო თუ შორს იყო, მაშინ მინდორში მიჰქონდა ქალს იმ ოჯახიდან, ვისი მიწაც ითოხნებოდა, ჭურჭელიც თან მიჰქონდათ. თუ მინდორი შორს იყო, მაშინ ურმით მიჰქონდათ. სადილად წვნიანი, ხორციანი საჭმელი იყო ხოლმე, ხოლო ზარმელზე, უმეტესად მშრალი.

სიმინდის მოსავლის აღების დროს ნადი შერეული იყო—მონაწილეობდნენ როგორც ქალები, ისე კაცები, შრომა მათ შორის განაწილებული იყო. როდესაც ოჯახი დამოუკიდებლად, თავისი ძალებით იღებდა სიმინდის მოსავალს, მაშინ ბავშვებიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ნადში არა.

გურიაში, ჩვეულებრივ ჯერ ტაროს ტეხდნენ და მერე დარჩე-

---

[6]. ა. წ უ ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1977, გვ. 21.

ნილ ჩალას ჭრიდნენ. თუ ნადი მცირერიცხოვანი იყო, მაშინ ჯერ-ტაროს ტეხდნენ ნადით, მეორე დღეს ჩალას ჭრიდნენ და მესამე დღეს ზვინავდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ამინდი ცუდი იყო ან ჩალა ნედლი იყო, მაშინ ჩალას ტოვებდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ ჭრიდნენ.

როდესაც ერთდროულად ხდებოდა ტეხვა, ჩალის ჭრა და დაზვინვა, მაშინ მომუშავეთა შორის შრომა ასე იყო განაწილებული. მომუშავეთა ნაწილი ტაროს ტეხდა და კალათებში ყრიდა. ესენი იყვნენ „მტეხავები". მტეხავი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც კაცი, ისე ქალი. ამათ მიჰყვებოდა „მეხვავე", ჩვეულებრივ, კაცი, ზურგზე სახვავო გოდორმოკიდებული, მტეხავები კალათებიდან ტაროს უყრიდნენ მეხვავეს გოდორში. მეხვავეს მიჰქონდა გოდორი და ახვავებდა ან კალოზე, რომელიც იქვე ყანაში იყო, ან ურემთან (იმ შემთხვევაში, თუ მოტეხილი ტარო სახლში მიჰქონდათ).

მომუშავეთა ნაწილი რომ ტეხდა, ხოლო ნაწილი ახვავებდა, ამ დროს ნაწილი ჭრიდა, ნაწილი კონიდა, ნაწილი ზვინავდა. „ჩალის მჭრელები" უმთავრესად კაცები იყვნენ, თუმცა ქალებიც არ იყო გამორიცხული. ეს დამოკიდებული იყო ქალებისა და კაცების თანაფართობაზე. ჩალას ჭრიდნენ ნამგლით. ჩალის მჭრელები კონას (ჩალის იმ რაოდენობას, რომელსაც მჭრელი დაიჭერდა ერთ ჯერზე, ჩვეულებრივ 25—40 ჩალა) იქვე დებდნენ. მჭრელებს მიჰყვებოდა ამკონავი (უფრო ხშირად კაცი), რომელიც თითოეულ კონას შეკონიდა ღომის ჩალით და 10—15 კონას ერთად დააწყობდა. შემდეგ ჩამოივლიდა ურემი, რომელსაც ემსახურებოდა ორი კაცი. ურმით ჩალა მიჰქონდათ საზვინე ხესთან, რომელიც იქვე ნაკვეთში იყო ხოლმე ან პირდაპირ სახლში. ერთ ურემზე დაახლოებით 100—150 კონა ჩალა ეტეოდა.

საშუალოდ 5—7 მტეხავზე 1 მეხვავე უნდა ყოფილიყო, 2—3 მომჭრელზე — 1 ამკონავი. ურმების რაოდენობა დამოკიდებული იყო მანძილზე.

მოსავლის აღების დროს ჭამა სამჯერ იყო მიღებული: საუზმე, სადილი, ვახშამი. ზარმელი მოსავლის აღების დროს არ იყო, რადგან ამ დროს შედარებით მოკლე დღეა, საუზმე და სადილი მინდორში მიჰქონდათ. თუ ახლოს იყო ყანა, მაშინ ცხელი საჭმელი მიჰქონდათ, თუ შორს იყო, მაშინ დილით ურმით მიჰქონდათ კალათებით, გოდრებით. ვახშმობდნენ სამუშაოს პატრონის სახლში.

სიმინდის რჩევის (გაქურჩვნის) დროსაც ნადს შეიწევდნენ ხოლმე. ამ დროსაც ნადი შერეული იყო — მონაწილეობდხეხ ქალები და კაცები, როგორც ახალგაზრდები, ისე ხნიერები. სიმინდს ჩვეულებრივ, ღამე, მთვარის ან ჭრაქის სინათლეზე არჩევდხეხ. ძუშაობა შუაღამემდე გრძელდებოდა. სიმინდის რჩევის დროს ძღეროდნენ „კალოს ხელხვავს, ნადიაათვის განსაკუთრებული მხიარულება იყო დამახასიათებელი. მიღებული იყო სხვადასხვა სახის გართობა-ხუმრობა. იცოდნენ „ყარყუმობიე"-ს თამაში მუშაობის დროს ნადს მიართმევდნენ ხოლმე მოხარშულ სიმინდსა და გოგრას. სამუშაოს დამთავრებისას, გვიან ღამით მასპინძელი ვახშამს მართავდა.

სიმინდის დაფშვნისას ქალების ნადს შეიწევდნენ ხოლმე, დიასახლისი პატიჟებდა, იგი საღამოობით ეწყობოდა და ყველა ასაკის ქალები იღებდნენ მონაწილეობას.

ხარნადს (ხვნის დროს კოლექტიურ შრომას) მიმართავდნენ შედარებით შეძლებული ოჯახები. სამუშაოს პატრონი მეზობლებს დახმარებას სთხოვდა და 5—7 კაცი თავისი სახვნელი იარაღითა და გამწევი ძალით მივიდოდა მიწის პატრონთან და გასაძრჯელოს გარეშე უხნავდა. მიწის პატრონი მოწვეულ პირთ გულუხვად უმასპინძლდებოდა. ხარნადს ხვნის დროს არ ჰქონდა ძასობრივი ხასიათი, ოჯახების უმრავლესობა დამოუკიდებლად ხნავდა, რადგან კავი არ იყო ძვირადღირებული იარაღი და ამასთანავე გამწევი ძალა მხოლოდ ორი უღელი იყო საკმარო. იმ შემთხვევაში კი, როდესაც არ ჰყოფნიდათ გამწევი ძალა, მიმართავდნენ კოლექტიური შრომის ფორმას, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ხარნადი ეწყობოდა აგრეთვე მოსავლის გადაზიდვის დროსაც.

კოლექტიური შრომის განხილული შემთხვევები განეკუთვნებიან კოლექტიური შრომის ერთ სახეობას — სამუშაოს პატრონის მიწვევით, გამასპინძლებით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამუშაოს მიხედვით, რომლისთვისაც დგებოდა აღნიშნული შრომითი გაერთიანება. ყველა შემთხვევაში ეს ეწყობოდა ერთი დღით, მონაწილეებს ჰქონდათ საკუთარი იარაღი, არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით. მტკიცედ იყო დადგენილი შრომის, კვებისა და დასვენების რეჟიმი. აღნიშნული ჯგუფები შეიძლებოდა ყოფილიყო ქალების, კაცების ან შერეული. ეს დამოკიდებული იყო სამუშაოს ხასიათზე.

უნდა ითქვას, რომ კოლექტიური შრომის აღნიშნული ფორმის დროს შრომას განსაკუთრებით საზეიმო ხასიათი ჰქონდა. აქ უფრო ზედმიწევნით სრულდებოდა კოლექტიურ შრომასთან დაკავშირებული წესები და რეჟიმი.

აღნიშნული სახის შრომითი ურთიერთდახმარება ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში—დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთში, ნადის, სამეგრელოში ნოდის, რაჭაში ძეშველის[7], ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში დაძახილის, მაძითადის, მუშის, ულამის, სეფეს სახელწოდებით. შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმა გარდა მემინდვრეობისა, სხვა სამუშაოების შესრულებისასაც ნადის სახელწოდებით იყო ცნობილი. ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, რომ მატერიალური დახმარების ის სახეები. რომელსაც მეზობლები ანაზღაურების გარეშე უწევენ ოჯახს სიკვდილისა და ქორწილის დროს. „უეჭველად თავისი არსით მჭიდროდ არის დაკავშირებული ნადთან...“ თუმცა ასეთ შემთხვევაში ისინი თვითონ მიდიან, მათ არ „სთხოვენ“, რადგან ეს მათ მოვალეობად მიაჩნიათ, მაგრამ ამით საქმის არსი ნამდვილად არ იცვლება“[8].

შრომითი ურთიერთდახმარების ამ ფორმას მრავალი ანალოგი მოეპოვება კავკასიაში, კერძოდ, ოსეთში აღნიშნული სახით შრომითი გაერთიანება ცნობილი იყო „ზიუს“[9], დაღესტნის სხვადასხვა ნაწილში „გვაის“[10], „მარშას“[11], „ვუკას“[12], ხოლო აზერბაიჯანში „იმეჯილიკის“[13], უზბეკეთში „ურუკ ხაშარის“[14] სახელწოდებით.

აღნიშნული სახის ურთიერთდახმარებას ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არაერთი მკვლევარი შეხებია. მიღებულია აზრი იმის

---

[7] ალ. რობაქიძე, რაჭის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში.

[8]. ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 69.

[9] М. О. Косвен. Этнография и история Кавказа, М., 1961, с. 80.

[10] С. Х. Асиятилов, Историко-этнографический очерк хозяйства аварцев, Махачкала, 1967, с. 57.

[11] А. Омаров. Как живут лаки, Сборник сведений о кавказских горцах, вып. IV, 1870, с. 9—16.

[12]. Гаджи Мурад Амиров. Среди горцев северного Дагестана, Сборник сведений о кавказских горцах, вып. IV, с. 76.

[13] М. А. Гулиев. Чалтыководство в Азербайджане, Автореферат, Баку, 1966, с. 22.

[14] М. Абдураимов. Пережитки сельской общины в Узбекском кишлаке, Хумсан (XIX нач. XX вв), СЭ, 1959, № 4, с. 49.

შესახებ, რომ კოლექტიური შრომის ეს ფორმა დამახასიათებელი ყოფ პირველყოფილ-თემური წყობილებისათვის და თვით მისი არსიდან გამომდინარეობდა[15].

აღნიშნული სახის შრომის ორგანიზაციის თავდაპირველ სახეში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ურთიერთდახმარების ფაქტორი[16].

შრომითი ურთიერთდახმარება საყოველთაოდ იყო გავრცელებული და აუცლებელი პირველყოფილ-თემური წყობილების დროს. აღნიშნული სახის შრომის ორგანიზაცია განაგრძობდა არსებობას სასოფლო თემის პირობებშიც და გადმონაშთის სახით მან მიაღწია XX საუკუნემდე[17], მაგრამ, გადმოდის რა შემდგომ ფორმაციებში ეს ეგ. წ. „გვაროვნული ურთიერთდახმარება"[18] იძენს კლასობრივ ნიშნებს[19]. ეს უკანასკნელი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ურთიერთდახმარების აღნიშნულ ფორმას ზოგ შემთხვევაში ჩამოშორდა ურთიერთდახმარების აუცილებელი პირობა[20].

როგორც არსებული ლიტერატურის, ისე ჩვენი საველე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, საქართველოში ურთიერთდახმარების ამ ფორმის არსებობა XX საუკუნეშიც დასტურდება. ამასთან შრომის ორგანიზაციის აღნიშნულმა სახემ ამ დრომდე მოაღწია მეტ-ნაკლებად ტრანსფორმირებული სახით.

ჩვენი საველე მასალის მიხედვით, მემინდვრეობაში შრომითი დახმარება (სამუშაოს პატრონის მოწვევით) საკმაოდ იყო გავრცელებული, მაგრამ მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ინსტიტუტის ფუნქციები ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ერთ შემთხვევაში ის წარმოადგენდა ურთიერთდახმარებას, სხვა შემთხვევაში კი მას ჩამოშორდა ურთიერთდახმარების აუცილებელი პირობა და გადაიქცა სოფლის მოსახლეობის შეძლებული ნაწილისათვის მუქთი მუშახელის შოვნის საშუალებად. ღარიბ გლეხობას არც ჰქოსდა საშუალება გულუხვად გამასპინძლებისა. სოფლად ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებისა და კულაკობის გაჩენის შედეგად შრომის ორგანიზაციის აღნიშნულმა მარტივმა ფორმამ ხშირ შემთხვევაში დაკარგა ურთიერთდახმარების პრინციპი და გადაიქცა

---

15 Н. А. Бутинов. Папуасы Новой Гвинеи, М., 1968, с. 80.
16 М. О. Косвен. Этнография и история кавказа, М., 1961, с. 16.
17 Л. Криживицкий. დასახ. ნაშრ., с. 77.
18 М. А Косвен. Семейная и община патронимия, М., 1960, с. 113.
19 М. О. Косвен, დასახ. ნაშრ., с. 114.
20 Н. А. Бутинов. დასახ. ნაშრ. с. 27.

შრომით დახმარებად, რომელსაც უწევდნენ შედარებით მეტი მიწების მფლობელ შეძლებულ გლეხებს. ასეთ დახმარებას გამასპინძლების ფასად ხშირად უწევდნენ სოფლის მოხელეებსა და სამღვდელოებას, ასევე აზნაურებს. უკანასკნელ შემთხვევაში ნადი განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო და მისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ სამუშაოს პატრონი თვითონ მონაწილეობას არ იღებდა. გლეხი კი მოწვეულ პირებთან თანაბრად თვითონაც მუშაობდა. აზნაური, ჩვეულებრივ, მიმართავდა შუამავალს, რათა ნადი მოეწვია მისთვის. ამაში შუამავალს ფულსაც უხდიდნენ ხოლმე. ხშირად გლეხიც მიმართავდა ასეთ საშუალებას. მაგრამ ამ დროს გამორიცხული იყო ფულის გადახდა, რადგან ნათესაობის ფაქტორი გარკვეულ როლს თამაშობდა. ასეთ ნადს „მოყვრის ნადი" ეწოდებოდა.

მთხრობლის გადმოცემით, „მოყვრის ნადი ისაა, მაგალითად, მე მყავს ნათესავი. იმას ვეტყოდი, მე მინდა ამდენი კაცი და ის მოიყვანდა ნადს. ის თუ ისე მასახელებდა, მე წავუყვანდი მერე. მე იმისი მემართა. ეს იმ შემთხვევაში, თუ დასჭირდებოდა, მაგრამ არ იყო აუცილებელი".

შრომითი გაერთიანების ერთ-ერთ მარტივ ფორმას წარმოადგენდა ქვრივ-ობლების, დროებით უმამაკაცოდ დარჩენილი ოჯახის, უხარო ოჯახის შრომითი დახმარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ასეთი სახის შრომის ორგანიზაცია, როდესაც რამდენიმე მოსახლე ანაზღაურების გარეშე, თავისი იარაღით, ხშირად თავისი საგზლით, მიდიოდა და ეხმარებოდა გაჭირვებულ ოჯახს, ცნობილი იყო მემინდვრეობის ციკლში შემავალ თითქმის ყველა სამუშაოსთან დაკავშირებით (ხვნა, თოხნა, მოსავლის აღება, გადაზიდვა და სხვა).

გაჭირვებული ოჯახის დახმარება (არა მარტო შრომითი, არამედ მატერიალურიც) წარმოადგენს თემური წყობილების გადმონაშთს. ამ მოვლენაში გამოხატულია პირველყოფილ-თემური წყობილების იდეოლოგია. ამის შესახებ ფ. ენგელსი წერდა: „რამდენიმე დღის განმავლობაში, რომელიც მე ირლანდიაში გავატარე, ნათლად დავინახე, როგორ გამსჭვალულია იქ ხალხი ჯერ კიდევ გვაროვნული ეპოქის წარმოდგენებით.... ყოველი შეძლებული გლეხი ვალდებულია დახმარება გაუწიოს თავის ნაკლებად შეძლებულ მეზობელს, როცა ეს უკანასკნელი რაიმე გაჭირვებას განიცდის. ეს დახმარება სამოწყალო კი არაა, იგი კლანის ღარიბ წევრს

უფლების ძალით ერგება უფრო მდიდარი წევრისა და შეთაურისა-გან"[21]. იგივეს აღნიშნავს ფ. ენგელსი, როდესაც ახასიათებს გვაროვნულ წეს-წყობილებას: „შეუძლებელია, რომ ღარიბები და გაჭირვებულები არსებობდნენ — კომუნისტური ოჯახი და გვარი ზრუნავენ მოხუცებულთა, სნეულთა და ომში დაავადებულთა შესახებ"[22].

გურიაში არსებობდა გაჭირვებული ოჯახის დახმარება მემინდვრეობასთან დაკავშირებული სამუშაოების დროს. ამის შესახებ ა. წულაძე წერდა: „სოფელში თუ ყანაში მუშაობის დროს მუშაკაცი ავად გახდებოდა, კვირას ეკლესიაში მოითათბირებდნენ, დანიშნავდნენ დღეს და ავადმყოფის ყანას ნადურით ამუშავებდნენ. რეაქციის ხანაში პოლიტიკურ გადასახლებულის ან მოკლულის, იმპერიალისტური ომის დროს სათადარიგო ჯარისკაცის ყანასაც ასევე კოლექტიურად ამუშავებდნენ. ზოგჯერ გამასპინძლებას ყანის პატრონს არ ავალებდნენ, თავიანთი ხარჯით მუშაობდნენ. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ პატრონს ყანის დამუშავება მეორე-მესამე დღეს გაუგია"[23].

ჩვენს მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით, გურიაში შრომითი დახმარება ცნობილი იყო „შემწეობის" სახელწოდებით. ამ დროს უმთავრესად საკუთარი ინიციატივით მიდიოდნენ დასახმარებლად. სოფლის ერთ-ერთი თავკაცი აიღებდა თავის თავზე ინიციატივას და წაიყვანდა ხალხს დასახმარებლად. თუ ოჯახი შეტისმეტად ღარიბი იყო, მომხმარენი თავისი საგზლით მიდიოდნენ. იმ დროისათვის, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მასალა, შრომის ორგანიზაციის აღნიშნული ფორმა არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით.

შრომითი დახმარების დროს ურთიერთობა მარტივი იყო და გამომდინარეობდა იმ შეგნებიდან, რომ გაჭირვების დროს მასაც დაეხმარებოდნენ. ხოლო ოჯახს, რომელსაც ეხმარებოდნენ, ჰქონდა მორალური ვალდებულება სხვისათვის გაეწია დახმარება საჭიროების შემთხვევაში.

გაჭირვებული ოჯახის შრომითი დახმარება ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებშიც. სამეგრელოში ეს

---

[21] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1938, გვ. 136.

[22] ფ. ენგელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

[23] წულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

გამოიხატებოდა სპეციალური ტერმინით „შენწოობა“, ერწო-თიანეთში „სამადლო“, მესხეთში შრომის ორგანიზაციის ასეთ ფორმას „სანიჭარს“[24] უწოდებდნენ, ოსეთში დახმარებას უწოდებდნენ „ანხოსს“[25]. დახმარების ეს მარტივი ფორმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყო ცნობილი[26].

კოლექტიური შრომის საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა მაინდი (ნამაინდი), რომლის პრინციპი იყო შრომითი დახმარების აუცილებელი ანაზღაურება.

ნამაინდს შედარებით ხელმოკლე ოჯახები მიმართავდნენ, შეძლებულები კი იწვევდნენ ნადს, ხარნადს და დაქირავებულ შრომას მიმართავდნენ. ეს გაერთიანება არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით. თითოეულ წევრთან მუშაობდნენ დღეების თანატოლი რაოდენობით. რიგს, თუ როდის, რომელ წევრთან უნდა ემუშავნათ, წევრები აწესებდნენ იმის მიხედვით, თუ ვისთვის როდის იყო მოსახერხებელი. გარდა იმ სამუშაოებისა, სადაც მუშაობა იარაღის გარეშე ან ხელით სამუშაო იარაღით სწარმოებდა, ნამაინდს მიმართავდნენ აგრეთვე ისეთი სამუშაოების შესრულებისას, რომელშიც, გარდა ადამიანის შრომისა, გამოიყენებოდა მუშა პირუტყვი და ტრანსპორტი ან გამწევი ძალით მომუშავე შრომის იარაღი. კვების, დასვენების, მუშაობის რეჟიმი დადგენილი და დამოკიდებული იყო სამუშაოზე, რომელიც სრულდებოდა. საჭმელი მიჰქონდათ იმ ოჯახიდან, ვისთანაც მუშაობდნენ. კვება ამ დროს უმთავრესად საკლავის გარეშე იყო ხოლმე. ნამაინდში ერთიანდებოდნენ ან ქალები, ან კაცები. შერეული სანაცვლო მუშაობა არ დაგვიდასტურებია. ამ შემთხვევაში ერთიანდებოდა ერთნაირი მდგომარეობის ხალხი (ღარიბი გლეხები) და მისთვის დამახასიათებელი იყო მცირერიცხოვნობა.

ნამაინდს—განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ სოფლიდან მოშორებული მიწების დამუშავებისა და იქ მოსავლის აღების დროს.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გურული გლეხები იჯარით იღებდნენ მიწას თავისი სოფლებიდან საკმაოდ მოშორებით მდებარე ადგილებში. მაგალითად, ახლანდელი ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებნი მიწას იღებდნენ ლანჩხუთის რაიონში მდებარე ე. წ.

---

[24] ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 173.

[25] მ. ქანთარია, ერთობლივი შრომის ფორმები მთა ოსეთში, „მაცნე“, 1971, გვ. 58.

[26] H. H. Зибер, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

ანჯელში კორძაიებისა და დიდიებისაგან. ამ მიწების დამუშავებისა და იქიდან მოსავლის აღების დროს გლეხები დროებით იქ დასახლდებოდნენ ხოლმე და უმთავრესად ნამაინდით ამუშავებდნენ მიწას და მოსავალსაც ნამაინდით იღებდნენ.

ექვივალენტური ურთიერთდახმარება დასავლეთ საქართველოში ცნობილი იყო ნადის, ნადური თოხნის, მაგიერობის (იმერეთი), ნოდის (სამეგრელო), აღმოსავლეთ საქართველოში ნაცვალგარდობის, რიგ-რიგას სახელწოდებით. მას მრავალი პარალელი მოეპოვება როგორც კავკასიის[27], ისე სხვა ხალხებში[28].

გურიაში გავრცელებული იყო შრომის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ცნობილი იყო" ხარების შეუღლების" სახელწოდებით. შრომის ორგანიზაციის ამ ფორმას მიმართავდნენ ხვნის დროს.

გურიაში ბუნებრივი გარემო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მიწათმოქმედებისათვის[29]. ნიადაგის თავისებურება, ისევე როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველოში, არ მოითხოვდა მძიმე საბვნელს. აქ გავრცელებულ სახვნელ იარაღს წარმოადგენდა ხის კავი რკინის სახნისით. ეს მარტივი იარაღი იყო. გლეხი თვითონ აკეთებდა. სახნისს მჭედელი ჭედდა. XX ს. დასაწყისში სახნისი ოთხი აბაზიდან ერთ მანეთამდე ღირდა. კავის შეძენა ყველა გლეხს შეეძლო. გამწევ ძალას წარმოადგენდა უღელი ხარი, მუშახელს ერთი ან ორი კაცი—მეხრე, რომელიც კავს „ეკიდა" და წინამძღოლი, რომელიც ხარს წინ მიუძღოდა თუ საქონელი გაუხედნავი იყო.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ხვნა-თესვას გურიაში ოჯახების უმრავლესობა დამოუკიდებლად ახერხებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხს მხოლოდ ცალი ხარი ჰყავდა და ამიტომ არ შეეძლო დამოუკიდებლად მიწის მოხვნა, მიმართავდა „ხარების შეუღლებას". ორი ოჯახი, რომელსაც თითო ხარი ჰყავდა, ხარებს შეაუღლებდა. კავი და უღელი თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა. ამიტომ კავსა და უღელს მიწის დამუშავების დროს ოჯახები თავთავისას ხმარობდნენ: იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მონაწილეს არ ჰქონდა კავი, „ამხანაგის" კავს გამოიყენებდა საზღაურის გარეშე. კოოპერაციის წევრები თავთავისი მიწების დამუშავების დროს თვითონ „მოეკიდებოდნენ" კავს. თუ ორი კაცი იყო საჭირო, ორივე ჯერ

---

[27] И. А. Бутинов. დასახ. ნაშრ., გვ. 27.
[28] И. Н Зибер, დასახ. ნაშრ. გვ. 51.
[29] Д. П Носович. МИЭБТКЗК, с. 735.

ერთთან მუშაობდა, მერე მეორესთან. მაშასადამე, „შეუღლების“ მთავარი პირობა იყო მხოლოდ გამწევი ძალის ტოლი რაოდენობით მონაწილეობა. სახვნელი იარაღი და მუშახელი საკუთარი მიწების ხვნის დროს თავთავისი უნდა გამოეყენებინათ. თუმცა ამ პირობის დარღვევა შეიძლებოდა. კერძოდ, იარაღი ერთისა იქნებოდა, თუ მეორე წევრს იგი არ ჰქონდა. ასევე ხვნის მთელი პერიოდის განძილზე შეიძლებოდა ერთი წევრი „მოჰკიდებოდა“ კავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ზოგჯერ ხდებოდა სამაგიეროს გადახდა სხვა სახის შრომით. ამხანაგობის თითოეული წევრი ხნავდა იმდენს, რამდენიც სჭირდებოდა. თუ სახნავი ერთ-ერთ წევრს მეტი ჰქონდა, მეორეს ნაკლები, ეს სხვაობა შეიძლებოდა გაეთანაბრებინათ. ე. ი. ვისაც ნაკლები ჰქონდა დასახნავი ფართობი, იმას შეეძლო ხარები სხვა სამუშაოში გამოეყენებინა ან „ამხანაგი“ ხელის სამუშაოში მოხმარებოდა. ზოგიერთ სოფელში იყო საამისოდ გამომუშავებული ნორმები, მაგალითად, ერთი ხარის ერთი დღით ხვნაში გამოყენება უდრიდა ერთი მუშის ერთი დღით თოხნაში მოხმარებას. მაგრამ ასეთი ნორმირებული გათანაბრების ეს წესი არ იყო საყოველთაოდ გავრცელებული. ზოგან საერთოდ არ იყო მიღებული „გათახაბრება“.

მაშასადამე, საქონლის თანაბარი რაოდენობით მონაწილეობის პირობებში მიწას ხნავდნენ არა მონაწილეობის პროპორციულად, ე. ი. თანაბრად, არამედ იმდენს, ვისაც რამდენი სჭირდებოდა. ერთ შემთხვევაში არა ხდებოდა ამისი გათანაბრება, მეორე შემთხვევაში ერთგვარად თანაბრდებოდა (ნაზღაურდებოდა) შრომით ან ხარების თხოვებით, მაგრამ მტკიცედ დადგენილი ნორმები არ იყო. მესამე შემთხვევაში ნორმების მიხედვით ხდებოდა გათანაბრება.

მსგავსი შრომის ორგანიზაცია იყო გავრცელებული იმერეთში, ცნობილი „შეზიარების“ სახელწოდებით, სამეგრელოში „ქალუსკვეთ“ ,„დიმაბუნე“, „დოცალუა“.

ამ დროს შრომის, დასვენების და კვების რეჟიმი მტკიცედ იყო დადგენილი. ხვნის დროს ქალი შრომაში მონაწილეობას არ იღებდა. ერთადერთი საქმიანობა, რომელსაც ქალი ეწეოდა, ეს იყო მინდორში საჭმლის წაღება (თუ მინდორი ახლოს იყო, სახლში მიდიოდნენ). საქმელი ამ ოჯახიდან მიჰქონდათ, ვისი მიწაც იხვნებოდა. ხვნის დროს ორჯერ ჭამდნენ (საუზმე და სადილი). ხარებს სადილობის დროს ასვენებდნენ, აჭმევდნენ, წყალზეც მაშინ მიჰ-

ყავდათ. ხარებისათვის საკვებიც იმ ოჯახიდან მიჰქონდათ, ვისი მიწაც იხვნებოდა.

მაშასადამე, ხვნის დროს გავრცელებული იყო შრომის ორგანიზაციის შემდეგი ფორმები: ხარნადი, რომელსაც შეძლებული ოჯახი აწყობდა, ნამაინდს საშუალო ოჯახი აწყობდა, და ბოლოს, საჭირო რაოდენობის გამწევ ძალას მოკლებული გლეხობა მიმართავდა—„ხარების შეუღლებას", ვისაც ხარები საერთოდ არ ჰყავდა, ისინი ქირით ახვნევინებდნენ ან „თხოულობდნენ". ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამაგიეროს შრომით იხდიდნენ. ერთი დღით უღელი ხარის გამოყენებაში სამაგიეროდ ორ დღეს უნდა დახმარებოდა თოხნაში ან სხვა სამუშაოში; თუ ხარებს პატრონი წაჰყვებოდა, მაშინ სამ დღეს უნდა მოხმარებოდა სამუშაოს პატრონს.

გურიაში დავადასტურეთ შედარებით ხანგრძლივი შრომითი გაერთიანება, როდესაც რამდენიმე ოჯახი ერთად ასრულებდა სიმინდის მოყვანასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს.

შრომითი კოოპერაციის ამ ფორმის საფუძველს წარმოადგენდა კოლექტიური მიწათსარგებლობა, რასაც იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი. ასეთი მიწების არსებობის ფაქტს დ. პ. ნოსოვიჩიც ადასტურებს[30].

მიზეზები კოლექტიური მიწათსარგებლობისა სხვადასხვა იყო. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა განაყარ ოჯახებს შორის გაუყოფელი მიწების არსებობა.

ჩვენი საველე მასალის მიხედვით, გურიაში ოჯახის გაყოფის დროს ყველაფერი, მათ შორის მიწაც, იყოფოდა. განაყარი ოჯახები ინარჩუნებდნენ ტერიტორიულ ერთობას, მაგრამ იშვიათად ჰქონდათ რაიმე საზიარო. ან საზიარო ჰქონდათ მხოლოდ ის, რასთან დაკავშირებული შრომაც პატარა ოჯახების ძალებს აღემატებოდა. ასეთი იყო სოფლიდან მოშორებით მდებარე ზოგიერთი ნაკვეთი, რომელსაც ოჯახი გაყრისას არ ყოფდა და საერთო სარგებლობაში ტოვებდა. ამ მიწებს განაყარი ოჯახები ერთად ამუშავებდნენ, ხოლო მოსავალს იყოფდნენ. ამ შემთხვევაში შრომითი მონაწილეობა თანაბარი უნდა ყოფილიყო. თანაბარი მონაწილეობის საფუძველზე მოსავალს თანაბრად იყოფდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ეს ოჯახები არათანაბრად მონაწილეობდნენ შრომით თუ გამწევი ძალით, მაშინ ეს არათანაბარი მონაწილეობა უნდა გაეთანაბრებინათ სხვა სამუშაოებში. ნორმები ამ დროს იგივე იყო, რაც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში.

---

[30] Д. П. Носович. МИЭБГКЗК т. I, 1885, с. 738.

კოლექტიურ მიწათსარგებლობას და ამ მიწების კოლექტიურ დამუშავებას ადგილი ჰქონდა მაშინაც, როდესაც გლეხების გარკვეული ჯგუფი „ზიარად“ იღებდა მიწას იჯარით. ამას ეძახდნენ „სამოდოდ“, უფრო გვიან კი „სანადელოდ“ მიწის აღებას. ხოლო მონაწილეები იყვნენ „მოზიარეები“. იჯარით მიწის აღება გურიაში მცირემიწიანობის პირობებში გლეხობის არსებობის ერთ-ერთი საშუალება იყო. იჯარით მიწის აღების დროს პირობა ასეთი იყო: მოსავლიდან მიწის პატრონისათვის ნახევრიდან ერთ მეოთხედამდე უნდა მიეცა მიწის ხარისხის მიხედვით. როდესაც იჯარით მიწას მოშორებით იღებდნენ, ხშირად რამდენიმე ოჯახი (2—10-ამდე). ერთიანდებოდა.

ეს ოჯახები აერთიანებდნენ შრომის იარაღს, გამწევ ძალას, შრომას და სიმინდის მოყვანასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს ერთად ასრულებდნენ. მონაწილეობდნენ თანაბრად, მოწეული მოსავლიდან 1/3 აძლევდნენ მიწის პატრონს, ხოლო დანარჩენს ერთმანეთს შორის თანაბრად ჰყოფდნენ. მოგვყავს მასალა: „ანჯელეკალას ტერიტორიაზე, რაონგამოლმა შეგრული სოფლებია. აქ ბაბუაჩემს და ხუთ მოსახლეს ერთად ჰქონდათ აღებული მიწები გიგო დიდიასაგან. იქ გლეხებს ერთ ადგილას დადგმული ჰქონდათ სასიმინდეები. ამ ადგილს ახლაც „ჯარნალიები“ ჰქვია. მოზიარეებს დაქირავებული ჰყავდათ მცველი, რომელსაც მეველე ერქვა. სულ ორი მეველე ჰყავდათ. მათ უხდიდნენ სიმინდს, როცა რამდენიმე კაცი ერთად იღებდა მიწას სანადელოდ, ისინი ერთად აკეთებდნენ ყველა სამუშაოს და დაფშვნილ სიმინდს გაყოფდნენ. აუცილებელი იყო თანაბარი სამუშაოს შესრულება. სამუშაოზე ყველას თანაბრად გამოჰყავდა მუშახელი და გამწევი ძალა. ამ დროს თვითონ ოჯახის წევრები მუშაობდნენ. მოსავალსაც თანაბრად იყოფდნენ“ (სევერო ნიკოლოზის ძე ჩხიკვიშვილი, 78 წლისა, სოფ. ზემო ფარცხმა).

XX ს. დასაწყისისათვის გურიაში საკმაოდ გავრცელებული ჩანს ქირით მუშაობა. ჩვეულებრივ, დამქირავებელი იყო შეძლებული. ადგილობრივნი შრომის საფასურად ფულსაც იღებდნენ და სურსათსაც—ღვინი ხუთ გირვანქა სიმინდის ან სამ-ოთხ აბაზს.

განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო სოფლიდან გასვლა ქირით სეზონურ სამუშაოებზე. როგორც პ. გუგუშვილი წერს. „საშოვარზე გასვლის მთავარი მიზეზი მაინც მიწის ნაკლებობა ანუ სოფლად ზედმეტი მუშახელის გაჩენა იყო. საშოვარზე წასვლა მცირემი-

წიანი გლეხობისათვის საარსებო სახსრების მოპოვების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ფეოდალური ხანის საქართველოში საშოვარზე სიარულის შესახებ ბევრი საბუთი არსებობს[31].

ჩვენს მიერ შეგროვილი საველე მასალის მიხედვით, გურიის სოფლებიდან ქირით მიდიოდნენ სათოხნად სამეგრელოში, ჩვეულებრივ, ჯგუფებად — რამდენიმე კაცი ერთად მიდიოდა ერთი კვირით ან ათი დღით. ჯგუფს ჰყავდა ხელმძღვანელი, რომელიც წინასწარ მოურიგდებოდა ხოლმე სამუშაოს პატრონს, მუშაობდნენ დღიურად და ნარდადაც, დღიურად მუშაობის დროს დღეში 5 გირვანქა სიმინდს ან სამ ოთხ აბაზს იღებდნენ. ფასი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. აღნიშნული ფორმა შრომითი კოოპერაციისა დამახასიათებელი იყო კაპიტალისტური წყობისათვის.

მაშასადამე, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში გადმონაშთის სახით განაგრძობს არსებობას კოლექტიური შრომის ძველი ფორმები. ამასთანავე, მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ ახალ ვითარებაში ძველი წესები და ტრადიციები ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად იცვლებიან.

Т. Ш. ГЕЛАДЗЕ

КОЛЕКТИВНЫЕ ФОРМЫ ТРУДА В ГУРИИ

Резюме

В Гурии в связи с полевыми работами составлялись временные трудовые объединения, отражающие разные стадии истории развития организации труда.

По этнографическим материалам устновлены следующие формы коллективного труда.

Безвозмездная трудовая помощь бедняку «Шемцеоба» (помощь), которую зачастую соседи оказывали по собственной инициативе.

---

[31] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, 1956, გვ. 776; პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორო ძეგლები, II, 1941; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953; ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 175.

Трудовая помощь без возмещения — нади, харнади. При данной форме коллективного труда крестьяне собирались по приглашению владельца земли. Следует отметить, что данная форма коллективного труда в новых условиях (конец XIX — начало XX вв.) значительно трансформируется.

Форма коллективного труда основанная на принципе обязательного возмещения затраченного труда — наманинди. Соучастники работали друг у друга равное количество дней.

Трудовая взаимопомощь при пахании — «харебис шеуглеба» (спряжение волов). В условиях примерно равного участия в трудовой кооперации пахотным орудием, тягловой силой и личным трудом, соучастники пахали земли по потребности — каждый вспахивал столько, сколько было ему необходимо.

В наши дни в Гурии отдельные семьи не занимаются полеводством и постольку вышеназванные формы трудовой кооперации функционируют в измененном виде при выполнении спешных работ (при постройке дома, при доставке строительного материала и т. д.).

მ. მაკალათია

მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები გურიაში

მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთები გურიაში დასავლეთ საქართველოს სხვა დახარჩენი კუთხეების წეს-ჩვეულებათა ანალოგიურია. გურია ადრე „შეელია" ძველ რელიგიურ წეს-ჩველებებს და ჩვენ დრომდე მოღწეულ რწმენათა ფრაგმენტული გადმონაშთები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ თემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი სრულყოფილად იქნეს წარმოჩენილი.

გეოგრაფიული პირობებით გამოწვეულმა მეურნეობის თავისებურებამ, ერთგვარი ასახვა ჰპოვა მეცხოველეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებშიც, კერძოდ, ზღვის რბილმა ჰავამ, არამკვეთრმა სეზონურმა ცვლილებებმა, მდიდარმა ტყემ, რაც მეცხოველეობის განვითარებისათვის არ მოითხოვდა დიდ შრომით დაძაბულობას, რთული სამეურნეო პირობების მქონე კუთხეებთან შედარებით, განაპირობა მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რიტუალთა შედარებითი სიმცირე. აღნიშნული რიტუალები, ძირითადად, წლის დასაწყისის დღესასწაულებით შემოიფარგლა—ბარბალობა, კალანდა, ბოსლობა, ილორობა, თედორობა.

ჩვენ აქ ვერ შევხვდებით პირუტყვის ბაგური კვებიდან საგაზაფხულო საძოვრებზე გადაყვანასთან ან საზაფხულო საძოვრებზე არეკვა-ჩამორეკვასთან დაკავშირებულ რიტუალებს და წეს-ჩვეულებებს, რაც ასე დამახასიათებელია საქართველოს აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ მთიანეთისათვის. გურიაში მისდევდნენ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა პირუტყვის მოვლა-მოშენებას. მსხვილფეხა პირუტყვს იყენებდნენ სარძევე დანიშნულებით და გამწევ ძალად.

მსგავსად ზემო იმერეთისა, მას შემდეგ, რაც მეგრელი მეჯოგეები გურიაში გამოჩნდნენ, აქა-იქ მეჯოგეობამ იწყო განვითარება.

ეთნოგრაფიული მონაცემებით მეჯოგეთა რიცხვი ორმოცდაათამდე აღწევდა. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდსა და ცხაკაიაში (სენაკი) ჩამოყალიბებულა მეჯოგეთა კავშირი, რომლის მიზანს საძოვრებით სარგებლობის მოწესრიგება, მეჯოგეთა პროდუქტების რეალიზაციის ორგანიზება და მეჯოგეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარება შეადგენდა.

მეჯოგეთა კავშირი შემდგომში ორად გაიყო და ორმოცდაათამდე მეჯოგე ზუგდიდის კავშირს მიეკედლა, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ტერიტორიულად ცხაკაია უფრო ახლოს იყო. ზუგდიდის მეჯოგეთა კავშირს განაგებდა ვინმე გვაჯავა, ცხაკაიასას კი— ხოფერია. მეჯოგეთა ზუგდიდის კავშირმა საყასბო და ყველის სარეალიზაციო პუნქტი გახსნა ბახმაროში, მახარაძეში, ბათუმში (სერგო ივლიანეს ძე რამიშვილი, 70 წლისა, ს. ვანი. ჩოხატაურის რ-ნი). მთხრობელთა გადმოცემით, ბევრი გურული არც კი კადრულობდა ჯოგის დეევნას. ამის შესახებ თ. სახოკია შემდეგს წერს: ოზურგეთის ბაზარზე მას შეხვედრია ჯვარელი მეჯოგე, ვინმე კვარაცხელია, რომელიც ყველს ყიდდა. შეკითხვაზე — თუ რას აკეთებს იგი აქ?, კვარაცხელია პასუხობს — „ბატონო ჯოგი გვყავს გურიაში, ჩვენით უდგათ სული გურულებს — ჩვენ, რომ არ მოვდიოდეთ სამეგრელოდან, მთელი გურია უყველოდ დარჩებოდა: ჩვენს მეტს არავის ჰყავს საქონელი. მთებში ზაფხულობით სულ ჩვენი, მეგრელების საქონელი ბალახობს. აქაურ კაცს სირცხვილად მიაჩნია მწყემსობა; თუ ჯოგს გაჰყვა, მისი აზრით, თავი მოეკრება. იმას რჩეობენ ყველი იყიდონ ჩვენგან, ვინემ თვითონ გაიჩინონ საქონელი, თაკილობენ. მეჯოგე როგორ უნდა გავხდე ერთი სულუგუნიზაო.?!"[1]

რა თქმა უნდა, ის აზრი, რომ გურიაში მეგრელ მეჯოგეთა გარდა, არავის არ ჰყავდა საქონელი, სინამდვილეს არ შეეფერება. გურიაში განვითარებული იყო ძირითადად ე. წ. ბარული მესაქონლეობა; აქ ადგილი ჰქონდა საზაფხულო საძოვრების გამოყენებასაც, მაგრამ მეჯოგეობა გურიაში თავისით მაინც არ განვითარებულა.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების განხილვაზე.

---

[1] თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამეგრელოყანო, აფხაზეთი, თბ., 1950, გვ. 23.

ბ ა რ ბ ა ლ ო ბ ა. საერთოდ როგორც ცნობილია, „ბარბალობის“ დღე იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში და ქართლში შინაური ფრინველების გამრავლებისათვის მიძღვნილი დღეობა იყო, რომ ბარბალობა დღეს ირჩევდნენ საახალწლო მეკვლეს (ქართლი, სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია) და რომ ბარბალობას იმერეთში ფეხადობა და ქათმის ლოცვა ეწოდება. გურიაში—ფეხადობა და ქათმის ფერხვა[2]. როგორც ვ. ბარდაველიძე წერს: „ქართველთა ბარბალობის მეკვლეობის ძირითად დანიშნულებას, საზოგადოდ ნაყოფიერების და გამრავლების მინიჭება წარმოადგენს. მაგრამ ამასთან სხვადასხვა კუთხის ბარბალობის მეკვლეობას გარკვეული კონკრეტული მიზანდასახულობაც ახასიათებს, რის გამოც მეკვლეობაში მოცემული მოქმედებაც სხვადასხვაგვარია. სვახური ბარბალობის მეკვლეობა მსხვილფეხა საქონლის და ადამიანის გამრავლებას უკავშირდება, ლეჩხუმური ბარბალობის რიტუალი (მეკვლეობითურთ) აგრარულ კულტსა სახავს, ხოლო დანარჩენი კუთხეების აღწერილი ბარბალობის მეკვლეობა უმთავრესად შინაური ფრინველების გამრავლებას ემსახურება“[3]. გურული მონაცემები წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ ბარბალობა, ქათმის ფერხვის გარდა, საქონლის ფერხვის დღეც იყო. თუ რატომ უნდა ყოფილიყო ახალი წლის მსგავსად ბარბალობა ბედობის დღედ მიჩნეული, ეს საკითხი ვ. ბარდაველიძეს შესანიშნავად აქვს ნაჩვენები სხვა კუთხეების მაგალითზე და გურული მონაცემები მას კიდევ ერთხელ დაადასტურებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქათმის ფეხადობა ანუ ფერხვა გურიაში, ბარბალობის გარდა, კალანდის მეორე დღეს, 2 იანვარსაც იცოდნენ და 2 იანვარი მხოლოდ და მხოლოდ ქათმების ფერხვისათვის იყო განკუთვნილი[4].

ჩვენს მიერ მოპოვებული დამატებით შეგროვილი მასალით ბარბალობა დღე გურიაში მარტო ქათმების ფერხვის დღე კი არ იყო, არამედ საქონლისა და ზოგ შემთხვევაში ადამიანისაც კი.

მოვიტანთ მასალას: „ბარბალობა არის კაცის, საქონლის და ქათმის ფეხადობა, ის ყველაფრის ფერხვა არის. წ ლ ი ს ფ ე რ ხ ვ ა ა რ ი ს. მერე კალანდას ვიცით ფერხვა (ს. საქორია, ნაბეღლავი, ბასილეთი); „ბარბალობას ქათმის ფერხვა იცოდნენ, საქონლის ფერ-

---

[2] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ—ბაბარ) თბ., 1941, გვ. 34—35.

[3] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 40.

[4] Т. М а м а л а д з е. народные обычай и поверья гурийцев, СМОМИПК, Тифлис, 1893, с. 34.

ხვასაც უძახდენ, უფრო საქონლისა იყო. თუ საქონელი ეზარალებოდათ, იტყოდენ — ბარბალობას კაი მფერხავი არ ყოფილაო. მოსულ მფერხავს შეასმევდნენ ღვინოს, არაყს და მისცემდნენ სიმინდს. მფერხავი შემოიღლიდა ნალიას და სახლს, დახედავდა საქონელს, ყველაფერს დახედავდა და თან სიმინდს ფანტავდა და ამბობდა — იმრავლე პატრონიანათო. ის მფერხავი კალანდის მეორე დღესაც, ქათმის ფერხვა დღესაც მოვიდოდა (ს. ხიდისთავი), „ბარბალობას მფერხავი ჩხოს (გაუცეხვავი ღამის თავთავი) ჩამოყრიდა, ის მფერხავი 2 იანვარსაც მოვიდოდა და ჩხოჩაყრილ კვაზს ფეხს ჩაარტყამდა და დაფანტავდა, ვითომ ბევრი წიწილები გამოიჩეკებიანო (ს. ერკეთი)". „ბარბალობა არის ოთხფეხის ფეხადობა, ადამიანისა არ არის, ადამიანის ფეხადობა კალანდაა, მის მეორე დღეს ქათმის ფერხვაა (ს. ტობაჩხო)".

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წლის დღესასწაული ბარბალობიდან პირველ იანვარს იქნა გადატანილი, გურიაშიც მსგავსად სხვა კუთხეებისა ბარბალობა დღეს ქათმის ფერხვასთან ერთად საქონლის ფერხვაც სცოდნიათ და, როგორც გაირკვა, ბარბალობა დღე გურულებისათვისაც ყველაფრის ანუ წლის ფერხვაც ყოფილა.

ამრიგად, გურული მონაცემები ერთხელ კიდევ ადასტურებს ვ. ბარდაველიძის მიერ დადგენილ იმ ფაქტს, რომ ბარბალობა უნდა ყოფილიყო ძველი ქართული ახალწელიწადი. მკვლევარი წერს: „თითქმის ყველგან ქართულ მოსახლეობაში, რომელთა შორის ამ დღეობის არსებობის შესახებ ცნობები მოიპოვება, ბარბალობა ახალწელიწადის მსგავსად ბედობა დღედ იყო მიჩნეული და ფართოდ იყო გავრცელებული. ახალწელიწადის მსგავსად სრულდებოდა ბარბალობას მეკვლეობის წეს-ჩვეულება. მას სვანები დღეობების თავს (ღგნარი თხუმ-ს), რაჭველები და ლეჩხუმელები დიახალწლების თავს, გურულები ახალი წლის თავს უწოდებდნენ. ამგვარად, ყველა ეს ფაქტი, მოცემული ერთად, დღეობა ბარბალობას ასახავს, როგორც კალენდარული წლის დასაწყისის უძველეს დღეობას. და, რომ ბარბალობა ზამთრის ნაბუნიობის დღეობა იყო; მთლიანი წლის დასაწყისის დღეობა[5]. მიუხედავად იმისა, რომ ბარბალობა ძველი ახალი წლის დასაწყისის დღეობა უნდა ყოფილიყო, ჩვენამდე მოღწეული მონაცემებით საქონლის ფერხვის მი-

---

[5] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, (ღვთაება ბარბარ—ბაბარ), თბ., 1941, გვ. 91—93.

ლოცვა მხოლოდ ერთი ფრაზით ამოიწურება—" კარგად იყავით თქვენი პატრონიანა", მაშინ, როცა ბედობის დღისათვის დამახასიათებელი მუსაქონლეობასთან დაკავშირებული ძირითადი წეს-ჩვეულებები სრულდება ახალ წელსა (კალანდას) და ბოსლობა-ილორობა დღეს. ამ ფაქტს უთუოდ თავისი ახსნა მოეპოვება.

საქონლის ფერხეა, როგორც უკვე ითქვა, კალანდა დღესაც იცოდნენ. ჩვენ აქ არ მოვიტანთ საახალწლო რიტუალის მთლიან აღწერილობას, მხოლოდ შევჩერდებით იმ მომენტებზე, სადაც მესაქონლეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები აისახა.

როგორც მამალაძე წერს, კალანდა დილას სახლში შემოსვლის წინ, ოჯახის უფროსი მამაკაცი ჩიჩილაკით ხელში დაიძახებს:— გაგვიღეთ კარი! დიასახლისის შეკითხვაზე—რა მოგაქვს? კაცი პასუხობს — წმ. ბასილე მობრძანდება, მოაქვს კაცთა მშვიდობა, თეთრი და საქონელი მრავალი. ამას გაიმეორებენ სამჯერ. შემდეგ შედიან სახლში, სადაც შეაქვთ ღორის თავი, დოქით ღვინო, ჩიჩილაკი, ღომის მარცვლით სავსე ქოთანი, შიგ ჩადებული კვერცხით (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღომის მარცვლით სავსე ქოთანი, შუაში ნახევრად ჩაფლული კვერცხით, ფერხვის დროს გურულ მეფერხეს ბარბალობა დღეს და კალანდა მეორე დღესაც დაჰქონდა). ღორის თავს გობზე დებენ. ეს მომენტი ყველაზე საზეიმოა მთელი დღესასწაულის მანძილზე: ყველა მამაკაცი, ბავშვებიც კი უკან მიჰყვებიან ოჯახის უფროსს, რომელსაც ხელში უჭირავს ჩიჩილაკი. პროცესია სამჯერ შემოუვლის სახლს. ვისაც ღომის მარცვლიანი ქილა უჭირავს, მსვლელობის დროს მარცვალს აბნევს ძირს, რითაც გამოიხატება ყველაფრის გამრავლების სურვილი. შესამედ შემოვლის შემდეგ ჩიჩილაკს გამოსაჩენ ადგილზე კიდებენ. მამაკაცები იწყებენ ლოცვას. ოჯახის უფროსი მამაკაცი სთხოვს წმ. ბასილე მღვდელმთავარს, რომ დამდგარი ახალი წელი, მისთვისა და მისი ოჯახისათვის ბედნიერი იყოს, რომ მან ყველას მოუტანოს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ყველა საქმეში წარმატება და სიმდიდრე. მამაკაცი ლოცვის დროს ღვინოს ასხამს მიწაზე და საკძეველს აკმევს (ნაღვერდლებზე ყრის), თან ატრიალებს საფერხავ გობს და ღომიან ქოთანს მარჯვნიდან მარცხნივ. ასევე დაილოცეცებიან დანარჩენი მამაკაცები და ბავშვებიც კი. ამ რიტუალს მოსდევს თოფების სროლა, რის შემდეგაც იწყება ცეცხლისათვის საახალწლო მილოცვა. ამისათვის ოჯახის თითოეული წევრი იღებს ცხემლის ნედლ ხეს და ცეცხლს უკეთებს, თან წარმოსთქვამს—„ცე-

ცხლო, ღმერთმა კალანდა მშვიდობით გაგითენოს შენი ბატონიანა". როცა ცხემლის ხეები ისე დაიწვის რომ მუგუზლად გადაიქცევა, მაშინ იწყება შინაური ცხოველებისა და ფრინველების ძილოცვა. ის, ვინც ფეხბედნიერად ითვლება, მიდის თავლაში, ბოსელში და საქათმეში, თან მიაქვს მუგუზალი და დებს სადგომის კართან ისე, რომ გამოსულმა პირუტყვმა ფეხი გადააბიჯოს, თან წარმოსთქვამს ლოცვას — „ცხენო, ბროხავ და ა. შ. ღმერთმა მრავალი კალანდა შვიდობით გაგითენოს შენი პატრონიანათ". ამით მთავრდება ახალი წლის შეხვედრა, რასაც გურიაში „გალოცვა" ეწოდება"[6].

„გალოცვის" დილის ცეცხლთან დაკავშირებული რიტუალი შედარებით განსხვავებულად არის აღწერილი მ. თავდუმაძის მიერ[7].

„კალანდა დილით, გალოცვის დაწყების წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი გადიოდა გარეთ და თაან გაჰქონდა საფერხავი გობი (რომელზედაც იდო დედო პური, ყველიანი ჩაჭაპური. ღორის თავი და საჯიქიო — ზურგიელი ანუ კეფა, პატარა თიხის ქოთნით ღომის გაცეხვილი მარცვალი, შიგ ჩადებული კვერცხით, მოხარშული ქათამი, ოქრო-ვერცხლი, აბრეშუმის შულო, ზვარაკი და ტკბილეული, ზედ მიკრული სანთლით), ჩიჩილაკი და ღვინის ჭურჭელი; იგი მარანზე გავიდოდა. ახდიდა ჭურს და ლოცულობდა — მრავალ ახალწელს დაესწარი პატრონიანა, კარგად გყოლოდეს და იღებდა ღვინოს. პირველად გაავსებდა დოქს და დადგამდა საფერხავ გობთან, შემდეგ ამოიღებდა ახალწელს დასალევ ღვინოს დიდ ჭურჭელში, დაიჩოქებდა და ღმერთს შესთხოვდა: — „ღმერთო მოგვეცი კაცთა მშვიდობა, ჯამრთელობა, მხიარულება, კარგად ყოფნა, ოქრო და ვერცხლი უთვალავი, რქოსანი საქონელი და ღორი ჯოგათ, ქათამი, ბატი გროთ, მარანი ღვინით სამსე, ბეღელი ღომით და პურით სამსე, ნაპუპი გულით სამსე". შემოაბრუნებდა საფერხავ გობს წაღმა სამჯერ და სახლისკენ წავიდოდა. კართან მისული დაუძახებდა დაისახლისს: „კარი გამიღე!—დიასახლისი უპასუხებდა — რა მოგვაქვს?

— კაცთა მშვიდობა, ჯამრთელობა, მხიარულება, კარგად ყოფ-

---

[6] Т. Мамаладзе. Народные обычай и поверья гурийцев, СМОМИПК, вып. XVII, Тифлис, 1893, с. 27—30.

[7] მ. თავდუმაძე. „ბედობა ანუ საახალწლო დღესასწაული გურიაში", ხელნაწერი, მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, № 1, საქმე 72.

ნა, ოქრო-ვერცხლი უთვალავი, რქოსანი საქონელი, ღორი ჯოგათ. ქათამი, ბატი გროთ, სიმსუყე, უხვი მოსავალი, მარანი ღვინით სამსე, ბეღელი ღომითა და პურით სამსე, ტყავი ხორცით სამსე, ძვალი ტვინით სამსე, ღონჭოპო (ნაჭუჭი)) გულით სამსე, კარი გამიღე!" ეს კითხვა-პასუხი სამჯერ უნდა განმეორებულიყო. შესდგამდა თუ არა სახლში ფეხს, მიულოცავდა სახლს, შემდეგ დადგამდა გობს და ჩიჩილაკს შუა ადგილზე: ოჯახის უფროსი გავიდოდა გარეთ და შემოიტანდა ცხემლის შეშას, მიულოცავდა ცეცხლს— ცეცხლო, მრავალ ახალწელს დეესწარ, შენი პატრონი კარგად გყოლოდეს და გადაიხარხარებდა. ასევე იქცეოდნენ ოჯახის სხვა დანარჩენი წევრებიც. შემდეგ ყველანი გობთან დაიჩოქებდნენ და ოჯახის უფროსი მამაკაცი შესთხოვდა ღმერთს — ღმერთო მოგვეცი კაცთა მშვიდობა და ჯამრთელობა და კვლავ მეორდებოდა ზემოთ მოტანილი ლოცვა — რქოსანი საქონელი და ღორი ჯოგათ.... თან საფერხავ გობს და ჩიჩილაკს ატრიალებდნენ, რის შემდეგაც სუფრაზე დაიდებოდა ყველა ნივთი და სათითაოდ შეახებდნენ ყველანი ხელს; მერე ერთმანეთს მიულოცავდნენ ახალწელს და ტკბილს ჩაუდებდნენ პირში. გარეთ გავიდოდნენ და თოფს გაიტანდნენ, ოჯახის უფროსი ცეცხლს შეუჩუჩხუნებდა მუგუზლით ისე, რომ ნაპერწკლები ავარდნილიყო და თან ლოცულობდა—„ღმერთო მომეცი ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი ღორი, ამდენი ქათამი, ამდენი ბატი, ამდენი იხვი, კაცთა მშვიდობა და კარგად ყოფნა".

ამრიგად, სასახალწლო რიტუალში ცეცხლის ლოცვა გურიაში ისეთივე სახით დასტურდება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეებში (ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და სხვა). ზოგ კუთხეებში ცეცხლის შეჩუჩხუნების წინ ცეცხლში ერბოს ასხამდნენ და ავარდნილ ალს||„ალავს" (მესხეთი) შესთხოვდნენ საქონლის გამრავლებას. რამდენი ნაპწკიელი (იმერეთი), სკიავი (ხევსურეთი), ალავი (მესხეთი). ავარდებოდა, იმდენი ძროხის, ხარის ცხენის, ცხვრის (იმისდა მიხედვით, რომელ კუთხეში რა სახის შინაური პირუტყვი ჰყავდათ) გამრავლებას შესთხოვდნენ ცეცხლის ალს. ამრიგად, თითქმის მთელ საქართველოში გავრცელებული წეს-ჩვეულება, ახალწელს ცეცხლის მილოცვისა და ცეცხლისათვის შინაური პირუტყვის და ფრინველის გამრავლების გამოთხოვა, უთუოდ ცეცხლის ღვთაების დიდ კულტზე უნდა მიუთითებდეს. ჩვენ თავის

დროზე აღნიშნული გვქონდა, რომ ცეცხლის ალი მამაკაცური ბუნებისა ჩანს („წითელი ხარის ნაწოლზე ბალახი აღარ ამოვა“)[8].

როგორც ცნობილია, ახალი წლის დღესასწაული ბუნების ძალების აღორძინების წინ სრულდებოდა და ამ ძალების აღორძინების იდეას უკავშირდებოდა. ადამიანები ცდილობდნენ მთელი წლის სიკეთე წინასწარ დაებეჭებინათ და უზრუნველყოთ[9]. ამ თვალსაზრისით, არც გურიის ახალი წლის რიტუალი წარმოადგენდა გამონაკლისს.

როგორც უკვე ითქვა კალანდის მეორე დღე ითვლებოდა ქათმის ფერხვის დღედ. როგორც მამალაძე წერს, 2 იანვარი არახაკლები დღესასწაულია, ვიდრე პირველი იანვარი. ამ დღეზეა დამოკიდებული არა მარტო ფრინველის, არამედ მთელი ოჯახის ბედნიერებაც.

ჩვენ არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ქათმის ფერხვად წოდებულ დღეზე, რადგან ეს საკითხი დანარჩენ რიტუალებთან ერთად წარმოაჩენს გურიის მეურნეობის სპეციფიკას. აღნიშნული სპეციფიკა, მთის რაიონებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია ბარის რაიონებისათვის, სადაც კარგად ჩანს, ის ფაქტი, რომ ადამიანის მიერ მეცხოველეობის დარგებისადმი წაყენებული მოთხოვნების მთელი სიმძიმე მხოლოდ მსხვილფეხა მესაქონლეობას კი არ აწვებოდა, არამედ ნაწილდებოდა სხვა დარგებზედაც—მეღორეობა (ხორცი), მეფრინველეობა (ხორცი, კვერცხი), მეთხეობა (რძე, ტყავი, ხორცი). როგორც ვიცით, 2 იანვარს ქათმის ფერხვას ბარბალობას არჩეული მფერხავი ასრულებდა. როგორც მამალაძე წერს, მფერხავს, გარდა თავისი შინაგანი თვისებებისა (კეთილმოსურნეობა, სიკეთე), უნდა გააჩნდეს შემდეგი ფიზიკური ნიშნები: 1) არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური ნაკლი, 2) არ უნდა იყოს დაბალი, 3) მისი ტანსაცმელი არ უნდა იყოს არც ძალიან გრძელი და არც ძალიან მოკლე (თუ გრძელი ჩოხა აცვიათ, კალთებს აიკეცავენ და სარტყელში ჩაიტანებენ); 4) სახლში შესვლისთანავე უნდა მოიხადონ ქუდი, 5) ნაბადი უნდა დატოვონ ჭიშკართან ან სახლის წინ. თუ მფერხავს ფიზიკური ნაკლი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ წიწილებიც ნაკლულნი იქნებიან: თუ მფერხავი პატარა ტანისაა, ქათ-

---

[8] მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, კრებ., „სამეგრელო“, 1979, გვ. 83.

[9] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 61—62.

მებიც პატარა გამოვა, თუ მფერხავი მოკლე ტანსაცმლით არის, მაშინ ქათმები შიშველნი იქნებიან, ხოლო თუ გრძელი ტანსაცმლით მოვა, ქათმებს ფრთები დაშვებული ექნებათ და „მოფუზულნი“ იქნებიან. მფერხავი 8—9 საათზე მოდის და, გადმოდგამს თუ არა ფეხს, იტყვის—აქა მშვიდობა, რომ მისი ფეხი ამ სახლში ბედნიერი იყოს. მფერხავს აძლევენ ღომით სავსე ქოთანს, რომელშიც კაკლები აწყვია; ცდილობენ, რომ კაკლები საღი იყოს. მფერხავი წინ მიდის და კრუხს განასახიერებს, ხოლო მას უკან წიწილებივით ძიჰყვებიან ბავშვები (ბავშვებიც სწრაფად უნდა მოძრაობდნენ, თორემ წიწილებიც მობუზული იქნებიან). პროცესია საქათმეში შედის და სამჯერ შემოუვლის მარჯვნიდან მარცხნივ, შემდეგ ქოთანს მიწაზე დაახეთქებს და იფანტება მარცვალი ნამტვრევებთან ერთად. ღომის მარცვლებს ქათმები ჭამენ. თუ კაკლები აღმოჩნდება საღი, მაშინ კვერცხებიც საღი იქნება.

ამის შემდეგ მფერხავთან ერთად სადილობენ, რომლის თავისებურებას შეადგენს ის, რომ მამაკაცებისა და გაუთხოვარი ქალებისათვის დამზადებული წვენი განსხვავდება გათხოვილი ქალებისათვის შემზადებული წვენისაგან. გათხოვილი ქალებისათვის წვენი შემდეგნაირად მზადდება: მას აკეთებენ საკალანდოდ დაკლული ნასუქი ქათმების ნაწლავებისაგან, რომელსაც საკაკვავი ეწოდება, რის ჭამაც ეკრძალებათ მამაკაცებსა და გაუთხოვარ ქალებს. საკაკვავისათვის ცხვება აგრეთვე განსაკუთრებული ხაჭაპური, რომელშიც დებენ მოუხარშავ კვერცხს და ღორის უკანა ბარკალს, რომელიც ყოველთვის მოკაკულია. მფერხავი თუ დარჩა სადილად, მას ასაჩუქრებენ წინდებით ან ხელთათმანებით, აგრეთვე ქისით თამბაქოსათვის.

ამ დღეს აკრძალულია: 1) ხმაური, რადგან თუ ხმაურია, ქათმებიც მთელი წლის განმავლობაში იკაკანებენ; 2) თავის მოქექვა; რადგან ქათმები ისლით გადახურულ ნაგებობის სახურავს გადაქექავენ; ამ დღეს ზოგან არ ჭამენ ღორის ხორცს, რადგან, თუ ღორის ხორცი შეჭამეს, მთელი წლის განმავლობაში ღორები ქათმებს და წიწილებს დაუწყებენ ჭამას[10].

მ. თავდუმაძის აღწერილობით: 2 იანვარს სანამ ქათმები ხიდან ჩამოიკრიფებოდნენ, დიასახლისი ან მამაკაცი წავიდოდა სამ-

---

[10] Т. Мамаладзе. Народные обычай и поверья гурийцев, СМОМПК вып. XVII, Тифлис, 1893, с. 36—30.

ზარეულო სახლში, გააჩაღებდა ცეცხლს, აანთებდა სანთელს, აიღებდა კოთხოს (ხის ჭურჭელი), რომელშიც ჩაყრილი იყო ჩიჩილაკიდან ჩამოღებული კურკანტელი და სუროს მარცვალი, ჩხო (გაუცეხვავი ღომი), მოაბნევდა სახლში და იტყოდა. „აკეთე ჯერ ორფეხი, მერე ოთხფეხი და მესამე ფრინველები იმდენი, რამდენიც ტყეში სურო და კურკანტელია, ეწერში გიმარაა, ზღვაში ქვიშაა, ცაზე ვარსკვლავები“ ასეთი სიტყვებით და მარცვლის ბნევით სამჯერ შემოუვლიდა კერას. კოთხოში ცოტა მარცვალს დატოვებდა, ვინიცობაა ვინმე შემოსულიყო და მასაც უნდა დაებნია მარცვალი ამავე სიტყვებით. შემდეგ შესჭამდა ქათმის ფერხვისათვის საგანგებოდ გამომცხვარ ყველიან პურს, შესვამდა ღვინოს, ფეხის ჩარტყმით გატეხავდა მწარე ხაპს და თესლს დააჩხრიალებდა, რაც გამოხატავდა წიწილების გამოჩეკის პროცესს“[11].

ჩვენი მასალებით, როცა ორ იანვარს მფერხავი კვლავ გაიმეორებდა ჩხოჩაყრილი ხაპისათვის ფეხის ჩარტყმას და ჩხოს დაფანტვის რიტუალს, და ამასთანავე ღომის მარცვლებს მიმოაბნევდა, იგი წარმოსთქვამდა — „ასი დედალი, ასი მამალი, ასი მისი ძოჩხოროკი“. ამ სიტყვებს სამჯერ გაიმეორებდა. ზოგან მოჩხოროკის ნაცვლად ბოჩხოროკს ამბობდნენ (ს. საჭამიასერი). ტერმინი ძოჩხოროკი წიწილებს უნდა აღნიშნავდეს და შესაძლოა მეგრული ტერმინისაგან — „ოჩხოტია“, მომდინარეობდეს (ოჩხოტია-დასაკლავად წამოზრდილი წიწილა).

ანალოგიური რიტუალი იმერეთშიც სრულდებოდა — ბარბალობა დღეს ჩხოიანი კვახის გატეხვა აქაც სცოდნიათ. როგორც ბარდაველიძე წერს, იმერეთში აღნიშნულ რიტუალს ახალი წლის მეორე დღესაც იმეორებდნენ[12].

ჩვენ აქ განგებ ვრცლად მოვიტანეთ ქათმის ფერხვის რიტუალი, რათა გვეჩვენებინა ის გარემოება, თუ თავის მაგიურ ქმედებათა მრავალფეროვნებით ქათმის ფერხვა როგორ აღემატება ყველა სხვა სახის პირუტყვის ფერხვას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მეფრინველეობის დიდ როლზე გურულთა სამეურნეო ყოფაში.

2 იანვარს ქათმის ფერხვის რიტუალში არ ფიგურირებს ღვთაება ბარბალე, რომელიც, როგორც ვ. ბარდაველიძე ი. მეგრელი-

---

[11] მ. თ ა ვ დ უ მ ა ძ ე, დასახელებული ხელნაწერი.

[12] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ) თბ., 1941, გვ. 36.

ძის მასალაზე დაყრდნობით წერს — გურულებს შინაური ფრინველის გამამრავლებელ უზენაეს არსებად ჰყოლიათ წარმოდგენილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2 იანვარი ახალი წლის დღესასწაულზე ნაკლებად არ ითვლება, მითუმეტეს, ფრინველების გამამრავლებელი უზენაესი ღვთაება ბარბალე რაიმე ფორმით ამ დღესაც უნდა ეხსენებინათ; მაგრამ ამაზე პასუხის გაცემა ამჯერად ჭირს.

დღესასწაულ ბოსლობის არსი, ღვთაება ბოსლეს ბუნება და ფუნქცია შესწავლილია ვ. ბარდაველიძის მიერ[13], ხოლო რაჭულ ბოსლობას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კ. სოხაძემ[14]. ბოსლობის სახელწოდებით არსებული დღესასწაული თითქმის ძველ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, „ილორობა“ კი მხოლოდ გურიაში გვხვდება, და ისიც მხოლოდ ლანჩხუთსა და მახარაძის რაიონებში შემავალ სოფლებში. გურული ბოსლობის ყველაზე ადრეული აღწერილობა მოცემულია ტ. მამალაძის მიერ[15]. ბოსლობის აღწერილობა დაცულია აგრეთვე ა. წულაძის ნაშრომსა[16] და მ. თავდუმაძის ხელნაწერში[17], რომელთაც აღწერილი აქვთ აგრეთვე ილორობის დღესასწაული. აღნიშნულ დღესასწაულთა შესახებ გურიაში დღემდე კიდევ იძებნება ეთნოგრაფიული მასალები.

მოგვიანო ხანის სპეციალურ ლიტერატურაში რატომღაც გვერდი აქვს ავლილი გურულ ბოსლობასა და ილორობას.

ტ. მამალაძის აღწერილობით, ბოსლობას ყოველთვის ყველიერის წინა კვირის შაბათ დღეს დღესასწაულობდნენ. ამ დღეს მუშაობა არ იკრძალება. ბოსლობა ეძღვნება შინაურ ცხოველებს და მის თავისებურებას წარმოადგენს დიდი ზომის ხაჭაპური, რომელსაც გულში უკეთდება საახალწლოდ დაკლული ღორის დამარილებული ქონი. მას საღამოზე აცხობენ და ვახშმად შიირთმევენ. ხაჭაპურის გამოცხობის შემდეგ ასრულებენ რიტუალს,

---

[13] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953 წ.

[14] კ. ს ო ხ ა ძ ე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა), ხელნაწერი, 1955.

[15] Т. М а м а л а д з е. Народные обычай и поверья гурийцев, СМОМИПК 1893, с. 48.

[16] ა. წ უ ლ ა ძ ე. ეთნოგრაფიული გურია, 1971, გვ. 114.

[17] მ. თ ა ვ დ უ მ ა ძ ე, დასახ. ხელნაწერი.

რომლის დროსაც მოიხსენიება ბოსლე პატიოსანი, შინაურ ცხოველთა მფარველი; რიტუალი მდგომარეობს შემდეგში: ხაჭაპურს ვოკზე დებენ. რომელზედაც აწყვია კაკლები და მიკრულია სანთელი. გობი ქალს, ოჯახის დიასახლისს უჭირავს. მას თან მიჰყავს ბიჭი. რომელსაც მიაქვს წყლით სავსე დოქი და ანთებული სანთელი. ასე მიდიან ბოსელში. ბიჭი დგება ძროხებსა და ხარებს შორის, ქალი კი მის საპირისპიროდ, ბაგის აქეთ.

ქალი ეკითხება — ბოსლე შინა ხარ?
— შინა ვარ ბატონო!
— ძროსას მომცემ?
— ბევრს ბატონო!
— ხარს მომცემ?
— ბევრს ბატონო!
— ცხენს მომცემ?
— ბევრს ბატონო!
— კაცთა მშვიდობას მომცემ?
— ფრინველს მომცემ?

ეს დიალოგი სამჯერ მეორდება, რის შემდეგაც კაკლებს ბაგაში ჩაყრიან. ხოლო ქალი და ბიჭი უკან ბრუნდებიან. წყლით სავსე დოქი ნიშნავს იმას, რომ ძროხები ბევრს მოიწველიან. კაკლებით საქონლის გამრავლების სურვილია გამოხატული. ქონიანი ხაჭაპური კი, საქონლის სიმსუქნის საწინდარია.

ამის შემდეგ ყველანი ვახშმობენ და პირველი ჭიქით თითოეული მათგანი ბოსლე პატიოსანს შესთხოვს ყოველივე მას, რაც დედამ ან მამამ გამოსთხოვა. აღნიშნულ დღეს საკმეველს არ აკმევენ, სანთლების რაოდენობა შემოიფარგლება იმ ორი სანთლით, რომელიც ქალსა და ბიჭს ეჭირა, როცა ბოსელში შევიდნენ[18].

ა. წულაძე შემდეგნაირად აგვიწერს დღესასწაულს: საღამოს გამოაცხობდნენ ქონიან მჭადს, რომელზეღაც დიდი ჭიქით აღნიშნავდნენ და ამბობდნენ:

— ამდენი ცხენის ჯოგი, პატარა ჭიქით—ამდენი ძროხის ჯოგი. ორკაპი ფიჩხით—ამდენი თხის, ცხვრის და ქათმის ჯოგი. მჭადს სანთელს შემოუნთებდნენ. ოჯახის უფროსი კაცი იკითხავდა.

— ბოსლე, შინა ხარო? — ერთი პასუხობდა — შინ გახლავარო!

[18] Т. Мамаладзе. Народные обычай и поверья гурийцев, СМОМПИК, Тифлис, 1893. с. 46.

— ცხენი რამდენი გყავსო? — ჯოგი, — ძროხა? ჯოგი,
— ცხვარი და თხა? — ჯოგი, — ღორი? — ჯოგი, ქათამი?
—ჯოგი და თავდებოდა ამით[19].

ჩვენი მასალის მიხედვით, ბოსლობა ჩუულებრივ ხორციელის შაბათს მოდიოდა. მოზელდნენ სიმინდის ფქვილისაგან ცომს. გაყოფდნენ ორად და ერთ ნაწილს ცხელ კეცზე დააკრავდნენ, მასზე დადებდნენ საკალანდოდ დაკლული ღორის გვერდის ქონს ე. წ. პანას, რომელიც წვრილად იყო დაჭრილი და შერეული ჰქონდა პილპილითა და აახვით შეზავებული შეფეშხული (მცხვილად დანაყილი) ნიგოზი. ზემოდან გადააკრავდნენ ცომის მეორე ნაწილს. ქონიანი მჭადის ზედაპირს „მოაჭიკჭიკებდნენ": ძროხას, რადგან ჩლიქი აქვს გაყოფილი, გამოსახავდნენ გულამოღებული ჩალის ღეროთი, თუ კვიციანი ცხენი ჰყავდათ, მას მრგვალი ღეროთი გამოხატავდნენ (ცხენს გაუყოფელი, მრგვალი ჩლიქი აქვს). რამდენჯერაც მოაჭიკჭიკებდნენ (ჩაჩხვლეტდნენ), იმდენჯერ იმეორებდნენ: ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი ღორი, ამდენი ქათამი, ამდენი ბატი (ს. ხევი, ჩოხატაურის რაიონი). ზოგ სოფელში (ბუკის ციხე, ნაბეღლავი) საბოსლობო მჭადის ზედაპირს ატმის ბოლით (ტოტი) ან ორპოტიკა (ორტოტა) ატმის ტოტით შოაჭრელებდნენ და თან იტყოდნენ: — ასი ძროხა, ასი ხარი, ასი ფხოი, ასი ცხენი, ასი კვიცი, ასი ცხვარი, ასი ღორი გაგვიმრავლე. ზოგი საბოსლობო მჭადს კი არ მოაჭიკჭიკებდა, არამედ ძროხის ცურის ფორმას მისცემდა (ძროხის ცურნეს გააკეთებდა). აქვე უნდა შევჩერდეთ ატმის ტოტის საკულტო დანიშნულებაზე: სამეგრელოში გერცემულ ძროხას მხოლოდ ატმის ტოტით ულოცავდნენ: ტოტი მიჰქონდათ მის ყურთან ახლოს და გერცემულის ლოცვას წარმოთქვამდნენ. აქ უთუოდ თავს იჩენს მსხმოიარე ხის კულტის გადმონაშთი. იმ კუთხეებში, სადაც ხეხილი არ გვარობდა, „მყოვანი" ხის ტოტები მოჰქონდათ და საქონელს ბაგაში უყრიდნენ გაზაფხულზე (არხოტი), ან საქონლის რქებს მინდვრის ყვავილებით ამკობდნენ (ს. შუაფხო). აქ უთუოდ საქმე ისეთ მაგიურ ქმედებასთან გვაქვს, რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა — მსგავსი მსგავსს იწვევს — ნაყოფიერ ხეს ნაყოფიერება უნდა გამოეწვია.

საბოსლობო მჭადის გამოცხობის შემდეგ ქალს მიჰქონდა ქონიანი მჭადი, კაკლები და წყალი ახორში. იგი ბიჭს ჩააყენებდა პირის ბაგაში, სანთლებს რქებზე მიაკრავდნენ საქონელს და იწყებოდა დიალოგი:

---

[19] ა. წ ე ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, 1971, გვ. 114.

ქალი ეკითხება ბიჭს — ბოსლო, შინა ხარ?
— შინა, ბატონო!
— ძროხას მიკეთებ?
— ბევრს, ბატონო!
— ცხენს მიკეთებ?
— ბევრს, ბატონო!
— ცხვარს მიკეთებ?
— ბევრს, ბატონო!
— ღორს მიკეთებ?
— ბევრს, ბატონო!

ზოგი ფრინველსაც ახსენებდა. ამას სამჯერ გაიმეორებდნენ და დამთავრებისას ქალი წყალს გადაასხამდა საქონელს და კაკლებს ჩაყრიდა პირის ბაგაში, რათა „სიმსუქნე ყოფილიყო ოჯახში“.

მეორე დღეს ბავშვები დილაადრიან გარბოდნენ ახორში, რათა კაკლები ამოეკრიფათ პირის ბაგიდან.

დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ბოსლების ვარიანტების გამოკვლევის საფუძველზე, ენობრივი და ეთნოგრაფიული მონაცემების შედარების საფუძველზე ვ. ბარდაველიძე მივიდა დასკვნამდე, რომ ბოსლობაში ასახულია სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების მფარველი ღვთაება ბოსელი (ბოსლო, ბოსლა), რომელიც ამ სახელთან ერთად მოიხსენიება დღეობის ლეჩხუმურ ვარიანტში კოტრას ეპითეტით და სვანურ ვარიანტებში კოტრას შესატყვისი კიტისა და ბამბუღუ, ბე-მბღუ, ბომბღა, ბობღა- სახელწოდებით... და, რომ ბოსლობაში ბოსელის ხატი ისე ნათლად გამოკვეთილი არაა, როგორც სვანურ ლიფანალსა და სვანურ, მთიულურ და გუდამაყრულ ახალწელიწადში ამ ღვთაების სახე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება ბოსლობაში წარმოდგენილი ღვთაებრივი პერსონაჟის გარეგანი გამოსახულების ზოგად ხაზებში აღდგენა. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, შეინიშნება ის, რომ ქართველების ზემოგანხილული დღეობა ყველა ან თითქმის ყველა თავის მონაცემით ღვთაება ბოსელს შინაური ცხოველების სქესობრივ განაყოფიერებისა და გამრავლების მფარველობას მიაწერს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის სახელზე განკუთვნილი მთავარი რიტუალის თავისებურება: კულტის მსახურნი ღვთაების თაყვანისცემასა და მსახურებას ცხოველური სახის მოქმედებით და ცხოველური ხმის გამოღებით („ბუ-უ“, „მი-ჰი-ჰი“)

გამოხატავდნენ[20]..... სვანური და რაჭული ვარიანტების მიხედვით, ღვთაების საკულტო წესები სრულდებოდა მაინცდამაინც მსხვილ-ფეხა რქოსანი საქონლის სათავსოს, სვანებთან ე. წ. გუალის წინ, რაჭველებთან კი ბოსლისაკენ წასვლის დროს გზაში და თვით ბო-სელში[21]. მკვლევარი დაასკვნის, რომ ბოსლობაში ასახული ღვთაე-ბა თავდაპირველად ცხოველური სახის არსება უნდა ყოფილიყო. ხოლო შინაური მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებიდან ქართვე-ლებში გაღმერთებული უეჭველია, ხარი იქნებოდა. ვ. ბარდაველი-ძეს ეკუთვნის, აგრეთვე ის დებულება, რომლის მიხედვითაც თვით ღვთაება ბოსელი მიწათმოქმედების მეურნეობასთან არის დაკავში-რებული და ანთროპომორფული სახე აქვს მიღებული სხვა ასტრა-ლურ ღვთაებათა მსგავსად, რომელთა წრეშიც ის არის მოქცეუ-ლი. მკვლევარს მიაჩნია, რომ აღნიშნული ღვთაება ბოსლობასთან შედარებით აქ უფრო მეტი ფუნქციებით ხასიათდება, მისი მსახუ-რების ფორმებიც, რომლებიც ახალი წლის ციკლის დღეობებშია მოცემული, უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ამასთანავე, უფრო რთულ მოქმედებებში გამოხატული. ვ. ბარდაველიძის აზ-რით, ახალი წლის ციკლის დღეობებში ეს უძველესი ითიფალური ღვთაება (იგულისხმება ბოსლო) ბასილის სახელს ატარებს და, მა-შასადამე, ღვთაება ბოსელ-ბომბღას კულტი ბასილის კულტად არის აღიარებული[22].

ამრიგად ვ. ბარდაველიძეს მიაჩნია, რომ ღვთაება ბოსლო ის ითიფალური ღვთაებაა, რომლის კულტი არა მარტო ბოსლობის რიტუალში აისახა, არამედ მოცემულია ახალი წლის ციკლი დღე-სასწაულებში და ბასილის სახელს ატარებს, მის კულტად არის აღი-არებული. ასევე საინტერესოა აკ. სოხაძის მოსაზრება, დღესას-წაული ბოსლობის არსისა და ღვთაება ბოსლოს ბუნების შესახებ. მისი აზრით, „ბოსლობა უპირატესად მსხვილფეხა საქონლის— ხარებისა და ძროხების გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის იყო განკუთვნილი. ამას გარდა მის მიზანდასახულებას შეადგენდა სხვა შინაური ცხოველების, შინაური ფრინველებისა და მათი მომ-ვლელი ადამიანის გამრავლება და კეთილდღეობა, ყანა-ვენახებისა და სათიბების მოსავლიანობის გადიდება და დაცვა. ეს გარემოება

---

[20] დღესასწაული „ბუაობას“ დროს ცხოველურ ხმებს გამოსცემდნენ ბუ-უ“, „ბუ-უ“. ტიპონიმი „ბუასკრები“ მთიულეთში მეტად გავრცელებულია.

[21] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

[22] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

ცხადჰყოფს, რომ ბოსლობა ფართო დანიშნულების საოჯახო დღეობა იყო, რომელიც აერთიანებდა ქართველი გლეხის რთული მეურნეობის ამსახველ ნაირი სახის წეს-ჩვეულებებს". ისევე როგორც ვ. ბარადაველიძე, აკ. სოხაძეც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დღეობა თავდაპირველად მარტოოდენ მესაქონლეობის წარმატებებს ემსახურებოდა. აკ. სოხაძეს მიაჩნია, რომ ბოსლობის მსგავსად ასეთივე ფუნქციისა (იგულისხმება მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეფრინველეობის გამრავლებისა და დაცვის ფუნქცია) და ფართო დანიშნულების ხალხური დღეობების ჯგუფს განეკუთვნება: ბარბალობა, ახალი წელიწადი, ყეენობა — ბერიკაობა და სვანური მურყვამობა[23].

ამრიგად, ჩვენი წინამორბედი მკვლევარნი აღიარებენ ერთი მხრივ ღვთაება ბოსლოს და ბასილის იდენტურობის (ვ. ბარადაველიძე), ხოლო მეორე მხრივ, ბოსლობის დღესასწაულს თავის ფუნქციით იგულისხმება მესაქონლეობის, მიწათმოქმედების, მეფრინველეობის გამრავლების და დაცვის ფუნქცია) და ფართო დანიშნულებით განაკუთვნებენ ისეთ ხალხურ დღეობათა ჯგუფს, როგორიც არის ბარბალობა, ახალწელიწადი, ყეენობა — ბერიკაობა და სვანური მურყვამობა (აკ. სოხაძე).

მართალია, გურული ბოსლობის რიტუალში არ არის შემორჩენილი ღვთაება ბოსლეს თაყვანისცემის გამოხატვა ცხოველური სახის მოქმედებით და ცხოველური ხმის გამოღებით, მაგრამ აქ გვაქვს გამოთქმა—„მიკეთებ", — ძროხას მიკეთებ?. ხარს მიკეთებ? ცხენს მიკეთებ? და ა. შ. რაც გამანაყოფიერებელი ანთროპომორფული ღვთაების მოქმედების გამომხატველია. გურიაშიც ბოსლობის ძირითადი რიტუალი მსხვილფეხის სადგომში ტარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რიტუალის შესრულების დროს თითქმის ყველა სახის შინაური პირუტყვი (რასაც კი გურიაში აშენებდნენ) და ფრინველი მოიხსენიებოდა.

ამრიგად, გურული ბოსლობის დღესასწაული თავისი არსით დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ბოსლობის ანალოგიურია.

ღვთაება ბოსლოს თაყვანისცემის რიტუალი (იგულისხმება შინაური ცხოველების გამრავლების მიზნით ბოსლობა — ბემბღუ ღამეს გადაჭარბებული ცოლქმრული ურთიერთობანი (ს. იელიში, იფარის თემი, სვანეთი და ბოსლობის ლეჩხუმური ვარიანტი) ერ-

---

[23] აკ. სოხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15.

თხელ კიდევ ადასტურებს იმ მოსაზრების სიწორეს, რომელიც ჩვენ თავის დროზე გამოვთქვით — ძველი რწმენების მიხედვით სამყარო აღიქმება ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიურ ერთიანობაში.

ზ. კიკნაძე თავის ნაშრომში „შუამდინარული მითოლოგია", ეჭვქვეშ აყენებს ვ. ბარდაველიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ღვთაება ბოსლო, რომლის სახელწოდება საქონლის სადგომის სახელწოდების ანალოგიურია, მამაკაცური ბუნების მქონე ნაყოფიერების ღვთაებაა. მას მიაჩნია, რომ ღვთაება ბოსლო ქალღმერთი უნდა იყოს. როცა ის იხილავს შუამდინარეთის მითოლოგიურ მონაცემებს იმის შესახებ, რომ ბოსლის (ე. ი. სადგომის) სახით წარმოდგენილია მშობიარე ქალღმერთი, ღვთაერივი ფური, შილამი, რომლის ხატოვანი ნიშანი იგივეა, რაც არხუშისა (საშო)—„ბოსელში ჩახატული დედრი", წერს რომ „აქვე უნდა მოვიხმოთ ანალოგი ჩვენში (განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთის სოფლებში) დადასტურებულ შინაურ ცხოველთა ნაყოფიერების ღვთაებასთან, რომელიც იმ შენობის სახელს ატარებს, სადაც იბადება მისი პირუტყვი და, რომელსაც წელიწადის გარკვეულ დროს, გაზაფხულის პირზე, ბოსლისაკენ ძღვენით ბიჭვალნი უგზავნენ; ბისელ, ბოსელ, ბეუ... (ვ. ბარდაველიძე). ქართულ ბოსელშიც ეჭვი არ არის ნინთურას ტიპის ღვთაებაა,— არა მამრული ბუნებისა მაგ. „გალმერთებული ხარი" (ვ. ბარდაველიძე, გვ. 108), არამედ დედრი, რადგან სწორედ შობის და ნაყოფიერების ქალღმერთი განასხეულებს თავის საშოს პირუტყვის სადგომის წიაღში და სახელწოდებასაც მისგან იღებს. ეს ის საშოა, საიდანაც მითოსური აზრით იბადება ყოველი დაბადებული[24].

რაც არ უნდა მიმზიდველი გვეჩვენებოდეს შუამდინარულ მონაცემებთან ქართულის შეხების წერტილების ძიება, სინამდვილეს გვერდს ვერ აუვლით. ქართული მონაცემებით ღვთაება ბოსლო// ბოსლე მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცური ბუნებისაა. შესაძლოა ეს ღვთაება, რომლის სახელწოდება სადგომის სახელწოდების იგივეობრივია, მართლაც და ქალღმერთს განასახიერებდა. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული რწმენები წინა პლანზე აყენებს მამაკაცური ბუნების მქონე ღვთაებას.

გურიაში ბოსლობის დღესასწაულს უშუალოდ მოსდევს ასევე მესაქონლეობასთან დაკავშირებული დღესასწაული „ილორო-

---

[24] ზ. კ ი კ ნ ა ძ ე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976, გვ. 81—80.

ბა". აღნიშნულ დღესასწალულს, რომელიც ყველიერის ხუთშაბათს იმართებოდა, არ იცნობს ჩოხატაურის რაიონი. ამ დღესასწაულს იხდიდნენ მახარაძის და ლანჩხუთის რაიონებში შემავალი სოფლები. ილორობის დღესასწაულის აღწერილობა მოეპოვება წულაძესა და თავდუმაძეს.

მოგვაქვს წულაძისეული აღწერილობა: ილორობას ანუ ყველიერის ხუთშაბათს გამოაცხობდნენ ძალიან დიდ ხაჭაპურს, რაც შეიძლება მეტი ყველით სავსეს, ძროხა კაი მეწველი იქნებაო. გაკეთებდნენ ძროხის ცურნესავით ცომს, ამას ყველს უზამდნენ და გამოაცხობდნენ. საქონლის რქებზე სანთლებს დაანთებდნენ და ლოცულობდნენ: „ღმერთო და ილორის წმ. გიორგიო, იხსენი ჩვენი საქონელი ჭირისა და ფათერაკისაგან, ნადირის კბილისაგან, ძვალი ტვინით გუუფსე, ცურნე რძით გუუფსე, ტყავი ხორცით გუუფსე და პატრონს მშვიდობაში და სიამეში მოახმარე". საქონელზე თავშემორებული სანთელი ეკლესიაში მიჰქონდათ და წმ. გიორგის ხატს უნთებდნენ[25].

თავდუმაძე შედარებით განსხვავებულად აგვიწერს ილორობის რიტუალს. იგი „ილორობას" მოიხსენიებს, როგორც „ძროხების და ხარების სალოცავს": ილორობას ანუ ძროხებისა და ხარების დღეობას უქმობდნენ წინათ ყველიერის ხუთშაბათს. აღნიშნულ დღეს საღამოთი გამოაცხობდნენ საგანგებოდ ამ დღისათვის ყველიან ხაჭაპურს, რომლის ზევითა მხარეზე გამოხატული უხდა ყოფილიყო ძროხის ცურნე და ძუძუები. ყველთან ერთად ჩააყოლებდნენ სუფთა ვერცხლის ფულს. ყველიერის ხუთშაბათ საღამოს, როცა დაბნელდებოდა, ოჯახის უფროსი შევიდოდა ახორში (ბოსელი), რომელიც კარგად იყო დასუფთავებული და ძროხებს, ხარებს და დეკეულებს მიაკრავდა რქებზე, ოჯახში ჩამოქნილ თაფლის სანთელს და ილოცავდა — ღმერთო გაგვიკეთე და გაგვიმრავლე საქონელი და დაიცავი იგი ნადირისაგან, ბოროტი თვალისა და სულისაგან, როცა სანთლები ისე დაიწვებოდა, რომ რქას მიუახლოვდებოდა, მოხსნიდნენ, ოთხად გაყოფდნენ და მიაკრავდნენ ახორის ოთხსავ კუთხეში. ამის შემდეგ შევიდოდნენ სახლში და ვახშმად დამჯდარნი ღვინოს სმის დროს დაილოცებოდნენ: „ღმერთმა გაგვიკეთოს და გაგვიმრავლოს საქონელი და დაიცვას (დაიფაროს) იგი ნადირისაგან და ბოროტი თვალისა და სულისაგან". ვახშამზე გაჭრიდნენ ხაჭაპურს იმდენ თანასწორ ნაწილად, რამდენი წევრიც

[25] ა. წ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

იყო ოჯახში და ვის ნაჭერშიც აღმოჩნდებოდა ვერცხლის ფული, ის ითვლებოდა იმ წელიწადს იღბლიანი. როგორც ვხედავთ, ილორობაც ძირითადად ძროხებისა და ხარების დღეობა იყო და ილორის წმინდა გიორგის მიეწერებოდა შინაური რქოსანი პირუტყვის გამრავლება, ნაყოფიერება და ნადირის კბილისაგან დაცვის ფუნქცია. ამ დღეობის თავისებურებას, განსხვავებით ერთი კვირით ადრე ჩატარებულ ბოსლობასთან შედარებით შეადგენდა ყველის გულიანი ძროხის ცურის ფორმის დიდი ზომის ვერცხლის ფულჩატანებული ხაჭაპური (ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ბოსლობის დროსაც სცოდნიათ მჭადისთვის ძროხის ცურის ფორმის მიცემა). აპ. წულაძისა და მ. თავდუმაძის მასალაში არ ჩანს ილორობის დღეობის რიტუალში ბოსლეს თაყვანისცემის ელემენტები, მაგრამ ჩვენს მიერ შეგროვილი მასალით მახარაძის რაიონის ზოგიერთ სოფელში აღმოჩნდა, რომ (ს. ვაკისოფელი, ქვემო ბახვი), აქ ილორობა დღეს ღვთაება ბოსლე ხსენდებოდა: ილორობას ყველიერის ხუთშაბათს ქონიან მჭადს აცხობდნენ, ქალი მჭადს გობზე დებდა, კაცს გარეთ გაუშვებდა, თვითონ კი კართან დგებოდა. გარეთ გასული ეკითხებოდა: —ბოსლე, შინა ხარ?

— შინა, ბატონო!
— ძროხა შინა გყავს?
— შინა, ბატონო!
— ღორი შინა გყავს?
— შინა, ბატონო!
— ქათამი შინა გყავს?
— შინა, ბატონო!

შემდეგ მამაკაცი სახლში შედიოდა და ყველანი მაგიდას მიუსხდებოდნენ. აქ, როგორც ჩანს, ბოსლობის ეს ვარიანტი შერყვნილი სახით გვაქვს მოცემული — ბოსლეს როლში ქალი გამოდის.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ დღეობა ბოსლობა და ღვთაება ბოსლეს თაყვანისცემა საყოველთაო მოვლენა უნდა ყოფილიყო გურიაში, ხოლო, რაც შეეხება ილორის წმინდა გიორგის ხსენებას ყველიერის ხუთშაბათს, მაშინ, როდესაც მისი ხსენების უმთავრეს დღეებად 23 აპრილი და 23 ნოემბერი იყო, ერთი შეხედვით გაუგებრად გვეჩვენება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა გიორგის მრავალი ფუნქცია მიეწერებოდა, მაშინ აღნიშნული ფაქტი გასაგები გახდება. ს. მაკალათია წერს: წმინდა გიორგი, როგორც

მითრა მიწის მუშაკთა და განსაკუთრებით მწყემსთა მფარველად იყო აღიარებული[26]. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში საერთოდ, ხალხი მას მგზავრ ა ნ გ ე ლ ო ზ ს, უყმო ყმათ მეშველს უწოდებდა და შესთხოვდა— თუ რა ცუდი, საზიანო საქმე გვესედებოდეს, გვიშველე და გვიმაშველე. გადაგვაცილე და აგვაცილე, ყველა უბედურება, მაცილე, ფათერაკი, გვიხსენი (ფშავი, ხევსურეთი. მთიულეთი, ხევი). ილორის წმინდა გიორგი მთავარი ღვთაება იყო მეგრელი მეჯოგეთათვის, რადგან ისინი სულ გზაში იყვნენ, ყველასაკირი დახმარების გაწევას შესთხოვდნენ მას.

ზემოთ მოტანილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ ბოსლობის რიტუალში უხვად არის მოცემული ახალი წლის ანუ ბედობის დღისათვის დამახასიათებელი ელემენტები: ბოსლობა-ილორობა ღღეს ცდილობდნენ მთელი წლით დაებევებინათ შინაური პირუტყვისა და ფრინველის გამრავლება, ნაყოფიერება, ავი თვალისა და სულისაგან და აგრეთვე ნადირისაგან დაცვა.

ასეთი უნივერსალური, ყოვლის მომცველი ფუნქციები, როგორც ვიცით, წლის შემცველელ ღვთაებას უნდა ჰქონოდა. ამასთანავე ისეთი რიტუალური ხაჭაპურის თუ ღორის ქონიანი მჭადის გამოცხობა, რომელიც ძროხის ცურს გამოსახავდა, საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთასა თუ ბარში სრულდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ახალი წლის რიტუალში. ბოსლობის დროს გამომცხვარი ღორის ქონიანი მჭადის „მოჭიკჭიკება" — დაჭრელება. თითოეული შინაური პირუტყვის ფეხის მინაგვარი ჯოხით თუ ჩალის ღეროთი და შეძახილები — ამდენი ძროხა! ამდენი ხარი! ამდენი ცხენი, ამდენი ღორი და ა. შ. ასევე მხოლოდ და მხოლოდ წლის დასაწყისის ბედობა დღისათვის არის დამახასიათებელი. საქონლისა და საერთო შინაური პირუტყვის გამრავლების დაბევების მიზნით ასეთი შეძახილები სრულდებოდა მთელ საქართველოში, ახალწელს, ცეცხლისათვის მილოცვის დროს.

ამრიგად, მესაქონლეობასთან დაკავშირებული ორი დღესასწაული გურიაში თებერვლის თვეში სრულდება. ამას თუ დავუმატებთ მარხვის პირველი კვირის შაბათი დღის თედორობის დღესასწაულს, რომელიც ცხენების გამრავლებას ეძღვნება — „თედორობის კვირეში კვიცი ცხენის კიდეში", მაშინ ნათელი გახდება, რომ

---

[26] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ჯვეგ-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1978, გვ. 25.

აღნიშნული დღესასწაულები ერთ ღვთაების, მამაკაცური ბუნების მქონე ითიფალური ღვთაების თაყვანისცემას ასახავს. უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულ-აფხაზური ენინ ანთარის ლოცვის რიტუალი, როდესაც, საქონლის გამრავლების მიზნით, ყველიანი მუკადი კერაზე ცხელებოდა და რომელიც იქვე უნდა დაეკრათ, ასევე თებერვლის თვეში, ყველიერის აღება ლამეს ცხელებოდა. აღნიშნული ნაყოფიერების მფარველი ღვთაების სახე იმდენად ტრანსფორმირებულია, რომ, ერთი შეხედვით, სხვადასხვა ღვთაებად გვეჩვენება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბოსლობის რიტუალში აისახა ისეთი ელემენტებიც, რომელიც ცეცხლის ღვთაების თაყვანისცემას გამოავლენს. კერძოდ, ბოსლობის სრული სახის მქონე ქვემო სვანეთი და რაჭულ-ლეჩხუმურ რიტუალებში ძირითადი წეს-ჩვეულება კერის გარშემო სრულდებოდა. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ მასალას, რომელიც შესაქონლეობასთან დაკავშირებით ცეცხლის ღვთაების კულტს ასახავს, კერძოდ, ცეცხლისათვის საქონლის გამრავლების გამოთხოვას, მაშინ დავრწმუნდებით ზემოთ დაშვებული მოსაზრების სისწორის შესაძლებლობაში. ზემოთ თქმულს ამაგრებს საყოველთაო ქართული ცეცხლის დღესასწაული ლამპრობა, რომელსაც თებერვლის თვის დასაწყისში იხდიდნენ: ხევი (ამპარობა, იანვრის კუდის მოწვა), ხევსურეთი (ლამპრობა, ზამთრის განახევრება—გიორგობის ათიდან ათი კვირის შემდეგ ლამპარობაა, ლამპარობიდან ათი კვირის გასვლის შემდეგ ოცობა-დღეღამეთა სწორობა. ასევე ცეცხლმოკიდებული გუჯინას მთიდან დაგორება). თუშეთი (მარხვის ტყეპა, ცეცხლმოდებული გოდრის დაგორება); გურული და სვანური ლამპრობა ასევე ცეცხლის დღეობის ხასიათის მატარებელია.

ამდენად, ჩვენ გვეჩვენება, რომ ბოსლეს ცეცხლის ღვთაების ფუნქციაც აქვს მითვისებული; რამდენადაც ვიცით მიწიერი ცეცხლი მამაკაცური ბუნებისაა („წითელი ხარის ნაწოლზე, ბალახი აღარ ამოვა“).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მესაქონლეობასთან დაკავშირებული რიტუალები, თავისი არსით მზის თაყვანისცემის დღესასწაულებს უკავშირდება — ბარბალობა, ლამპრობა, ოცობა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ხალხი, რომელიც ძირითადად, მზის კალენდრით სარგებლობდა, მისი სითბოს თანდათანობით მატების აღსანიშნავად და გასაძლიერებლად, ცეცხლის დღეობებს აწყობდა, რომელიც შეიცავდა მეურნეობის ძირითად დარგებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებების შესრულებასაც.

ამრიგად, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთები გურიაში დასავლეთ საქართველოს მეზობელ კუთხეთა წეს-ჩვეულებების ანალოგიურია.

აღნიშნული რიტუალები ძირითადად წლის დასაწყისის დღესასწაულებით შემოიფარგლება — ბარბალობა, კალანდა, ბოსლობა, ილორობა, თედორობა.

ახალი წლის ძველი დღესასწაულის ბარბალობიდან კალანდას (1 იანვარი ძვ. სტილით) გადანაცვლებამ გამოიწვია ბედობის დღის რიტუალთა განმეორებით შესრულება: საქონლის ფერხვა—ბარბალობასა და კალანდას, ქათმის ფერხვა — ბარბალობასა და კალანდა მეორე დღეს (2 იანვარი). გარდა ამისა, საქონლის ფერხვის რიტუალი (ბოსლობა, ილორობა, თედორობა) შემდგომშიც სრულდებოდა.

გურული მონაცემები მთელი საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად ნათლად გვიჩვენებენ მესაქონლეობასთან და აგრეთვე მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალთა მზის სითბოს, თანდათანობითი ზრდის პერიოდების დასაწყისის დღესასწაულებთან მჭიდრო კავშირს, რომელიც იწყებოდა მზის საზამთრო ბუდიდან („დათვი ხვრელსა, მზე ბუდესა, შუა ქრისტიშობის თვესა") გამობრუნებით და მთავრდებოდა მის საზაფხულო ბუდეში მისვლით (ბარბალობა, ახალი წელიწადი, ლამპრობა, ოცობა, ამაღლება). დროის აღნიშნული მონაკვეთი ხალხში მიჩნეული იყო აღმოცენებისა და ზრდის პერიოდად. მომდევნო ხანის რიტუალები შედარებით განსხვავებული ხასიათის მატარებელია და კვლავ მზის კალენდარს უკავშირდება.

МАКАЛАТИЯ М. Н.

РЕЛИГИОЗНЫЕ ВЕРОВАНИЯ И ОБРЯДЫ СВЯЗАННЫЕ СО СКОТОВОДСТВОМ В ГУРИИ

Резюме

Пережитки религиозных верований и обряды, связанные со скотоводством в Гурии, аналогичны с таковыми зафиксированными в соседних районах Западной Грузии. Эти ритуалы выполнялись главным образом, в религиозные праздники начала года — Барбалоба, Каланда, Бослоба, Илороба, Тедороба.

Старый грузинский новогодний праздник, совершавшийся 4 декабря по старому стилю (Барбалоба), как известно, был перенесен на 1 января по старому стилю (Каланда). Этим обусловлено выполнение новогодних ритуалов, призванных увеличить размножение и плодородие скота, дважды, как в день Барбалоба, так и во время Каланда.

Аналогчиные ритуалы (поздравление скота и др.) повторялись и на праздниках, следующих за новогодними (Бослоба, Илороба, Тедороба). Многократное повторение ритуалов вызвано, очевидно тем, что они тесно связаны с праздниками начала последовательных этапов постепенного нарастания солнечного тепла (Барбалоба, Лампроба, Оцоба, Амаглеба), которое начиналось в день зимнего солнцестояния и заканчивалось летним солнцестоянием. Этот период считался в народе временем пробуждения и роста жизненных сил.

Ритуалы последующего времени носят несколько иной характер, хотя и связны также с солнечным календарем.

Изучение гурийских праздников Бослоба и Илороба показало, что они подобно сванскому и рачинскому Бослоба, имели целью размножение скота и увеличение его плодородия.

Праздник Бослоба, как известно, устраивался в честь божества — покровителя скота — Босло//Босле.

В Гурии эти праздники устраивались в феврале до начала Великого поста — Бослоба в субботу мясоеда и Илороба в четверг масленицы—непосредственно вслед за старым языческим праздников огня — Лампроба (2 февраля).

Характер этих прадзников показывают, что они отражают ритуалы поклонения итифальному божеству, которое олицетворяло мужское начало.

Ც. ბეზარაშვილი

ქალის ტანსაცმელი გურიაში

ქართული კოსტუმის მრავალფეროვნება გურიაში გავრცელებულ სამოსელსაც მოიცავს. ლიტერატურაში „გურულად“ წოდებულ ამ ტანსაცმელში მამაკაცის სამოსიდან „ჩაქურად“ ხმობილი[1] და ქალის შესამოსელიდან ის სახეობაა ნაგულისხმევი, რომელიც „ქართული ჩაცმულობის“ შემოსვლამდე იყო გავრცელებული.

აღნიშნული ჩაცმულობისათვის საჭირო მასალაში ფაბრიკულთან ერთად ადგილობრივი საფეიქრო ნაწარმიც ერია. XIX ს. მიწურულისათვის შინნამზადი ქსოვილების როლი საგრძნობლად მცირდება. მათ შორის თითქმის აღარ გვხვდება დასავლეთ საქართველოსათვის ტრადიციული დარგების სელისა და კანაფის კულტურებთან დაკავშირებული ქსოვილები, თუმცა მათგან მიღებული ძაფის მრავალმხრივ გამოყენებას XX საუკუნეშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა[2]. ჯერ კიდევ ბერძენ მწერალთა მიერ შენიშნული და საგანგებოდ მითითებული კოლხური სელის ბადეების სიკარგე ზოხუც გურულებსაც მოსაგონებლად აქვთ გამხდარი. აქ სცოდნიათ შერეული ძაფის (აბრეშუმი და სელი) ბადეების ქსოვაც[3]. ს. ნაბეღლავში დღესაც სინანულით იხსენიებენ ბადის მქსოველი ქალის ეფროსინე მგალობლიშვილის სახელს. მის ნახელავს, რომელიც კანაფის ძაფით იყო დამზადებული, სამი კაცის ქირით ყიდულობდნენ. იმ დროს დღიური მუშის ფასი ერთი მანეთი ყოფილა[4].

მთხრობელთა გადმოცემით, სელისა თუ კანაფის ე. წ. „კედის“ ძაფს სიმაგრე ჰქონია და ფაბრიკული ძაფის გავრცელებამდე დიდი

---

[1] მეგზური საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენისა, შემდგ. გ. ჩაჩაშვილი, თბ., 1958, გვ. 51.

[2] დასავლეთ საქართველოში კანაფისა და სელის გამოყენების შესახებ იხ. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 62—84.

[3] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელსნობა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 84.

[4] გურიის 1978 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2, გვ. 132.

გასავალიც. გაჭირვების ჟამს, ამ ბაფით ქსოვდნენ სახლში სახმარ ფაჩუჩ-კარაჭინებს; კანაფის ძაფს გრეხდნენ და შინაურობაში სასიარულო ფეხსაცმელებს ძირად უდგამდნენ. ძველი ტრადიციის ვამოძახილად უნდა მივიღოთ ბამბისა და კანაფის ძაფის ნაერთით დიდ ჩხირებში მოქსოვილი ე. წ. „ხაბუკე“ (მაგარი) კაბების არსებობის ფაქტიც.

წინა საუკუნეთა მსგავსად, XIX საუკუნეშიც „ხელოსნურ წარმოებას მისდევდნენ. ცალკეულ საოჯახო მეურნეობებში თითქმის ყოველი გლეხის ოჯახი თვითონ ამზადებდა არსებობისათვის საჭირო პროდუქტებს: ამუშავებდა მიწას, მისდევდა მეღვინეობას, კერავდა საკუთარი ან ნაყიდი მატყლის, ბამბის ან აბრეშუმისა თუ სელის ტანსაცმელს, აკეთებდა ხისაგან სხვადასხვა ნაკეთებს და ა. შ.[5]. ასეთი მდგომარეობა იყო გურიაშიც. ცნობილი მოგზაური გამბა, რომელსაც XIX საუკუნის დასაწყისში უმოგზაურია საქართველოში, შენიშნავდა, რომ მრეწველობა კოლხეთში ოჯახებშია კონცენტრირებული, ქვეყანას არ შეეძლო შეექმნა ფაბრიკები ან მანუფაქტურები“. იმ დროისათვის, წერს ამ სტრიქონების ავტორი ფ. გოგიჩაიშვილი, ეს შენიშვნა ეხებოდა არა მარტო სამეგრელოს (კოლხეთს), არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსო.

1873 წ. გაზეთ „დროებაში“ ოზურგეთიდან მოწერილ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „...უწინ სანამდის საშზღვარგარეთის საქონელი შემოვიდოდა ჩვენში, ჩვენი ხალხი კმაყოფილდებოდა თავისი ნაწარმოებით. ის თავის მოქსოვილს დარაიას. შალს იცვამდა, ხარის ტყავს გაახმობდა და იმისაგან თვითონვე შეიკერავდა ჩუსტებს, წაღებს... რაკი სხვა ქვეყნებთან ერთობა გაჩნდა, ვაჭრებმა მოიტანეს: ჩითი, ნარმა, ჭიქა, კარგი მაუდი, კარგი გამძლე ტყავები... რაკი რომ ჩვენმა ხალხმა ნახა უვარგისობა თავისის და ვარგისობა უცხო ქვეყნის ფართლის, დაანება თავი (საპიროების დაგვარად) შალის ქსოვას, დარაიას, და იცვამს, იხურამს სულ სხვა შალებს, მაუდებს, წაღებს“[6]... უფრო გვიან, 1899 წელს საკვირაო გაზეთი—„ცვალი“ სოფლის ცხოვრების და კერძოდ, ნიგოითის დახასიათების დროს შინაური წესით დამზადებული ჭსოვილების მოსპობის საკითხსაც ეხება: „...წინათ სანამ ჩვენი ცხოვრება „გაქალაქდებოდა“, დედაკაცს ბევრი საქმე ჰქონდა ოჯახში. გარდა საოჯახო ყოველდღიური საქმეებისა, ქალი ოჯახის წევრთა საყოფ ტანისამოსს, მატყლეულსა და ბამბეულს ქსოვდა და თითონვე ჰკერავდა. შემდეგ, როცა „ქვეყანა გა-

---

[5] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[6] კორესპონდენცია ოზურგეთიდან, გაზ. „დროება“, № 42, 1873.

ქალაქდა“ საზოგადოებაში ის აზრი დატრიალდა, რომ ქალების წინანდებური შრომა სირცხვილიაო, „მატყლის ბრუშნას“ (ჩეჩვას) და ღომის ცეხვას რავა იკადრებს პატიოსანი ვარგებული ქალიო—ასე გაშინჯეთ. სასიძონი პირობას აძლევდნენ ქალის მშობლებს, შენ ქალს ღომი არ გავაცეხვიო, ყანაში სადილი არ წავაღებიო და სხვ. ამ აზრის გამავრცელებელი და მაგალითის მიმცემი რასაკვირველია, მაღალი საზოგადოება (თავად-აზნაურობა და სამღვდელოება) იყო“[7].

გურიაში საქსოვ დაზგაში დგომ-საკარცხელში დამზადებული ქსოვილებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წმინდა ქსოვილები: შალი, აბრეშუმი და ტილო; ასევე შერეული ძაფის პროდუქტი: შალ-აბრეშუმი, შალ-ბამბა, ბამბა-აბრეშუმი, რომელთა მისაღებად რამდენიმე ხერხს მიმართავდნენ-: ქსელში ძაფის მონაცელეობა, დასაძახავი ძაფების ერთად შეცალება და უფრო გავრცელებული ქსელად და ზედად სხვადასხვა ძაფის მოხმარება. ამ უკანასკნელის გამოყენების დროს ზოგჯერ ფერსაც ურჩევდნენ (ქვედა თეთრი აბრეშუმი ზედა შავი შალი). ასეთი წესით მიღებულ ნაქსოვს „ტიღრედი“ ერქვა[8].

მთხრობელთა დამოწმებით ძველად ტერმინი „ხამი“ კანაფისა და ბამბის ნაქსოვს აღნიშნავდა, რომელსაც გამოუხარშავი კანაფის ძაფის სიუხეშე ნაქსოვშიაც შერჩენილი ჰქონდა. სწორედ ამ თვისების გამო ეს ქსოვილი ქალის შიდა ბოლოსა და კაცის ხალათებად ე. წ. „ბლუზებად“ გამოუყენებიათ. დასახელებული სახელწოდებიდან უნდა იყოს წამომდგარი გურიაში უხეში კაბის სინონიმებად ნახმარი ტერმინები „ხაბუკე“ და „ხამუდა“.

სატანსაცმლე მასალის გასაკეთებლად ადგილებზე მოიპოვებოდა ნედლეული. ზოგიერთი სოფელი ბამბის ნაკლებობას განიცდიდა, ზოგი მატყლისას. მატყლი ძირითადად ახალციხიდან შემოჰქონდათ, აბრეშუმის პარკით კი ყველა გამრჯე გლეხი ქალის ოჯახი იყო მომარაგებული, ს. ჩიბათის მაგალითზე XX საუკუნის დასაწყისში თითო ოჯახზე საშუალოდ ორი თუმნის პარკი მოდიოდა[9]. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში მოყვანილი აბრეშუმის პარკი საზღვარგარეთაც იგზავნებოდა. ამაში გურული ქალის ნახელავიც ერია. გურიაში ამ საქმიანობის საუკეთესო ადგილად ლანჩხუთი იყო მიჩნეული[10].

---

[7] სოფელი, სოფლის ცხოვრება, გაზ. „კვალი“, № 35, 1899.

[8] გურიის 1977 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2, გვ. გვ. 11, 12.

[9] ს ი მ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ჩიბათი (გურია), გაზ. „კვალი“, № 18, 1903.

[10] გურია, გაზ. „კვალი“, № 27, 1899.

საფეიქროდ გასამზადებელი ნედლეულის დამუშავება იმ დროს იწყებოდა, როცა გლეხი „ტეხა-კრეფას“ მორჩებოდა. ეს სამუშაო საკმაოდ რთული და შრომატევადი იყო. ამიტომ ხშირად მიმართავდნენ კოლექტიურ დახმარებას — „ნადს“. „ქალებმა იცოდნენ სტვაზე ნადი. იყო ჩერიების ბრიალი“ — გვიყვება ერთი მთხრობელი. ზოგიერთი სამუშაოს შესრულების დროს დალოცვაც სცოდნიათ, კაი ხვავი, კაი ყოლაო; ზოგჯერ, მაგალითად შალის მოთელვის წინ, ასეთ წესს ასრულებდნენ: წინდაწინ ძაღლს დაუძახებდნენ, რის შემდეგაც ფეხადობის აღარ ეშინოდათ[11].

აბრეშუმის პარკს ოთხ ჯგუფად ახარისხებდნენ. აქედან პირველი და მეორე ხარისხიდან ქსოვილებისათვის საჭირო ძაფს იღებდნენ. პარკს ჯერ წვრილი ძაფი მოსდევდა, მერე მსხვილდებოდა. პირველად ამოხვეულით წმინდა აბრეშუმს („დარაია“, „ქათანა“ — ნაზადნაკეთები დარაია ყოფილა) მოქსოვდნენ, მსხვილსა და დაუხვეწელ ძაფს „ჩიჩონჩათ“ წოდებულ ქსოვილზე ხარჯავდნენ. მესამე და მეოთხე ხარისხის პარკიდან ყაჭის ძაფს ამოიღებდნენ, რომლისაგან გრძელ წინდებს თუ მოქსოვდნენ. ამ ძაფის ამოსაღებად პარკის საგანგებო დამუშავება სცოდნიათ. ჯერ მიწაში დამარხავდნენ ორი კვირით მაინც, მერე ამოიღებდნენ, გარეცხავდნენ და რამდენიმე, ღამით გარეთ ტოვებდნენ — ცვარში „აბუმბუზებდნენ“. საქვეყნოდ ყოფილა ცნობილი ლანჩხუთელ ქალთა ნახელავი[12].

აბრეშუმის შინნამზადი ქსოვილების შესახებ საინტერესო ცნობა შემოუნახავს გაზ., „ივერიას“ „...ადგილ-ადგილ მოჩანან სოფლის ღარიბული მცირე ნაწარმოები: თიხისა და ხის ჭურჭლეულობა, აბრეშუმები, სოფლათ ნაქსოვი სხვა და სხვანაირი შალები, რომელთა შორის ზოგჯერ შეხვდება კაცს ძლიერ რიგიანათ ნაკეთები; დარაიები სხვადასხვა შალები, ზოგი ისრე ლამაზათ და ნაზათ ნაკეთები (ქათანა) რომ არ გჯერა, თუ ეს ხელობა რომელსამე ქარხანაში გამოვლილი არ არისო“[13]. თუ ადრე აბრეშუმის პარკი იქცევდა ყურადღებას, შემდგომში წმინდა აბრეშუმის ნაქსოვი — „დარაია“ ქცეულა დაინტერესების საგნად. მიმწოდებლად ისევ დაბა ლანჩხუთია დასახელებული, შემსყიდველებად—ქალაქები: მოსკოვი, პეტერბურგი, ვარშავა, სადაც ჩინეთიდან შემოტანილი ამგვარი სახის, მაგრამ ნაკლებ გამძლე ქსოვილი საკმაოდ ძვირად იყიდებოდა[14].

---

[11] ა პ. წ უ ლ ა ძ ე. ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 102.

[12] მგზავრი, კორესპონდენცია (ლანჩხუთი), გაზ. „ივერია“, № 99. 1895.

[13] წერილი გურიიდან. გაზ. „ივერია“, № 37, 1878.

[14] Ланчхути, газ. «Кавказ», № 64, 1906.

XIX საუკუნის II ნახევარში, ფაბრიკული ქსოვილების გვერდით, საოჯახო ნაწარმსაც თავისი მომხმარებელი ჰყავდა. ამ მდგომარეობას გამოხატავს გურიაში დღემდე დაცული სახელწოდებანი: „დარაიას ქიცა“ და „საალაბე ქიცა“ (ქიცა — თავსაფარი). უნდა ისიც ითქვას, რომ შინნამზადი ქსოვილების ამსახველი ზოგადი ტერმინების დასახელებას ერიდებიან და ხშირად გაიგონებთ; საჩოხე, საყაბალახე, საკაბე, საშალვრე და ა. შ.

XIX ს. თან მიჰყვა საოჯახო წესით დამზადებული ქსოვილების წარმოებაც. „„ფაბრიკულმა ნაწარმმა სიიაფითა და სილამაზით კონკურენცია გაუწია შინაურ ნაწარმოებს და ყველგან დაამარცხა“ — ვკითხულობთ 1899 წლის ქართული გაზეთის ფურცლებზე[15]. ამასვე ამოწმებს 1905 წელს რუსულ ენაზე გამოსული გაზეთიც[16].

XX ს. დასაწყისში გურიაში ფაბრიკული ქსოვილების ასორტიმენტი საგრძნობლად იზრდება. საზამთროდ იყიდება: დიაგონალი, ტერნო, ყარამანდულა, შივიოტი, ინდიგო, კავერკოტი. წელიწადის სხვა დროს ჩასაცმელად გამოიყენება: ლეპერტინა, პოპლინი, ცინდელის სატინა, ატლასი, აბრეშუმი; ჯუკანეთი — ფოთლებიანი „ბატისტია“, „ქისაია“—ჯვრისწერის კაბად გამოსადეგი უთხელესი საკაბე. ჩამოთვლილთაგან კარგი ხარისხის მასალა საგარეო სამოსელის დამზადებას ხმარდებოდა, საშინაოდ ჩითეულობა და სატინაც საკმარისი იყო, საცვლებად ბატისტები და მარკიზეთი მოსწონდათ, აქედან „მიდაპოლანის“ ბატისტი საუკეთესოდ ითვლებოდა და მისი ფასი ათი — თორმეტი კაპიკი იყო; ორმაგი ბატისტი თხუთმეტი კაპიკი ღირდა ჩითი — ორი, ხუთი შაური; „ცინდელის“ სატინას, რომელსაც მუჭში მოიმწყვდევდნენ, ექვსი აბაზი უნდოდა, ამაზე ზევით მხოლოდ კარგი ხარისხის აბრეშუმი და შალი იყიდებოდა. საუკეთესო შალის ფასი რვა აბაზს არ გადასცდებოდა. სიიაფის მიუხედავად, კარგი ხარისხის ქსოვილის შეძენა ღარიბი გლეხის საოცნებო საგანს წარმოადგენდა.

გურულები ტანსაცმლის მასალას ადგილებზე გახსნილ სავაჭრო დუქნებში იძენდნენ. გარდა ამისა, ფართალს ბაზრობის დროსაც ყიდულობდნენ, რომელიც დაბებსა და მსხვილ სასოფლო ცენტრებში კვირის განსაზღვრულ დღეებში იმართებოდა. დღეების მიხედვით ბაზრობებს ერთმეორისაგან ანსხვავებყნენ: ზოგი ოთხშაბათობა იყო (ნაგომარი) და ზოგიც პარასკეობა (ოზურგეთი, ჩოხატაური). ყოველწლიური, მრავალდღიანი ბაზრობა — „იარმუკობა“, რომელ-

---

[15] სოფელი, სოფლის ცხოვრება, გაზ. „კვალი“, № 35, 1899.

[16] По Гурии (продолжение), газ. «Кавказ», № 100, 1905.

საც აქ „ქალაქობაც“ ერქვა, უფრო დიდ არჩევანს სთავაზობდა მოსახლეობას. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც ხელზე ვაჭრობა იყო გახშირებული, დასავლეთ საქართველოსათვის სწორედ ეს საკვირაო და ყოველწლიური ბაზრობები ყოფილა დამახასიათებელი[17]. გ. გოგიჩაიშვილი დასავლეთ საქართველოში მისთვის ცნობილ 12 წლიურ ბაზრობას ასახელებს, რომელთაგან 6 ორკვირიანი, 8 თითო კვირიანი და 3 თითო დღიანი იყო. მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ გურულებისათვის კარგად ცნობილი „ქალაქობანაც“ — საჯავახოში, ჯუმათში, კოხნარში, ერკეთში და ყველაზე პოპულარული ორკვირიანი ნაგომრობა, რომლის სავაჭრო ოპერაცია, თ. სახოკიას დამოწმებით[18], აღემატებოდა ჯუმათისა და საჯავახოს ოპერაციებს.

„ნაგომრობა“ 13 ივლისს იწყებოდა და ორ კვირას გრძელდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით ელიობას „შუა ქალაქობა იყო“. ამ დღეებს ემთხვეოდა დღესასწაული—„მარინობაც“, რის გამოც ბაზრობა უფრო ხალხმრავალი ხდებოდა. თ. სახოკიამ ასე აღწერა ეს ბაზრობა; „ნაგომრობა ერთ საუკეთესო ბაზრობად უნდა ჩაითვალოს... ვაჭრობის საგანი ფართლეული და სოფლებიდან შემოტანილი ნაწარმოებია, ყველაზე მეტად შემოაქვთ აბრეშუმი, ძაფათ ამოღებული აქაური. აქაურებისავე ნაქსოვი დარაია, რომლის ალაბი ექვსი შაურიდან სამ აბაზამდე იყიდება. ნაქსოვი, საზოგადოდ, ტლანქია, გაცილებით ჩამოუვარდება ს. ხონში ნახელ-საქნარ დარაიას. აქვე ჰყიდიან დარაიის საზაფხულო ყაბალახებს; თითოს 2 მ.“[19]. ამ ბაზრობაზე ვაჭრები მოდიოდნენ აგრეთვე ქობულეთიდან, ბათუმიდან, ახალციხიდან, კულაშიდან ქუთაისსა და თბილისიდან. აღნიშნულს გარდა გურულებს გასაყიდად გამოქონდათ; ფრთოსანი, ოთხფეხი, ხილი, თაფლი, ღვინო, არაყი; ასევე ხელოსნური ნაწარმი; გიდელ-გოდორ-კალათა, ჭილოფი, ხისა და თიხის ჭურჭელი და სხვ.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII. ს. დასავლეთ საქართველოში ვაჭრობას სომხები და ებრაელები მისდევდნენ. შემდგომში, გურიაში ამ საქმეში ლაზები და ჭანებიც ჩაებნენ. XIX ს. 70-იანი წლებიდან, როცა დახლთან დგომას გურიაში აღარ თაკილობდნენ[20], ამ საქმიანობას ძირითადად გურულები წარმართავდნენ. ასეთი

---

[17] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

[18] თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 67.

[19] ი ბ ი ვ ე, გვ. 67.

[20] Д м. Б а к р а д з е. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре (с атласом), Санктпетербург, 1878, с. 3.

მდგომარეობაა ხელოსნობაშიც. მოვაჭრეთა რაოდენობის მხრივ გურიის თემებიდან ყველას ლიხაური გამოეყოფოდა, ვაჭრული თვისებებით კი ოზურგეთლები და ხიდისთაველნი, რომელთაც უსწორო ყანთარით და მოკლე ალაბით უმოწყალოდ უყვლეფიათ გურიის მცხოვრებნი.

საბაზრო დღეთა საგანგებო შერჩევა შემთხვევით არ მომხდარა აქ ანგარიში გაეწია სამუშაოთა განაწილების იმ ძველ წესს, რომლის მიხედვით კვირის ყოველი დღე გარკვეულ სამუშაოს ჩასატარებლად იყო ვარგისი.

გურიაში არსებული ძველი რწმენის თანახმად, კვირის დღეებიდან ზოგი წარმო იყო და ზოგიც უკუნი. გურულ მთხრობელთა გადმოცემით, წარმო უკეთესი დღეა, უკუნი იმის მიმდევარი. ორ კვირაში ენაცვლებიან ერთმანეთს, წარმო კიდევ დაგვჭირდება, უკუნი ერთხელ; წარმო ნათელია და უკუნი ბნელი. ერთი საარქივო მასალით[21] წარმო დღეებში მცენარის ორგანიზმში წვენის მოძრაობა სწარმოებს, უკუნში არა. ძველად გურიაში საქმეებსაც ამის მიხედვით ანაწილებდნენ. წარმო დღეზე დაწყებული საქმე ადრე და წარმატებით თავდებოდა[22].

აპ. წულაძის მონაცემებით, ახალ მთვარეზე ხუთშაბათი და შაბათი უკუნია, დანარჩენი — წარმო, ძველზე პირიქით. მ. თავდუმაძის მასალებით ოთხშაბათი და კვირა არც წარმოა და არც უკუნი, პარასკევი კვიმატია, დარჩენილთაგან ორი წარმოა და ორიც უკუნი. ტრადიციული, მაგრამ ამჟამად უკუგდებული წესებით უკუნზე იმარხებოდა მიცვალებული — უკუნისამდე აღარ მოაკითხავდა ოჯახს; ამ დღეებში სჭრიდნენ ხეებს, განსაკუთრებით „სასხო ხეებს“, რომლითაც საწნახელს, ნავსა და სახლის ფიცრებს ამზადებდნენ; ბეღელსა და ხულასაც პირველად უკუნზე „შესძრავდნენ“ და ახალ სახლშიაც ამ დროს გადავიდოდნენ[23]. დასახელებულ დღეებში თავს არ დაიბანდნენ, მაკრატელს ხელს არ ახლებდნენ — ცუდად წავა ოჯახის საქმეო. ძველად სწამდათ ბუჯერობა (ბარაქა) და ხელადი (კაი ხელი), უკუნ დღეებში ოჯახიდან არაფერს არ გასცემდნენ — ხელი გადაყვებაო. თუ აუცილებელი იყო წესის დარღვევა. მაშინ ან ცოტას მოაფცქვნიდნენ, ანდა მიწაზე დასდებდნენ; ზოგიერთი მორწმუნე კი ვაზის ქვეშ გაატარებდა ოჯახიდან გაცემულ ნივთს, ხელი არ გადაჰყვეს და ოჯახს ბარაქა არ გამოელიოსო; წარმოზე

---

[21] მაკარი თავდუმაძის მასალები, დაცულია ქ. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში, ინვ. № 34, გვ. 21.

[22] აპ. წ ულ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

[23] იქვე, გვ. 122.

სცოდნიათ საძირკვლის დასკვნა, თმების შეკვეცა, დათესვა დარგვა, დამუნა, ყამირი მიწის გაკაფვა, სამგზავროდ წასვლა. ახალ ტანსაცმელს წარმოზე დაჭრიდნენ, კიდევ შეიკერავსო.

უფრო ძველია გურიაში დაცული სხვა წესი, რომელიც სამეშაოს შესრულებას მთვარის ფაზებს უფარდებს. საერთოდ მიღებული აზრით, საქმისათვის კენტი მთვარე ყოფილა კარგი. ცუდად მიაჩნდათ ორი და თორმეტი მთვარე. არც შვიდში დაიწყებდნენ საქმეს — გაგიმტყუნდებაო. ისე სხვადასხვა თვის ზოგიერთი დღეც საქმისათვის არ ყოფილა სასურველი[24].

ძველი მთვარის დადგომამდე რამდენიმე ეტაპს გამოყოფდნენ: ბვილ მთვარეს, შუა მთვარეს, მატებიან და შევსებულს—ცხრომამდე. ოთხ დღემდე მთვარის სიჩვილის გამო ზოგიერთი საქმის დაწყებას გაურბოდნენ. გასული საუკუნის მიწურულში ტ. მამალაძეს შენიშნავდა, რომ არცერთი საქმეს ახალ მთავარეზე არ იწყებდნენ, ელოდებოდნენ სავსე მთვარეს[25]. მამალაძის ცნობის მიხედვით გამოდის, რომ ყველა საქმის დასაწყებად სავსე მთვარე იყო სასურველი. მთხრობელები კი გვიყვებიან, რომ ამისათვის მატებიანი მთვარეც არ იყო ურიგო, რადგან სავსე მთვარის მსგავსად ამ დროს შესრულელებული ზოგიერთი საქმე (მაგალითად ტეხა-კრეფა, არყის გამოხდა და სხვ.) ხვავიანი იქნებოდა. ამ მხრივ სრული მთავრე საუკეთესო პერიოდი იყო საერთოდ და კერძოდ, ახალი ტანსაცმლის დასაჭრელადაც.

სხვა საქმიანობის აკვეთასთან ერთად კვიმატ დღეს არც ტანსაცმელი იჭრებოდა. „ამ დღეებში დაბადებული გამოვიდეს საწყალი, ღარიბი, დღემოკლე. ყიდვა-გაყიდვა არ ვარგა, მგზავრობა, ქორწინება. ავად გახდეს ძნელად მორჩეს. თესვა, აშენება, დაჭრა-შეკერვა. ყოველგვარი მოძრაობა გაუგებარია (ნაგინებია)“[26].

ჩამოთვლილ დღეთა გარდა, წელიწადის კალენდარული დღესასწაულებიდან, (ე. წ. მაგარი დღეები), ზოგიერთი ესევე საბძნილო ყოფილა. 29 აგვისტოს ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს სისხლი არაფრისათვის არ უნდა ედინებინათ. ამ დროს მუშაობა საფუძვლიანი არაფრისა ვარგოდა. ბარბარობას თმებს არ დაივარც-

---

[24] მასალა მთვარის დღეების შესახებ დაცულია ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში.

[25] Т. Мамаладзе. Народные обычаи и поверия Гурийцев, Сборник материалов для описания мест тностей и племен Кавказа, вып. XVII, отд. II Тифлис, 1893, с. 114.

[26] გურიის 1978 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2, გვ. 170; ქ ს ე ნ ი ა კ ა რ ს ა ნ ი ძ ი ს ჩანაწერები.

ჩნიდნენ. ქათმები სახურავს აგვიბუდნიანო, არც შეკერავდნენ—ქათმები ჩხუბს დაიწყებენო[27]. საკალანდოდ სახლში შეტანილი ჩიჩილაკი 6 იანვრამდე რჩებოდა იქ. მერე მას მარანში გაიტანდნენ, სადაც რამდენიმე წელიც ეკიდა ხელშეუხები. მისი გატანის დრომდე იმ ოთახში, სადაც ეს საახალწლო მოსალოცი იდგა, დართვა და კერვა არ შეიძლებოდა[28]. დიდმარხვის პირველ დღეს ყვავილმოუხდელი ქალები თმებს არ დაივარცხნიდნენ, წიგნს არ წაიკითხავდნენ და არც შეკერავდნენ რამეს. სჯეროდათ, რომ რამდენი კბილიც ჰქონდა სავარცხელს, რამდენი ასოც იყო წიგნში და რამდენ ნაკერსაც გააკეთებდნენ, იმდენი ნიშანი დააჩნდებოდათ[29].

ძველი დროიდან მომდინარე ამ წესებმა სახეცვლილი სახით მოაღწიეს ჩვენამდე. გურიის ექსპედიციებში (1977, 1978 წწ) ჩაწერილი მასალების მიხედვით, გურულებს ტანსაცმლის დასაჭრელად სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი ჰქონიათ შერჩეული. ეს დღეები დაბედების დღეებად ითვლებოდა და ლოცვაც ამ დღეებში იყო შემრგე. აქედან, სამშაბათს დაჭრილს შავი მოუწევსო, ამიტომ ამ დღეს მხოლოდ სამგლოვიარო ტანსაცმელს გამოსჭრიდნენ. თან შავის დაჭრამდე მაკრატელს ფერად ქსოვილს გააჭრევინებდნენ, ოჯახს შავი არ დაებედოსო. გადმოცემით იციან, შავს რომ იკერავ, წარმო დღე არ უნდა შეგვხვდეს, კიდევ დასჭირდებაო. შაბათი, როგორც ნაკლული დღე მოზარდის სამოსელის გამოსაჭრელად არ ვარგოდა. დღენაკლები იქნებაო. ეს დღე, როგორც მთელს საქართველოში შუადღის შემდეგ საუქმო იყო. „უკანასკნელ ნემსსაც არ იხმარდნენ, არ იყო ნება. ზოგიერთი ქალი სუნელს არ დანაყავდა ისე ეკრძალებოდა“[30]. კვირას დიდებისათვის შეეძლოთ ჩასაცმელის გამოჭრა, უფრო კოხტა გამოვა. კვირის დარჩენილი დღეებიდან ოთხშაბათს, კუდიანობის დღეს, დაჭრა არ ვარგოდა—მოკლე გამოვაო; პარასკევს ცეცხლში დაიწვებაო. ზოგიერთი ავტორი[31] პარასკევის აკრძალვას ქრისტეს ჯვარცმის დღესთან აკავშირებს, როცა ყოველი ქრისტიანისათვის რკინის იარაღის ხმარება აკრძალული იყო.

დაჭრისათვის დილის საათებს ურჩევდნენ, მზის გადახრის ჟამს მუშაობას უნდა დაეთხოვოთ მზე ჩადის და თან არ ჩავაყოლოთო.

---

[27] გურიის 1977 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 1, გვ. 38.

[28] Т. Мамаладзе. Указ. соч., с. 40.

[29] Накашидзе. Новый год и другие обряды гурийцев, газ. «Кавказ», № 27, 1848.

[30] გურიის 1977 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2 გვ. 15, 16.

[31] აპ. წულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

დაჭრის დროს ლოცვაც აუცილებელი ყოფილა: უკეთეს უკეთესის შეკერვაშიო, უანგარიშოს დაცვეთაშიო და ა. შ.

ახალ ტანსაცმელს შობა-აღდგომისათვის იმზადებდნენ. აღდგომის ტანსაცმელს წინა —ვნების კვირაში დაჭრიდნენ და შეკერავდნენ. ამ კვირის ყველა დღე დიდი იყო. იტყოდნენ. დიდ ხუთშაბათს და დიდ შაბათს გამოჭრილი კარგია, პატრონს დიდი დღე ექნებაო. სამეგრელოში არსებული წესისაგან განსხვავებით, სადაც ახალ ტანსაცმელს ისე არ ჩაიცვამდნენ, რომ ჯერ მარჯვენა ფეხით არ გაეთელათ[32], გურიაში ახალი კაბით პირველად წყალს მოიტანდნენ, აღარ დაიწვებაო[33].

გურიაში გავრცელებული ტრადიციული სამოსელი ძირითადად ადგილობრივი ძალებით მზადდებოდა. XX ს. ფეხმოკიდებული ახალი ფორმის ჩაცმულობას კი „მოდისტკებთან" განსწავლული შეგირდები კერავდნენ. რადგან ამ პერიოდში საკერავი მანქანებიდან გრიელშაქოიანი „ცენტრალი" და მრგვალშაქოიანი „ზენგერი" ჯერ კიდევ არ იყო გახშირებული, ამიტომ ქალებს ისევ მამაპაპური წესით ხელით უხდებოდათ მუშაობა. იცოდნენ გვირიშტითა და გაცუდვით კერვა. ეს უკანასკნელიც შაგარი ნაკერი იყო, შაგრამ პირველზე ნაკლები. ლამბის სანაცვლოდ ხმარობდნენ ტერმინს — „დალუხტვრა" (ჩოხატაურის რ.). XX ს. დასაწყისში საკერავ მანქანებთან ერთად გურიაში ჩულქის საქსოვი მანქანებიც შემოუტანიათ[34]. თერძთან კაცის ტანსაცმელიდან ჩოხა-ახალუხის შეკერვა 3 მ. ღირებულა, „მოდისტკას" ქალის კაბაში 1 მ. უხდიდნენ. ზოგიერთი ოსტატი თანაუგრძნობდა თურმე სოფლელ ქალებს და ზოგჯერ ნატურით (1 ბაღმანი სიმინდი), ან ყანაში მოხმარებით იღებდა შრომის საფასურს[35].

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში გურიაში გახსნილ სამრეველო სკოლებსა თუ საქალაქო სასწავლებლებში ან შინა მასწავლებლებთან დანიშნული ხელსაქმის გაკვეთილები ხელს უწყობდა ჭრა-კერვის მცოდნე პირთა სიმრავლეს. ამ კუთხეში ბოლო დრომდე შემორჩენილი ერთი ძველებური რიტუალიც[36], რომელიც ბავშვის ჭიპის მოჭრის დროს, დაბედების მიზნით, გოგონებისათვის მაკრატელსა ან ჩერიასათვის ხელის მოკიდებას ითვალისწინებდა, იმაზე მიგვითითებს,

---

[32] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, მთარგ. ალ. ჭყონია, მეორე გამოცემა, თბ., 1938, გვ. 147.

[33] გურიის 1978 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 1, გვ. 121.

[34] საპასუხო წერილი ხიდისთაეიდან (გურია), გაზ. „კვალი", № 11, 1901.

[35] აპ. წულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

[36] გურიის 1977 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2, გვ. 51.

რომ აქაც, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალის ხელსაქმეობას.

ტანსაცმლის ფორმათა გავრცელების ხარისხი დიდად იყო დამოკიდებული მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის — გლეხობის ქონებრივ შესაძლებლობაზე. ინფორმატორთა ცნობით, გლეხობა სამ ჯგუფად ნაწილდებოდა: მდიდარი ანუ ვაშალაშინებული, საშუალო ანუ სულმოდგმული „წამოპუტურებული“ და ღატაკი—სულმიღნაებული. გლეხთა ამგვარ მდგომარეობას ახლობლები და მეზობლები ოჯახის ქონების მიხედვით ამჩნევდნენ, უცნობი და შორეულნი ტანსაცმელითაც შეიტყობდნენ. დღესაც იგონებენ მოხუცები: „ძველად სამნაირი გლეხი იყო კარგი ჩაცმული — თავადიშვილური ჩაცმულობა, საშუალო ჩაცმულობა — გლეხური და ღარიბული ჩაცმულობა, გლახას ღარიბს ეტყვიან. ამას ქალამანიც დაგლეჯილი ეცვა, იგიც არ ქონდა ინახავდნენ“[37]./თუ ვერწმუნებით მთხრობელთა ცნობას, XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სოფლელის ტიპიურ სახეს საშუალო შეძლების გლეხი იძლეოდა, რომელიც რიცხობრივადაც ორივეს ჭარბობდა. ასეთ გლეხად ის ითვლებოდა, ვისაც რამდენიმე ქცევა მიწა ჰქონდა, კარგი სახლი ედგა და საქონელიც ყავდა. ყველაფერი ეს კი ახალი დროის მონაპოვარი იყო. ძველადო, იგონებდნენ მთხრობელები, გლეხებს საშუალებაც რომ ჰქონოდათ, უფლება იმის ნებას არ იძლეოდა, რომ ფიცრულ-ყელური სახლი აეშენებინათ. მათ ტალახით შელესილ ფაცხაში უნდა ეცხოვრათ[38].

ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილების წინაშე დააყენა მოსახლეობა. ძველი სახლი და ძველებური ავეჯი აღარავის მოსწონდა, არც ერთი ხელი „სამკვდრო-სასიცოცხლო“ შინ დამზადებული ტანსაცმელი აკმაყოფილებდათ. ცხოვრების ახალი წესით მოწყობას კი დიდი თანხა სჭირდებოდა. ძველად გურიაში მოწონებულმა ოჯახის „დაზენვილების წესმა“, რაც ძველი სიმინდისა თუ პურის შენახვას გულისხმობდა[39], აზრი დაჰკარგა და მიწის მფლობელმა გლეხმა ოჯახის ჭარბი პროდუქტი ბაზარში გაიტანა და ფულად აქცია.

XIX ს. I ნახევარში გურიაში წამყვანი კულტურა ყოფილა სიმინდი, ღვინო და აბრეშუმი[40]. აბრეშუმს არც XIX ს. II ნახე-

---

[37] გურის 1978 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2, გვ. 126.

[38] საარქივო მასალა, მ ი ხ ე ი ლ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ს. ერკეთის ისტორია (1962), დაცულია ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[39] სოფ. ნიგოითის (გურია) ქონებრივი მდგომარეობა, გაზ. „კვალი“, № 35, 1899.

[40] ფ. К—с к и й, Гурия и ея новое производство, газ. «Кавказ», № 146, 1875.

ვარში დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ პერიოდში ზემო გურიაში თამბაქოს კულტურა იწყებს დაწინაურებას და აბრეშუმთან ერთად გლეხის სამოსელის შესაძენ ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცევა[41]. „ცნობის ფურცელი“ გვაუწყებს, რომ ზემო გურიაში იშვიათად ყოფილა ისეთი გლეხის ოჯახი, რომელსაც წელიწადში 20—30 თუმნის თამბაქო არ გაეყიდა. თავად-აზნაურთა ოჯახებში ამ გზით მიღებული შემოსავალი კი 50—60 თუმანს შეადგენდა[42]. ნაკლები მიწის მქონე გლეხობამ ფულის შოვნის სხვა გზა მოძებნა. მან სამუშაოს საშოვნელად აზოვისა და შავი ზღვის სანავსადგურო ქალაქებს მიაშურა. ამავე მიზნით ზოგიერთი ციმბირშიაც მოხვედა[42]. გურულთა ასეთ დენადობას არამარტო ფულის დაგროვება მოჰყოლია შედეგად, არამედ ტანსაცმლის მზა ფორმების შემოტანის წყაროც გამხდარა, რასაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონია გურიაში ჩაცმულობის ახალი ფორმების გავრცელებისათვის.

ტანსაცმლის ახალი ტიპის შემოღების საკითხის გაშუქების დროს გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, გურულთა ხასიათის ერთი თავისებურება, საქართველოში შეუმჩნეველი არ დარჩენილა გურულთა ჩქარ-ცვალებადი ხასიათი. აკაკი წერდა, რომ ასე ადვილად მიმბაძველი ხალხი ცოტა მოიძებნება ქვეყანაზე[43]. ამ მხრივ განსაკუთრებული მონდომებით არიან დახასიათებული გურული ქალები, ისინი, რომელთა გარეგნობამ ზოგიერთს[44] სამხრეთ იტალიის ქალები გაახსენა. „ვინც გურიის ხალხს ცოტათი მაინც იცნობს, იმას არ გაუკვირდება აქაური ქალების ამგვარი ქცევა. ბევრი ხალხი არ უნდა მოიძებნებოდეს ქვეყანაზე იმდენათ ბუნებით ცოცხალი, მოძრავი, ყველაფერი ახლის და უცხო რამესი ადვილად მიმღები და შემთვისებელი, როგორც გურულებია. ყველაფერს ახალს და უცხოს, როგორც კარგს, ისევე ავსაც, გურული ძალიან მალე ითვისებს. ჩვენებური სოფლის ქალი ხედავს, რომ ოზურგეთის „განათლებული და სწავლული“ ქალები ძალიან ფრანტი, მდიდრულად მოდაზე შეკერილი კაბებით ირთვებიან: მაშასადამე ტან-

---

41 დ. ხიდისთავი და აქაური ჩარჩები (წერილი გურიიდან), გაზ. „ივერია“, № 174, 1897.

42 ზემოგურული, გურიის მეთამბაქოეთა მდგომარეობა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1651, 1901.

43 ა კ ა კ ი, ხასიათები, სტატია მესამე, გაზ. „დროება“, № 8, 1875; კ. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე, გურია; ჟურნ. „მოგზაური“, № 1, 1901; წერილი გურიიდან, გაზ. „ივერია“, № 37, 1878.

44 Из Гурии, газ. «Кавказ», № 30, 1865.

საცმელშიაც განათლება ყოფილაო და ვინც სწავლული და განათლებულია, უთუოდ ფრანტათაც უნდა ეცოსო! ამის მოსაზრე ჩვენებური ქალები მოსდგნენ და იკერავენ რათაც უნდა დაუჯდესთ, ძვირფას კაბებს"[45].

აკაკისაც აწუხებდა გურულის კოხტაობის საკითხი[46]. ნაგომარის იარმუკის ერთ-ერთი მხილველი წერდა „... წახდა, ბატონო, დრო, ქვეყანა გაირყვნა, ყველაფერში თვალთმაქცობა და მეტიჩრობა შემოვიდა. სხომის რომ დარაიას (შინ მომზადებული აბრეშუმის მატერია) მოვქსოვდით და პერანგად შევიკერავდით, ხუთი წელიწადი მეცვა და კიდევ მოწონება ჰქონდა: ახლა რომ ნათლი-მამას დარაიას საპერანგე გავუგზავნე, საყვედური შემომითვალა, რეიზა გამაგლეხეო, ახლანდელ დროში ტილო და ძიტკალი გლეხსაც კი აცვიაო და მე ხომ აზნაურიშვილი ვარო! უშალისკაბოთ ქალი გარეთ ვერ გამომიყვანია; ჩვენებურს ყოლიფერს ფასი და მოწონება აკლდება, უცხოს და გარეშეს დღითი-დღე ემატება..."[47] ეს მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ეგნ. ნინოშვილსაც[48].

მოდურ ჩასაცმელს და „ტანცაობა" თუ „ვიზიტების" წესს, ცხადია, უპირველეს ყოვლისა მაღალი საზოგადოების ქალები შემოიტანდნენ და ისიც ოზურგეთში, სადაც ძველთაგანვე გურიელთა სახლი ევროპული კულტურის გადმოღების საუკეთესო მაგალითს იძლეოდა[49]. მაგრამ მონაცემები იმის მაუწყებელნიც არიან, რომ ამ ხმას გლეხის ქალებიც აჰყოლიან. გურულ სოფლელ ქალთა ეს ბიმბაძველობა გაზეთის ერთ-ერთ კორესპონდენტს[50] შედარებული, აქვს ევროპის არისტოკრატთა იმ საქციელთან პარიზის ტანთ-ცმა და ქცევა ეტალიონად რომ გიხადეს. ოზურგეთთან ერთად მისაბაძ-მაგალითს ხიდისთავის მცხოვრებნიც იძლეოდნენ, რის გამოც ზემო გურიაში მას ხუმრობით „პატარა პარიზს" ეძახდნენ.

ზემოთ ვთქვით, რომ საშოვარზე გასული კაცების მეშვეობით ახალი ფორმის ჩასაცმელი გურიაში უშუალოდ რუსეთის ქალაქები-

---

[45] ქალების ერთგული, ნაგომრის იარმუკა გურიაში, გაზ. „დროება", № 100, 1875.

[46] აკაკი, „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო", გაზ. „დროება", № 450, 1874.

[47] ქალების ერთგული, დასახ. სტატია.

[48] ეგნ. ნინოშვილი, იუმორისტული ფელეტონი, გურიის ამბები, თხზ. სრ. კრ., ტ. III, ტფ., 1935, გვ. 9.

[49] Н. Дункель -Веллинг. Из записок о Гурии (продолжение), газ. «Кавказ», № 82, 1853.

[50] ქალების ერთგული, დასახ. სტატია.

დან შემოდიოდა. მაგრამ ძირითად მიმწოდებლად ქალაქები ქუთაისი და თბილისი ითვლებოდნენ, სადაც ამგვარ ჩაცმულობას მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

მთხრობლები იცნობენ გურიაში გავრცელებული სამი ტიპის ჩასაცმელს „გურული", „ქართული" და „რუსული" სამივე პირობითი ტერმინებია. მაგრამ პირველი გურულობას ვერ დაიმკვიდრებს. და ბოლოს სახელწოდებად „ევროპული" უფრო მორგებული იქნება. ᲘᲐ წ. გურულ ტანსაცმლად კაცის ჩაქურიანი კომპლექსი და ქალის ტანსაცმელიდან „ქართულ ჩაცმულობამდე" არსებული ფორმაა ნავარაუდევი. მთხრობელებს კარგად ახსოვთ ჩაქურიანი ერთობის ყველა ელემენტი, სამაგიეროდ ვერაფერს იხსენებენ ქალის ტანსაცმლის შესახებ. ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ ქალის ეს კომპლექსი XIX საუკუნის II ნახევარში გასულია მოხმარებიდან, მაშინ, როცა ჩაქურა ჩოხა-ახალუხის შემოღების შემდეგაც განაგრძობს არსებობას და XX ს. ინახავს თავს, როგორც მობურთალ-მოცეკვავეთა ფორმა.

საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზურში ვკითხულობთ: „...გამოფენაზე წარმოდგენილია მაღალი წოდების გურული ქალის ტანსაცმელი ელეგი სახელოებიანი (ზედატანი), რომელსაც გაჭრილი სახელოების ნაწიბურები და გულისპირი მდიდრულად აქვს მოქარგული, ოქრომკერდის ნაქარგი სარტყელი და გულისპირი, ლეჩაქი, აბრეშუმის კაბა, და ტყავის ქოშები"[51].

აღნიშნული კომპლექსი შერეული ხასიათისაა, მისი ერთი ნაწილი, კერძოდ, კაბა, ლეჩაქი, დალალები და ქოშები შერჩეულია გურული ქალის იმ ერთობის შესავსებად, რომელიც მუზეუმში 5—11 ნომრითაა აღრიცხული. ეს ნივთები მუზეუმში შემოსულია 1911 წლის 29 აგვისტოს, ადგილად ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის ქ. ოზურგეთია დასახელებული, მომხმარებლად გურულები, მეპატრონედ ნინო კაციას ასული გურიელი, დაბადებით დადიანი. კოლექცია 5 ელემენტისაგან შედგება და ეთნოგრაფიის განყოფილების საინვენტარო დავთარში გურული ქალის ძველებური კოსტიუმის სახელით არის გატარებული. კოლექციის შემადგენლობაში შედის ზედატანი, სახელოები; გულისპირი და სარტყელი.

მოკლე ზედატანი (№ 4—11), რომელიც გარეთი სამოსელის ფუნქციას ასრულებს შინდისფერი ხავერდისაგან არის დამზადებული. იგი ხელითაა ნაკერი. ტანზე მომდგარი ეს სამოსელი მთლიანად დასარჩულებულია თეთრი მიტკლით; სახელოებს, რომელნიც

---

[51] დასახ. მეგზური, გვ. 51.

აღწერილობით ყურთმაჯებად მოიხსენიებიან, მოყავისფრო აბრეშუმი აქვთ გამოკრული ზედატანი შედგება წინა ორი კალთისა, უკან ზურგისა და გრძლად დაშვებული დეკორატიული სახელოებისაგან, რომელთა სიგრძე (48 ს.) იღლიის ძირიდან 15 სმ. მერე შეხსნილია; ზედატანი მხრებშია გაკერილი. ტანზე გამოწყობისათვის წინა მხარის ორ ადგილას (5 და 8 სმ. დაცილებით) შიგნიდან გრძლადაა გამოკერილი (ნაპირიდან პირველის სიგრძე 19 სმ. მეორისა 11 სმ). აქედან პირველი შედარებით სწორედ მიემართება. მეორე განზე იღლიისკენაა გაზიდული. აირიბებული გვერდის ნაპირები ღრმად გადადის ზურგში: ზედატანის ბოლო შემოქობილია 1,5 სმ. სიგანის შვინდისფერი აბრეშუმით; შესაკერელად დედალ-მამალი ხრიკაა დაკერებული. წელსზევით სამოსელის ეს ნიმუში უხვადაა შემკული. გულისპირისა და სახელოთა შეხსნილ ნაპირებს შემოსდევს ოქროსფერი სირმის გრეხილი, რომლითაც ყვავილოვანი სახეებია გამოყვანილი.

ქვედა სახელოები წ. (№ 55—11/2) მოყვითალო სახიანი ატლასისა: ხელით ნაკერი. იღლიის ხაზი 11 სმ. სიგრძის გაკერვის მერე ბოლომდე გახსნილია. სახელოთა ნაპირების ოქროსფერი სირმით ყვავილოვანი ნაქარგი შემოსდევთ. დასამაგრებლად სახელოებს მხართან მიტკლის ზონარი აქვთ მოკერებული.

გულისპირი (№ 5—11/3) მოყვითალო, სახიანი ატლასისა: კისერზე მოდებული და წინ გულისპირში ჩაშვებული ორი გახსნილი ნაპირით. ნაპირები ცოტათია გადაკეცილი და ხელით ამოხვეული. შიდა მხარეს ოქროსფერი არშია აქვთ შემოვლებული. ნაქარგი ისეთივეა როგორიც წინა ნივთებზე მოვიხსენიეთ.

სარტყელი (№ 5—11/4) ატლასისაა, გამოკრული აქვს თეთრი აბრეშუმის სარჩული. ნაქარგია ოქროს ძაფით; სარტყელს მიმაგრებული აქვს ორი ტოტი (№ 5—11/5), რომელიც იგივე მასალისაა და მსგავსად შემკობილი.

კომპლექსისათვის შერჩეული თეთრი კაბა აბრეშუმისაა, რომელსაც სიგრძივ „მუარის“ თეთრი ზოლები დაუყვება. ხელით ნაკერი ეს კაბა ორნაწილიანია. კაბის ზედატანი ტანზეა მოყვანილი. იგი ზურგში და გვერდებზეა გაკერილი. გულისპირი ღრმად, ოთხკუთხედის ფორმაზეა ამოღებული აქვს გრძელი და მხრებთან სწორად მიდგმული სახელოები, რომელთა სიგანე ბოლოსაკენ იკლებს და მაჯასთან პირისფერი აბრეშუმით დასარჩულებული ყოშით მთავრდება. იღლიის ძირში ხიშტაკებია შედგმული. ზედატანი ქვედასთან





სურ. 1. ზებანი



სურ. 2. კაბის სახელოები, გულისპირი, სარტყელი

დაკავშირებულია მცირე სიგანის ქსოვილით, რომელიც ღრმა ნაკეცებით არის მიკერებული. ქვედატანი ხუთნაჭრიანია. შედგება სამი დიდი განისა და ორი მომცროსაგან, რომელნიც ქვედატანის უკა-



სურ. 3. კაბა (თარგი)

ნა მხარეზეა მოქცეული. ქობად თავისივე ნაჭერია გადაკეცილი. კაბა გამოირჩევა შემკულობით. მასალად ნახმარი აბრეშუმის ნაჭერი, რომელიც ზემოდან უხვადაა ნაქარგი ფერადი აბრეშუმის ძაფებით.

ორნამენტის სახე ყვავილოვანია; ნაქარგობაში ჩართულია ფერადი შუშის სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები, ესევე ფირფიტებიც.

აღნიშნულ კაბასთან ერთად კომპლექსის შესაბამისად გამოყენებული ლეჩაქი სამკუთხი ფორმისაა და ნაქარგი მცენარული სახეებით შემკული; ქოში ყავისფერი ტყავისა, დაბალქუსლიანი.

დახასიათებული ერთობის გარშემო თავს იყრის გაურკვეველ საკითხთა წყება: შემადგენლობა, გავრცელება, მოხმარება და სხვ.



სურ. 4 კაბის შემკულობა

თავიდანვე ითქვა, რომ კომპლექსი გამოფენის მომწყობთა მიერ არის შერჩეული. სხვა მონაცემებთან ერთად, ისინი, ცხადია, ხელმძღვანელობდნენ გურული ლექსიკონითაც, სადაც გურული შეძლებული ქალის ტანსაცმელია აღწერილი: „ჯამფასის ნიფხავ-პერანგი, ყანაოზის კაბა, გრძელი, ნაოჭიანი, გულზე აღილული. წელზე გრძელი, ბრტყელი აბრეშუმის სარტყელი, რომელიც კაბის კალთის წინა ნაწილს შუაში ჩაჰყვებოდა წელიდან ორფად. კერმუხტის ქოშები; თავხურვა ანუ ჩიხტი კოპი; კაკვილები; თავსრაკი (თავსაკრი) მო-

ქარგული, „გურჯელაი“-თვლიანი ქონძისთავი ზედმიბნეული: ლაჩაქი (ლეჩაქი, თავსრაკ-ლეჩაქი); ქათიბი (ბეწვიანი ჩასაცმელი)“[52].

ზემოთ დახასიათებული კაბა ლიტერატურაში ქართული კაბის ვარიანტად არის მიჩნეული[53] როგორც ვხედავთ, აქ ქართული კაბით შედგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ფართოდ და საქართველოს სხვა კუთხეებში ნაკლებად გავრცელებული ერთობაა წარმოდგენილი. გამოფენილი ასე სრულყოფილად არ გამოიყურება და ძირითად სხვაობას ბეწვიანი ქათიბის უქონლობა და მის სანაცვლოდ, მოკლე, წელამდე დასული სიგრძის ჩასაცმელის ის ნიმუში იძლევა, რომელიც საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზურში სახელოებიანი ელეგის სახელით არის სახელდებული.

შესაძლებელია, დასავლეთ საქართველოს ბარის კლიმატური პირობები არც აყენებდა დათბილული ქათიბის გამოყენების აუცილებლობას. ელეგის შესახებ კი შემდეგი უნდა აღინიშნოს: ამ სახელწოდებით გურიაში დღემდე მოხუც ქალთა წრეში თავს ინახავს გულის დამჭერი, მოკლე, უსახელოებო, გულამოიებული და წინ ღილებით შეკრული სამოსელი. როგორც ქალის, ასევე მამაკაცის გურულ-აჭარული სამოსელის ყველა კომპლექსში ელეგს შიდა სამოსელის ფუნქცია აკისრია, გარეთა სამოსლად კი ზუბუნია დასახელებული. სწორედ ქალის ასეთ გრძელ და წელამდე გვერდებშეხსნილ ზუბუნთან (№ 11—13/7), ამეღავნებს სიახლოვეს ჩვენთვის საინტერესო ნიმუში, არა მარტო ფორმით, არამედ შემკულობითაც. ქარგვის მოტივის მსგავსებას თან ერთვის მოსაქარგავი საშუალებების ერთგვაროვნებაც. ძველ (XVIII ს.) მზითვის წიგნებში[54] კაბა-ქათიბთან ერთად ზუბუნიც არის მოხსენებული.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოთ დახასიათებულ ერთობასთან წარმოდგენილი მოკლე ზედატანი, ძველად, გურიაში ქალთა წრეში გავრცელებული „აჭარულის“ მსგავსი ტანსაცმლიდან, კერძოდ, ზუბუნიდან უნდა მომდინარეობდეს. აქ განხილული ფორმა ადგილობრივ უნდა იყოს შემუშავებული და ქათიბის სანაცვლოდ მოხერხებულად გამოყენებული ქართული კაბით შედგენილ კომპლექსთან ერთად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული ჩაც-

---

[52] გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონი, გურულის შემდგენელი გ. შარაშიძე, თბ., 1938.

[53] დასახ. მეგზური, გვ. 51.

[54] მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), გამომც. მ. იაშვილი. თბ., 1974, გვ. გვ. 96, 107.

მულობის“ სრულყოფილება გურიაში თავსაბურავის ელემენტების არასრული გამოყენებითაც ხშირად ირღვეოდა. უმეტესად, ქართულ სარტყელ-გულისპირიან კაბასთან მარტო ლეჩაქით სცოდნიათ თავის დაბურვა, რომელიც აფხაზური წესით ჰქონიათ თავზე მოხვეული[55]. გურული ქალის ეს ჩაცმულობა ქართული კაბით შედგენილი ერთობის ერთ-ერთ საინტერესო გამოვლენად უნდა მივიღოთ.

აღნიშნულ კომპლექსში გაერთიანებული ელემენტები აშკარად ხდიან მისი კუთვნილების საკითხსაც. იგულისხმება, რომ მოსახლეობის იმ მცირე ნაწილში, მაღალი საზოგადოების ქალთა გვერდით მდიდარი გლეხის ქალებიც უნდა მივითვალოთ. მისი გავრცელების არეალად საქართველოს გურია-სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და აფხაზეთია მოხაზული[56].

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჩამოყალიბებული ქართული სარტყელ-გულისპირიანი კაბით და ქათიბით შედგენილი ჩაცმულობა ჯერ დასავლეთ საქართველოს ბარში, ხოლო შემდეგ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეშიც ვრცელდება, რომელიც თითქმის ყველგან იმეორებს ქართლ-კახური ჩაცმულობისათვის დამახასიათებელ ძირითად ელემენტებს. XIX ს. II ნახევარში, როცა ქართული კაბით მორთულ ქალებს „ახალი მოდის“ ჩასაცმელი მიუღიათ, „ქართულ ჩაცმულობას“ გლეხთა წრეში ვამოწმებთ, როგორც ჯვრის წერის დროს გამოყენებული სამოსელის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.

საგვირგვინო სახლართავიანი კაბა (ოქროსფერი, ჩალისფერი, ვარდისფერი, ცისფერი), სარტყელ-გულისპირიანი ყოფილა დაძგრიალებულ-დაჯინჯილებული. ზემოდან მოსახურავი უნდოდა, ზამთარში უბეწვო ქათიბი ან ტალმა და ზაფხულში „პელენიკა“, რომელიც ტატილებით (წვრილი მძივებით) ყოფილა გაწყობილი. სწორედ ამგვარი სამოსელის მოხმარებით უნდა აიხსნას გურიაში დადასტურებული ზოგადი ტერმინების „საცმელ-სამოსელის“ არსებობა. ტალმატოლომის სახელწოდებით ცნობილი ნაბდისებური ტიპის სამოსელის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ბარში დოკუმენტურად XVIII ს. მოწმდება[57]. მისი გავრცელების წარმოსადგენად გვინდა გავიხსენოთ შალიკაშვილების გვარის გუ-

---

[55] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „პირიმზე“ (რომანი), გაზ. „კვალი“, 1899, გვ. 194.

[56] დასახ. მეგზური, გვ. 51.

[57] მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის.., გვ.გვ. 96, 107, 116.

რიაში დამკვიდრებასთან დაკავშირებული ერთი გადმოცემა[58]. შავშეთიდან ოსმალებს გამოქცეული თავადი შალიკაშვილის ოჯახი გურიის მთავარს მიუცია. ერთი ბმა გომში დაუსახლებია, დანარჩენი—ს. ღვინელას. აღდგომა დილას წირვის დროს სოფელს მტერი დასხმია თავს, მღვდელი იქვე მოუკლავთ და სხვები ტყვედ გაურეკიათ, მათ შორის 24 ტოლომიანი ქალიც.

ქართული ჩაცმულობის დროს თავიც ქართულად უნდა დაეხურათ. შუაში ან ზემოთ ავარცხნილ თმას ორ ან ერთ ბწნად იკეთებდნენ. ყურებთან თმები ჯანჯუხებივით ეკიდათ და თავზე თავხურვა ედგათ: ჩიხტი-კოპი. თავსრაკი შუბლსაკრავია და გაურჯელა-შუბლის ქინძისთავი, თუმცა ზოგი მთხრობელი ამ უკანასკნელს კოპის აღსანიშნავად ხმარობს. თავსაბურავიდან ლეჩაქი ყველაზე პოპულარული ყოფილა. სიმღერად დარჩენილა ხალხში; „ლეჩაქი ქარმა წამართვა, მოსახურავი წყალმაო“. დასახელებულ ერთობას XIX საუკუნის ბოლოსათვის უკვე ქალაქური ფეხსაცმლებით ავსებდნენ.

როგორც გაირკვა, წარმომაელობის მიუხედავად, ქართული ჩაცმით ყველას შეეძლო ესარგებლა. ნაკლებ სარწმუნოა, მაგრამ მთხრობელები აღნიშნავდნენ, რომ „ღარიბზე მეტი იყო მდიდარი გლეხი“, მაგრამ „პაწაი შეძლებულ გლეხ ქალებსაც ჰქონდათ თურმე ადრე სარტყელ-გულისძირიანი კაბა, რომელშიაც ჯვრის დაწერა იყო კარგი“[59]. XIX ს. ბოლოს გურიაში მოგზაურობის დროს თ. სახოკიას ოზურგეთში ოთხი მანდილოსანი შეხვედრია ქართულად ჩაცმულ-დახურული[60]. ეს მონაცემი გურიაში ხმარებიდან გასული ჩაცმულობის აღსარიცხავად გამოგვადგება მხოლოდ.

იმერთა ზოგად დახასიათებაში ვახუშტის ერთი საინტერესო დაკვირვება მოეპოვება: „..ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთცა იუწყე, გარნა უშვენიერესადცა და უუჰეროვნესადცა. ვინაიდგან გლეხთაცა შვილნი მიგუანან წარჩინებულთა შვილთა—სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა და საჭურველთა“[61]. ვახუშტის მიერ შემჩნეული ეს თვისება გურულებს დიდხანს გაჰყოლიათ და XIX ს. ბოლოსათვის იგი ისევ შესამჩნევი

---

[58] საარქივო მასალა წულაძეებისა და შალიკაშვილების გვარის გურიაში დასახლების შესახებ (1894 წლისა) საინვ. № 865, (დაცულია ეგნ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმში (ს. არჩეული).

[59] გურიის 1977 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2, გვ. 29, 36.

[60] თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[61] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 32.

ყოფილა. თ. სახოკიას გურიაში მოგზაურობის დროს დღიურში ჩაუწერია: „...აქაურებს ვერ შეამჩნევთ იმ კონტრასტს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს თავადსა. აზნაურსა და გლეხს შუა არის. განსაკუთრებით დღეობაში ქართლში და, საზოგადოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, გლეხი თავადისაგან გამოიცნო, არც ჩაცმულობა და რაიმე დაახლოვებული მაინც მსგავსება, არც ქცევა-ლაპარაკში. ამ ორ წოდებას შუა უშველებელი უფსკრულია, ხიდია ჩატეხილი, ქართლელ გლეხს რაღაც დაჩაგვრის, დამონების ბეჭედი აზის სახეზედა. თამამად ორ სიტყვას ვერ ეტყვის ადამიანს. თითქმის რაღაცის ეშინიან, რაღაც აწუხებს, თავი მაღლა ვერ აუღია. წელში ვერ გასწორებულა, ახლა ნახეთ აქაური, გურული გლეხი და შეადარეთ მის ქართლელ მოძმეს! შედარებაც კი არ შეიძლება, თითქმის ყველას გრძელი ჩოხა აცვია სუფთად და ფაქიზად: გლეხიც თავადივით პირდაპირ მოლაპარაკეა, თამამი მოსიყვარულე, დაშაქრული სიტყვა-პასუხის პატრონი, უმაღლესად ზრდილი და თავაზიანი“[63]. XIX L. საქართველოში ფართოდ მოარული „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა, ჩვენის აზრით თ. სახოკიას მიერ გაზვიადებით არის წარმოდგენილი.

მოტანილი მასალა ქალის საგარეო და ძირითადად საქორწილო სამოსელს შეეხებოდა. არანაკლებ მზრუნველობას იჩენდნენ მიცვალებულისა და გლოვის დროს სახმარი ტანსაცმლის მიმართაც. ძველად, გურიაში ქორწილი მილოცვიანი სცოდნიათ და ტირილი წაბურვიანი. ახალი წესისაგან განსხვავებით, ორივე მსუბუქი ვალდებულება ყოფილა და მძიმე ხარკად არ აწვებოდა გლეხის ოჯახს. მიცვალებულს ტრადიციული წესის მიხედვით დაიტირებდნენ და დაასაფლავებდნენ. დასაფლავების რთულ რიტუალში მიცვალებულის გაწყობასაც დიდ დროს უთმობდნენ.

აკრძალული იყო მიცვალებულისათვის შალის ტანსაცმლის ჩაცმა, „ბწკენს და არც დიდხანს დნებაო“. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ მაშინაც, როცა მკვდარს უპურჭლოდ, მარტო წმინდა სანთელში ამოვლებულ თეთრ ტილოში — სუდარით გახვეულს აბარებდნენ მიწას[63]. არც ფეხსაცმელების გატანა ყოფილა კარგი, განსაკუთრებით ერიდებოდნენ რეზინის ძირიანებს. რკინის ნივთის გატანება ასევე წესი არ იყო, ოქრო-ვერცხლისა პირიქით. საყურისა და ბეჭდების გარეშე არცერთი გურული ქალი არ იქნებოდა.

---

[62] თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[63] Гуриец. Похороны и оплакивавние в Гурии, газ. «Кавказ», № 252, 1884.

დიდი მოწონება ჰქონდა აგრეთვე ქარვის მძივებსაც. მაგრამ აღნიშნულიდან მიცვალებულისათვის საყურის გატანება იყო აუცილებელი, ისე რომ დაემარხათ, იტყოდნენ. გველი გაატანს კუდსაო[64].

მიცვალებულისათვის უხმარი ტანსაცმელი არ უნდა ჩაეცვათ, რადგან იმ ქვეყანაში ველარ იცნობდნენ. თუ ამ წესს დაარღვევდნენ, მიცვალებული სულ შიშველი ესიზმრებოდათ. თუ მიცვალებულს გარეთ ტანსაცმელი ისეთი ჰქონდა, რომ ახლის ჩაცმა აუცილებელი ხდებოდა, მაშინ საცვლებად მაინც ნახმარი უნდა გამოეყენებინათ — პატრონის სითბო ექნებაო. მიცვალებულის ტანსაცმლის საუკეთესო ხელს ჯვრისწერის ტანსაცმელი ქმნიდა, ამიტომ თავიდანვე სიფრთხილით ხმარობდნენ და სიკვდილამდე ინახავდნენ. ზოგიერთებს სწამდათ, ეს რომ გაიცვითოს, ბედი გვიღალატებსო. ღრმა მოხუცს ამაში არ გამოაწკობდნენ, თან ჩაატანდნენ, რადგან წესად ჰქონდათ მოხუცების მუქ ტანსაცმელში დამარხვა. „შეკოჭვილს“ არაფერს არ ჩააყოლებდნენ — შეწუხდება მკვდარიო. თუ ამ შემთხვევაში მკვდრის შეწუხებას ერიდებოდნენ, სხვა დროს პირიქით იქცეოდნენ. დამარხვის წინ ჭურჭლიდან რაიმე ნივთის ამოკლება და შინ წამოღება სცოდნიათ ეწყინება და სახლს აღარ მოაკითხავსო.

აღდგომა-ახალკვირის და შობას ვარდაცვლილი ცხონებულად მიაჩნდათ, რადგან ამ დროს ჯოჯოხეთი დანგრეული ყოფილა და სამოთხის კარი ღია. ამ დღეებში გარდაცვლილის გამო არც დიდ ტირილს გამართავდნენ და არც ისე იგლოვებდნენ. ზარის მაგივრად „ქრისტე აღსდგაო“ გალობდნენ თურმე და ძაძა-ფლასის სანაცვლოდ ნაკლებ სამგლოვიარო ეცვათ[65]. სხვა შემთხვევაში კი გლოვა დიდი სცოდნიათ, მაგრამ არც ისეთი, როგორიც სვანეთსა და სამეგრელოში.

როგორც ყველგან, აქაც ყველაზე მეტად ქმრის დაღუპვას აღნიშნავდნენ, მერე შვილისას. ქვრივს ძაძა-ფლასი უნდა ეტარებინა, რომელიც იმ დროს გავრცელებული ტანსაცმლის ფორმის შესატყვისი იყო, მხოლოდ უბრალო მასალისაგან, ულაზათოდ დამზადებული. ამ სამოსელს ყველა ნაპირი შემოუტეხავი ჰქონდა. შავთან ერთად ყავისფერიც სამგლოვიარო ფერად მიაჩნდათ[66]. ძაძა-ფლასში გახვეულს ძველად საცვლებიც შავი უნდა სცმოდა. ფეხშიშველი ეარნა და ულოგინოდ ხმელ ჭილოფზე დაეძინა. ძაძის განახლება ნებადართული არ იყო, ის ხევით უნდა გაეცვითათ. აკრძალული ჰქონდათ ზედ საკერა-

---

[64] მ. ხიზანიშვილის მიერ გურიაში შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალა, 1977; რვ. № 1.

[65] აპ. წ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 228.

[66] Т. М а м а л а д з е. Указ. соч., с 87.

ვის დადებაც, რადგან მის განახლებას, ახალი უბედურება მოჰყვებოდა. ძაძის ტარების ვადა 40 დღე ან 1 წელი ყოფილა, რის შემდეგ მას ეზოს გარეთ გაიტანდნენ დასაწვავად და თვითონ კი შეცვლილი შავს ატარებდნენ ნაპირებშემოტეხილი შავით 3 წელს მაინც შეასრულებდნენ და მერე თალხებზე გადადიოდნენ. ამ ტანსაცმელშიც თეთრი და წითელი არ უნდა გამოერიათ. შავებით მოსილს არ შეეძლო ბატონებიან ავადმყოფთან გამოჩენა და არც აღდგომის დროს წითელი კვერცხით ვინმეს მილოცვა[67].

კაი „ტან-ფეხი" ანუ „საგარიოთ გამოსაჩენი" ტანსაცმელი გურიაში განსხვავდებოდა საშინაოსაგან, ზოგჯერ ფორმით, ხშირად მასალისა და შემკულობის მხრივ, საშინაოდ ქალს სადად—„ჩალინ-ჩათ" უნდა სცმოდა. შესასწავლ პერიოდში ამ ტიპის ჩასაცმელის ძირითად ფორმას წელსზევითისა და წელსქვევითის ერთობა იძლეოდა. მათ გვერდით ვხვდებით ადრინდელი ჩაცმულობიდან მომდინარე წელში გადაჭრილი და ყელამდე ღილებით შეკრულ მთლიანი კაბის ნიმუშებს. საცვლებისა თუ სხვა დანიშნულების ტანსაცმლის ნაირფეროვნება კიდევ ინახავს ადრეარსებული ჩაცმულობის ცალკეულ ელემენტებს. ზოგიერთს მთლიანად შეცვლილი აქვს ძველი ფუნქცია.

1854 წ.. „კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილში ნ. დუნკელ-ველინგი წერდა, რომ გურულ ქალებს უყვართ ღია ფერისა და საუკეთესო ქსოვილის ტანსაცმელი, მაგრამ ისინი ყურადღებას მხოლოდ გამოსაჩენ სამოსელს აქცევენო[68]. რამდენად მართებულია XIX საუკუნის შუა წლებისათვის ავტორის ეს სიტყვები ძნელი დასადგენია, მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოსათვის რომ საცვლები გურული ქალის საზრუნავის ერთ-ერთ საგანს შეადგენდა, ეს ჩვენი მასალებითაც აშკარაა. მოხუც ქალთა წრეში ისევ მოსწონთ XIX საუკუნის შუა წლებიდან მოსული ორსართავიანი, ნაწილებიანი, უბით შედგენილი, ოთხზოლტიანი ქვედა საცვალი, რომელსაც თავისი წინაპრის ყველა ნიშანი უსესხია, სიგრძის გარდა. ასევე ვხვდებით ყელდახურულსა და გრძელი სახელოებით შედგენილ პერანგებსაც, მაგრამ ძირითად ფორმად ლარგაყრილი ან ღილით შეკრული მოკლე ტოტიან ქვედასა და „მოხაპულ" (გულმოხსნილ) მხრიან ზედას ასახელებენ. ადრე არსებული მალული ქვედაბოლო და წელსზეითი ისევ განაგრძნობენ არსებობას და მათ მომხმარებლად დღესაც არაერთი

---

[67] Т. Мамаладзе, Указ. соч., с. 50.

[68] Н. Дункель-Веллинг. Из записок о Гурии, газ. «Кавказ», № 10, 1854.

სოფლული ქალი გამოდის. გურიაში კარგად ახსოვთ ქვეშა „ორაბორკიანი იუბკა“, რომელსაც ზედა კაბა განზე უნდა დაეყენებინა. თუ ზაფხულში მალული ქვედაბოლოს დასამზადებლად ქსოვილებს იყენებდნენ, საზამთროდ მატყლის ძაფებითა და ყაისნაღით ნაქსოკი სცმიათ. სათბურად დაბამბულიც უტარებიათ, რომელთაც გურიაში „ლაბადა“ რქმევია[69].

პერანგს ზემოდან „ელეგი“ ეცვათ. ის ფაქტიურად მოხაპული პერანგის ზედაა, მხოლოდ ტანზე მომდგარი და წინ ან გვერდში აღილული. ითვლებოდა ქალის გულმკერდის დამფარავ საშუალებად. ზამთარში სქელ მასალას ურჩევდნენ ან დაბამბავდნენ და ამით სათბილავი სამოსელის ფუნქციასაც იძენდა. მოხუცები ახლაც დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ „თუ გინდ ჩითის რუბაშკა გცმოდა, მაინც არ გაციოდებოდი, ი რომ გადავარდა მას მერე დაავადდა ხალხი“[79]. შემდგომში, მხრიანი, მოკლე ზედაწელი, რომელიც ზოგჯერ სარტყელშიც იყო მოქცეული, სამკლაურიანი გამხდარა და მოკლე პერანგის მოხმარების დროს მისი ადგილი პერანგის შიგნით გადანაცვლებულა. ამის მერე იგი წმინდა საქალო სამოსელად ქცეულა.

გურიაში დამოწმდა ერთი სათბილო სამოსელიც, რომელიც სახლში მოქსოვილ მხრის შალებთან ერთად დიდ სამსახურს უწევდა გლეხობას. მას აქ „ზიპუნას“ სახელწოდებით იცნობენ და იგი ერთნაირად გამოიყენება როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა წრეში. ეს კაბასა და პერანგს შუა მოთავსებული ჩასაცმელი უსახელოებო ზედატანს წარმოადგენდა და შერჩეულ მასალასთან ერთად დაბამბულიც გამოუყენებიათ. ამჟამად მოსახლეობა მოქსოვილით კმაყოფილდება.

საშინაოდ გურული ქალი ორი „ცახოცით“ იხურავდა თავს. პირველით, პატარა სამკუთხედის ფორმაზე მოყვანილით, შუბლს გაიკრავდა და მეორე ოთხკუთხედს, რომელიც უბეურად უნდა მოეკეცა, თავზე გადმოიფარებდა და წინ ყელთან დაიმაგრებდა. ზამთარში მათ სამკუთხედის ფორმაზე ჯოხებითა და ყაისნაღით მოქსოვილი „ღაზილა“ ცვლიდა ან დიდი ზომის თავშალი. დღისით სამზეურს იხურავდნენ, რომელსაც გარშემო ფრთები ჰქონია და „წმელაის“ ეუდს ანუ ჭილოფისას ყანაში მუშაობის დროს გამოიყენებდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ქალის ეროვნული ჩაცმულობის რღვევა ფეხსაცმლით დაიწყო. მიუხედავად ამისა, გუ-

---

[69] დასახ. გურული ლექსიკონი.

[70] გურიის 1977 წლის ექსპედიციის მასალები, რე. № 2, გვ. 64.

რიაში სამუშაოზე თუ შინ სახმარად ადრე არსებული ფეხსაცმელისა და ფეხსამოსის არაერთ ნიმუშს ვხვდებით. მათ შორის ყველაზე პოპულარული წუღა, კაცის „ლეკურა“ — დახურულ წუღისაგან განსხვავებით, „პირმოხაპული“ ყოფილა. წუღას ხარაზები კერავდნენ. ქვეშ მთლიანი ტყავი ჰქონდა საძირედ, საპირედ — „სამუგე“. ზოგიერთი საპირე მოსირმულიც ყოფილა. სცოდნიათ „ქუბიანი წუღაც“, რომლსაც ჩვეულებრივისაგან განსხვავებით თავისივე ტყავი ჰქონდა ქუბად ჩაყოლებული, დალბობილ ხარაზულ ტყავს თარგით გამოჭრიდნენ და ბამბის გასანთლული ძაფით შეკერავდნენ. შეკერვით უკუღმა კერავდნენ, შემდეგ გადმოაბრუნებდნენ და კალაპოტზე გააშრობდნენ. გაჭირვების ჟამს რეზინისირიანი წუღებიც სცმიათ, რომელნიც გამძლეობის გამო „ვირის წუღების“ სახელით მოუნათლავთ გურულებს. წუღის მაგიერი ჩუსტების სახელწოდებად აქ „პაპუცებია“ დადასტურებული[71].

არანაკლები მოწონებით სარგებლობდა ხის ქოში—„ოჩოფეხი“, რომელიც ადრე საგარეო სამოსელთანაც მოიხმარებოდა. „ძველად ნახევარი გზობა ოჩოფეხები გვქონდა“ და „ახალ ქოშებს პატარძლებსაც მიართმევდნენ ხოლმეო“ — იგონებენ მთხრობელები[72]. ოჩოფეხის ძირად წიფლის ან თხმელას ხეს გამოჩორკნიდნენ, პირად „პალატკა“, შალი, ტილო ან ქალაქურ ტყავს აირჩევდნენ. ფეხსაცმლის ეს სახეობა ორგვარი ჰქონიათ: დაბალქუსლიანი ზაფხულში და მაღალქუსლიანი ზამთარში სატარებლად, რომ თოვლსა და ტალახში მოსიარულეს ფეხი სისველისაგან დაეცვა. საპირის დაცვის მიზნით, გარშემო „ჟესტს“ შემოაჭედებდნენ.

გურიაში სცოდნიათ აგრეთვე კანაფისძირიანი ფეხსაცმელების დამზადება. კანაფის ძაფს დაგრეხავდნენ და ძირის ფორმას მიაღებინებდნენ, მერე ზედ საპირეს დაადგამდნენ. ასეთი ტიპის ფეხსაცმელიც ორგვარი ყოფილა ქუსლიანი და უქუსლო.

ქალები იშვიათად გამოიყენებდნენ ქალამანსა და ქეჩხოს (ტყავი). ოჯახში ქალის სახელზე ქალამნის ორი ცმა მაინც იქნებოდა შენახული, რომ საჭიროების დროს მათი მოხმარება შეძლებოდათ, ამ მიზნით, ძროხის ტყავს ხმარობდნენ, ფორმად კი მეგრული ერჩივნათ, რომელიც ნაკლებ თბილი იყო, მაგრამ კოხტა-წუღის მსგავსი. ქეჩხოს თხის ტყავისაგან კერავდნენ. ბეწვით გარეთ მოქცეული ტყავის ამ სამოსელს სახელოებს არ უკეთებდნენ და გულისპირსაც

---

[71] აპ. წ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

[72] გურიის 1977, 1978 წლების ექსპედიციის მასალები, რვ. № 1, გვ. 13, რვ. № 1, გვ. 4.

ჩახსნილს უტოვებდნენ. მისი სიგრძე თეძოებს წვდებოდა. სიცი-ვესა და ავდარში კარგი მოსახმარი იყო.

წუღებში სითბოსათვის შალის ძაფისაგან ტერფის ფორმაზე მოყვანილ ფაჩუჩებს იცვამდნენ. ს. ნაბეღლავში მათ სახელწოდებად „ფაჩაქულა“ გაახსენდათ. ისე მატყლის ძაფის მოკლე წინდებს „კა-რაპინებს“ ეძახდნენ, გრძელს — „თათებს“, სხვა ტიპის ფეხსაც-მელში აბრეშუმის კარაპინები სცმიათ. წუღები რომ „დაგჯებოდა“, მერე „ჩხაპურტედ“ ეცვათ, რაც ქუსლებჩათელილ ფეხსაცმელებს. აღნიშნავს, სახლში ფეხზე მორთულ ფოსტლებს ახლაც ჩხაპურ-ტებს უწოდებენ.

გურიაში ფრაგმენტალურად შემორჩენილი ძველქართული წეს-ჩვეულებათა ნაწილის რიტუალური ქმედება ტანსაცმლის ცალკეუ-ლი ელემენტების აუცილებელ მონაწილეობას ვარაუდობს. ასეთი სახის ბრძნილობა, როგორც ამას გურიაში უწოდებენ, თუ მაგიუ-რი მოქმედება ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს უკავშირ-დება, მაგალითად, ავი თვალისა თუ ბავნიერულებისაგან ადამიანის დაცვას, ეკლესიის კარზე ძღვნად მიტანის წესს, ტანსაცმლის მოვ-ლა-შენახვის საკითხებს, ჩამცმელი ქალის სახელით ის ქალი სარგებ-ლობდა, ვისაც სამი ხელი საგარეო ტანსაცმელი მაინც ექნებოდა. მაგრამ გურული ქალი კარგი ქალობის სახელს მაშინ დაირქმევდა, როცა ამ ტანსაცმლის კარგი პატრონი და მომვლელი გამოვიდოდა. მოვლა კი პირველ რიგში მის ხშირ გამომზეურებაში გამოიხატებო-და, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს ნეს-ტიანი ჰავა თავის დაღს დაასვამდა. ამ საქმის შესრულება ყველა დღეს შეეძლოთ შაბათ-კვირასა და უქმის გარდა. განსაკუთრებით უფრთ-ხოდნენ ხარება დღეს, რადგან ხარებაზე რომ რამე გამოეტანათ, უხ-სენებელი ჩამოვიდოდა[73]. ამ მხრივ ტანსაცმელს განსაკუთრებული ყურადღება ივნისის თვეში სჭირდებოდა, როცა აქ გამუდმებული წვიმები იცოდა, რის გამოც ამ თვეს „ჩოხა დამპალესაც“ უწოდებდ-ნენ. ტანსაცმლის დამჭრელი ჭიის — ჩინჩის დასაფრთხობად სუნია-ნი მცენარის ნიგვზისა და თამბაქოს ფოთლების ჩაწყობა სცოდნიათ ძველებურ კამოდ-ზანდუკებში. ამავე მიზნით გამოუყენებიათ ომ-ბალო, ანწლი, წალიკა (წვრილფოთლოვანი ბალახია) და ნიორი.. მწერის არჩევის სახელწოდებით გურიაში ცნობილი რიტუალით[74], რომელიც დიდმარხვის წინა ღამეს სრულდებოდა, ტანსაცმლის დამჭრელი ჭიის ულუფაც იყო განსაზღვრული. აღების ვახშმის ნამ-ცეცებით გატენილ კვერცხის ნაჭუჭს სახლიდან მოშორებით წაი-

---

[73] მ. ხიზანიშვილის დასახ. მასალები.

[74] Т. Мамаладзе. Указ. соч., с. 47.

ღებდნენ და იქ ხის ფუღუროში დააბინავებდნენ. ფიქრობდნენ, რა-კი მწერებმა თავისი წილი კერძი მიიღეს, ამ საზღვარს აღარ გადასცილდებიანო[75]. ზოგიერთი დიასახლისი სიფრთხილეს იჩენდა და დამატებით მატყლის ან შალის ძაფის პატარა ნაჭერს სადმე მოათავსებდა და იტყოდა; „ჩინჩა ეს შენი არჩივია, ჭამე და იყავი მანდაო“[76].

გასარეცხად ნაცრის ძალას იყენებდნენ. სარეცხს რამდენიმე ღამით გარეთ ტოვებდნენ, ცვარს მიიღებს და გათეთრდებაო. შავი ტანსაცმლის მოვლაც განსაკუთრებული სცოდნიათ; წყალში ლეღვის ფოთოლს ჩაჰყრიდნენ და მოადუღებდნენ. ამ წყლით კარგად იწმინდებოდა შავი ფერის სამოსელი[77].

სწამდათ ფეხადი, ხელადი და თვალავი ადამიანის არსებობა. ავი თვალისაგან დასაცავად ავგაროზს გამოიყენებდნენ, რომელიც წითელი ვაშლის ხისაგან გამოთლილ ჯვარს წარმოადგენდა ან წითელი ტყავის სამკუთხედის ფორმაზე მოყვანილ ნივთს, რომელშიც „წმინდა საგნები“ ეწყო, ხან ქაღალდზე დაწერილი ლოცვა. „ანგაროზს“ ყელზე ატარებდნენ, ზოგჯერ ტანსაცმელს შიგნით მარჯვენა ბეჭარზე ან გვერდში დააკერებდნენ. ასევე დიდი შიში ჰქონიათ კუდიანებისაც, განსაკუთრებით კვირიკობის (ივლისი) 20-ში და დადეგს (1 სექტემბერი). ამ დღეების დადგომის წინ აუცილებელი ყოფილა ოჯახში ყველაფრის სანთლით შებეჭნა. ასეც იტყოდნენ, კვირიკობას შებეჭნილს ელვა აღარ მიუდგება და დადექობისა როკაპის საჩუქრად აღარ ივარგებსო. საჩუქარი კი ზღვის პირზე უნდა მიეტანათ კუდიანების წინამძღოლთან, რომელიც ხნე ქალის სახით წარმოედგინათ. ზღვიდან ამოსულ როკაპს მისულები ზღვის კენჭებს ესროდნენ თურმე კბილებში „შემომიწირავს შენთვის სულიო“. ეს სული კი იმისი ყოფილა, ვისაც შებეჭნა დავიწყებია ან ვერ მოუსწრია და მზაკვავს მისთვის თვალი დაუდგია[78]. 1 ენკენისთვე თ. სახოკიას გამოთქმით, კუდიანების საბენეფისო დღე, ხალხური დაკვირვებით ისეთი ყოფილა, რის მერე ხე აღარ გამოისხამდა, მხოლოდ ნაყოფი მწიფდებოდა. „დადა შემოვიდაო“ — ამბობდნენ გურიაში, მოდის ტეხა-კრეფაო[79]. თუ ხალხი გამაფრთხილებელ ზომებს არ მიიღებდა, მაშინ მღალავი თავისუფლად შევიდოდა სახლებში და

---

[75] მ ა კ ა რ ი თ ა ვ დ უ მ ა ძ ი ს დასახ. მასალა, გვ. 14.

[76] გურიის 1977 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 1, გვ. 48.

[77] გურიის 1978 წლის ექსპედიციის მასალები, რვ. № 2, გვ. 171, ქსენია კარსანიძის ჩანაწერები.

[78] ვ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. მასალები.

[79] იქვე.

შეუბეჭნავ ადამიანს გულს ან ტანსაცმელს ნაჭერს ამოაცლიდა, რაც ამ ადამიანის დაძაბუნების საწინდალი იყო.

ტანსაცმელთან დაკავშირებული სხვა წესებიც დადასტურდა გურიაში. მშობიარეს წელზე შემოარტყამდნენ სარტყელს, ღმერთის წყალობით იოლად მორჩებაო. ბებიაქალი თვითონ მოიხსნიდა სარტყელს და თავზე შემოავლებდა: „ღვთის მშობელო დედავ, გზაი ხსნილი მიეცი, მშვიდობით გადაარჩინე. ღვთისმშობელო, შენ გახსენი მისი გზაო"[30]. ამავე მიზნით აკეთში და სხვა შორეული სოფლის მცხოვრებნიც მძიმე მშობიარობის დროს მიმართავდნენ როსტომ თავდგირიძის ოჯახს, რათა მათგან „ნაოფლარი" გამოეთხოვათ. წამოღებულ ნივთს თუ ქსოვილის ნაჭერს მელოგინეს ქვეშ უდებდნენ იმ იმედით რომ იგი მალე განთავისუფლდებოდა. ამ ჩვეულების ასახსნელად გურიაში ასეთი გადმოცემა არსებობს; გიორგი თავდგირიძეს დატყვევებული ჭინკა ქვევრიდან ამოუშვია. განთავისუფლებულს დაულოცნია სახლი, ცეცხლი, ჯოგი და უთქვამს უემური (ავი სული) არ შეგვხდება არც შენ და არც შენი მოდგმიდან ვინმე'ს და იმასაც, ვისაც თქვენ ნაოფლარს მისცემთო. ასევე, სადაც თქვენი ნაოფლარი იქნება, აქ, ორსული ქალი რაც უნდა „ირჯებოდეს" განთავისუფლდებაო[31].

ძველად გურიაში სწამდათ, რომ თუ ცრუ ჩვენების მიმცემს დაზიანებული მხარის რომელიმე მამაკაცთაგანი შეუხსნიდა პერანგის საყელოს, მას ჩადენილი ცოდვა აეხსნებოდა[32]; ფეხსაცმელების გამყიდველი თუ გასაყიდ ცალებს ძირს მოწმენდდა, ოჯახის დოვლათი თან აღარ გაჰყვებოდა; ქალებს ეკრძალებოდათ თავშიშველი დაჯდომა ჯარზე ან „წელშიშველი" — შეურტყმელი პირჯვრის დაწერა, ასევე ოთხშაბათს ფერქცეული ტანისამოსის ჩაცმა[33]; გადაბრუნებული ტანსაცმლის ჩაცმა საწყენოს მიმნიშნებლად ითვლებოდა[34] და ა. შ.

უკვე ითქვა და ახლაც ვიმეორებთ, რომ ახალი ცხოვრების ფერხულში საქართველოს კუთხეებიდან შედარებით ყველაზე მეტად გურია აღმოჩნდა ჩაბმული. ამ მდგომარეობას ქართველებთან ერთად უცხოელებმაც მიაქციეს ყურადღება. ბ. დუნკელ-ველინგი ამ მხრივ ამირეკავკასიაში გურულებს ანიჭებდა პირველობას. სხვა

---

[30] ა ბ. წ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 112.
[31] ი. ს ა ხ ო კ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 77, 78.
[32] Т. Мамаладзе, Указ. соч., с. 109.
[33] ა ბ. წ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 11.
[34] იქვე, გვ. 140

ავტორი ამტკიცებდა „გურულს ფუფუნებისადმი მიდრეკილება აქვს, მისი ცოლი ევროპულად იცვამს, სახლიდან ცხენით სხვანაირად არ გადის, თუ არა ინგლისურ უნაგირზე, მეურნეობის მთელი ნამეტი მიდის კომფორტის საგნების შესაძენად, რაც ყოველი გურულის იდეალს წარმოადგენს"[85]. მოტანილი მონაცემებისა და მთხრობელთა ჩანაწერების მიხედვით ივარაუდება, რომ აღნიშნულ პროცესში ჩაბმული აღმოჩნდა მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი. სწორედ ეს სიმრავლე იყო თვალში საცემი, სხვა შემთხვევაში, გურიის გლეხობის გარკვეულ ნაწილში დასადგურებული სიღარიბის შესახებ ეგნ. ნინოშვილის ნაწერების გახსენება იქნებოდა საკმარისი.

XIX ს. II ნახევარში საქართველოში ფეხმოკიდებული ტანსაცმლის ყველა ფორმა მთლიანი (მხარიანი კაბა, „კაპოტი"), თუ ორნაწილადი კაბებისა („კაბა-კურტკა", „კაბა-კერესი", „კაბა-კოფთა", „კაბა-რუბაშკა", „კაბა-კასტუმი" და ა. შ.) და აგრეთვე გარეთი სამოსელი („გეიშა", „მანტო", „საკი", „პალტო" და სხვ.) გურიაშიც მოწმდება. ასევე დადასტურებულია მათთან დაკავშირებული თავსაბურავისა (ზაფხულში შარფები, ზამთარში — თავშლები. „ფუსა" უთხელესი შარფების „ფოიოსა" და „ფულარის" აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდებაა. ხმარობდნენ აგრეთვე ცხრა ან შვიდჯერიანსა თუ ვარსკვლავიან შარფებს, სამკუთხედის ფორმის შემოტანილ „ლაკონკას", ისევ მოსწონდათ სახლში დამზადებული ორმხრივი ჯინჯილოებიანი — დარაიას შარფი და მგზავრობის დროს თავზე ყაბალახსაც მოიხვევდნენ. ზამთარში ეხურათ შალისა და მირინოსის თავშლები. გლოვის დროს სათათრეთიდან შემოსული თალხი აბრეშუმის „უსკუდარის ცახოცით" წაიკრავდნენ შუბლს) და ფეხსაცმლის ელემენტები (უყელო, დახურული, ქუსლიანი თუ უქუსლო „კონდრები" და ყელიანი, წვრილქუსლიანი და წვრილწვერიანი „პოლსაპოშკები" და ა. შ.). მათ შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან ისინი იმერეთისა და სამეგრელოს მაგალითზე ჩვენს მიერ არის შესწავლილი[86].

---

[85] მოგვყავს ფ. გოგიჩაიშვილის დასახ. წიგნის მიხედვით, სადაც მითითებულია Д. Н. Носович. Хозяйственное положение государственных крестьян Озургетском уезде. Материалы, I. 758. с. 76.

[86] იხ. გლეხი ქალის ჩაცმულობა იმერეთში, კრ. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1978 წ.. ქალის ჩაცმულობა სამეგრელოში, კრ. მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979 წ.

Ц. И. БЕЗАРАШВИЛИ

ЖЕНСКАЯ ОДЕЖДА В ГУРИИ

Резюме

Согласно этнографическому материалу в Гурии бытовало несколько типов одежды.

Первый тип костюма, который в указанном регионе называют «гурийским», во второй половине XIX века вышел из употребления. Восстановить его помогли те элементы старинной женской одежды (колл. № 5—11/I—5), которые принадлежат фонду ткани и костюма этнографического отдела Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа и полевые этнографические материалы.

Второй тип т. н. «грузинский» («Сарткел-гулиспириани каба» и верхняя одежда «Катиби») был распространен среди высшего сословия. В этот костюм наряжались и зажиточные крестьянки во время праздников; среди них он бытовал вплоть до XX века, как любимая форма свадебной одежды.

Третий тип — европейский костюм (несколько вариантов «юбки» и «рубашки») XX в. сделался основным видом гурийского женского костюма.

ლ. მოლოდინი

ღვინის ხალხური წესები გურიაში

სამღებრო საქმიანობა საქართველოში ხანგრძლივი ტრადიციებისა და თვითმყოფი თავისებურების მატარებელი დარგია. სხვა დარგებთან ერთად ქართველი ხალხის ამ დარგში მიღწეული წარმატებები ძველი კულტურული სამყაროსათვის კარგად ყოფილა ცნობილი. ბერძენი მწერალი ჰეროდოტე წერს, რომ კასპიის ზღვიდან დასავლეთით გადაჭიმულია კავკასიონი, სადაც ცხოვრობს ადამიანთა მრავალი ტომი. აქ იზრდება მცენარეები, რომელთა ფოთლები თავისებური მოყვანილობისაა, აქ ამ ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წყალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად[1]. ღვინის ტექნოლოგიაზე რომ არაფერი ვთქვათ, როგორც ჩანს, ჰეროდოტეს ყურადღება განსაკუთრებით ქსოვილის მცენარეებით მტკიცედ ღებვას მიუპყრია. აქ მოტანილ მასალას კარგად ეხმაურება ბედენის ზეგანზე და არგაზციხეში (უაგინეთი) გათხრებით აღმოჩენილი ქსოვილის ნაშთები. რომელთაგან პირველი შვინდისფერი ნაზი ქსოვილი III—II ათასწლეულით[2], ხოლო მეორე ყვითელი და ყავისფერი ნართით დამზადებული, ახ. წ. I საუკუნითაა დათარიღებული[3]. ორივე, დღემდე ცოცხლად შემორჩენილი ფერით ანუ შეღებვის მაღალხარისხოვნებით, ფერის სიმტკიცით იმსახურებს ყურადღებას.

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1900 წ.

[2] გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, „მაცნე", თბ., 1967 წ.

[3] ქ. ისაკაძე, საფეიქრო ბოჭკოვან მასალათა დამუშავება ძველ საქართველოში, მაცნე 4, 1969, გვ. 74; მისივე, საფეიქრო საქმე ძველ საქართველოში, მაცნე, 4, 1967, გვ. 185—186.

ამ დროიდან მოყოლებული ლიტერატურასა თუ წყაროებში ამ საქმის ამსახველი სხვადასხვა ხასიათის მასალები სამღებრო საქმის მაღალ დონეს და ტრადიციულობაზე მიუთითებენ[4].

XIX საუკუნეში ქიმიის დარგში საოცარმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა მცენარეული და ცხოველური საღებავების სინთეზური საღებავებით შეცვლა. იაფმა ხელოვნურმა საღებავმა საშუალებებმა და ღებვის მარტივმა ტექნოლოგიამ ძლიერი ლახვარი ჩასცა ღებვის ხალხურ ტრადიციებს.

მიუხედავად იმისა, რომ ღებვის ქიმიურ ტექნოლოგიაში უდიდეს მიღწევებს აქვს ადგილი, ძვირად ღირებული ხალიჩების მხატვრული ეფექტის შექმნაში მაინც მცენარეული საღებავების როლი იქნა აღიარებული. ამიტომ XX საუკუნეში ხელახლა დადგა საკითხი უხუნები და მტკიცე ფერების მცენარეული საღებავების აღდგენის შესახებ, რასაც მიეძღვნა ორი საკავშირო სესია (1936 წ. მოსკოვში, 1939 წ. ბაქოში), ეს საკითხი არც შემდეგ მოხსნილა დღის წესრიგიდან. აზერბაიჯანსა და სომხეთში საამისო პრაქტიკული ნაბიჯიც იქნა გადადგმული. ქ. ერევნის ფირმა „აიგორგმა“ სომხეთის მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ხალიჩების წარმოებაში სახალიჩე ნართის შესაღებად გამოყენებულ იქნეს წარსულში სახელგანთქმული წითელ საღებავად ხმარებული ცხოველური წარმოშობის საღებავი „ვარდან კარმირ“, ხოლო ქ. ბაქოში „აზერხალიჩას“ სამმართველოს სამღებრო სახელოსნოში საექსპორტო ხალიჩების ნართის შესაღებად ხმარობენ ბროწეულის ქერქსა და კაკლის წენგოს[5]. ეს ღონისძიებები გვაძლევს იმის მაგალითს, რომ ხალხური ღებვის რეცეპტურა შეიძლება წარმატებით შეერწყას თანამედროვე სამღებრო წარმოებას. მთავრობის ორგანოების სპეციალურ დადგენილებაში „ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ“[6]. ხაზგასმულია ხალხური დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელობა, რომელიც ისტორიულად შემუშავებულ ტრადიციებზეა და-

---

[4] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1976, გვ. 193—194. შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1942 (საკანდიდატო დისერტაცია). გვ. 23. მისივე, «Города и городской строй Феодальной Грузии 1939, გვ. 23; გ. ჩ ა ჩ ა ვ ი ლ ი, საქართველოს მუზეუმის საჩითავები, თბ., 1962 წ.; დ. ა ბ ე ა ნ დ ა ძ ე, დაჩითვის საქმის ისტორიისათვის საქართველოში (წერილობითი წყაროების მიხედვით), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIII თბ., 1978 წ.

[5] ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, 1970 წ. ბაქოსა და ერევანში მიელინების მასალები.

[6] გაზ. „კომუნისტი“, 27 თებერვალი, 1975. წ.

ფუძნებული. ამ ასპექტში ხალხური ხელმარჯვე ოსტატთა შემოქმედების ერთ-ერთ განშტოებას ხალხური სამღებრო საქმიანობაც შეადგენს.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჯერ კიდევ შემონახულია სამღებრო საქმიანობის უძველესი წესები, ტექნიკური ხერხები და საწარმოო გამოცდილება, რომელიც ძველი ხალხური მხატვრული სარეწების ზემოაღნიშნული ასპექტით აღდგენაში შეიძლება წარმატებით იყოს გამოყენებული. ამ მხრივ საინტერესო მასალას შეიცავს ღებვის ხალხური წესები გურიაში; წინამდებარე შრომაც ამ წესებისა და სამღებრო საქმიანობის ამ დარგის კუთხური თავისებურების გამოვლინებას ისახავს მიზნად.

ცნობილია, რომ სამღებრო საქმიანობა გულისხმობს შესაღები მასალისა და შესაბამის საღებავ საშუალებათა არსებობას. გურიაში ამ საქმიანობის განვითარების ორივე პირობა იყო მოცემული.

გურია კოლხეთის დაბლობის სამხრეთ პერიფერიულ ნაწილში მდებარეობს, ამავე დროს იგი მოიცავს აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ განშტოებას[7]. ამგვარად, გურიაში დაბლობისა და მთის გორაკბორცვიანი ბუნებრივი სამეურნეო ზონა გამოიყოფა. ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად გურიის ფარგლებში ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებაა მოცემული. ამის კონკრეტული გამოხატულებაა ფართოფოთლოვანი მცენარეების მასივები, წიწვიანი ტყეები, ბუჩქები, რაც მცენარული საღებავების მდიდარ წყაროს წარმოადგენდა. ჩოხატაურის რაიონის სოფლის ისტორიისა და ტოპონიმიკური მასალებიდან, რომელიც ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, ჩანს, რომ თითქმის ყველა სოფლის ფლორის თანხმლებ კულტურას შეადგენდა ლაფანი (Pterocarya pterocarpa (Mchx), მუხა (Quercus), შქერი (Rhododendron ponticum), წყავი (Laurocerasus officinalis Roem) თხმელა (ჩვეულებრივი მურყანი Alnus barbata C. A. M). ნიგოზი (კაკლის ხე ჩვეულებრივი-Juglans regia L), ჭიაფერა (Phytolaca americana L), ანწლი (Sambucus ebulus L) და სხვა, რაც გურიაში საღებავად გამოყენებულ საშუალებებს განეკუთვნება. გურიაში გავრცელებული საღებავი მცენარეების კიდევ უფრო გრძელი სიაა მო-

---

[7] რ. კვერენჩხილაძე, მახარაძე, ლანჩხუთის ქვერაიონის ზოგად ეკონომიურ-გეოგრაფიული ნიშნები; კრებული მახარაძე -ლანჩხუთის ქვერაიონის/ გურიის/ ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 3.

[8] ჩოხატაურის რ-ნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სოფლის ისტორიის მასალები.

ცემული ბოტანიკურ ლიტერატურაში[9]. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აქვე მინერალური საღებავების ოხრისა და რკინის სურინჯის საბადოების არსებობაც არის დადასტურებული. ოხრის საბადოებისათვის გურიაში ადგილობრივ მოსახლეობას ადრეევე მიუკვლევია და მიწანელას სახელით საღებავადაც გამოუყენებიათ.[10].

აქ დასახელებული მცენარეული და მინერალური საღებავებით გურიაში ადგილობრივ ფეიქრულ ნაწარმს ღებავენ. ეს ნაწარმი კი მრავალფეროვანი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII საუკუნის გურიაში მისდევდნენ ბამბის, აბრეშუმის მოყვანას. აქვე არა მრავლად ჰყოლიათ ცხვარი[11]. XIX საუკუნის გურიაში მეაბრეშუმეობა კიდევ უფრო დაწინაურებულა და შინამრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგადაც ქცეულა. მას ფეხდაფეხ მიდევდა ბამბისა და შალის ქსოვილების წარმოებაც. საერთოდ, ამ დროისათვის საფეიქრო წარმოება აღმავლობის გზაზეა, გურია-იმერეთის ქსოვილები სამეგრელოსა და სვანეთშიც გააქვთ[12]. XIX საუკუნის გურიაში თითქმის ყველა ოჯახში ყოფილა გამართული საფეიქრო, რომელზედაც ოჯახის წევრებისათვის იქსოვებოდა საჩოხე შალი, საპერანგე დარაია, ლოგინის გადასამოსავი ბამბის ხამი, ტილო შალაბრეშუმი, ყაბალახი და სხვ. საოჯახე წესით დამზადებული ჭარბი პროდუქტი ადგილობრივ ბაზარზეც გადიოდა:—ლანჩხუთში (პარასკეობაზე), „ნაგომარზე" (15 ივლისიდან აგვისტოს დასაწყისამდე), იზურგეთში[13]. ადგილობრივ წარმოებული აბრეშუმის ქსოვილი წარმატებით უწევდა კონკურენციას მოსკოვის, პეტერბურგისა და ვარშავის ბაზრებზე იმავე რიგის საზღვარგარეთულ ნაწარმს[14]. ამგვარ ვითარებაში უნდა დავუშვათ, რომ აღნიშნული ქსოვილები, სათანადოდაც უნდა ყოფილიყო შეღებილი. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ხელთარსებულ ლიტერატურულ და სიტყვიერ მასალაში არ მოიძებნება ცნობები გურიაში სამღებრო სახელოსნოების არსებობის

---

[9] А. Х. Роллов. Дикорастущие растения Кавказа. Тифлис, 1908. ზ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, საქართველოს საღებავი მცენარეები, თბ., 1958.

[10] Природные ресурсы Грузинской ССР., т. II, М, 1939, с. 284—95; ე. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, ნ. ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მახარაძე—ლანჩხუთის ეკონომიური ქვერაიონის ბუნებრივი პირობები და რესურსები. კრებ. მახარაძე-ლანჩხუთის ქვერაიონის (გურია) ეკონ. გეოგრ. ნარკვ. გვ. 29.

[11] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფო საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 176.

[12] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 581.

[13] ივერია, № 163, 1891.

[14] Кавказ, № 64, 18. III, 1906.

შესახებ[15]. ამგვარად, გურიაში ღებვა მთლიანად ოჯახის პირობებში მიმდინარეობდა. შესაღები ქსოვილები სხვადასხვა მასალისა და დანიშნულებისა იყო, მაგრამ აქაური ქსოვილები ნაირფეროვნებით არ ხასიათდებოდა. გურული გლეხის ჩაცმულობაში გაბატონებული ადგილი ეჭირა მუქ და ერთფეროვან ქსოვილებს. ჩოხა და ჩაქურა შავი ან ყღალი შალისაგან იკერებოდა, შარვალი ისევ შავი, ზოლიანი, იშვიათად ლურჯი ფერისა იყო, ყაბალახადაც კვლავ შავს ან თეთრს არჩევდა. სხვა ფერები (წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი) მცირე რაოდენობით მოიხმარებოდა, ისიც ზოლიანსა და კუბოკრულ ხამის ქსოვილებში; რომლისთვისაც საქსელი და მისასხმელი ძაფი ლანდებად ამოხვეული იღებებოდა ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ სამღებრო საქმიანობა გურიაში ფერთა გამით ღარიბ სპექტრს იძლეოდა. მაგრამ აქაური სპექტრის გამომხატველი ტერმინოლოგიური მასალა უფრო მდიდარ სურათს ხატავს, იგი გამოავლენს ფერთა სპექტრის ადგილობრივ თავისებურებებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში ფერთა თუ ტონთა აღქმის, გაგების შესაძლებლობასაც იძლევა. ჩვეულებრივ ძირითადი ფერებისაგან (წითელი, შავი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი) განსხვავებით სხვადასხვა ტონისათვის შედარებით აღწერილობითი სახელები იხმარება; მოლისფერი, ციცარისფერი, ნაცრისფერი, ყავისფერი, ღვინისფერი, თაგვისფერი, ქვიშნისფერი, ფოთლისფერი, სუროსფერი და ა. შ. ამ რიგის მონაცემები ანალოგიურია თუშეთის, ქსნის ხეობისა და სამცხე-ჯავახეთის შესაბამისი მასალისა. მათგან განსხვავებით სხვა ტერმინებთან ერთად შერეული ფერის, ჭრელის აღსანიშნავად, „ჭყიჟორი“ იხმარება. ჭყიჟორი ქ. ე. გ. ლექსიკონის მიხედვით ნესტიან წვიმიან ამინდს ეწოდება. მეხრობელთა განმარტების მიხედვით, ჭყიჟორი წვიმის შედეგად ატალახებულ, აჭრელებულ გარემოსთან-ჭყიჟორიან ამინდთან ასოციაციით არის შემუშავებული. თეთრი და შავი მატყლის გადაჩეჩვით მიღებულ ფერს ლიჟღვი, ყღალი ეწოდება, ამათგან შავ ფერმორეულს — ბოცს ეძახიან. თეთრით გადამეტებულს კი შეფქვეულად განმარტავენ. სამგლოვიარო სამოსელთან დაკავშირებით აღსანიშნავია მისი ფერის, ტონის მიხედვით დიფერენციერება, რომელიც ასეთი თანმიმდევრობით ლაგდება; ძაძა, ნიგრი და თალხი. ამათგან ძაძა უხეში, შავი ქსოვილის სამოსელი იყო, ნიგრი — ღია შავი სატინის ქსოვი-

---

[15] ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1938.

ლისაგან იკერებოდა[16], ხოლო თალხი—შავ, სახიან ქსოვილს ეწოდებოდა, რომელშიც წითელი და მწვანე არ უნდა ყოფილიყო შერეული. ზოლებიან ქსოვილს ფორჩხიანს, ტიხაროსაც უწოდებდნენ, ეს უკანასკნელი ჭრელ,ზოლიან საქონლის სახელსაც წარმოადგენს იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში; თეთრი და შავი წვერით შეტოლებულ ძაფს ჭრელი ან ჯალა ფერით იხსენიებენ; ჭრელ, ფოთლიან სახის ქსოვილს ფოტას ეტყოდნენ, ფერთა ხარისხის აღსანიშნავი ტერმინებია მუქი ტონისათვის—მუქი, ქუფრი, ღია ტონისათვის—გალა, ტიალი, საინტერესოა, რომ სახელით ტიალი ან ზმნით—იტიალა განთიადს, ალიონს ან მის მოახლოებასაც აღნიშნავდნენ. მთლიანად ერთი ფერის საქონელს ზედსართავის ურწყის თანდართვით ეტყვიან ურწყ თეთრს, ურწყ შავს, ან ურწყ წითელს და ა. შ. აქვე დასტურდება ფერთა სინკრეტიზმის მოვლენაც. ცნობილია, რომ ეს მოვლენა ერთ შემთხვევაში, „ორფეროვანი“ მხედველობის განვითარების სტადიას ასახავს, როცა მრავალი ფერის შეგრძნება დაყვანილი იყო ყვითელი ან ლურჯი ფერის აღქმის უნარამდე[17]. მხედველობის განვითარების ამ სტატიაზე გურიაში მიუთითებს მოხუც მთხრობელთა მიერ მწვანე ფერის ლურჯად, ზოგჯერ ნაცრისფრად სახელდება. ამგვარად, ზემოთ მოტანილი ფერთა თუ ტონთა სახელები სხვადასხვა ნიუანსებს გადმოსცემს. აქ დასახელებული მაგალითებიდან ნაწილს აბსნა სამღებრო ან საფეიქრო საქმიანობაში ეძებნება, მაგალითად, ფოტური ჭრელად ღებვას გულისხმობს, ტიხარი — ფორჩხიანი ქსოვის პროცესში ზოლებად დაჭრელებული ქსოვილია, ყღალი, ლიყღოვი—სხვადასხვა ფერის მატყლის გადაჩეჩვით მიღებული ჭრელის სახელია, ჯალა სხვადასხვა ფერის წვერით შეტოლებული ძაფია. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ღებვა მიმდინარეობდა ინდივიდუალური გამოცდილების, მოთხოვნილების ან შთაბეჭდილების მიხედვით, ანუ ყველა ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული იყო საღებავის დოპირება, ღებვის და დედების—ფერჭერის ხანგრძლივობა. რაც უამრავ გარდამავალ ტონთა მიღებას უზრუნველყოფდა და თავისთავად შესაბამისი ტერმინოლოგიით აღნიშვნის საშუალებასაც იძლეოდა. ამგვარად, ჩვეულებრივად ტონთა სიმრავლეს გურიაში, სამღებრო საქმეც ჰქმნიდა.

---

[16] ჩვენ არ ვიცით რა კავშირშია ტერმინი ნიგროზინი სამგლოვიარო ტანისამოსის ფერთან—ნიგრთან. მაგრამ. ქ. ე. გ. ლექსიკონის მიხედვით ნიგროზინი nigier—ერთგვარი მოშავო ლურჯი ფერის საღებავია. ქ. ე. გ. ლ. ტ. VII, გვ. 19.

[17] С. С. Алексеев, Цветоведение, М., 1952, с. 54.

სპეციალური ლიტერატურით ცნობილ უამრავ საღებავ მცენარეთაგან გურიაში უკანასკნელ დრომდე ყველაზე ხშირად ხმარობდნენ ლაფნის ფოთოლს და კანს, კაკლის ფესვებს, ფოთოლს, ნაჭას კანს, მუხის და თხმელის ხის კანს, ლუკუფხის მარცვლებს, ბროწეულის კანს||ქეჩხოს ჭიაფერას, ხაზარულას, ზაფრანას და ზოგ სხვასაც. საღებავ მცენარეთა არც თუ დიდი რიცხოვნების მიუხედავად მრავალფეროვანი ღებვის წესები, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დაფარვით, პირდაპირი და ფერჭერით ღებვის ტიპებად ყგუფდება, ამ საღებავ საშუალებათა სხვადასხვა კომბინაციით გამოყენებას და ამ გზით ფერთა სხვადასხვა ტონის მიღებას უზრუნველყოფდა.

ცნობილია, რომ დაფარვით ღებვა ღებვის უძველეს ტიპს განეკუთვნება, რომელიც სათაეეს პირველყოფილი ადამიანის მიერ სხეულის შეღებვაში ღებულობს[18]. გურიაშიც დაფარვით ღებვას ჭვარტლით ეწეოდნენ, დაფარვით ღებვის უძველესი დროიდან წარმომავლობის შესაბამისად ჭვარტლით ღებვა გურიაშიც ღებვის ერთ-ერთ უძველეს წესად წარმოგვიდგენია, რომლის შესახებაც აქ ძალიან მცირე ცოდნაა შემონახული, ისიც არა უშუალო მღებავების, არამედ წინა თაობიდან გადმოსული გადმოცემებით. ამ ცნობით ჭვარტლს შალის შესაღებად ხმარობდნენ, თანაც განსაკუთრებული საღებავი თვისებებით წაბლის ჭვარტლი გამოირჩეოდა. უმეტესთა მახსოვრობაში ჭვარტლი დამოუკიდებელ საღებავს კი არ წარმოადგენდა, არამედ ბროწეულის კანთან—ქეჩხოსთან ერთად იხმარებოდა.

თუ დაფარვით ღებვაზე მცირე ცოდნაა შემონახული, სამაგიეროდ პირდაპირი ღებვის წესით გურიაში ბოლო დრომდე ხელმძღვანელობდნენ. ღებვის ამ წესით ღებულობდნენ სხვადასხვა ტონის ყვითელს, ყავისფერს, წითელსა და მათ შორის გარდამავალ ტონებს. პირდაპირი ღებვის საშუალებათა შორის აღსანიშნავია ზაფრანა, იგი გურიაში ყვითელი ფერის მნიშვნელოვანი წყარო იყო.

ბოტანიკური მონაცემებით ნამდვილი ზაფრანა რუსული ზაფრანაა.—(Шафран[19], (ლათ. Crocus sativus) გურიაში საღებავად გამოყენებული ზაფრანის სახელით ცნობილ მცენარეს კი Tagates pazula L შეესაბამება, რომელიც ჩვენში სხვადასხვა სახელით არის გავრცელებული (ქართლი—კაკია, იმერეთი—ყვითელი სუნელი, ხარჩოს-

---

[18] ზ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, საქართველოს საღებავი მცენარეები, თბ., 1958, გვ.9.
[19] ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1971.

ყვავილი, სამეგრელო—ქორთული ზაფრანი). აღსანიშნავია, რომ ეს ორი მცენარე ბოტანიკურ ლიტერატურაში საღებავ მცენარეთა ნომენკლატურას არ განეკუთვნება[20].

ყვითლად ღებვისათვის ძაფზე ასხმულ ზაფრანას მზეზე შესაჭკნობად გაჰკიდებდნენ სამი-ოთხი დღის შემდეგ მას მწვანე ყუნწებს მოაშორებდნენ და მოხარშავდნენ. ფოთლებს კარგად ჩახარშვის შემდეგ გადასწურავდნენ, წვენში მარილს და შაბს დაუმატებდნენ, წყალში დასველებულ აბრეშუმის შულოებს ზაფრანის ნახარშში წამოადუღებდნენ, მერე გამოდგამდნენ და შიგვე ამოაცივებდნენ, მეორე დღეს ცივ წყალში გარეცხავდნენ და გააშრობდნენ. ყვითლად გურიაში ცოცხისხაზარულას (sorghum technicum Koern) კაკლით—მარცვლითაც ღებავდნენ. ხაზარულათი უმთავრესად ბამბა იღებებოდა, რისთვისაც მის მარცვალს მოხარშავდნენ, წვენს გადასწურავდნენ, ქსოვილსა თუ შალებს ამ წვენში მოხარშავდნენ. ანალოგიურად ღებავდნენ ამ საშუალებით იმერეთშიაც, სადაც იგი ჯიქურას სახელით ყოფილა გავრცელებული, მაგრამ მიღებული ფერი არსად არ იმსახურებდა მოწონებას. ანალოგიური წესით ღებავდნენ ყვითლად ბროწეულის ახალ ქერქში და ხახვის ქურჩენაში, მაგრამ ფერს გამძლეობას მაინცდამაინც ვერ უქებდნენ; სამაგიეროდ, ენდროში შეღებილს ფერის სიმტკიცეს განსაკუთრებით აღნიშნავდნენ. ენდრო (Rubia tinctoria L.) აქ ძალიან იშვიათად იყო გავრცელებული, ისიც მთიან ნაწილში. ზემო სურებში ენდროს ღელის პირებში პოულობდნენ. იმერეთის მოსაზღვრედ (ს. საჭამიასერი) მას საგანგებოდ თესავდნენ. შესაღებად გამხმარ ენდროს ძირებს დანაყავდნენ, წყალს დაასხამდნენ, შაბს ჩაყრიდნენ და შიგ ქსოვილსა თუ შულოებს წამოადუღებდნენ; ეს საღებავი ერთნაირად კარგად ეკიდებოდა ღაზლას, ბამბას და აბრეშუმსაც. წითელი ფერის მომცემ საშუალებას ჭიაფერაც (Phytolacca americana L) წარმოადგენდა. საღებავად ჭიაფერას ნაყოფს წვრილ წითელ მარცვლებს ხმარობდნენ ნედლად ან ხმელი სახით. ნედლ მარცვალს დაწურავდნენ, ხმელს კი წყალს დაასხამდნენ, ორივეს ცოტა შაბს და ძმარს დაუმატებდნენ, შესაღებ მასალას ექსტრაქტში წამოდუღების შემდეგ შიგვე ამოაცივებდნენ და მეორე დღეს გარეცხავდნენ. ჭიაფერა გურიაში აბრეშუმის საღებავად იყო აღიარებული. გურიაში ჩვენ ჭია-

---

[20] А. Х. Роллов. Указ. соч. А. А. Гроссгейм, Растительные богатства Кавказа, М., 1952; ზ. შენგელია, საქართველოს ზოგიერთი საღებავი მცენარეები, თბ., 1958.

ფერაში წითლად შეღებილი ბამბის ძაფი ვნახეთ. ჩვენი მთხრობელები ჭიაფერაში მიღებული ფერის სიმტკიცეს საგანგებოდ აღნიშნავენ. ეს მცენარე სამეგრელოში ჯამფეზიად არის წოდებული, რომლითაც აქაც ისეთივე წესით ღებავდნენ როგორც გურიაში, ხოლო ჯამფეზიაში ღებვით მიღებული წითელი ამ მცენარისათვის დამახასიათებელ ფერად იყო აღიარებული. ჯამფეზიას პერანგის სახელიც ამ მცენარეში ან ამ მცენარეთი ღებვის დროს მიღებულ ფერთან უნდა იყოს დაკავშირებული. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში ჭიაფერა წითელი ფერის მიღების ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება უნდა ყოფილიყო.

გურიაში მწვანედ ლუკუმხაში (Frangula alnus Mill). ღებავდნენ. ლუკუმხა იგივე ხეკრელია. შესაღებად ხეკრელის ნედლ ნაყოფს—მარცვალს ხარშავდნენ და ჩვეულებრივ, ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით ღებავდნენ. ამგვარადვე ე. ი. პირდაპირი ღებვის წესით ღებავდნენ ყავისფრად მუხის ქერქით, კაკლის წენგოთი, ქერქით და ფესვით, დაფნის ფოთლითა და ქერქით. მათ შორის ფერის სიმტკიცით მუხის ქერქში შეღებილი გამოირჩეოდა. აქ ჩამოთვლილი საღებავი საშუალებები იმავე დროს შავად ღებვის მასალასაც შეადგენდნენ. ყავისფრად ღებვა შავად ღებვის შემადგენელი ეტაპი იყო და ცალკე ფაზასაც წარმოადგენდა, ამიტომ, ყავისფრად ღებვაზე ცალკე აღარ შევჩერდებით, მით უმეტეს, რომ ამ ფერის მასალა გურიაში მცირე რაოდენობით იყო გამოყენებული. სამაგიეროდ, ყველაზე დიდი მოთხოვნილება შავ ფერსა ჰქონია, რაც შავი ფერის ტრადიციულობით და ქართული სინამდვილისათვის ძველთაგან დამახასიათებელი შავი ფერის სამოსელის[21] ხმარებით უნდა აიხსნას. ცხადია, ყველაზე ხშირად ქსოვილს შავად ღებავდნენ. ამ ფერის მიღების წყაროს შეადგენდა ერთი მხრივ, მცენარეულობა კაკლის წენგო II ნაჭა II ლოგორა, ქერქი, ლაფნის ფოთოლი, მუხის ქერქი, ბროწეულის ქერქი და მეორე მხრივ, მინერალური საღებავი—მიწანელა, რომელთაც ფერის გამაგრებისათვის აშველებდნენ ჟანგიანი რკინების, კინაწილის ან ნაცრის ნაყენს—ნაცარძალს II ნაცარგალოს. ზემოთ დასახელებული ეს მცენარეები საქართველოში ფართოდ გავრცელებული და ბევრგან (ქართლი, იმერეთი, თუშეთი, ქიზიყი, სამეგრელო), შავად ღებვის აღიარებული კულტურებიცაა; რაც შეეხება მიწანელას, იგიც ფართოდ გავრცელებულ მინერალურ

[21] ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, თუში ქალის ტალავარი, კრებული,—თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 186——187.

საღებავად გამოყენებული მიწაა. ამ მიწის სხვადასხვა სახელწოდებათა შორისწლია (იმერეთი), ლეკი (კახეთი), მიწალები (რაჭა), ტყვილ (სვანეთი), ტლაპო (სამცხე-ჯავახეთი) მიწანელა ენობრივად გარკვეულ მსგავსებას იჩენს მიწალებთან.

ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ „მიწანელა" ნილ-ნაწილის შემცველი სიტყვაა, რომელიც ინდიგოსა და ლურჯის შინაარსს მეესატყვისება[22]. ივ. ჯავახიშვილი მიწალების შესახებ წერს, რომ ამ სიტყვაში ლები ლურჯი მიწის აღმნიშვნელი ნაწილია[23], სულხან-საბა-ორბელიანი მიწალებს უწოდებს ლებს[24], იმავე ლექსიკონის სხვა ვარიანტში კი განმარტავს „შავი საღებავი მიწაო"[25]. უკანასკნელთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია ვ. ნოზაძის მიერ „ვეფხისტყაოსნის" სათანადო ადგილების ანალიზიც, რომლის მიხედვით ლები შავი ფერის მნიშვნელობას უტოლდება[26]. იმისგან დამოუკიდებლად მიწალები და მიწანელა ენრობრივად ერთნაირი ცნებებია თუ არა, ზემოთ წარმოდგენილი საბუთიანობის საფუძველზე ორივე სახელი საღებავ საშუალებად წარმოგვიდგება. ეთნოგრაფიული მასალა კი ამ მიწის შავ საღებავად გამოყენების სასარგებლოდ ლაპარაკობს/გურიაში „მიწანელას" განმარტავენ როგორც დამპალ, სუნიან ტალახს, რომელსაც დაჭაობებულ II ჭონჭყო ადგილებიდან მოჭქონდათ. ასეთი ადგილები კი ბევრი ყოფილა ს. ძიმითთან — ჩუნია, ს. ლესასთან—ჭვათირი, ს. ვაკიჯვართან—ზეზაურის ძირები, ს. გომთან—დოლაური, ჩვენია, კვიცსახტომი, ს. აცანასთან—ჩიტილა, ოფიშტია. ს. ზემო სურებთან—ნაჭიანები,ს. ნაგომართან—ჟანაური, ს. ხიდისთაკეთან—ლუგუბაის პირი, ს. ზომლეთთან—მერობა, ს. ხაჭამიასერთან — ჩონეთის პირი და სხვ. ამ ადგილთაგან ძველად ზოგი (ნაგომარი, სურები) კუსტარული დამუშავების ობიექტიც ყოფილა[27]. როგორც ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სოფლის ისტორიის ამსახველი მასალებიდან ჩანს, ნაჭიანების (ზემო სურები) და ჟანაურის (ნაგომარი) საბადოებით 900-იან წლებში უცხოელი მრეწველებიც დაინტერესებულან. საბჭოთა პერიოდში კი

---

[22] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საშღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1937, გვ. 169.

[23] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, 1935, გვ. 122.

[24] ს უ ლ ხ ა ნ- სა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბილისი.

[25] ს უ ლ ხ ა ნ-სა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928 წ.

[26] ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ფერთამეტყველება, ბეჭნოს ორესი, 1959 წ., გვ. 44.

[27] Природные ресурсы Грузинской ССР, т. II, с. 282.

თბილისის სამღებრო ქარხანაშიც დაუწყიათ[28] მისი დამუშავება. ინტერესი ამ მიწისადმი არც შემდეგ შენელებულა და იგი სპეციალური შესწავლის ობიექტადაც ქცეულა. 1931 წ. მოსკოვის მინერალოგიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში დასახელებული საბადოები ქიმიური ანალიზის მიხედვით ნაგომარის მიწა უმაღლესი ხარისხის ოხრის ნორმებს ექვემდებარება, რომლის შემადგენლობის უმთავრესი კომპონენტია Fe_2O_3, ხოლო ზემო სურების საბადო რკინოვან სურინჯს წარმოადგენს[29], ახლა ამ საღებავი მიწის ყველა საბადო მიწითაა დაფარული, მიუხედავად ამისა, მთხრობელთა დახმარებით, მოვახერხეთ ს. ძიმითიდან იაშა დოლიძის ეზოდან მიწანელას წამოღება. მუზეუმის ქიმსარესტავრაციო ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზის მიხედვით გაირკვა, რომ მიწის შემადგენლობაში შედის ორვალენტოვანი რკინა" 2, რომელიც დაჟანგვის შემდეგ სამვალენტოვან" 3 რკინად იქცევა. ნაგომარის მიწას თავის შემადგენლობით უახლოვდება მათხოჯის საბადო. ს. მათხოჯიდან (იმერეთი) წამოღებული ტალახის ანალიზის საფუძველზე მუზეუმის ქიმსარესტავრაციო ლაბორატორიის გამგე რ. ბახტაძე დაასკვნის, რომ მათხოჯის ტალახში შემავალი რკინისა და გოგირდის შენაერთით მიიღება შავი ფერის ნალექი. რამდენად შეესაბამება მიწანელას ასეთი ქიმიური შემადგენლობა მის მღებრობაში გამოყენებას ეს კიდევ დაბატებით შესწავლასა და კვლევას მოითხოვს. აქ საგანგებოდ უნდა მოვიგონოთ ის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საღებავი მრეწველობის გაუმჯობესების მიზნით სხვა საღებავთა შორის განსაკუთრებით გამოყოფილია და დაყენებულია საკითხი ნაგომარისა და მათხოჯის საღებავი მიწის დეტალური ძიება-შესწავლისა[30]. ამ გზაზე მიწანელათი ღებვის ხალხური ტექნოლოგიაცაა გათვალისწინებული.

მიწანელათი გურიაში შალს, აბრეშუმს და შერეულ ქსოვილს შალ-აბრეშუმს ღებავდნენ. აქ საგანგებოდა იყო შეფასებული მიწანელათი ღებვის ხარისხი, ამიტომაც ამბობდნენ: „რასაც მეტი შრომა უნდოდა, ამით იმას ღებავდნენო". შავი ფერის ხარისხის ძიებაში გურიაში სხვადასხვა რეცეპტისათვის მიუგნიათ. ისინი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათზე თვალის გადევნება ცალკეული სოფ-

---

[28] Тамже, კობახიძე, ნ. სულხანიშვილი, მახარაძე—ლანჩხუთის ეკონომიური ქვერაფონის [ბუნებრივ] პირობები და რესურსები, კრებ. მახარაძე—ლანჩხუთის ქვერაიონის (გურიის) ეკონ. გეოგრ. ნარკვევები, გვ. 19.

[29] Природные ресурсы Грузинской ССР, т. II.

[30] Природные лесурсы Грузинской ССР, т. II, с. 288.

ღების მიხედვითაც კი აჩენს განსხვავებას. მაგრამ ჩვენ აქ ღებვის ისეთ წესებზე ვისაუბრებთ, რაც გურიისათვის მეტ-ნაკლებად იყო დამახასიათებელი.

როგორც ვთქვით, მიწანელა გურიაში გავრცელებული საშუალება იყო და ღებვაშიც სხვადასხვა წესით იხმარებოდა. მათგან ერთ-ერთი ხერხი მისი დამოუკიდებელ საღებავად ხმარებაც იყო. ამ დროს მიწანელას წყლიან-ჭონჭყოიან ადგილიდან მოიტანდნენ, თავზე მომდგარ წვენს ცალკე გადმოასხამდნენ, შეათბობდნენ, შიგ შესაღებ მასალას ჩაალაგებდნენ და ორი სამი საათის შემდეგ დაფესვილ ქსოვილს ამოიღებდნენ და შეაშრობდნენ. ახლა დარჩენილ წყალში წვენში მიწანელას გაჰქნიდნენ, გახსნიდნენ, საცერში ან დოლბანდში გადასწურავდნენ, მასში ქსოვილს წამოადუღებდნენ და შიგვე დასტოვებდნენ ამოციებამდე. ამგვარად შეღებილს მონაცრისფროდ განმარტავენ. სხვა შემთხვევაში ასე იქცეოდნენ: სქელი კონსისტენციის მიწანელაში შესაღებ მასალას ორ-სამ დღეს დააყოვნებდნენ. მიწანელა, რომ არ ამომშრალიყო, ზევიდან ნეშოს (კაკლის ფოთოლს) დააფარებდნენ. ამ წესით შეღებილს ს. საჯამიასერში ბოც ფერს უწოდებდნენ. მაგრამ არც ასე შეღებილი ქსოვილი გამოირჩეოდა ფერის ხარისხით, ამიტომ ღებვის ამ წესსაც იშვიათად მიმართავდნენ. სრული შავი ფერის მიღება უფრო რთული პროცესი იყო, საამისოდ მიწანელასთან ერთად შალის შესაღებად ყველაზე ხშირად ლაფნის ფოთოლს ან ქერქს ხმარობდნენ. აქაური მოსაქმე ქალების დაკვირვებით ნედლ ფოთოლს ან კანს მეტი წვენი და ძალა ჰქონდა. ჭვირთით (მხრით რასაც მოიტანდნენ) რა რაოდენობის ფოთოლსაც მოიტანდნენ, კარდალში ხარშავდნენ, სანამ წვენი გაშავდებოდა, მერე კი მას გადასწურავდნენ და შიგ ძმარში დამქავებულ ჟანგიან რკინის ნაყენს დაუმატებდნენ; ზოგჯერ ჟანგიან რკინებს ლაფნის ფოთოლთან ერთად ხარშავდნენ. ს. საჯამიასერში, ლაფნის წვენში შეღებილ ქსოვილს გამონახარში ჟანგიანი რკინებით დაჯორგავდნენ (დააწყობდნენ), მიღებულ ექსტრატში შესაღებ ქსოვილს ჩაალაგებდნენ და შიგვე დატოვებდნენ. მთხრობელთა სიტყვით „შეღებვას ჯერე დაჭერა უნდოდა და მერე მიწანელა“, ამიტომ მოყავისფროდ დაფესვილ ქსოვილს ახლა მიწანელაში შეღებავდნენ. სქელ მიწანელას ქსოვილი არ მიიღებდა, ამიტომ მას ლაფნის თბილი წვენით გააზავებდნენ, ნადუღის სისქის ნაზავში ჩალაგებულ ქსოვილს ღამე დატოვებდნენ, მეორე დღეს კი კარგად გარეცხავდნენ. თუშეთსა და ქვემო იმერეთში შავად ღებვისათვის ლაფნის ფოთოლთან, კაკლის ქერქთან ან ფოთოლთან ერთად ძაღას ხმარობდნენ. ლაფანთან ერთად ნიგვ-

ზის კანით ან წენგოს ნაჭით ღებვა არც გურიაში ყოფილა უცხო. ლაფანს ხშირად ენაცვლებოდა კაკლის ნაჭა II ლოგორა ან ქერქი. კაკლის ახალ, ნედლ ნაჭას II ლოგორას შეალპობდნენ, რისთვისაც მას რაიმე ჭურჭელში ჩატენიდნენ, რომელსაც ორი-სამი დღის შემდეგ მოხარშავდნენ. საცერსა ან დოლბანდში გაწურულ წვენში მიწანელას გახსნიდნენ და შიგ ღაზლას შეღებავდნენ. ასე შეღებილი ჯურაუმა შავი გამოდიოდა. ასეთივე წესით ღებავდნენ შავად მიწანელასთან ერთად კაკლის ნაჭით, მუხის ქერქით და ბროწეულის ქერქით. ამათ შორის ბროწეულის ქეჩხოს აბრეშუმის შესაღებად მიმართავდნენ, რომელთან ერთად სხვადასხვა მღებავი შაბს, მარილს, ნაცარძალს II ნაცარგალოს, ჟანგიან რკინებს ან კინაწილას იშველიებდა. (კინაწილა ეწოდება სამჭედლოში რკინის დროს წყლიან როფში ჩალექილ რკინის მტვერს).

აქ დასახელებულ საშუალებებთაგან უკანასკნელ ორს შემდეგნაირად ხმარობდნენ: ჟანგიან რკინებს ან კინაწილას საღებავ მცენარეებთან ერთად ხარშავდნენ, ან ცალკეც აყენებდნენ, რისთვისაც ჟანგიან რკინებს, გინდ კინაწელას ძმარში ან მოძმარებულ ღვინოში ერთ თვესაც კი გააჩერებდნენ, ან წყალში ხარშავდნენ. მიღებულ წვენს საღებავი მცენარეების ნახარშს ჩაუმატებდნენ.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ შავად ღებვის ერთ ვარიანტზე. იგი ასე მიმდინარეობდა: გაშლილ, სწორედ დაფენილ შესაღებ ქსოვილსა თუ შულოებზე II ლანდებზე ლაფნის ფოთოლს დაალაგებდნენ. ქსოვილს გადაახვევდნენ და ამ სახით ადუღებდნენ წყალში. აქედან ამოღებულ ქსოვილს შეაშრობდნენ და ხელახლა წამოადუღებდნენ, ასე გაიმეორებდნენ სამჯერ, რის შემდეგაც დარჩენილ წვენში მიწანელას გასძრავდნენ, წვენს გაწურავდნენ და ლაფნის ფოთლის დაფენილ ქსოვილს ახლებურად შემზადებულ წვენში წამოადუღებდნენ, რომელსაც მეორე დღემდე ქვაბში დატოვებდნენ, იგივე წესით ღებვის დროს ს. ძიმითში ლაფნის ფოთლებს თუჯის ქვაბში — ჩანახში მოშუშავდნენ, დარბილებულ — გაყავისფერებულ ფოთლებით ქსოვილს მთლიანად დაფარავდნენ, შემდეგ მრგვალად დაახვევდნენ და სიგრილეში, უცეცხლო ოთახში დებდნენ. მას ზევიდან სიმძიმეებს დააწყობდნენ და ერთ დღე და ღამეს გააჩერებდნენ. მეორე დღეს მას ზემოაღწერილი წესით შეღებავდნენ შავად მიწანელაში ან ყავისფრად კაკლის ქერქის ნახარშში. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი თავის შრომაში „ხელოსნობა საქართველოში“ შავად ღებვის ზემოხსენებული წესის რამდენიმე განსხვავებულ ვარიანტს გვაწვდის. ღებვის ზემოთ მოტანილი წესისაგან განსხვავებით ლაფ-

ნის ფოთლებით დაფენილ და დახვეულ ქსოვილს წამოდუღების შემდეგ ამოიღებდნენ. ჩახარშულ ფოთლებს შემოაცლიდნენ, ახალ ფოთლებს დააფენდნენ და ისევ წამოადუღებდნენ. ეს პროცესი რამდენიმეჯერ მეორდებოდა და ბოლოს ქსოვილს ქვაბში ამოსაციებლად დასტოვებდნენ[31].

ცნობილია, რომ ფ. გოგიჩაიშვილი დასახელებული მონოგრაფიის წერის დროს მასალებს ღებულობდა იმერეთიდან, გურიიდან, სვანეთიდან, მთიანეთიდან და სხვა ადგილებიდან. თუ გავითვალისწინებთ. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეკრებილ შინამრეწველობის მასალებს, სადაც ღებვის წესებს შორის ზემოხსენებული წესით ღებვა მხოლოდ გურიის მიხედვით არის აღწერილი, მაშინ, ალბათ, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფ. გოგიჩაიშვილი თავის შრომაში ლაფნის ფოთლების დაფენვით ღებვას გურიიდან მიღებული მასალებით აღწერს. 1962 წ. ჩვენ ბორჯომის რაიონის ს. გვერდისუბანში ოს მოსახლეობაშიც დავადგინეთ შალის შულოების ნედლ რძიანათი —„„ხსირ ქარდაგ"-ით ყვითლად ღებვის ანალოგიური ტექნიკა. ამის მიუხედავად ლაფნის ფოთლის დაფენით შავად ღებვის, გურული წესი ღებვის ქართულ წესებს შორის მაინც სპეციფიურია. თუმცა იქნებ ლებვის ანალოგიური წესი ივარაუდებოდეს ღებვის, თუშურ ტექნიკაშიც. ამ წესით ქვაბში შესაღები მასალისა და საღებავი მცენარეების ურთიერთმონაცვლეობით ისე გაწყობა, ჩალაგება და ღებვა, როცა ქსოვილი ან შიტები (თუშეთი) მთლიანად საღებავი მცენარეებით არის მოფენილ-დაფარული, რამდენადმე ქსოვილის ლაფნით დაფარვის მსგავსია ტექნოლოგიურად რამდენად დასაშვებია ღებვის აქ მოტანილი პროცესების ანალოგიურობაზე მსჯელობა, ეს ცალკე და სხვა დარგის შესწავლის სფეროა.

ამგვარად, შავად ღებვისათვის მცენარეები იხმარებოდა, ღებვის რეცეპტიც მრავალნაირი იყო, მაგრამ შავად ღებვის ყველა ვარიანტის გამაერთიანებელ ნაწილს მიწანელა წარმოადგენდა. მთხრობელთა ნათქვამიდან, რომ შავად ღებვას „ჯერ ფერის დაჭერა უნდოდა, მერე მიწანელეთ", ჩანს, რომ ამ საქმიანობის მიმდევარნი ღებვაში გამოყოფენ ორ ფაზას: ფერის დაჭერას, რასაც აქ დაფესვა ეწოდებოდა და ღებვას. ტექნიკის ენაზე ამ წესით ღებვა ფერჭერით ღებვის სახელს ატარებს. ფერჭერით ღებვაში კი გადაჯვარედინებულია პირდაპირი და დაფარვითი ღებვის ტიპები. შავად ღებ-

---

[32] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 91.

ვის გურული წესიდან დაფარვით ღებვას მიწანელაში ღებვა შეესაბამება, პირდაპირი ღებვა კი დაფესვით მიმდინარეობდა. შავად ღებვის გზაზე დაფესვა იგივე ღებვაა კაკლის ფესვებში, ქერქში, ან მუხის ქერქში და ლაფნის ფოთოლში, კინაწილაში. მოყავისფროდ დაფესვილი მასალა ჩვეულებრივი სახმარი პროდუქტია, სამაგიეროდ ბროწეულის ქეჩხოში დაფესვილი ასეთად ვერ გამოდგებოდა, ამიტომ ბროწეულის ქეჩხოში ყვითლად დაფესვილს მიწანელაში, მუხის ქერქში ან ხელოვნურ საღებავში ღებავდნენ. ამგვარად, გურიაში, ჩანს, სათანაოდ ერკვეოდნენ აღნიშნული მეცნარეების ღებვის ხარისხში, ღებვის ტექნიკასაც მცენარეთა ღებვის უნარიანობის მიხედვით წარმართავდნენ. მღებავთა ეს ცოდნა განსაკუთრებით ფერჭერით ღებვაში იჩენს თავს. ამ მხრივ ფერჭერის გურული წესი—დაფესვა საინტერესო მომენტებს შეიცავს. იგი ფერჭერის სხვა ხალხურ წესებთან მოჯაკვა (სამეგრელო), დატიტბვა (ქიზიყი), დადედვა (თუშეთი, სამცხე-ჯავახეთი), დაწერვა (იმერეთი) ურთიერთობაში ფერჭერის განვითარების გარკვეულ საფეხურსაც ასახავს. თავის მხრივ ფერჭერის ზემოხსენებულ წესებში ღებვის ტექნიკა ან ფერჭერის თვისება იგულისხმება, მაგალითად: დატიტბვა ბროწეულის ქერქში—ტიტიბში ხარშვაა, რომლის დროსაც შესაღები ქსოვილი ყვითლად შეფერადდება, მთხრობელთა ახსნით წერი კაკლის ქერქია, ხოლო დაწერვა კაკლის ხის ქერქის ნახარშით ქსოვილის მოყავისფროდ შეფერადებას ეწოდება. აღსანიშნავია, რომ ხშირად დაწერვას სხვა მცენარეებში ხარშვასაც უწოდებდნენ. თუ ეს ასეა, მაშინ დაწერვა შეიძლება „წერ“ ცნებასთან კავშირშიც იყოს განხილული, რომელიც ჭრას, კვეთას, დაჭრელებას, კვალის გავლებას უნდა აღნიშნავდეს[32]. მაშინ კაკლის ქერქის სახელი „წერიც“ მის საღებავ თვისებას და ამ გზით ღებვის ტექნიკას დაუკავშირდება. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ იმერეთში ღებვის პრაქტიკაში კაკლის ფესვებით ფერჭერაც დაწერვა და თანაც გავრცელებული ღებვის საშუალებაა. აქ იბადება კითხვა გურულ დაფესვაში—ფერჭერაში შემონახული ხომ არ არის მცენარული ფესვების გამოყენების სტადია? თუ ეს ასეა, მაშინ დაწერვა, დატიტბვა, დაფესვა იგივე ფერჭერაა, მაგრამ სხვადასხვა საშუალებით წარმოებული. ასეთი ვითარება უნდა იგულისხმებოდეს, როცა ვ. პეტროვი წერს. «Материальные источники для получения определенного крас-

---

[32] იხ. ს ო ნ ბ ო ლ ა ძ ე. „წერა“ ცნების გაგებისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII ს. თბ., 1979, 280—282.

сильного эффекта даже в пределах того же самого окрашиваемого материала, исторически не оставались постоянными»[33]. ამ წყაროთა დროში მონაცვლეობა სრულიად აშკარად ჩანს. ჩვენს შრომაში მოტანილი ღებვის მრავალფეროვანი რეცეპტები, ხოლო გურიაში შავად ღებვის წესში არსებული ფერჭერა-დაფესვა საერთო ქართული ღებვის ტექნიკის ლოკალურ საფეხურს უნდა მიეკუთვნოს.

თუ ერთფერად ღებვის ტექნოლოგიაში გურიაში გურული მღებავის ცოდნა და გამოცდილება კარგად ჩანდა, ჭრელად ღებვაზე ანუ ქსოვილების დაჭრელებაზე ეს არ ითქმება.

საერთოდ ქსოვილების დაჭრელების ორგვარი წესია ცნობილი: ღებვით და ფერადი ძაფებით ქსოვით. გურიაში ღებვით დაჭრელებას შულოების დაკვანძის საშუალებით აღწევდნენ. მაგრამ დაჭრელების ამ წესს იშვიათად და ისიც მხოლოდ ლანდების II შულოების შესაღებად მიმართავდნენ, რომელსაც ჭრელი წინდის, კარაჭინის II პაიჭის საქსოვად ხმარობდნენ. უფრო ხშირად ქსოვილის დაჭრელება ქსოვით სცოდნიათ. ასე ქსოვდნენ ჭრელ, ზოლიან-ფორჩხებიან ხამს, რომელშიც ფერადი ძაფებით დაქსელილ ფორჩხებს ერთი ფერის ძაფს მიასხამდნენ. ქსოვილით დაჭრელების სხვა სახეობას კუბოკრული ქსოვილი წარმოადგენდა, რომელიც ფერად ზოლებად დაქსელილ ფორჩხებზე ფერადი ძაფის მისხმით იქსოვებოდა. ამგვარ ჭრელს გურიაში ფოტურს უწოდებდნენ. ც. ბეზარაშვილი წერს, რომ ფოტური ფუთურის სინონიმია. მას იმერეთში ფუთური ორი მნიშვნელობით დაუდასტურებია: ქსოვილისა და ნაქსოვში დაყოლებული ზოლის სახელად[34]. მაგრამ ფუთურს აქვე მესამე მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, კერძოდ, ფუთური ღებვით დაჭრელებულ ქსოვილს, ხოლო დაფუთურებული—დაჭრელების წესს აღნიშნავდა. დაჭრელებისათვის კი ასე იქცეოდნენ. ალაგ-ალაგ, გარკვეულ მანძილზე ორად გაკეცილ ხამს ძაფს შემოახვევდნენ ან ნემსით რამდენიმე წვერს ამოუგდებდნენ, ნაოჭს სხვაგვარადაც აკეთებდნენ: გარკვეულ მანძილებს შორის თანაბარი ზომის კენჭებს ან თხილებს გამოკრავდნენ: ამგვარად, დაკონილ ხამს, შეღებვის შემდეგ დახსნიდნენ, რომელსაც ძაფით დაკონილი ნაწილი შეუღებავი რჩებოდა და შეღებილ ფონზე

---

[33] В. А. Петров. Опыт классификации красильных растений и растительных красок.

[34] ც. ბეზარაშვილი, ქალის ქვეშეთი სამოსელი საქართველოს მთიანეთში (მასალები ქართული სამოსელის ატლასის შესადგენად), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXI-ე, თბ., გვ. 162—163.

ჭრელ სახეს ქმნიდა. ასე დაფუთურებულ ქსოვილს გურიიდან დაფოთლილი სახიანი ფოტური ცახოცი შეესაბამებოდა. გამოდის, რომ ფუთური II ფოტური, საერთოდ სახიანი ქსოვილის სახელია, რომლის მნიშვნელობა ითავსებს როგორც კუბოკრული ისე ფოთლიანი სახის ქსოვილსაც. ამავე დროს ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ფოტურს//ფუთურში იქნება უადრესი ან პირველადიც იყოს ფუთური ფუთ-ძირისა და ურ- სუფიქსით ნაწარმოები სიტყვაა, სადაც ურ- სუფიქსი აღნიშნავს თვისებას, სათანადო საგანთან მიმართებით (მაგ., ქალ-ურ-ი, მგლ-ურ-ი, მხეც-ური)[35]. ფუთ-აქ. ე. გ. ლექსიკონში განმარტებულია ბოხჩად[36], ბოხჩა ქსოვილის ოთხკუთხი ნაჭერია, რომელშიც გამოაკრავენ ნივთებს, ასეთ ნაჭერში გამოკრული რამ, თვითონ-ასეთი ნაკრაულია[37]. ამ მონაცემების მიხედვით ფუთურიც ფუთაში გამოკრული რამ,ნაკრაულია. გურულად ფუთა იგივეა რაც ფოტა[38]. ხოლო ფოტურიც ფოტაში გამოკრულს უნდა ნიშნავდეს რომელშიც ფუთურის ანალოგიურად ღებვით ქსოვილის დაჭრელების წესი უნდა იგულისხმებოდეს. ამის მიხედვით უნდა დავუშვათ, რომ ფუთური II ფოტურით დაჭრელების ტექნიკას გურიაშიც იყენებდნენ. ფოტური—ცახოცი. რომელსაც აქ სახიან ცახოცად განმარტავენ. მარტო ორნამენტოვან მოტივის სახელად კი არ უნდა იქნეს მიჩნეული, არამედ ფოტურში II ფუთურში დაჭრელების ტექნიკაც იგულისხმება. მაშასადამე, ფოტურ ცახოცში ღებვით დაჭრელების თავდაპირველი მნიშვნელობაა შემონახული, რომელიც შემდეგ ორნამენტული სტილის განურჩევლად ჭრელის ზოგად სახელად იქცა.

ჭრელ ქსოვილთა შორის სამყადის სარტყელსაც მოვიხსენიებთ. იგი რამდენიმე ფენად წელზე შემოსარტყმელი მამაკაცის აბრეშუმის სარტყელია. სამყადის სარტყელი გურიაში დიდი მოწონებით სარგებლობდა. გურიის სოფლებში სამყადის სარტყლის ქსოვაში დაოსტატებული ქალებიც იყვნენ ცნობილნი. ბოლო დრომდე მოწონებით სარგებლობდა ს. ლიხაურში მოქსოვილი სამყადის სარტყლები. ხუთი ფერითაც უქსოვიათ იგი, რომლის შუა თეთრით დაქსე-

---

[35] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 128.

[36] ქ. ე. გ. ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962 წ.

[37] ქ. ე. გ. ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950 წ.

[38] ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ღლონტმა, თბ., 1975, გვ. 163.

[39] გ რ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, გურული ზემოიმერული, ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.

ლილ ფორჩხებს ერთ მხარეს წითელი, ლურჯი, მეორე მხარეს ცისფერი და ყვითელი ფორჩხები იყო გაწყობილი, მას კვლავ თეთრი და მისი მომდევნო ფერების ფორჩხები მოსდევდა. ფერების ასეთივე თანმიმდევრობა მეორდებოდა განივ მისხმული ფორჩხებითაც[12]. ფერთა ამგვარ თანმიმდევრობას გურიაში ცისარტყელასაც ადარებდნენ, საერთოდ სხვა აქაური ქსოვილები ფერთა სიჭრელით არ ხასიათდებოდა. ბამბის II ხამის ქსოვილები ორი-სამი ფერით იქსოვებოდა—წითლითა და შავით; ლურჯითა და წითლით; წითლით, მწვანითა და შავით; წითლით, ლურჯითა და თეთრით. ამგვარი შეწყვილება-შეხამების ზოგადი კანონით აღიარებული დადგენილი წესია. როგორც ჩანს, გურული ქალები ფერთა შეხამების არსშიც კარგად ერკვეოდნენ, და მაინც, ქსოვილების მოჭრელება გურიაში დიდ ყურადღებას არ იმსახურებდა. ძირითადს ღებვის საქმიანობაში შავად ღებვა წარმოადგენდა, რაც როგორც დავინახეთ, რთული და შრომატევადი პროცესი იყო. სოფლებში ამ საქმეში დახელოვნებული და ცაწაფული მოსაქმენიც გამოირჩეოდნენ. ეს მოსაქმენი ღებვას ხშირად ღელის პირებში აწარმოებდნენ: „სადაც წყალი იყო ცეცხლს იქ ანთებდნენო". იქნებ ს. ფარცხმის ტოპონიმიკაში დადასტურებული „ღებრის გორის" სახელის ახსნაც ამ ადგილებში სამღებრო საქმიანობას დაუკავშირდეს. მაშინ აქ პროფესიონალ მღებავზეც შეიძლება ფიქრი. სოფელში ღებვის საქმეში დახელოვნებული მღებავებიც ხომ ღებვას დაკვეთით ეწეოდნენ, ხოლო საზღაურს ფულით ან ნატურით იღებდნენ, რომლის ოდენობა მკაცრად კი არ ყოფილა განსაზღვრული, არამედ ურთიერთ შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული, უფრო ხშირად დამკვეთის სურვილით წყდებოდა. მიუხედავად ამგვარი შემთხვევებისა, გურიაში ღებვა ბოლომდე ოჯახური მრეწველობის ფარგლებში რჩებოდა.

ხარისხიანი ღებვისათვის პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად გურული მოსაქმე ქალი მაგიურ-რელიგიურ ღონისძიებასაც მიმართავდა, ამათგან ზოგს ემპირული ცოდნა-გამოცდილება ედო საფუძვლად. ამ მხრივ აღსანიშნავია ძველ მთვარეზე ღებვის უპირატესობა ე. ი. მაშინ, როცა მთვარე დამცხრალი და სავსე იყო; როცა მთვარე პატარა იყო. ახალ მთვარეზე იტყოდნენ: საღებავს დასწვავსო. სხვადასხვა საქმიანობათა შორის ახალ მთვარეზე ხის მოჭრასაც ერიდებოდნენ. ლ. ბედუკიძე ხალხური ავეჯის შესწავლის საფუძველზე წერს, რომ: ამ ხალხურ ჩვეულებას თავისი საფუძველი გააჩნია, რომელიც შეიძ-

ლება იქიდან გამომდინარეობდეს, რომ ახალ მთვარეზე „ხის ჭია“ იღვიძებს, აქტიურდება, ხეში წყალს ამოძრავებს და ხის ყოველგვარ სინესტეს ფესვებიდან და პირუკუ აბრუნებს, ხე „ამღვრეულია“, რადგან მთვარე მოწოს ამოძრავებასთან ერთად ჭიასაც აცოცხლებს. ხოლო ჭიანაჭამი ხე მდარეა და ავეჯისათვის გამოუყენებელი. მაშასადამე, წელიწადის განსაზღვრულ დროში მოჭრილი ხე მთვარის გარკვეულ ფაზაშიც უნდა მოქცეულიყო[40]. საავეჯე ხის მასალისათვის დაშვებული ეს ვარაუდი, არც ღებვის დროს უნდა კარგავდეს ძალას, რადგან ჭიანაჭამ და დასუსტებულ ხეს, რომლის წვენიც მთვარის გარკვეულ ფაზაში განზიდულია, ღებვის ხარისხის უნარიც ნაკლები ექნებოდა.

სხვა წეს-ჩვეულებები ირაციონალური ხასიათისა იყო. აქ ყურადღებას იქცევს შეხედულება ავ თვალზე. ამ დროს უცხოსთან ღებვას ერიდებოდნენ და თუ უცხო თვალი ღებვას მაინც შეესწრებოდა და თავის აღტაცებას, „ვაი რა კარგია“, სიტყვებით გამოხატავდა. მაშინ ამ შეძახილის გასაბათილებლად ასეთ მაგიურ მოქმედებას მიმართავდნენ: შემოსწრებულ უცხო პირს თმას ჰპარავდნენ, დაწვავდნენ და მასვე ჩუმად გადააყრიდნენ თავზე.

ღებვაში ფეხის დაცდაც იყო ძალაში, რასაც აქ სხვა ამგვარ ჩვეულებებთან ერთად ბრძნილობას ეტყვიან.

ღებვაზე დაბადებასთან დაკავშირებული აკრძალვის წესიც ვრცელდებოდა, იგი შემდეგში გამოიხატებოდა: ოჯახს სიკვდილი, რომ არ დაბედებოდა, ძმაზე ან მამაზე მწუხარეს სამგლოვიარო სამოსელის შავად ღებვა საკუთარ (ქმრის) ოჯახში ეკრძალებოდა. საერთოდ სამგლოვიარო სამოსელს თვით მიცვალებულის ოჯახში ღებავდნენ.

აქ დასახელებული წეს-ჩვეულებები მარტო ღებვისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი, იგი საერთო ქართულ წარმოდგენათა სისტემის ორგანული ნაწილია და მისგანვე მომდინარეობს.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ღებვის გურულ წესებში კარგად აისახება ხალხის საწარმოო — შემოქმედებითი უნარი. მაგრამ, ჩვეულებრივ, ამ დარგს აქაც კარგა ხანია გამოეცალა საფუძველი. აქაური მოსახლეობა ხელოვნურ საღებავს იმთავიდანვე მიეტანა, რომელსაც დაუბრკოლებლად იძენდნენ ბაზრობაზე, სოფლის დუქნებში ან ებრაელებისაგან. კარდაკარ მოსიარულე ებრაელების ე. წ. „ბარგის წამალში“ გუნდა-ლახოსტაკს და სხვა საწვრილმანო საქო-

---

[40] ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, სვანური ავეჯი, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970, გვ. 170.

ნელთან ერთად ხელოვნური საღებავების არჩევანი მოეპოვებოდათ. ხელოვნურმა საღებავებმა გურულ ქალს გაუმარტივა ღებვის შრომატევადი პროცესი, რამაც ხალხური საშუალებების ღებვაში გამოყენება შეზღუდა, ხოლო ღებვის ბევრი ხალხური წესი დავიწყებას მიეცა. ამ ხასიათის მასალა ახლა ფრაგმენტულია. მიუხედავად ამისა, ღებვის ხალხური ტექნოლოგია გურიაში მეტ-ნაკლები სისრულით მაინც შეიძლება აღდგეს.

Л. Н. МОЛОДИНИ

НАРОДНЫЕ СПОСОБЫ КРАШЕНИЯ В ГУРИИ

Резюме

На основании изучения этнографического материала установлено, что крашение народным способом в Гурии характеризуется теми же признаками, которые восходят к общегрузинским традициям.

Материалом окраски являлись изделия из шерсти, шелка и хлопчатобумажные изделия (одежда: чоха, брюки, головные платки, пояс, пряжа для носок и ноговиц, пастельного белья. Указанные предметы окрашивались в разные цвета, в основном в черный.

На активное развитие занятия этого рода указывает существование диференцированной терминологии для определения местного спектра. В Гурии отличали основные краски, отдельные тона и качества цвета. Основные цвета определялись собственными именами «красный», «желтый», «синий», тона цветов сравнительно — описательными именами: кофейный, винный, вишневый, цвет травы и т. д., качества цвета светлый и темный именовались — темным—«купри» и свелтый — «тиали», «гала».

Источниками спектра в Гурии являлись культурные породы местной флоры и минеральные вещества—«мицанела» (по химическим анализам охра). В качестве сырья для красок использовались кора, скорлупа и листья грецкого ореха (Juglans regia), марена (Rubia tinctoria L) Кора граната и др.

На основании технологического анализа крашения народным способом, в Гурии установлены способы покрывного, прямого и протравного крашения. Они составляют ступени

развития технологии окраски, указывающее на местное происхождение этой отрасли хозяйства путем восприятия местных красительных ресурсов.

Среди вышеперечисленных красильных средств некоторые являются независимыми красками, а часть применяется с помощью протравы.

К протравному крашению обращались во время черной окраски. В этом случае протравом служила кора дуба, ольхи, грецкого ореха, а черной краской применяли минеральную краску «мицанела»

В технологии крашения прибегали к закрепительному средству, каким являлись поташ, железная ржавчина или квашеная железная опилка — «кинацила». В Гурии засвидетельствована техника пестрого крашения — «потури». В научной литературе и словарях «потури» объясняется как клетчатая или линейная ткань. В труде автор старается доказать, что «потури» обозначает технику пестрого крашения. В настоящее время название — «потури» носят пестрые клетчатые ткани.

Фаза протравного крашения, выраженная термином «дапесва» (дословно протравливание листьями или корой растений) является разновидностью протравливания, которое производилось растительными корнями. Гурийское протравливание — «дапесва» локальный вариант общегрузинской техники крашения.

ნ. ღოღობერიძე

ხალხური გართობა-თამაშობანი გურიაში

თამაშის გავლენა ამა თუ იმ ხალხის ბუნების ჩამოყალიბებაში ჩანს გურიის მაგალითზე. ჩამოთვლის რა XIX ს. საზ. მოღვაწე ტ. მამალაძე გურიაში გავრცელებულ თამაშებს, დასძენს, რომ „თამაშთა გავლენა ჩანს ამ კუთხის მცხოვრებთა ხასიათზედაც. გურულები მოქნილები, ცქვიტები, გამბედავები, საზრიანები, გონებამახვილები არიან. ამ თვისებათა ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო გურულებისათვის საყვარელმა თამაშებმაც[1] ამავე დროს, თუ გავიხსენებთ იმ ისტორიულ ვითარებას, რომელიც არსებობდა საუკუნეთა მანძილზე, ცასაგები გახდება აუცილებლობა ისეთი თამაშებისა, რომლებიც ადამიანებს გამოუმუშავებდნენ სათანადო ჩვევებს ყოველგვარი გასაჭირის გადასატანად.

გურულ გართობა-თამაშობათა შესახებ ცნობებს ვხვდებით მოგზაურთა ნაწერებში, ა. წულაძის წიგნში, გ. ლომთათიძის, ა. თოიძის საარქივო მასალებში. მხატვრულ ლიტერატურაში და სხვ.

გ. ლომთათიძის და ა. თოიძის შეკრებილი მასალა სპორტულ თამაშებს ეხება, ამიტომ აქცენტი გადატანილია შეჯიბრებითი ხასიათის გართობაზე და მასალაშიც მოყვანილია ისეთი გართობა-შეჯიბრი, რომელიც უფრო ვაჟის ფიზიკურ წვრთნას ემსახურება. ასეთებია: წონასწორობა, თითის, ფრჩხილის „წკიპარტი“, ბეჭის გატეხვა ცერზე, „კენწლობიე“ ფეხით, ჯოხით, უმოძრაო კაცის აყვანა, მჯილის გახსნა, მუშტებით აყვანა, „მკლავაყვანიე“, ფოთოლის „გატკლეცა“, ცურაობა, „ჩორხიალი“ (თავდაღმართზე ჩამოსრიალება) და სხვა.

---

[1] Т. Мамаладзе. Народные обычай и поверья Гурийцев, СМОМПК, Тб., 1899, Ч. I, с. 59.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ გართობებს არავითარი სიუჟეტი არ გააჩნია და ისინი თამაშებად არც ჩაითვლებიან. ამრიგად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ არსებული მასალების, ლიტერატურული წყაროების მოშველიებით, ძირითადად მაინც ჩვენი მთხრობელების ნაამბობს დაეყრდნობოდით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მთხრობელებიც ასახელებენ ზემოაღნიშნულ შეჯიბრებითი ხასიათის გართობას და ჩვენ იმათ აღარ გავიმეორებთ.

გურიაში ბავშვს დაბადებისთანავე ხელზე და ფეხზე ჯერ ცივ წყალს გადაავლებდნენ — „ხელში წადგომა არ ეცოდინებაო“ (ხელები არ გაეყინება), მერე—თბილს. წესით აკვანი ქალის მშობლებს უნდა მოეტანათ. ხოლო თუ ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ვინმესგან ითხოვდნენ, გარეცხავდნენ და მკლავზე გადაკიდებულს ცეცხლზე „გადააშვერდნენ-გადმოაშვერდნენ, თან გაიძახოდნენ: „წმინდა გიორგი და 365 ანგელოზნო დაიცავი, იხსენ ყოველი ბოროტისაგან“. ამის შემდეგ ბავშვს ჩააწვენდნენ აკვანში. ლეიბის ქვეშ ჩაუდებდნენ ყავარს, რომელიც საშიბაქე ადგილას ამოჭრილი იყო და ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა შქერის ფურცელი. ბალახს დასველებისთანავე გადაყრიდნენ და შეცვლიდნენ მშრალი ფოთლებით, სასთუმალქვეშ შემოუწყობდნენ დანას, საკარცხელს, მაკრატელს, ტაგანას (ფოთოლი). ტაგანას იმდენად განსაკუთრებულ ძალას მიაწერდნენ, რომ საყმაწვილოთი დაავადებული ბავშვის შელოცვისას ტაგანასაც ახსენებდნენ. „ლილა, ქალბანა, ტაგანა, პილა პოლიტანი. სახელითა მამითა, ძითა ღვთისითა, ამ ბაღანაის ტანიდან გამოდი, გამოეცალე, გაქრი და გაიპარე, ფეხის ჭვინთში გაიარე“. ავი თვალისაგან დასაცავად და თან გასართობად აკვნის ხელზე ჩამოკიდებდნენ ხოლმე პანტის ჯვარს, აბოს კბილს, ტატილეს (ფერად მძივებს), ქარვას, ბატის ხორხს, ზღვის ლოკოკინას, აგრეთვე აკვანზე წაუსვამდნენ ხოლმე კუპრს. ზოგჯერ კი ყურს უკან ულაგებდნენ დამწვარ ასანთის ღეროებს და თან ბავშვს ასუნებინებდნენ. როცა დედა გადიოდა ოთახიდან, მაშინ აკვანზე ან ჯოხს მიაყუდებდა, ან სკამს მიადგამდა. თან ხმამაღლა წარმოთქვამდა: —მე ამ ბაღანას მარტოს არ ვტოვებ“ როცა ბავშვი ფეხს აიდგამდა, ოჯივარაში სვამდნენ და იქ სწავლობდა სიარულს.

ამ კუთხის გართობა-თამაშობანი დავალაგეთ შემდეგნაირად: შეჯიბრზე აგებული, სამონადირეო, საყოფაცხოვრებო, გონების საკარჯიშო. ასაკობრივ თუ მივუდგებით, ბიჭები თამაშს იწყებდნენ 5—6 წლიდან და თამაშობდნენ 14—15 წლამდე. გოგონები კი 5—6

წლიდან ვიდრე 10—11 წლამდე, შემდეგ კი ებმებოდნენ საოჯახო საქმიანობაში.

ს ი მ ა რ დ ი ს გასავითარებელი წვრთნა იწყებოდა ჯერ ადვილად შესასრულებელი სავარჯიშოებით. მაგ., სირბილი გარკვეულ მანძილზე დანიშნულ საზღვრამდე, ზოგჯერ ცალ ფეხზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ასაკის მომატებასთან ერთად მატულობდა გასაქცევი მანძილიც, იყო ტომარაში ჩამჯდარი ბავშვების სირბილიც. სირბილზე იყო აგებული თამაში კ ო დ ი ლ ე. დანიშნული ადგილიდან გამოქცეული ერთ-ერთი მოთამაშე რომელიმეს ხელს დაარტყამდა, მიაძახებდა „კოდილეს“ და განაგრძნობდა სირბილს. თუ „დაკოდილებული“ დაეწეოდა და ხელს დაარტყამდა, მაშინ იგი განთავისუფლებულად ითვლებოდა და ახლა ის „დაკოდავდა“ ეინმეს. თამაშ ხ ი ტ ი რ ი ა ს დროს ერთ-ერთ თვალახვეულს მიუახლოვდება მეორე მოთამაშე, რომელსაც ისეთი საგანი უჭირავს ჭახუნის ხმას რომ გამოსცემს. იგი ყურთან გაუჭახუნებს და თან მიაძახებს: „ხიტირია“, „ხიტირიაო“. თვალახვეული გამოუდგება და თუ დაიჭირა, მაშინ იგი გამარჯვებულად ითვლება და ახლა თვალებს აიხვევს დაჭერილი.

იყო სხვადასხვა სახეობის ხტომაც. ადგილიდან, სიგრძეზე მიწყობილი ფეხებით (ამას ფ ე ხ მ უ წ ი ე ერქვა), გამოქცევით. ჩხირზე, სიმაღლეზე, რომელიც შემდეგნაირად ხდებოდა: ხის ორ, სწორ ტოტს გასხლავენ ისე, რომ შეარჩენენ მხოლოდ მცირე ტოტების წანაშვერებს (3—5 სმ. სიგრძისა). გასხლულ ორ ტოტს ჩაარჭობენ მიწაში, ერთმანეთისაგან 1—1,5 მეტრის დაცილებით, ტოტების განასხლავ მცირე შვერილებზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ჩამოადებენ სწორ შოლტს ან თამასას, მხტომელთა შესაძლებლობის მიხედვით, შოლტს გადაუნაცვლებენ ქვეევიდან ზევით. გამარჯვებულად ის ჩაითვლება, ვინც შოლტზე წამოუდებლივ ყველაზე მაღლა გადახტება. იცოდნენ აგრეთვე ზურგზე გადახტომაც და ნაბადზე გადახტომაც. თამაში იწყებოდა ერთი ნაბდით და თანდათან უმატებდნენ ნაბდების რაოდენობას. ამრიგად, ნაბდის კალთების სიგრძის მიხედვით საზღვრავდნენ ნახტომის სიგრძესაც. ასეთი რთული ნახტომის შესრულებას ახერხებდნენ, რასაკვირველია, მოზრდილები. გადახტომაზეა აგებული თამაში კ ლ ა ს ო ბ ი ე. დახაზავდნენ უჯრებს და ფეხით გადაჰქონდათ ქვა უჯრიდან — უჯრაში, ვინც მოახერხებდა ქვის გამოტანას უჯრიდან ისე, რომ ქვა რომელიმე უჯრის ხაზზე არ მოხვედრილიყო — ის გამარჯვებულად ითვლებოდა.

წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს გრძნობის გამომუშავებას ემსახურებოდა ხის ტოტი ან მსხვილი თოკი, რომელზედაც გადი-გამოდიოდნენ.

ფერდობებზე და მთებზე ცოცვამდე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს უტოტო, სწორ ხეზე ასვლაში. გამარჯვებულად ითვლებოდა ის მოთამაშე, რომელიც ყველაზე უფრო მაღლა მოახერხებდა ასვლას. იცოდნენ აგრეთვე ტანგამართულად ჭოკზე აცოცვა, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: აიღებდნენ თხილის სწორ ჭოკს ან ვენახის გრძელ ლერწს და ხის ტოტზე მიაბამდნენ ბაწრით. ჩამოკიდებული ბოლოდან ბიჭები ტანგამართულად აცოცდებოდნენ ჭოკსა თუ ვენახზე. აქაც, გამარჯვებულად ის ჩაითვლებოდა, ვინც მოახერხებდა ყველაზე უფრო მაღლა ასვლას.

ღ ო ნ ი ს გამოსაცდელად კი ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს ხელების გადაწევაში, ვ ე ნ ა ხ ი თ მ ო ქ ა ჩ ვ ა შ ი. ამ დროს, არჩევან-არადანის გათვლის შემდეგ მოთამაშეების ორი ჯგუფი ერთიმეორეს პირდაპირ დგებოდა. შუაზე გაავლებდნენ ხაზს. ხელს ჩაავლებდნენ თავისუფალ ბოლოებზე ვენახის მოგრძო ლერწს; რომელი ჯგუფიც იმ ხაზს გადმოაცილებდა და თავისკენ გადმოსძალავდა, გამარჯვებულად ითვლებოდა. ძალ-ღონის გამოსაცდელად ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ჭ ი დ ა ო ბ ა შ ი, რაც განსაკუთრებით იმართებოდა ხოლმე დღეობებში. მწყემსი ბიჭები კი ჭიდაობდნენ მცენარე გვიმრებით და ამას კ ა კ ვ ო ბ ი ე ერქვა. გვიმრის ტოტების ამონაყარებს მოტეხავდნენ და ფოთლებს შემოფცქვნიდნენ. მიღებულ მხრეულებს აჭიდებდნენ, ვისი გვიმრაც გატყდებოდა, ის ითვლებოდა დამარცხებულად. როგორც ყველგან, აქაც ეჯიბრებოდნენ აგრეთვე მ ძ ი მ ე ქ ვ ი ს ა წ ე ვ ა შ ი.

ხ ე ლ ი ს ს ი მ ა რ დ ი ს განვითარებას ემსახურებოდა ისეთი თამაშები, როგორიცაა: კ ე ნ ჭ ო ბ ი ე, რომელსაც თამაშობდნენ ხუთი კენჭით, ყველგან გავრცელებული წესისამებრ. ილეთების სახელები იყო: ერთობიე, ორობიე, სამობიე, ოთხობიე, გორობიე, გოჯობიე, ჯიღობიე, ციდობიე. ტკაველობიე, კლავობიე, მუხლობიე, ფხარობიე, ჩუმათობიე, ხაჭურობიე, ცისკარტობიე. ამ თამაშისათვის მდინარე სუფსას ნაპირებზე სპეციალურ კენჭებსაც კი ეძებდნენ ხოლმე.

ჯ ო ხ ო ბ ი ე ს დროს ჩხირებს წვრილ ნაჭრებად დატეხავდნენ და კენჭობიასავით თამაშობდნენ. გამარჯვებულად ის ჩაითვლებოდა, ვისაც ხელში კენტი ჩხირები შერჩებოდა.

რაც შეეხება თამაშ დ ა ნ ო ბ ი ე ს ზოგი მას თხის პოჭოკობს ეძახდა. ვინც ვერ შეასრულებდა საჭირო ილეთებს (ხურგი, მუჭო, ნეკმედო, თავო, წარბო, ცხვირო, კბილო, წკიპარტო, და სხვა), ისჯებოდა და მას კბილით უნდა ამოეღო მიწიდან ჯოხი. ხელის მოქნილობა იყო საჭირო აგრეთვე თამაშ წკიპარტას დროს. სხვადასხვა ადგი-

ლას დალაგებული სამი ქვა წკიპურტით ისე უნდა გაეგდოთ, რომ სამივე ერთიმეორისათვის მიეახლოვებინათ. ვინც ამას მოახერხებდა, გამარჯვებულად ითვლებოდა.

ჩ ხ ი რ ო ბ ი ე ს სხვადასხვა რაოდენობის ჩხირებით თამაშობდნენ და წესებიც ოდნავ განსხვავებული იყო. წინასწარ შეთანხმდებოდნენ ქულათა რაოდენობაზე. ხან ხელის გულზე დალაგებულ ათ ჩხირს მაღლა აჰყრიდნენ, ხელს გადმოაბრუნებდნენ და ხელის ზურგით დაირჩენდნენ. შემდეგ საწინააღმდეგო ილეთს შეასრულებდნენ. რამდენ ჩხირსაც დაირჩენდნენ და არ ჩამოაგდებდნენ, ის ქულად ეთვლებოდათ. ზოგჯერ ჩხირებს თავისი სათვალავი ჰქონდა. ვისაც მეტი ქულების რაოდენობა დაუგროვდებოდა, ის გამარჯვებულად ითვლებოდა. იყო ასეთი ჩ ხ ი რ ო ბ ი ე ც: ქვაზე დადებდნენ მოგრძო ჯოხს და ზედ დაალაგებდნენ ჩხირებს. ორი მოთამაშე ბავშვი გამოიქცევა, დაარტყამს ფეხს ჯოხს, ჩხირები მაღლა ახტებიან და მიწაზე მიმოიფანტებიან. ვინც მოასწრებს მეტის აკრეფას, ის გამარჯვებულად ითვლება. თამაშ რ ე კ ა ტ ო ბ ი ა ს დროს კი ამოთხრიან ორმოს, ზევიდან დაალაგებდნენ სამ ჯოხს. მოზრდილ ჯოხს დაარტყამენ ერთ-ერთ ჯოხს, ის სადღაც დავარდება, იქიდან სასროლო ჯოხით გადაზომავდნენ მანძილს, ამ თამაშშიც მანაწილე ორი ბავშვი წინასწარ შეთანხმდებიან ქულათა რაოდენობაზე, გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც შეასრულებს დათქმულ ქულათა რაოდენობას.

ვ ე ზ ი რ ო ბ ი ა ს თამაშობდნენ უფრო მწყემსად გასული ბიჭები, დაახლოებით 7—15 წლის ასაკამდე. თამაშობდნენ სამნი. ხის სწორ ტოტს, სიგრძით 5—7 სმ. გააპობენ სიგრძეზე ორ თანაბარ ნაწილად. მიწაზე წრედ შემომსხდარი ბიჭები დაიწყებდნენ გაპობილი ჯოხების მიტყუპულად ასროლას და დაყრას. თუ განაპობი პირით ორთავე ნაჭერი მიწისკენ დაეყრება, დამყრელს მიეკუთვნება „ვეზირის“ წოდება, მას ჩაბარდება ტყავის ქამარი და ეძლევა უფლება „მეფის“ ბრძანების შესრულებისა . „მეფედ“ ის მოთამაშე ხდება, რომლის მიერ აყრილი ჯოხები პირით მაღლა დაცვივა. „ბატის ქურდად“ კი ის ჩაითვლება, რომლის ასროლილი განაპობი ჯოხები დაეცემა ერთი პირით დაბლა და მეორე მაღლა. ბოლოს „მეფე“ უბრძანებს „ვეზირს“ „ბატის ქურდის“ დასჯას, რაც გამოიხატება ან ხელის გულზე ქამრის დარტყმით, ან სხვა სახის სასჯელით.

თ ო რ მ ე ტ-თ ო რ მ ე ტ ა ო ბ ა ს გურიაში ასე ასრულებდნენ: აიღებდნენ წალდს ან დანას და წვერით სცემდნენ მიწაზე ან ფიცარზე, თან თითოეულ დაკვრას ზედ აყოლებდნენ შემდეგ ტექსტს: „თორმეტ, თორმეტ თორმეტაო, თუ გამოხვალ თორმეტაო, დანა შენ

და პირი მეო". დაითვლიდნენ წალდის წვერით დაჩხვლეტილ ადგილებს და, თუ თორმეტი გამოვიდოდა, მოგებულად ითვლებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბევრ კუთხეში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთაში) „თორმეტაობა" ზოგჯერ გათვლის ერთ-ერთ წესად ითვლება, ზოგჯერ კი გონების სავარჯიშო-ჭადრაკის მსგავს თამაშად[2].

სიმარჯვეა საჭირო ლახტის თამაშის დროსაც, რასაც გურიაში უფრო ქამრობიას ეძახდნენ და ასრულებდნენ ყველგან გავრცელებული წესის მიხედვით. ჯაფარიკაც (რიკ-ტაფელას მსგავსი) საყვარელ გასართობს წარმოადგენდა არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ მოზრდილებისათვისაც.

იმ თამაშებიდან, რომლებსაც საფუძვლად უდევთ ნადირობა, შეიძლება დავასახელოთ: ბატობიე. ამ თამაშისას ბატების პატრონი საძოვარზე გარეკავს ბატებს. ორი ტურა კი, ერთი მამალი ბატის გარდა ყველას მოიტაცებს და დამალავს თავის სადგომში, ბატების საძებრად წასული პატრონი შეხვდება ტურას, რომელიც უარჰყოფს ბატების მოტაცებას, მაგრამ პატრონი მაინც მიაღწევს იმ ადგილამდე, სადაც ხელიხელ გადანასკული ბატები არიან დამწყვდეულნი. პატრონი ულტიმატუმს წამოუყენებს ტურას, მხოლოდ ის ბატები გერგება, რომლებსაც ხელებს გაუხსნიო, ტურა ჩაატარებს ამ მოქმედებას და დიდი წვალების შემდეგ ნაწილი მას დარჩება, ნაწილი კი პატრონს დაუბრუნდება. ქორა-ბუდეშიც არის ბრძოლა ქორსა და კრუხს შორის. ქორის ბუდესთან მივა წიწილებმობმული კრუხი და შესძახებს: „— ქორო, ბუდეს დაგიშლი", ამაზე ქორი უპასუხებს — „ — მე წიწილას წაგართმევ", „დაიწყებენ ბრძოლას. კრუხი ცდილობს ბუდის დაშლას, ხოლო ქორი კი თან იცავს თავის ბუდეს კრუხის თავდასხმისაგან, თან კი ცდილობს წიწილის წართმევას. ბრძოლაში თუ ქორი დამარცხდა, ის უთმობს ადგილს კრუხს, ხოლო თუ კრუხი დამარცხდა, თავის ადგილს უთმობს მომდევნო წიწილას. ნესვობიეს თამაშობდნენ მარტო გოგონები. ერთ-ერთი მოთამაშე „დიასახლისი" იჯდა ცალკე. „ნესვები" კი მოშორებით. მეზობლები ყველა ნესვს გაიტყუებენ. ბოლოს, ნესვების უკან დასაბრუნებლად გაიმართება ბძოლა „დიასახლისსა" და „მეზობელ-დამტაცებლებს" შორის.

თვალსაზომის, მიზანში მორტყმის უნარის განვითარებას ემსახურება მიზანში ქვის სროლა, რასაც „ქვის

[2] კრებ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, ნ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე. თუშური სბავშვო გართობა-თამაში და სათამაშოები, გვ. 241.

დ ა ყ უ დ ე ბ ა ს“ ეძახიან. თამაშ პ ო კ უ ჩ ი ს ან როგორც ზოგი ეძახის ზ უ კ უ ტ უ რ ი ა ს დროს კი პატარა ქვას შემოდებენ დიდ ქვაზე და შორიდან ესვრიან რიგ-რიგობით. ვინც მორტყმით გადაგდებს ქვას, ის შეაჯდება დამარცხებულს ზურგზე და მიაყვანინებს ქვამდე.

ო რ მ ო ბ ი ა ს დროს კი ამოთხრიან რამდენიმე ორმოს. თითოეულ ორმოზე განკუთვნილი იქნება ქულების გარკვეული რაოდენობა. წინასწარ დათქვამენ გასამარჯვებელ ქულათა რიცხვს, მოთამაშე ბავშვები დაიწყებენ რიგრიგობით თხილის ან კაკლების ჩაყრას. რომელი მოთამაშეც ადრე შეასრულებს დათქმული ქულების (ფორა) ნორმას, მას მიეცემა ყველა თხილი ან კაკალი, რომლებიც ორმოებში ჩაცვივდა.

ნ ი გ ვ ზ ო ბ ი ა ს სხვადასხვანაირად თამაშობდნენ. ხან კოჭებივით დაწყობილ ნიგვზებში ისროდნენ როგორც ნიშანში და ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს მასში მოხვედრებაში. ვინც მოახვედრებდა, იღებდა კაკალს. ხან, რამდენი მოთამაშეც იყო, იმდენ ნიგოზსდააგროვებდნენ, ვისიც ყველას გაუსწრებდა, ის გამარჯვებულად ითვლებოდა და დანარჩენ ნიგოზსაც დაეპატრონებოდა ხოლმე. იცოდნენ ასეც: კაკლის ზომაზე ამოაღრმავებდნენ მიწას, ერთ-ერთი მოთამაშე ისეთნაირად მოათავსებდა ხოლმე კაკალს ორმოში, რომ მარტო თავი უჩანდა ზემოთ. მეორე მოთამაშე თავის კაკალს დაარტყამდა ზემოდან, ვისი კაკალიც გატყდებოდა, მთელს პატრონი აიღებდა.

მ შ ვ ი ლ დ ი ს ა რ ს-ბ ზ ი კ ა ლ-კ ო დ ა ლ ს აკეთებდნენ თხილისას, ისარს — კოდალს კი შქერისას ან ცოცხის ღეროსაც, მასში ჩაარჭობდნენ ნემსს. ლურსმანს, წინდის ჩხირის წანატეხს და ისროდნენ ან ნიშანში ან შინაურ ჩიტებში (ბელურა, სკვინჩა, თავშავა, კვირხილა).

თამაშ ფ ი რ ა ლ ო ბ ი ა ს დროს, ორ ჯგუფად გაყოფილები ერთმანეთს ებრძოდნენ ბზიკალ-კოდალებით. რაც შეეხება შ უ რ დ უ ლ ს, (ზოგი მთხრობელი მას ქვის სასროლ ჯოხს ეძახის), მასაც იყენებდნენ უფრო შეჯიბრში, თუ ვინ უფრო შორს ისვრის ქვას. ზოგჯერ კი შურდულს იყენებდნენ ყანიდან დათვის გასაგდებად — დასაფრთხობლად. გარდა ყველგან გავრცელებული შურდულის სახეობისა (ბაწრით ნაქსოვი), ხმარობდნენ აგრეთვე თხილის ჯოხს ან ჩალის ღერს, რომელსაც გაუპობდნენ თავს, შიგ ჩადებდნენ შესაფერისი დიამეტრის კენჭს, ჯოხს ღონივრად მოიქნევდნენ და კენჭი

ᲨᲐᲘᲢᲧᲝᲠᲪᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘᲡᲐ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲡᲕᲐᲜᲣᲠ ᲑᲘᲠᲔᲥᲣᲚᲡ[3].

ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ Ⓒ Ⓗ Ⓔ Ⓝ Ⓞ Ⓢ Ⓝ Ⓞ Ⓑ Ⓐ, ᲯᲝᲮᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲔᲮᲘᲑᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲗᲥᲛᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲚᲔᲚᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲡ ᲒᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲯᲘᲠᲘᲗᲔᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ Ⓚ Ⓐ Ⓒ-Ⓒ Ⓗ Ⓔ Ⓝ Ⓞ Ⓑ Ⓘ Ⓐ Ⓢ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲘᲡᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲐᲯᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲔᲠᲗᲘᲛᲔᲝᲠᲔᲡ, ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲜᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲨᲝᲚᲢᲡ ᲓᲐ „ᲪᲮᲔᲜᲘ“ ᲒᲐᲥᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ: „ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ“, ᲘᲒᲘ ᲛᲝᲒᲖᲔᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ: ᲔᲨᲛᲐᲙᲛᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲡ ᲣᲗᲮᲠᲐ: „ᲪᲮᲔᲜᲝᲑᲘᲐ“ ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲗᲝᲗ, ᲠᲘᲒ-ᲠᲘᲒᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲐᲡᲮᲓᲔᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲗᲐᲝ. ᲨᲔᲐᲡᲮᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲛᲐ „ᲘᲐ-ᲣᲐ“—„ᲘᲐ-ᲣᲐ“-Ს ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲗ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲐᲛᲓᲔ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ, ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ, ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲓᲐ[4]. ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲜᲝᲛᲠᲘᲗ (№ 35) ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲪᲐᲐ: „1923 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲘᲤᲣᲚᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ Ზ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ �გᲐᲐᲪᲜᲝ ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲐᲓᲐᲗ-ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲘ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ: „ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲧᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲯᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲯᲝᲮᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲑᲝᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲭᲔᲜᲔᲑᲓᲘᲗᲝ“.

Ა. ᲪᲐᲛᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ „ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲤᲣᲚᲝᲑᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲰᲘᲜᲝ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ... ᲜᲐᲒᲛᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲡᲞᲐᲠᲔᲑᲝᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ Ⓔ. Ⓦ. „ᲥᲐᲚᲐᲥᲝᲑᲐᲡ“ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲧᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲘᲝᲜ“[5]. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲭᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ „ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲗᲝᲛᲐ ᲝᲚᲘᲕᲔᲠᲡ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲒᲐᲜᲐᲖᲠᲐᲮᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲡᲘᲡᲘᲠᲣᲚᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲯᲘᲠᲘᲗᲔᲔᲑᲘᲡ ᲚᲣᲙᲐ ᲜᲘᲜᲘᲙᲝᲡ ᲫᲔ ᲩᲮᲐᲠᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲚᲢᲐ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ... ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲜᲓᲜᲔᲜ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ, ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ, ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ, ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲮᲘᲑᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ

---

[3] ᲙᲠᲔᲑ. ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲗᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, Ნ. Ⓓ Ⓞ Ⓓ Ⓞ Ⓑ Ⓔ Ⓡ Ⓘ Ⓓ Ⓘ, ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲓᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ, 1970, ᲒᲕ. 206.

[4] ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, ᲐᲠᲥᲘᲕᲘ № 35, „ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ“ (ᲩᲐᲛᲬᲔᲠᲘ Ა. ᲗᲝᲛᲘᲫᲔ).

[5] Ა. Ⓒ Ⓐ Ⓜ Ⓒ Ⓘ Ⓨ Ⓘ Ⓛ Ⓘ, ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ, 1958, ᲒᲕ. 9.

მაყურებელს. ქართველ ცხენოსანთა გუნდში მომეტებული ნაწილი გურულები იყვნენ. მაგ., ივანე (პატარა) მალაქიას ძე მახარაძე, („ჩოხაგრძელი"), ვასო ერაჯის ძე, ირაკლი, დათა ჭყონიები, დიმიტრი მგალობლიშვილი, ბესარიონ, მელიტონ ცინცაძეები, ლევანტი ჯორბენაძე, მოსე გურგენის ძე გიგინეიშვილი და სხვა[6].

ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში ინახება ბიძინა გოგიბერიძის მიერ შედგენილი სოფელ ქვემობანის ისტორია[7], სადაც აღნიშნულია უკვე სახელოვანი მოჯირითე ქალების გვარები. ესენი იყვნენ დები: ბარბალე სპირიდონის ასული ზაქარეიშვილი—იმნაძისა და მარო სპირიდონის ასული ზაქარეიშვილი—კვიტაიშვილისა. ქალებს გათხოვებამდე კარგად სცოდნიათ ცხენოსნობა. გათხოვების შემდეგ კი მეუღლეებთან ერთად შევიდნენ ცხენოსანთა იმ გუნდში, რომელსაც ლუკა ჩხარტიშვილი ედგა სათავეში. ეს ის ლუკა ჩხარტიშვილია, რომელიც ა. ცამციშვილს დასახელებული ჰყავს, როგორც საქვეყნოდ ცნობილი მოჯირითე.

დ ო ღ ი, როგორც წესი, იმართებოდა ბახმაროზე სეზონის დამთავრებისას, დაახლოებით 17 აგვისტოს. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რაიონები. მაგ., ჩოხატაურის რაიონში განთქმული იყვნენ: ლადო ბერძენიშვილი, ლაზარე ცინცაძე და სხვები. როგორც ვხედავთ, ცხენოსნობას საპატიო ადგილი ეკავა გურიაში, მაგრამ კიდევ უფრო საყვარელ გართობას წარმოადგენდა ბ უ რ თ ა ო ბ ა, რომელიც უმთავრესად ტარდებოდა ამა თუ იმ სოფლის სათამაშო მოედანზე. პატარები ბურთს უფრო ცხოველების ბალნისაგან აშზადებდნენ. ხორკლიან. მრგვალ კენჭზე ირგვლივ შემოახვევდნენ ბალანს, ხელში მოთელავდნენ, თან ხელის გულით აგორებდნენ, სანამ არ მიიღებდა მრგვალ ფორმას. მოზრდილები კი ბურთს ხარის ტყავისაგან ამზადებდნენ. ტ. მამალაძე ასახელებს მხოლოდ სამი სახის ბურთაობას. ესენია: ჭაკუნობა, გაგდება და გატანა (გატანა, ბევრი მთხრობელის ცნობით, იგივე ლელობურთია)[8]. ჩვენი მთხრობელები კი ამ თამაშის სხვა სახეებსაც გვამცნობენ. პრიმიტიულ თამაშად ითვლება ფ ე ხ გ ო რ ი ა. როგორც თვითონ სახელწოდებიდან ჩანს, ამ თამაშის დროს ბურთს ფეხით აგორებენ. თამაშობდა ორი ბავშვი, უფრო უმცროსი ასაკისა. ისინი ერთმანეთის პირისპირ დგებოდნენ თავთავიანთ

---

[6] ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17, 18, 22.

[7] ბ ი ძ ი ნ ა გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე, სოფ. ქვემობანის ისტორია, ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[8] დასახ. ნაშრ., გვ. 51.

ლელოს ხაზზე. წინასწარ შეთანხმდებოდნენ ქულათა რაოდენობაზე, რასაც „ფორას“ ეძახდნენ. თითოეული მოთამაშის მიზანი იყო ბურთი გადაეცილებინა მოწინააღმდეგის ლელოს ხაზისათვის და დაეგროვებინა დათქმულ ქულათა რაოდენობა. გ ა გ დ ე ბ-გ ა მ ო გ დ ე ბ ი ს დროს არჩევენ-არადანით გაყოფილი ორი ჯგუფის წევრები ცდილობენ თავისი ჯგუფის ხელში მოხვდეს თამაშის დასაწყისში ერთ-ერთი მოთამაშის მიერ მაღლა აგდებული ბურთი. ამა თუ იმ ჯგუფის წევრი, რომლის ხელშიც ბურთი ჩავარდა, სწრაფად გადასცემს ბურთს თავისივე ჯგუფის წევრს, ეს უკანასკნელი სხვას და, ამრიგად, გამარჯვებული ის ჯგუფი გამოდის, რომლის ხელშიც ბურთი უფრო დიდხანს არის.

ხ ე ლ გ ა კ ვ რ ი ა ს დროსაც ორ ჯგუფად იყოფიან. თითოეულ ჯგუფს თავისი საზღვარ-ლელო აქვს. თუ რომელი ჯგუფი დაიწყებს თამაშს, ეს წყდება წილის ყრით (დანიშნული ქვის მაღლა აგდებით), შემდეგ უფლებამოსილი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი შუა ადგილიდან აისვრის ბურთს და ხელის გულით გაჰკრავს მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ, რომელიც ცდილობს ბურთი ჰაერშივე დაიჭიროს და იმ ადგილიდან საცა დაიჭირა, ისეთივე წესით გამოგზავნოს მოპირდაპირე, ბ ხარეს, გამარჯვებულად ის ჯგუფი ითვლება, ვინც დათქმულ მიჯნას გადააცილებს. ამ თამაშით უფრო ერთობიან 10—12 წლის ბავშვები. ტ. მამალაძეს აღწერილი აქვს თამაში მ ა ი ა, რომლის დროსაც არჩევან-არადანით გათვლის შემდეგ ორი ჯგუფი ერთმანეთის პირისპირ განლაგდება. თითოეული პარტია მოეწყობა თავის კვალზე, ამ კვალის პარალელურად გაჰყავთ მეორე კვალი. კვალთა შორის მანძილს (ჩვეულებრივ ერთ მეტრამდეა) მაია ჰქვია. თამაში შემდეგნაირად მიმდინარეობს: პირველი პარტიის რომელიმე მოთამაშე გამოეყოფა თავის ჯგუფს და დადგება მოწინააღმდეგე ჯგუფის პირველ კვალზე (უკანა კვალზე, როგორც ვიცით, დგანან მოწინააღმდეგენი) ეს მოთამაშე გარბის თავისი ბანაკისაკენ. მოწინააღმდეგე ჯგუფის ერთ-ერთი მოთამაშე ძას გამოეკიდება დასაჭერად. გამქცევი გადააფურთხებს „მტრების“ მაიაზე და შესძახებს: „ფუი შენს მაიას“, იგი ვერც კი მოასწრებს ნახევარი გზის გავლას, რომ პირველი პარტიიდან გამოიქცევა რომელიმე ამხანაგი მის დასახსნელად. თუ მდევარი გაქცეულს ვერ დაეწევა, ხელს არ დააკარებს და თავის ბანაკისაკენ ვერ მოაბრუნებს, ამ დროს კი ამხანაგის დასახსნელად გამოქცეული მოთამაშე ამ მდევარს დაიჭერს, მაშინ იგი ტყვედ ჩავარდნილად ითვლება. ტყვედ ჩავარდნილი ჯგუფის

წევრები კი გზავნიან ახალ მდევრებს, რათა ამხანაგი დაიხსნან „მტრებისაგან“ და თვითონ იწყებენ „მტრების“ დაჭერას. „ტყვეებს“ აყენებენ იმ ბანაკთან ახლოს, რომლებმაც ისინი ტყვეებად ჩაიგდო ხელში. მათი განთავისუფლება ხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათივე ჯგუფის მოთამაშეები მოახერხებენ მხარზე ხელის დარტყმას. გამარჯვებულად ითვლება ის პარტია, რომლის მოთამაშეებიც ნაკლებ არიან „ტყვედ“ ჩავარდნილები.

როგორც ტ. მამალაძე დასძენს. ამ თამაშით ერთობიან ბავშვები 8 წლიდან ვიდრე 20 წლამდე[9]. რაც შეეხება ლ ე ლ ო გ ა ტ ა ნ ი ა ს, იგი ყველაზე გავრცელებული ჩანს ამ კუთხეში და, ბავშვების გარდა, ჩისით ერთობიან ახალგაზრდები და უფროსი ასაკის ადამიანებიც. ლელო-ბურთის სათამაშოდ ახალგაზრდები ტილოს ტანსაცმელსაც კი იკერავდნენ წინასწარ, რათა თამაშის დროს მათთვის ტანზე არ შემოეგლიჯათ ყოველდღე სახმარი ტანსაცმელი. ლელო-ბურთის თამაში უფრო ხშირად აღდგომას იწყებოდა და გრძელდებოდა ახალი კვირის მეორე დღემდე. თამაში ტარდებოდა საგანგებოდ განკუთვნილ ადგილას. მაგ., ჩოხატაურელები მის „სათამაშო ეწერს“ ეძახდნენ. მოთამაშეები გაიყოფოდნენ ხან უბნების მიხედვით, ხან ცოლიანები ცალკე და უცოლოები ცალკე. ს. ბახვის მცხოვრები 72 წლის თამარ გიორგის ასული ანდღულაძე-ბაჯელიძისა ლელოს თამაშს ეძახდა „ზედაურ-ქვედაურობას“. მისი გადმოცემით. „ზედაურს“ ეკუთვნოდა: ასკანა, ვაკიჯვარი, ოქროსქედი, შვიდობაური, ფანფალეთი, „ქვედაურს“ კი: ბახვი, მელექედური, ლაშე, დუაბზე, ბოხვაური. რაც შეეხება შეჯიბრის კუთხეებს შორის, მაგ., გურულებსა და მეგრელებს შორის, ის უფრო იმართებოდა ფოთში პირველ მაისს. მოთამაშენი არჩევან-არადანის წესით გაიყოფოდნენ ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ჰქონდა თავისი საზღვარი და ჰყავდა თავისი „სარდალი“, ე. ი. მეთაური, რომელიც განსაკუთრებით გამორჩეული უნდა ყოფილიყო ფიზიკური ძალით, სიმარდით, მოსაზრებულობით, სითამამით. ურთიერთშორის შეთანხმების შედეგად დათქმულ საკალდებულოდ შესასრულებელი ქულების მოგროვებას „გაფორმებას“ ეძახდნენ (ფორა). ფორად შეიძლება დათქმული ყოფილიყო ქულები: ოცი, ოცდახუთი ან ორმოცდაათი ქულა. თამაშის დაწყებისას ორივე ჯგუფი შუა ადგილას დადგება, ააგდებენ მაღლა ბურთს და, ვინც მას დაიჭერს, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მოწინააღმდეგეს არ ჩაუგდოს ხელში და საკუთარი ლელოს ხაზამდე მიიტანოს. თამა-

---

[9] ტ. მ ა მ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

შის მიმდინარეობის დროს, მართალია, იკრძალებოდა სათამაშო წესების დარღვევა (მოწინააღმდეგის ფიზიკური შეურაცხყოფა ან ლანძღვა-გინება), მაგრამ ექსტაზში შესული მოთამაშეები ხშირად ივიწყებდნენ წესებს და ხელჩართულ ბრძოლებში ებმებოდნენ. მაგ., მოწინააღმდეგეს ბურთს ხელიდან „გამოღლეტავდნენ". ზოგჯერ, ლელოს მოთამაშეებში ცხენოსანი მოთამაშეებიც ჩაერეოდნენ ხოლმე, მაგრამ ზოგი ყოჩაღი მოთამაშე გაქენებულ ცხენსაც კი დაეწეოდა და ცხენოსანს ძირს დასცემდა. თუ თამაში წარმოებდა რომელიმე მდინარის პირას, მაშინ ბრძოლა იმართებოდა წყალშიაც. ზოგჯერ მოზრდილები ბურთს ამხანაგებს არ გადააწოდებდნენ ხოლმე. ასეთ დროს მოთამაშეები ეღლიტავებოდენ ერთმანეთს, ბურთის იძულებით გამოსატაცებლად. ამ წესით ბურთის თამაშს ეძახდნენ ლ ე ლ ო-ღ ლ ი ტ ი ო ს. „ღლიტს" ხშირად პატარა ბავშვებიც მიმართავდნენ. თითქმის ყველა სოფელს ჰყავდა თავისი მარჯვე მობურთალები მაგ., ჩოხატაურის რაიონში ს. ქვენობანში ხალხი დღესაც ასახელებს სტეფანე სიმონიშვილს, ნესტორ ლომთათიძეს, მელიტონ ცხოიძეს, ამბალ ლომაძეს, ვლადიმერ მათითაშვილს, სოფ. ბუკნარიდან — ალფესი გაგუას, ს. ძიმითიდან — პართენ ჩხარტიშვილს, ვანო ხინთიბიძეს, შუა ფარცხმიდან — ტარასი მეგრელიშვილს, ეფანე ბერძენიშვილს, ს. ნაგომარიდან — აკაკი მამალაძეს, ს. ბახვიდან — ილარიონ ბაჯელიძეს, სოლომონ თენიაშვილს, ესტატე შავიშვილს, ისიდორე ბაჯელიძეს, ტოჩკა ბაჯელიძეს და სხვა.

ლელო-გატანაში ვაჟების გარდა ზოგჯერ ქალებიც ღებდნენ მონაწილეობას და მათ შორისაც გამოერეოდა ხოლმე საყოჩაღოდ განთქმულები. მაგ., ჩოხატაურის რაიონიდან ასეთები იყვნენ: ელპიტე გოგოლაშვილი, ათინო ბაჯელიძე, ელისაბედ ანდღულაძე, ლისა, შავიშვილი, ს. ვომის მცხოვრებ 83 წლის ანდრო თედორეს ძე აბაშიძის გადმოცემით, ძველად ლელო-ბურთის მაგვარ თამაშს ეძახდნენ კ ი ლ ა შ ურ ს. ლელო-გატანიას თამაში ლანჩხუთში ახლაც იმართება ხოლმე ყოველ პირველ მაისს (გავიხსენოთ ტრადიციული თამაში გურულებსა და მეგრელებს შორის პირველ მაისს ქ. ფოთში). საინტერესო ის არის. რომ ამ დღეს ახლომახლო სოფლიდან ყველა აქ იყრის თავს.

ჰ ა კ უ ნ ო ბ ა ს ა ც (ჰოკეის მსგავსი, მხოლოდ მინდორში— მწვანეზე) თამაშობდნენ უფრო მოზრდილები 17—18 წლისანი და უფროსებიც, ზოგჯერ ცოლიანებიც. საამისოდ შეკერავდნენ ბურთს ძველი ჭინჭებიდან, შეკერავდნენ ბეოლის ქერქით. ხან საქონლის ბალნისაგან შეთელილ ბურთს ხმარობდნენ. აქაც გაიყოფოდნენ ორ

ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ჰქონდა თავისი საზღვარ-ლელო. ერთ-ერთი მოთამაშე ააგდებდა ზემოთ ბურთს, შემდეგ კი ორივე ჯგუფი ცდილობდა ბოლომოკაუჭებული ჯოხით—ჰაკუნით ბურთის თავის საზღვარისაკენ—თავის ლელოში შეგდებას. საერთოდ, ორნაირი გზით ხდებოდა გამარჯვების მოპოვება. ერთ შემთხვევაში გამარჯვებულად ითვლებოდა ის პარტია, რომელიც თავის ლელოზე გაიტანდა ბურთს, მეორე შემთხვევაში კი, თუ მოწინააღმდეგის ლელოზე გაიტანდა. ვინაიდან, წესით, ბურთის ხელში დაჭერა არ შეიძლებოდა, ამიტომ საკმაოდ ძნელი იყო ჰაკუნით ბურთის ჰაერში დაჭერა და მეორე მოთამაშისათვის გადაცემა. ამ თამაშშიაც სახელმოხვეჭილები იყვნენ: კაპიტონ ლომთათიძე, გიორგი ჯაში.

გ ა მ ო ც ნ ო ბ ა ზ ე იყო აგებული შემდეგი თამაშები: თ ვ ა ლ ხ უ ჭ ი ნ ა გ ა მ ო ც ნ ო ბ ა. ამ თამაშის დროს ერთი თვალახვეული დაჯდება. მოთამაშეთაგან რომელიმე მას მხარზე დაარტყამს ხელს და მან უნდა გამოიცნოს, თუ ვინ დაარტყა, თუ გამოიცნო, მაშინ ადგილებს შეიცვლიან. საქართველოს სხვა კუთხეებში ამ თამაშს „ქერიჭამიას“ ეძახიან. მსგავსი იყო თ ვ ა ლ დ ა ხ უ ჭ უ ლ ი კ უ კ უ მ ა ლ ო ბ ი ე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა მოთამაშე წრეში იდგა, თვალდახუჭული კი შუაში იყო რომელიმე მოთამაშე განოყიდოდა წრიდან. მიდიოდა თვალდახუჭულთან. დაარტყამდა მხარზე ხელს, მერე გაიქცეოდა და დადგებოდა ისევ თავის ადგილას. თუ თვალდახუჭული გაიგებდა, ვინ დაარტყა, მაშინ აქაც ადგილებს შეიცვლიდნენ. თ ვ ა ლ ხ უ ჭ ი ა ს სხვადასხვა სახელწოდებით ასახელებენ. ზოგი ჭ უ ტ უ მ ა ლ ო ბ ი ე ს ეძახის, ზოგი უ ტ უ მ ა ლ ი ო ბ ა ს ა ნ დ ი ნ დ ი ლ ო ბ ი ე ს. ეს საყოველთაოდ ცნობილი თამაში სრულდება ძველი წესისამებრ.

თამაშ ყ უ რ ყ უ მ ო ბ ი ა ს დროს სხვადასხვა ნივთებს დამალავდნენ ქუდში. ერთ-ერთი ამოიღებდა რომელიმე ნივთს და იკითხავდა: „ამის პატრონმა რა ქნას? — უპასუხებდნენ და პატრონიც შეასრულებდა „ბრძანებას“.

ბ ე ჭ დ ო ბ ი ე. მოთამაშეები დაჯდებიან წრედ, ორი კი წრის შუაში. ამათგან, ერთი დამმალავია, მეორე, ამომჩენი. დამმალავი ვინმეს ჩაუდებს ბეჭედს, ამომჩენმა კი უნდა გაიგოს, თუ ვის ჩაუდო.

ვ ი რ ო ბ ი ე ს დროს ორი „ვირი“ წინ დგას თვალებაფარებული, მათ უკან კი ორი „წამყვანი“, რომლებიც ადგილებს შეიცვლიან ხოლმე და ერთ-ერთი „ვირს“ ზურგზე ხელს მიაბჯენს. „ვირმა“ უნდა გამოიცნოს მისი სახელი. თუ გამოიცნო, მაშინ „ვირი შეაჯდება

ზურგზე „წამყვანს“, თუ ვერა, მაშინ, „წამყვანი“ შეაჯდება „ვირს“ და წაიყვანს.

გონების სავარჯიშო იყო თამაში დამკაობა. დაბა-ზავდნენ კვადრატს გადამკვეთი ხაზებით და სამ-სამი განსხვავებული ფერის კენჭების გათამაშებით ცდილობდნენ სამი ერთი ფერის კენჭის ერთ ხაზზე მოხვედრას. ეს თამაში საქართველოს ბევრ კუთხეში დამოწმებულია სხვადასხვა სახელწოდებით.

ზემოთ ჩამოთვლილი გართობა-თამაშობის გარდა, ბავშვები უკვე მცირე ასაკიდან დასაქმებულები იყვნენ ოჯახში და თავიანთ მშობლებს ეხმარებოდნენ მათი სოფლისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ დარგის საქმიანობაში. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ამ კუთხის განსაკუთრებული ლტოლვა სწავლა-განათლებისადმი. მაგ., 1900 წელს. გაზ. „ივერია“ (№ 49) აღნიშნავდა, რომ „... აქაურ (იგულისხმება ს. ხიდისთავი, ნ. ღ.) ხალხს კარგა ხანია შეუგნია თუ რა არის სწავლა-განათლება. ამიტომ ბავშვი, შეიქმნება თუ არა 6—7 წლისა, მაშინვე სკოლაში აძლევენ, რომ რაიმე ისტავლოს და კაი გამოვიდესო“. ამ მიზანს ცხოვრებაში ატარებდნენ კიდევაც და ამახვილებდნენ ყურადღებას ისეთ დარგებზე, რომელიც გურიაში განსაკუთრებით იყო ფეხმოკიდებული. ასეთები კი იყო მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა, საფეიქრო საქმე, მებოსტნეობა და სხვა. ს. ხევის მცხოვრების სუქენი თეოფილეს ძე მამალაძის (67 წ.) ცნობით, მის ბავშვობაში, მის სოფელში ძალზე მისდევდნენ მეთამბაქოეობას და ბავშვებიც ეხმარებოდნენ მშობლებს ფოთლის თოკზე ასხმაში, აკემსვაში. იგივე გაიმეორა ს. ნაგომარის მცხოვრებმა შალვა რაფიელის ძე ანთიძემ (71 წ.) ამ დარგების პოპულარობა ჩანს იმდროინდელი პრესის ფურცლებიდანაც. მაგ., გაზ. „ივერია“[10] საზოგადოებას აცნობდა, რომ ს. ჩიბათში დაარსდა ორკლასიანი სასოფლო სამინისტროს სასწავლებელი, სადაც ასწავლიან: „მეაბრეშუმეობას, მებოსტნეობას და სხვა. გაზეთი «Кавказ»-ი კი იუწყებოდა, რომ სოფ. დვაბზუში... ამხანაგობამ გააშენა სახელოსნო, სადაც ორივე სქესის ბავშვები სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ, უსასყიდლოდ შეისწავლიან მეაბრეშუმეობას და საფეიქრო საქმეს“[11]. შემდეგ, წერილის ავტორი კარგი წამოწყებით გახარებული გამოთქვამს მსგავსი სახელოსნოს გახსნის სურვილს ლანჩხუთში, სადაც მეაბრეშუმეობას გაცილებით უფრო მეტი მისდევს, ვიდრე სხვაგან და საფეიქრო საქმეც პრიმიტიული წესებით განაგრძობს არსებობასო. ამავე

[10] „ივერია“, № 167, 1897, აქაური სტუმარი.

[11] «Кавказ», 1899 (№ 158—19IVI).

წელს „ივერია“ კიდევ ახალ ცნობას იძლეოდა. ძმათა შარაშიძეებს მოუვიდა ნებართვა გახსნან სოფელ ციხეს (ოზურგეთის მაზრა) ახალი ტიპის სამეურნეო ორკლასიანი სკოლა... ციხის სკოლა ხალხისათვის ადვილად ხელმისაწვდომი და ხალხური ხასიათის უნდა იქმნეს... დამაარსებელნი ჰფიქრობდნენ იქონინონ სკოლასთან კურსები, სადაც სოფლელებს შეეძლებათ უფასოდ მოისმინონ დარიგება ვენახის მოშენებისა, ბაღოსნობისა, მეფუტკრეობისა და სხვათა შესახებ... ბავშვების მიღება გაგრძელდება ენკენისთვის დამლევამდე (ნ. კ. „ივერია“, № 188, 1899 წ.).

ამათუიმ საქმიანობით დაკავებული ბავშვები, მუშაობის პროცესში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამოცანების, ანდაზების თქმაში. ჩვენ აქ მოგვყავს მხოლოდ ნაწილი ჩაწერილი გამოცანებისა. ზოგ მათგანს ავტორი ჰყავს და ამიტომ აქვე აღვნიშნავთ მის გვარს, ზოგი კი ხალხურია. ნაწილი გამოცანებისა გადმოწერილია რვეულიდან „ზემოსურების სოფლის ისტორია“ (ინახება ჩოხატაურის მუზეუმში).

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ყველა მე შემომისხდება, როცა ზამთარი იწყება,
მოირბენს ხოლმე ფისო და ჩემს სიახლოვეს მიწყება
მთქ. ნ. თაეაძე (ცეცხლი)

ერთი სტუმარი მესტუმრა, სახელად ჰქვია გაბრიელი, არც სული აქვს, არც ფეხი აქვს, არც თვალი აქვს არც ყური აქვს, არც თავი აქვს, არც სკამი აქვს დასაჯდომი

(ძილი)

მთქ. ივლ. ცინცაძე, ს. შუაგანახლება

ყველაზე ადრე ეწოლდები, ყველაზე გვიან ემწიფდები

(შვინდი)

(ეს საკუთარი გამოცანა პოეტ სევერიან ისიანს უთქვამს გიორგი ისაკის ძე სალუქვაძისათვის ჯარში ყოფნის დროს).

კარებამდე მიგაცილებს შიგ არ შეგყვება

(კიბე)

ერთი რამე მაქვს, ორი თავი აქვს.

(მუთაქა)

თეთრკაპიანი ნაყავს, წითელიანი ურევს

(ენა და კბილი)

ხორცის შამფურზე რკინის ძწვადია

(ბეკედი)

ერთი რამე სულიერი მიადგება კლდესა,
სასიკვდილოდ პირს დააღებს ეხვეწება ღმერთსა

(აბრეშუმის ჭია)

ისე ვიყავ მე, როგორცა ხარ შენ,
ისე გაგხდი შენ, როგორცა ვარ მე.

(ქათამი და კვერცხი).

გადმოედგებოდი გეჩვენებოდი, გესტუმრებოდი, რად არ მელოდი?

(ზამთარი)

(ავტორი, პედაგოგი ქეთევან საღუქვაძე, 68 წლ, ს. უჩხებით, მახარაძის რაიონი.).

ერთი შავი კურო, ურქო, უყურო, ვეცე, არ ვეცე, რაფერ ვუყურო?

(ბურთი)

ენის გასატეხი.

ნიორი ნანიორალში, რიონი ნარიონალში
ეს ჩემი ქინძი, ქონდარი პიტნაწიწმატ ტარხუნდებოდა
მე თუ არ მეპირპილქინძქონდარტარხუნდებოდა
შენ რა გეპირპილქინძქონდარტარხუნდებოდა.
ყაზვინს ვიყავ რამისთვის
საყარყატოს ყვავნი ჰყვირდნენ
ბაყაყები ყიყინითა, საყაყაჩოდ ყვავილს მყიდნენ
(ავტორი გიორგი საღუქვაძე) და სხვ.

სათამაშოები

გარდა მშვილდისარისა და შურდულისა ბავშვები იკეთებდნენ ხელთოფელას თხიფსელასაგან ან დუდგულისაგან. ამ უკანასკნელიდან გულს ამოიღებდნენ, ერთი თავიდან ჩასტენიდნენ თხმელის კვირთხილას, ან ქაღალდის საცობს, მეორე თავიდანაც მეორე კვირთხილას მოათავსებდნენ. მიაწვებოდნენ სპეციალური ჯოხით, რომელსაც წვერზე დასველებული ჩვარი ჰქონდა დახვეული. მეორე კვირთხილა პირველს მიაწვება ისეთი სიძლიერით, რომ გამოხდება ტკაცუნის ხმა. ზოგჯერ ეჯიბრებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ამ კვირთხილას მიზანში გარტყმაშიაც.

საშხაპუნასაც აკეთებდნენ მცენარე დიდგულას მსხვილი ტოტისაგან. დიდგულას მუხლისაგან გამოაგდებდნენ გულს მთლიანად. ამ გულზე მოარგებდნენ წვრილ ხის დგუშს, რომელსაც ცალ მხარეს სახელური ტარი ჰქონდა და წვრილ მხარეს კი ჭინჭი ჰქონდა დახვეული. წყლიანი ჭურჭლიდან წყალს დგუშით ამოიღებდნენ და ერთმანეთს წუწავდნენ.

ფიშტონას გამოკრიდნენ ხოლმე ტოტისაგან, მისცემდნენ დამბაჩის ფორმას. ცალ მხარეს ამოკრილ ღმულში ჩადგამდნენ თოფის განასროლ ვაზნას, რომელსაც ხეზე დაამაგრებდნენ თუნუქის სალტეებით. ვაზნის შიგნით ჩაყრიდნენ თოფის წამალს, მოუკიდებ-

დნენ ცეცხლს და „ფიშტონა“ გავარდებოდა. ვინაიდან ასეთ გართობას ზოგჯერ უსიამოვნო შედეგები მოჰყვებოდა, პატარებს უკრძალავდნენ ხოლმე მას.

ს ა ბ ზ რ ი ა ლ ო თ ი კი უფრო პატარები (7—8 წლისანი) ერთობოდნენ. თხილის ან კაკლის ნედლ მარცვალს გახვრეტდნენ წინდის ჩხირით, ერთი მხრიდან ერთ ხვრელს, მოპირდაპირე მხრიდან—ორს. შიგ გაუყრიდნენ ყაპის ორად ან ოთხად შეგრეხილ ძაფს, რომელსაც ეაუკეთებდნენ ორთავე მხარეს ყულფს. მარცხენა ხელში დაიჭერდნენ მარცვლის ერთი მხრიდან გამომავალი ძაფის ყულფს, მარჯვენა ხელში კი მეორე ყულფს. მარცხენა ხელის გაჩერებისა და მარჯვენა ხელით საათის ისრის მიმართულებით რამდენიმე ჩატრიალებით, კაკლის ორთავე მხარეს მყოფი ძაფები შეიგრიხება. ორთავე ხელის ერთმანეთთან გარეთ წაღებით, თუ ერთმანეთისაკენ მიახლოვებით, თხილის მარცვალი დაიწყებს ტრიალს ხან საათის ისრის მოძრაობის თანახმად, ან საწინააღმდეგოდ და ამასობაში გამოსცემს ბზუილის ხმას.

ყველა ზემოაღნიშნული სათამაშოები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებულია სხვადასხვა სახელწოდებით.

აკეთებდნენ აგრეთვე სამეურნეო დანიშნულების საგნებს: სათამაშო ურემს (ურემა), ფარცხს და სხვა იარაღებს და პატარა ფართობზე ეწეოდნენ სამეურნეო სამუშაოების იმიტაციას. აგებდნენ სათამაშო წისქვილებს, პატარა ოდა-სახლებს და სხვა.

გოგონები კი ძირითადად ერთობოდნენ დედოფლებით, რომელსაც აკეთებდნენ ხისას, ნაჭრებისას, უმთავრესად კი ჩალის ღეროსაგან. თვალების მაგიერ ჩაუდგამდნენ წი-ლობიეს (იგი ხორბლის ოდენაა) ან ნახშირს. ტუჩებადაც ამ მასალას ხმარობდნენ. თმად აბრეშუმის ჭიის ნაწეწს ან სიმინდის ფუჩეჩს უკეთებდნენ, უკანასკნელს ხმარობდნენ აგრეთვე ულვაშებად მამაკაც-დედოფალას გაკეთებისას. თავზე დაადებდნენ ხოლმე ან ნაჭრისაგან შეკერილს ან თიხისაგან გამოძერწილ ქუდს. დედოფალს ხან ქორწილს უმართავდნენ, ხან დღეობას, ხან დაიტირებდნენ და სხვა. ყველა შემთხვევაში იმეორებდნენ უფროსებში ნანახ მოქმედებას. გოგონები თეთრი ბოლოკისაგან ან კეჟერის ხვატისაგან ხშირად აკეთებდნენ ძროხის ტიკინასაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვები ჩიტებს მშვილდისრითა ხოცავდნენ, უფრო ხშირად კი იყენებდნენ ჩიტის დასაჭერ სხვადასხვა მახეებს: ს ხ ა პ ს, თ ა ვ კ ა ვ ს, ი რ ე ნ ჭ კ ა ს, ბ ა დ ი ს ჩ ა ნ თ ა ს (მისით სასიმინდეებში იჭერდნენ ბეღურებს) და სხვას,

ნადირის დასაჭერად მოზრდილები ხმარობდნენ რკინისაგან გაკეთებულ გალიას ხუნდს, რაგვს.

ირენჭკა შემდეგნაირად მზადდებოდა: თხილის წკნელს, მშვილდივით მოღუნავდნენ, ირენჭკას ერთი ბოლო გახვრეტილი იყო და შიგ გაყრილ პატარა ჯოხზე გადაკიდებული იყო ორფად გამოსკვნილი ბაწარი. ჩიტის მოსატყუებლად მარცვალს დაყრიდნენ ჯოხთან ისეთ ადგილას, რომ ჩიტი ჯოხზე შესკუპებულიყო. როგორც კი შემოჯდებოდა ჩიტი ჯოხზე, ბაწარში ფეხები ვაეხლართებოდა და ამრიგად ცოცხლად ჩაუვარდებოდა ხელში მონადირეებს. ირენჭკას აგებდნენ ჩიტებისათვის განსაკუთრებულ საყვარელ ხეებზე. ასეთები იყო: ხურმა, სურო და სხვა.

თ ა ვ კ ა ვ ა თ ი ჩიტების დაჭერა უფრო იოლი იყო, ამიტომ მას იყენებდნენ 7—8 წლის ასაკის ბავშვები. ამ გალიას აგებდნენ ნალიის ქვეშ და იჭერდნენ ისეთ ჩიტებს, როგორიცაა: თავშავა, სკვინჩა, ბეღურა და სხვა. გურიაში ძალზე გავრცელებული იყო მიმინოთი ნადირობა და იგი საინტერესოდ აქვს აღწერილი ექვთიმე თაყაიშვილს თავის მოგონებებში[12]. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, ს. ლეხოურს საუცხოვო ადგილები ჰქონია მიმინოს დასაჭერად, — და ამ სოფლელების საყვარელ გართობას წარმოადგენდა ჩიტ-ბატობა. სოფელში განთქმულები ყოფილან სიმონ ბებურიშვილი და თვით ექვთიმე თაყაიშვილი. საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე თაყაიშვილი კაპუტ მიმინოს თაობაზე. დაწვრილებით გვიამბობს რა მიმინოს რთულ წვრთნაზე და მის „გაკაპუტებაზე", აღნიშნავს, „მშვენიერი ბედაური ცხენი გადაუცვლიათ ამისთანა მიმინოშიო". მიმინოზე ნადირობის პროცესი უფრო მოკლედ გვიამბო ს. ქვენობანის მცხოვრებმა სერგო ალექსის ძე ცხოიძემ (71 წ.), რომელიც ასევე განთქმული მონადირე ყოფილა თავის სოფელში და ახლაც მისდევს თავის საყვარელ საქმიანობას. ღაჟო ჩიტს დაიჭერდნენ კალიით მოწყობილ მახეში (კალია ჯოხზე იყო ჩამოცმული), ფეხზე ძაფს მოაბამდნენ და დაამაგრებდნენ ჯოხზე. თავის დასაღწევად ჩიტი იწყებდა ფართხალს. ხის ტოტებისაგან (ნეშოსაგან) აშენებულ ქოხის ახლოს გაშლიდნენ თევზის საჭერი ბადის მსგავს (უფრო დიდ თლებიან) ბადეს, ქოხში დამალულები გამოსდებდნენ ჩიტიან ჯოხს, ამის შემყურე მიმინო ჩიტისაკენ გამოქანდებოდა და გაეხვეოდა ბადეში. შემდეგ თვალს აუხვევდნენ, დაისვამდნენ ხელზე, ღამესაც კი უთევდნენ. რათა მიმინო გაწვრთნილიყო და გამოსადეგი ყო-

---

[12] ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი,, რჩეული ნაშრ., ტომი I, გვ. 218—227.

ფილიყო მწყერის დასაჭერად. ეს ხდებოდა უფრო შემოდგომაზე (სექტემბერში). მიმინოთი ნადირობას მთელი გურიის მოსახლეობა მისდევდა. ქვენობანში კი, გარდა დასახლებული მთხრობელისა, განთქმულები იყვნენ: სერგო, აპოლონ კუტუბიძეები და ელადიმერ ნანაძე.

გოგონები და ქალები ნადირობდნენ წვრილ ჩიტებზე, რაც უფრო ზამთრობით ხდებოდა, როცა დამშეული ჩიტები საზრდოს ეძებდნენ. საცეხველას, სადაც ღომს ცეხვავდნენ და რომელიც მხოლოდ ქალებს ეკუთვნოდა, ყველა ჭუჭრუტანას „დაგმანავდნენ", მხოლოდ კარს დაუტოვებდნენ ღიას. ზემოდან, „საჩხინავში" ბადეს აფენდნენ. როცა ჩიტი საცეხველაში დაყრილი „ნახორის" აკენკვას დაიწყებდა, კარს მოკეტავდნენ, დამფრთხალი ჩიტები სინათლეს მიაშურებდნენ და ბადეში მოჰყვებოდნენ[13]. გურიაში, მონადირეები ჩიტებზე ნადირობის წინ შესთხოვდნენ ნადირობის მფარველ ანგელოზს ივანე მახარობელს ხვავიან ნადირობას. ნანადირევის შინ წაღებისას, სამზადი სახლის კარებთან მონადირეს მეოჯახე ქალი მუჭით ნაცარს შეაყრიდა და თან ეტყოდა: „კიდევ ამდენი, კიდევ ამდენი, შენი ავი თვალითა და ავი გულით შემხედვარეს თვალში ნაცარი, გულში ლახვარი, ივანე მახარობელი იყოს შენი მფარველი"!... ცივ წყალში დასველებულ ფრინველს მერე ცხელ ნაცარში ატრიალებენ და თან ამბობენ: „ასვარია, დასვარია, შენი დედა, შენი მამა, შენი ძამიე, შენი დაიე, შენი ნახული, შენი უნახავი, შენი ნაცნობი, შენი უცნობი — ყველა აქანაი დასვარია". შემდეგ ჩიტს გაპუტავდნენ და შეწვავდნენ[14].

რაც შეეხება თევზაობას, ესეც არანაკლები საყვარელი გასართობი იყო მდინარეებითა და შენაკადებით მდიდარი კუთხის ბავშვებისათვის. როდესაც ექვთიმე ანაყაიშვილი იგონებს ბავშობის წლებში თევზაობით გატაცების ამბებს — მოგვითხრობს, რომ „საფერისცვალოდ აპის წყალსაცა და ჩოლოქსაც „დანაყავდნენ" ხოლმე: მიწაზე მრავლად დაგროვილს შემოუსვლელი ნიგოზის ნაჭს (წენგოს) ურტყამდნენ კეტებს, კარგა მაგრად სჭეჭყავდნენ და ამგვარად ამზადებდნენ ეგრეთწოდებულ „სანაყს". მას ყრიდნენ მდინარეში, წყალი იმღვრეოდა დიდ მანძილზე და ათრობდა თევზს, თვალს უბნელებდა. ჯვარიდან დაწყებული, ლეხოურს აპისწყალის შენაკადი ერთი ტოტიც ჩამოუდიოდა. ამ ტოტს სათავეში გადახირავდნენ ხოლმე, წყალი წყდებოდა, კალაპოტი ცარიელდებოდა და

---

[13] ა. წ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 71,

[14] ა. წ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

კალმახებს ისე იჭერდნენ, პირდაპირ ხელით კრეფდნენ, ვთევზაობდით ანკესითაც. ვიჭერდით ბევრ ღორჯოს, კალმახი კი ანკესზე არ ეგებოდა, მასზე „ვხელაობდით“, ე. ი. ხელს ვყოფდით ქვების ქვეშ, „დარნებში“ და ისე ვიჭერდით კალმახს. ჩვენში თევზაობდნენ კიდევ „სათხეველით“ (სასროლი ბადე) და „ფაცარით“. ფაცარით (უფრო კალმახს იჭერდნენ: აგუბებდნენ წყალს და წინ უდებდნენ ჩელტს, წყალი ჩელტზე გადადიოდა და იწურებოდა, თევზი კი რჩებოდა ჩელტზე და ხელში უვარდებოდა მეთევზეს. ძალიან მისდევდნენ თევზაობას მდინარე სუფსაზე, ძიმითთან“[15].

ზამთრობით კი, გარდა ჩიტებზე ნადირობისა და სხვა საოჯახო საქმიანობისა, ერთობოდნენ თ ო ლ ა ბ უ რ თ ა ო ბ ი თ (თოვლის გუნდები). ამ გუნდებს იყენებდნენ თამაშ ფირალობანასა და „ომობანას“ დროსაც. ამ თამაშების დროს აგებდნენ თოვლის ციხეს. შიგნით გაიყვანდნენ გვირაბს. ბრძოლა წარმოებდა ციხის „პატრონებსა“ და „მტრებს“ შორის, ყინულზე დასრიალდნენ სასრიალოთი (ციგით). ზოგჯერ, ციგის მაგივრობას სწევდა გადმობრუნებული მაგიდა, ფიცარი, ყავარი, ბელტი და სხვ.

რაც შეეხება რ ე ლ ი გ ი უ რ დ ღ ე ო ბ ე ბ შ ი ბავშვების მონაწილეობას, მათ განსაკუთრებით უხაროდათ ლამპრობა (მიგებების საღამო), რომელიც ძველი სტილით 2 თებერვალს მოდიოდა და მათ დღესასწაულად ითვლებოდა. ამ დღისათვის უფროსები ბალს, ანწლის ღეროს ან სხვა რაიმე მცენარეს კანს ააცლიდნენ, გააშრობდნენ და ბავშვები ანთებულს გამოიტანდნენ, გაანათებდნენ მთელ არემარეს, აფრთხობდნენ ავ სულებს. იყო ლამპრის ლამპარზე დარტყმაც და შეჯიბრი, ხოლო, როცა ეზოში და შარაგზაზე დაანთებდნენ ცეცხლს და ზედ ახტებოდნენ, თან გაიძახოდნენ:

„ლამპრობა, ლამპრობა, მამალი მგელის გაპობა“. რაც დიდი ჟივილ-ხივილით ტარდებოდა. ძალიან უყვარდათ აგრეთვე ა ღ დ გ ო მ ა. ამ დროს სათამაშო მინდორზე იმართებოდა: ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, ჭაკუნობა, ბურთის თამაში, სხვადასხვა შეჯიბრებები. დიდიან-პატარიანად, როგორც წესი, ყველა ქანაობდა სიკორწილაზე, რომელიც საგანგებოდ კეთდებოდა სოფლის შუაგულში (საქანელაზე) იმ რწმენით, რომ მთელ წელიწადს არავის წელი არ ასტკენოდა. ზოგან, ბავშვებისათვის ცალკე კერდებოდა ხოლმე სათამაშო მოედანი. ასეთი იყო მაგ., სოფელ მზიანში (ყოფილი ფიჩხისჯვარში, მახარაძის რაიონში). აქ გამოდიოდნენ ხოლმე ბავშვები აღდგომაზე

---

[15] ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 227.

წითელი კვერცხებით და ეწეოდნენ „მტეხლობას“. გატეხილი კვერცხი რჩებოდა მომგებს. თამაშობდნენ კვერცხებით აგრეთვე „კვერცხის დადობიეს“. მოშორებით დადებდნენ კვერცხს და რიგრიგობით ესროდნენ მას საზღვრიდან. ვინც კვერცხს ნიშანში მოარტყამდა, კვერცხიც იმისი იყო. იმდროინდელ ცრუ რწმენით, „თუ ქალის კუთვნილი კვერცხი გატყდა, ეს ცუდ ნიშნად ითვლებოდა, ე. ი. იმ წელიწადს აბრეშუმის ჭიის ცუდი მოსავალი იქნებაო“[16].

ლანჩხუთის რაიონის ს. ჯურუყვეთის მცხოვრების კოწიე გიორგის ძე სალუქვაძის გადმოცემით, „აღდგომის მოადგილეა პირველი მაისი. ამ დროს იცოდნენ „მასკობა“, იმართებოდა ცეკვა-თამაში“. ბავშვები ამ მხიარულ სანახაობის მეთვალყურეებად გამოდიოდნენ. როგორც ჩანს, აქ „ბერიკაობაა“ ნაგულისხმევი, რომელიც მართლაც ყველგან ძალზე მხიარულად მიმდინარეობდა.

როცა შობა ახლოვდებოდა, ყველა ოჯახში განსაკუთრებული სამზადისი იყო და, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰატარებიც თავისებურად იღებდნენ მონაწილეობას ასეთ დიდ დღესასწაულის, რაც შეიძლება, კარგად ჩატარებაში, შობას ახალი წელი მოჰყვებოდა, რომელიც ბავშვებისათვის კიდევ უფრო სახალისო იყო. ამ დროს ლუკუმფხეს ხიდან ან თხილიდან აკეთებდნენ ჩიჩილაკს. მასზე ჩამოაცმევდნენ სუროს ფოთლებს, კურკანტელის მარცვლებს, ვაშლს, მანდარინს, ჩამოჰკიდებდნენ ზაირ-ნაირ კამფეტებს. ჩიჩილაკი იდგა გობზე, რომელზედაც უხვად იყო დალაგებული საახალწლო საჭმელი ღორის ყურიანად. ოჯახის მამა, რომელიც ჩიჩილაკს გაიტანდა გარეთ, მერე უკან მოადგებოდა სახლის კარებს და სთხოვდა რა დიასახლისს კარის გაღებას, გაამდა მასთან გარკვეულ დიალოგს. ჩიჩილაკი ნათლიღებამდე იდგა, მერე გადაჰქონდათ მარანზე და მანამ იდგა, სანამ არ „ჩამოდნებოდა თითონ“. მისი დაწვა არ შეიძლებოდა.

აგუნას დროსაც, თავგამოდებით ურახუნებდნენ ბავშვები საწნახელს და თან გაიძახოდნენ: „ჩემს მამულში ყურძენია, შენს მამულში ფურცელია“.

როგორც ცნობილია, საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა წვიმის „გამოწვევის“ სხვადასხვა წესები. გურიაშიც, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარ წეს-ჩვეულებას ასრულებდნენ. ბოლო დროს უფრო გავრცელებული იყო ხატის განბანვა წყალში. ძველად კი, როგორც ს. ზომლეთის მცხოვრებმა 66 წლის მატრონა ბეგლარის ასულ-

---

[16] Т. Мамаладзе. Указ. раб., с. 50.

მა მახარაძე-წითლიძისამ გადმოგვცა, მას თავის ბაბუისაგან მოუსმენია. რომ სულ ძველად, გვალვის დროს დედოფალას ჩამოატარებდნენ ხოლმე კარდაკარ, საკმელს შეაგროვებდნენ, დედოფალას გაწუწავდნენ, შემდეგ ერთ ოჯახში შეგროვდებოდნენ, იქეიფებდნენ, დაილოცებოდნენ და მეორე დღეს გაწვიმდებოდაო. ამრიგად, როგორცა ჩანს, გურიაშიაც ძალზე ფეხმოკიდებული იყო საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული წესი წვიმის მოყვანისა. ეს გახლდათ „ლაზარობა“.

მართალია, თანამედროვე თამაშები საგანგებოდ არ შეგვისწავლია, მაგრამ განურჩევლად მდებარეობის (თუ არ ჩათვლით ძალზე მთაგორიან რელიეფს), თითქმის ყველგან, მთავარი ადგილი ფეხბურთს უკავია.

დ ა ს კ ვ ნ ა

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გურულ გართობა-თამაშებში მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებისა, გარდა ყოფისა, სულიერი კულტურისა, ასახულია მცხოვრებთა ხასიათიც. თამაშთა გავლენა გამოიხატა ხასიათის ისეთი თვისებების განვითარებაში, როგორიცაა მოქნილობა, გამბედაობა, გონებამახვილობა. ამას ემატებოდა ისტორიული ვითარებით გამოწვეული საჭიროებაც საწვრთნელ ელემენტებზე აგებული თამაშთა დამკვიდრებისა. ამრიგად, შეიქმნა მთელი ციკლი ე. წ. „აქტიური თამაშებისა“, რომლებიც ჩვენ შეეცადეთ დაგვეყო თამაშთა ხასიათის მიხედვით, მაგ., საწვრთნელ ელემენტებზე აგებულ თამაშთა რიცხვს მიეკუთვნება: „კოდილე“, „ხიტირია“, „ფეხმუწიე“, „კლასობიე“, „კაკვობიე“, „კენჭობიე“, „ჯოხობიე“, „დანობიე“, „წკიპარტი“, „ჩხიროობიე“, „რეკატობიე“, „ეეზირობიე“, „თორმეტაობა“, „ჯაფარიკი“ და სხვა. თვალსაზომის უნარის გამომუშავებას ემსახურება მშვილდისრის და შურდულის სროლა, თამაშები: „ქვის დაყუდება“, „ზუკუტურია“, „პოკუჩი“, „ორმობია“, „ნიგვზობია“. სამონადირეო ხასიათის თამაშებს განეკუთვნება: „ბატობიე“, „ქორა-ბუდე“, „„ნესვობიე“ და სხვა. ძალზე გავრცელებული იყო ცხენოსნობა და სხვადასხვაგვარი ბურთაობა (განსაკუთრებით ლელობურთი, რომელიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ამ კუთხეში.

გამოცნობაზე იყო აგებული თამაშები: „თვალხუჭინა-გამოცნობა“, „ყარყუმობია“, „ბეჭდობიე“, „ვირობიე“ და სხვა, ხოლო გონე-

ბის სავარჯიშო იყო „დამკაობა“, გამოცანებით და ანდაზებით გართობა.

ბავშვები თვითონ იკეთებდნენ სათამაშოებს, მშვილდისარს, შურდულს, ხელთოფელას, საშხაპუნოს, ფიშტონას, საბზრიალას, დედოფალას (უმთავრესად ჩალის ღეროსაგან), სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა საგნებს, ჩიტის დასაჭერ მახეებს, აგებდნენ სათამაშო წისქვილებს, პატარა ოდა-სახლებს და სხვა.

ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონდში დაცულია გურიიდან ჩამოტანილი შემდეგი სათამაშოები: ხელთოფა, საწკაპუნე, ბაღანეს შესაქცევარი, ბზრიალა, ჩიტის მახე, ჩიჩილაკი, დედოფლის აკვანი, საგორავი ჯოხი და სხვა.

ბავშვები თავიანთ მშობლებს ეხმარებოდნენ მეთამბაქოებაში, ბეაბრეშუმეობაში, მებოსტნეობაში, სეფეიქრო საქმეში და თანსრულყოფილ ცოდნას ეუფლებოდნენ სხვადასხვა სოფლებში გახსნილ სპეციალურ სასწავლებლებში.

სხვადასხვა რელიგიურ დღეობების დროს მონაწილეობდნენ ზოგიერთ საწესო ქმედობაში.

რაც შეეხება თანამედროვე ყოფას, მას ცოტაღა შემორჩა ძველი გართობა-თამაშებიდან, ხოლო მთავარი ადგილი ყველგან ფეხბურთმა დაიკავა.

Н. С. ГОГОБЕРИДЗЕ

НАРОДНЫЕ ИГРЫ-РАЗВЛЕЧЕНИЯ В ГУРИИ

Резюме

В играх и развлечениях детей Гурии, как и в других областей Грузии, отражаются различные моменты быта и характер населения. Систематические столкновения с соседними племенами вынуждало мужчин всегда быть на чеку, поэтому создался целый цикл т. н. «активных игр», которые развивали в детях такие качества, как смелость, выносливость, остроумие и т. д. К играм, которые содержат элементы тренировки, относятся: «кодиле», «хитиря», «пехмуцие», игра в палочки, «торметаоба», «джапарики» и др. Для тренировки точности глазомера использовалось: стрельба из лука, метание камня из пращи, разные игры с камнями, с орехами, с альчиками и др. Встречаются игры, связанные с охотой.

Особое место занимало почти во всех деревнях игра с мячом. Дети сами делали себе игрушки и развлекались ими; также перенимали элементы того или иного домашнего промысла (например шелководство). Рассматриваются также вопросы участия Гурийских детей в религиозных ритуалах. Что касается современных игр, то мало осталось из старых игр, зато ведущее место занял футбол.

ნ. ქაჯაია

მიცვალებულის კულტი გურიაში

მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესების შესახებ გურიაში საგანგებო ეთნოგრაფიული გამოკვლევა არ დაწერილა.

XIX საუკუნის მიწურულში საქართველოში მიმდინარეობდა ერთგვარი ბრძოლა ძველი წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მიზანი იყო როგორმე მძიმე საცხოვრის პირობებში ჩავარდნილი გლეხებისათვის ერთგვარი შეღავათის ძიება, რომ გლეხობას თავი დაეღწია გადმონაშთებთან და ცრუ რწმენებთან დაკავშირებული ხარჯებისათვის. ბრძოლა მიმდინარეობდა, პირველ რიგში, მიცვალებულის სახელთან დაკავშირებულ უმიზნო ხარჯების წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ, რომელიც ძირითადად მაშინდელი პრესის საშუალებით და ზეპირი აგიტაციით ხორციელდებოდა, თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში, სადაც დაგმობილი იყო მავნე ზედმეტი გადმონაშთური რიტუალები მოცემული იყო აგრეთვე რიტუალთა აღწერილობანი. ამ აღწერილობებმა გარკვეულად შემოინახა ზოგიერთი ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები, რომელსაც ჩვენი თემისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ასეთად მიგვაჩნია 1899 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილი გურიაში წაბურვიანი ტირილის შესახებ“[1]. უფრო მოგვიანებით მიცვალებულის კულტის შესახებ საინტერესო მასალები გამოაქვეყნა აპ. წულაძემ წიგნში „ეთნოგრაფიული გურია“.

ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები მოიცავს გურიის სამივე რაიონს. მოპოვებული მასალა კლასიფიცირებულ იქ-

---

[1] ტ. ა რ თ მ ე ლ ა ძ ე, წაბურვიანი ტირილი, „ცნობის ფურცელი“, 1899, № 872.

ნა გარდაცვალებიდან გლოვის წესებამდე რამდენიმე ეტაპად. ამის შესაბამისად გურიაში მიცვალებულის დაკრძალვისა და მისი გლოვის წესები შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვიდგება: 1. გარდაცვალება, 2. შეცხადება და მეზობელ-ნათესავების შეტყობინება, 3. ქელეხისათვის მზადება, 4. სამძიმარი და დატირება. 5. დაკრძალვა, ქელეხი, გლოვა და მიცვალებულის მოსაგონარი დღეები.

ძველად ოჯახისათვის ყველაზე დიდ უბედურებად ითვლებოდა მუშა მამაკაცის დაღუპვა.

სულთმობრძავი ადამიანის მდგომარეობის შესამსუბუქებლად და სხეულიდან სულის მალე გაყრის მიზნით, სცოდნიათ სხვადასხვა საშუალებების გამოყენება. თუ კაცი იტანჯებოდა, მას სახლის გარეთ გამოასვენებდნენ და რაიმე სამეურნეო იარაღს მოუდებდნენ გვერდში. ყველაზე მეტად ხარის უღლის მოდება სცოდნიათ. აპ. წულაძის ჩანაწერების მიხედვით, აგონიაში ჩავარდნილ ადამიანთან მღვდელს მიიყვანდნენ, „რომელიც საღმრთო წიგნიდან „სულთა ბრძოლისას“ წაიკითხავდა და ისიც შუამდგომლობდა ღვთის წინაშე ავადმყოფი ადრე გასცლოდა ამ წუთისოფელს. თუ მღვდლის ვედრება არ გასჭრიდა და „სული კიდევ არ ეყრებოდა ხორცს“, მაშინ მიიტანდნენ წირისთავს (ღომის საცეხველის ნაწილია) და ავადმყოფის სასთუმალთან ტახტზე ან სახლის კედელზე მაგრად არახუნებდნენ“[2].

ადამიანის გარდაცვალებას ოჯახი პირველ რიგში მეზობლებს შეატყობინებდა, ამას შეცხადება ერქვა. შეცხადება სახლის აივნიდან უნდა მომხდარიყო, რომ ხმა მეზობლებს მისწვდომოდა. შეცხადებას მხოლოდ ქალები გამოხატავდნენ წივილ-კივილით. მამაკაცები კი შუბლზე ხელის გულის მირტყმით გამოდიოდნენ იმ ოთახიდან, სადაც ეს უბედურება დატრიალდა. შეცხადებას ზოგიერთ სოფელში გადაკივლებასაც უწოდებდნენ. მეზობელი, რომელიც უბედურების მაუწყებელ ხმას გაიგებდა, თავისი მხრით კივილითვე ეხმაურებოდა და, ამდენად, სოფლის ერთ კუთხეში მომხდარი უბედურება რამდენიმე წუთში მთელი სოფლისათვის უკვე ცნობილი ხდებოდა. შეცხადება არ შეიძლებოდა, თუ ოჯახში სხვა მძიმე ავადმყოფი ან ეპიდემიური სენით დაავადებული იყო. აპ. წულაძის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში სცოდნიათ შეცხადების რამდენიმე თვით გადატანა. რამდენიმე ხნის წინათ გარდაცვლილს შეიცხადებდნენ და მის ტანსაცმელზე იტირებდნენ. ყოფილა შემთხვევა, შეცხადების დროს ორ-სამ მიცვალებულს ერთად დაიტირებდნენ ხოლმე.

---

[2] აპ. წ ე ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., გვ. 148.

შეზობლები დაზარალებულის ოჯახში მაშინვე მიდიოდნენ. შეცხადებული ოჯახის წევრები და მეზობლები ჯერ გარეთ მოიყრიდნენ თავს და იქ ტიროდნენ, თმებს იწეწდნენ და სახეს იკაწრავდნენ, შემდეგ კი სახლში შედიოდნენ და მოთქმა-ტირილი იქ გრძელდებოდა. მეზობლებიდან დამდენიმე ადამიანი გამოიყოფოდა, რომელნიც მიცვალებულს გაბანდნენ, ტანსაცმელს ჩააცმევდნენ, პირს აუკრავდნენ, ფეხებს შეუკრავდნენ, ხელებს გულზე დაუკრეფავდნენ და სახლის ცენტრში ტახტზე დაასვენებდნენ.

მეზობლები სამძიმრისათვის ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ. სამძიმარზე მისვლა გრძელდებოდა დაკრძალვამდე. დაკრძალვა ხდებოდა 3—4 დღის შემდეგ.

შეცხადების შედეგად მოსულ მეზობლებთან ოჯახის მესვეურები სახელდახელო თათბირს იწვევდნენ, თუ რა წესით უნდა მომხდარიყო დაკრძალვა. თათბირზე უნდა დათქმულიყო დაკრძალვის დღე, უნდა შეერჩიათ ქელეხის მოთადარიგეები, რომელთაგან გამოყოფდნენ მზარეულებს, მოსაპატიჟებელთა სიის შემდგენელთ. მესურსათეებს, მოზარეებს, მესაფლავეებს, ზეზე მდგომებს და სხვ.

გურულთა რწმენით, კვირის დღეები ნაწილი წარმოა, ნაწილი კი უკუნი. მაგრამ უკუნი და წარმო გარკვეულ კავშირში იყო მთვარის ფაზებთან, დღეების ამგვარ ციკლურ სისტემას ყურადღება მიაქცია აპ. წულაძემ. მისი მონაცემებით, „კვირა დღე არც წარმო იყო და არც უკუნი. ახალ მთვარეზე ხუთშაბათი და შაბათი უკუნი იყო, წარმო კი ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი. ძველ მთვარეზე საწინააღმდეგოდ: ხუთშაბათი და შაბათი—წარმო, დანარჩენი—უკუნი. ძველი მთვარე იანგარიშებოდა—ცხრომის შემდეგ 15 მთვარიდან. გურულების რწმენით, ზოგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა (და სასურველი იყო) უკუნზე, ზოგის—წარმოზე. მიცვალებული უნდა დამარხულიყო უკუნზე—„უკუნითი უკუნისამდე"—იქნებოდა განსვენებული და, რაც მთავარია, ოჯახს „უკუნისამდე არ მოიკითხავდა" და ოჯახის წევრი არ მოკვდებოდა"[3].

წარმო და უკუნი დღეების ციკლს ანგარიშს უწევდნენ აგრეთვე ხის მოჭრის შემთხვევაში და სატანსაცმელად ქსოვილის დაჭრის დროს. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში შეკრებილი მასალიდანაც ირკვევა, მთვარის ფაზებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გარკვეული ყურადღებით ეკიდებოდნენ. ახალ მთვარეზე მოჭრილი ხე ჭიანდებოდა, სამასალედ მას არ გამოიყენებდნენ. ასევე, ახალ

---

[3] აპ. წ უ ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., გვ. 156.

მთვარეზე მიწას თესლს არ მიაბარებდნენ, ხალხური დაკვირვებით, თესლი ჩალპებოდა და არ აღმოცენდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ მთვარეზე მართლაც ხდება ბიოლოგიური ხასიათის მთელი რიგი მოვლენები. მწერების და რგულის ჰიების გამოჩეკვა-გამოსვლა, რაც ხალხურ დაკვირვებას საფუძველმოკლებულად არ წარმოგვიდგენს. ჰქონდა თუ არა რაიმე მნიშვნელობა მიცვალებულის დაკრძალვის დღისათვის მთვარის ფაზებს, ამის თქმა ძნელია, თუმცა ამ ჭრილში მასალის კვლავ ძიება საჭირო საქმედ მიგვაჩნია.

ე. ი. როგორც აღვნიშნეთ, მიცვალებულის დაკრძალვის დღედ უკუნ დღეს აირჩევდნენ. თუ მიცვალებული წყალში იყო დამხრჩვალი, მაშინ ორშაბათ დღეს უნდა დაემარხათ, გურიაში ორშაბათს „დამხრჩვალის დღესაც" უწოდებდნენ[4].

პარასკევი ქრისტეს ჯვარცმის დღედ არის მიჩნეული და ამ დღეს ლითონის იარაღით მიწას არ გაეკარებოდნენ. ამდენად, საფლავსაც ვერ გაჭრიდნენ. მიცვალებულის დღედ მაინც შაბათი ითვლებოდა. თუ ოჯახს არ უხერხდებოდა აჩემებულ დღეებში დასაფლავება, მაშინ მიმართავდნენ სამშაბათს, და ოთხშაბათ დღესაც კი დამარხავდნენ. გარდაცვალების დღიდანვე იწყებოდა ზრუნვა დაკრძალვის ორგანიზაციაზე. საამისოდ, როგორც ზემოთ ითქვა, საგანგებო პირები უნდა გამოეყოთ. უსახსრო და საწყალი ოჯახი თუ დაზარალდებოდა, მეზობელთაგან ერთი სოფელს ჩამოუვლიდა და შეატყობინებდა, ამა და ამ ოჯახს უნდა დავეხმაროთო. მოსახლეობა, ვისაც რითი შეეძლო, ეხმარებოდა — ზოგი ლობიოს მისცემდა, ზოგი ფულს, სიმინდს და სხვ. ამგვარი წესით დახმარება ოჯახს მისდიოდა საზღაურის და სამაგიეროს გარეშე.

იყო დაკრძალვის სხვა წესიც, რომელსაც „წაბურვიანი ტირილი" ეწოდებოდა. სიტყვა წაბურვა გურიაში საყოველთაოდ არის გავრცელებული და შემწეობის, შეწევნის მნიშვნელობით იხმარება. ქორწილში მიტანილ შესაწევარსაც წაბურვით მოიხსენიებენ. ტირილის ქვეშ კი იგულიხმება გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე დროის მონაკვეთი.

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, „წაბურვიან ტირილს" უმთავრესად უსახსრო ღარიბი კაცი მართავდა. მიცვალებულის პატრონი ადგენდა განცხადებას და უგზავნიდა ნათესავ-მეზობლებს. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გარდაიცვალა ესა და ეს კაცი და მისი შვილები ვაცხადებთ წაბურვით დასაფლავებასაო. რომ

---

[4] აპ. წ უ ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., გვ. 155.

წამბურველთა წინაშე ვალდებული რჩებიან განსვენებულის შვილები. აღნიშნული უნდა ყოფილიყო ვაჟების სახელები, ვინც წამბურველთ მომავალში სამაგიერო პატივს მიაგებდა.

ტ. ართმელაძეს „წაბურვიანი ტირილის“ გადამხდელის მიერ შედგენილი ტექსტი ასეთი შინაარსისა აქვს გადმოცემული: „გთხოვთ, მობრძანდეთ და დაგვანუგეშოთ“. იქვე იგი განმარტებას აძლევს, ეს ნიშნავს — „თავმომწონეთ მოდი, ე. ი. მხლებლები იყოლიე და კიდევაც წაბურეო, ე. ი. ფულით შემწეობაც აღმომჩინეო“[5]. მისივე ცნობით, წინათ გლეხი თვითონ ერთი მიდიოდა სატირალში, მაგრამ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხებმაც დაიწყეს ზარითა და მხლებლებით მიმოსვლა თავადაზნაურთა მიბაძვით[6]. ტ. ართმელაძეს ამ მოსაზრებაში ვერ დავეთანხმებით, რადგან გლეხობას ნათესავის ტირილში რანდენიმე კაცით მისვლა ბატონყმობის გადავარდნამდეც სცოდნიათ. 1855 წელს გაზეთი „კავკაზი“ წერდა, რომ მიცვალებულის სახლიდან „გათხოვილი ქალი და ნათლული ვალდებული იყო მოზარე კაცებითა და კელაპტრით მისულიყო დამწუხრებულ ოჯახში, რომელთაც თან უნდა ხლებოდა ათი-თხუთმეტი ცხენოსანი კაცი და ქალი“[7].

ტ. ართმელაძის ცნობით, „ზოგ ნათესავს ტირილში 28 კაცი მიჰყავდა, რომელნიც თავისი ცხენებით მიდიოდნენ, ამ 28 კაცს 2—3 მოსამსახურე მაინც დასჭირდებოდა, რომელიც მომსვლელმა მასპინძელმა ან უნდა იქირაოს ან უნდა იმაინდოს“[8].

დამწუხრებული ოჯახის ნათესავებს თან მიჰქონდათ ღვინო, ღომი და ლობიო.

როგორც წესი, მიცვალებული ზარით უნდა ეტირათ. ზარი როგორც აპ. წულაძე აღნიშნავს, წარმოადგენდა ტირილის აკომპონიმენტს, რომელსაც უტექსტოდ და უსიტყვოდ აყოლებდნენ მოტირალთა ტირილის დროს, ზარის მთქმელად სამ კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რომელთაგან ერთი დამწყები იყო, მეორე მოძახილი და მესამე ბანი[9]. ზარის მთქმელები ჩვეულებრივ კაცები იყვნენ; სულ ერთი იყო, ქალი იქნებოდა მიცვალებული თუ კაცი.

---

[5] ტ. ართმელაძე, წაბურვიანი ტირილი, „ცნობის ფურცელი“, 1899, № 872.

[6] ტ. ართმელაძე, წაბურვიანი ტირილი. „ცნობის ფურცელი“, 1899, № 872.

[7] Каландаров. «Погребальные обряды у гурийцев, «Кавказ», 1855, № 21.

[8] აპ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., გვ. 157.

[9] აპ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., გვ. 157.

როცა ნათესავი თავისი მოზარეებით მივიდოდა, ეს ოჯახისათვის დიდ პატივად ითვლებოდა. შეძლებული ოჯახი ორპირ მოზარეს დააყენებდა, ერთნი ეზოში იყვნენ მომზადებულნი და სამძიმრისათვის მოსულებს ეგებებოდნენ ჭიშკართან და სახლის კარამდე მოტირალს ზარის თქმით მიაცილებდნენ. სახლში შემოსულ სამძიმარის მთქმელს ზარს შინ მიცვალებულის კუბოს უკან მდგომი მოზარეები აუბამდნენ ზარის ხმას. ზოგჯერ ეზოს მოზარეები მოტირალს ბოლომდე აცილებდნენ და კუბოსთან ზარს ეუბნებოდნენ. აპ. წულაძის დაკვირვებით, მოტირალსა დ მოზარეებს შორის წინასწარაც ყოფილა შეთანხმება მაღალი ზარი ეთქვათ თუ დაბალი[19].

გარდა მოზარეებისა, მიცვალებულის ოჯახი საპატიო პირთაგან აირჩევდა მიმგებლებს. მიმგებელთა მოვალეობას შეადგენდა სამძიმრისათვის მოსულთ ჭიშკართან მიგებებოდა, გვერდში ამოდგომოდა და ზოგჯერ ხელებიც გაეკავებინა, რომ დამწუხრებულს სახე არ დაეკაწრა და რაიმე ისეთი გადაჭარბებული არ ჩაედინა. მიმგებებელი თავაზიანი მოქმედებით უნდა მოქცეულიყო და მთელი დღის მანძილზე თავის მოვალეობა შეესრულებინა.

მიმგებებელსა და ეზოს მოზარეებს შეთანხმებულად უნდა ემოქმედათ, რომ სამძიმარ-დამტირებლად მოსულს თავისი მწუხარება სათანადოდ გაამოეხატა და ჭირისუფალთან პირნათლად გამოსულიყო.

ზოგიერთი თავმომწონე ნათესავი თავისი მოზარეებით და ხელის ჩამკიდებელი კაცებით მიდიოდა, მხლებელთა წაყვანა ამ რიტუალის შესრულებისათვის სათანადო მომზადებას მოითხოდა. მხლებლები კარგად უნდა ყოფილიყვნენ გამოწყობილნი, სუფთად ჩაცმულნი და, თუ რაიმე გამოსაჩენი გააჩნდათ, ისიც უნდა წაეყოლებინათ: იარაღი, ორდენები, შედლები. ამას გარდა, დიდ პატივისცემად ითვლებოდა კელაპტრით მოსვლა.

კელაპტარს თვითონ ამზადებდნენ. იღებდნენ 1 მეტრის სიგრძის მკლავის სიმსხოს ისლის ღერებს, შემოაკრავდნენ სანთელში გალიფრულ მიტკალს. ზოგჯერ კელაპტარს შანდალში ჩარგულს წაიღებდნენ, ეზოში შესვლისას აანთებდნენ და მიცვალებულს თავთან დაუდგამდნენ ხოლმე.

ხშირად მიცვალებულის დატირების პატივისცემას ზარითა და კელაპტრების რაოდენობით განსაზღვრავდნენ ხოლმე.

---

[19] აპ. წ უ ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., გვ. 157.

ზოგჯერ მისული მოზარეები არა მარტო თავის მოტირალს აუ-ბამდნენ მხარს, ისინი ზარს ეტყოდნენ უშუალო ჭირისუფალსაც. მოზარეთა ასეთი შენაცვლებითი მოქმედება ერთგვარ შეჯიბრად იქცეოდა ხოლმე და დაკრძალვის რიტუალს სანახაობრივ მხარეს აძლევდა.

როგორც აპ. წულაძე აღნიშნავს, ზარის თქმა ყველას არ შეეძ-ლო. ზარის შესწავლა ძველად ეკლესიის კარზე სცოდნიათ. მიცვალებულის გარდა, სხვაგან ზარის თქმა არ შეიძლებოდა. ზარის მთქმელებს სოფელში დიდი პატივი ჰქონდათ. თუ ვინმეს გაუვებოდნენ ზარის სათქმელად, ამის ნაცვლად მათ ორი დღით დაეხმარებოდნენ ოჯახში ზოგი ფულზე დადიოდა. მოზარეებს სათანადოდ უნდა გამასპინძლებოდნენ. ჩვეულებრივ ქელეხის მენიუს თევზი, ლობიო ან ზეთში მოხრაკული მაკარონი წარმოადგენდა. მოზარეებს კარგად უნდა გამასპინძლებოდნენ, რომ მათ მიცვალებულის ოჯახის მისამართით რაიმე აუგი არ ეთქვათ. ზარით ტირილი საერთოდ ოჯახს მძიმე ტვირთად აწვებოდა, რადგან, ნათესავ-მოკეთეების თავისი მოზარეებით მოსვლა ოჯახს დიდ ზარალს აყენებდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საერთოდ დიდი კამპანია გაჩაღდა. მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების წინააღმდეგ. სულ მოკლე დროში პრესამ და სახევისთავოებში ზარით ტირილის წინააღმდეგ ჩატარებულმა ბძოლამ შედეგი გამოიღო და მალე მოიშალა. ზარით ტირილის ნაცვლად დარჩა „თავისწინაით“, ტირილი, რომელიც ზარს გამორიცხავდა.

„თავისწინაი“ ტირილი გულისხმობდა, რომ ნათესავი უშუალოდ უნდა მისულიყო მხლებლების გარეშე. დაზარალებულ ოჯახს ეს გარკვეულ შეღავათს აძლევდა. სამძიმარზე მისულ მეზობლებს მიმგებებლები არ შეხვდებოდა. მიმგებებელი დაკრძალვის დღეს ხვდებოდა მხოლოდ ნათესავებს.

მიმგებებლის მოვალეობას ისიც შეადგენდა, რომ სამძიმარზე მისული გაეყვანა ოთახიდან, გაყოლოდა მწერალთან, რომელიც საგანგებო ადგილზე იჯდა და მიმსვლელთაგან „წასაბურავს“ ღებულობდა. წასაბურავის მისაღებად ორი კაცი იყო გამოყოფილი, მიმღები და მწერალი. სია, როგორც წესი საგანგებოდ დგებოდა. თავზე ეწერა მიცვალებულის გვარი და სახელი, გარდაცვალების თარიღი, შემდეგ კი იწერებოდა წამბურველთა სია თანხის ჩვენებით, სია, როგორც წესი, ოჯახში ინახებოდა, ამ სიით სარგებლობდა შემდეგ ოჯა-ხი და ვისაც რა ჰქონდა წაბურვილი, იმდენსავე გაიღებდა. ამიტომ წასაბურავს გურიაში „სესხსა და ვალს“ უწოდებდნენ. წაბურვიანი

ტირილი 1905 წლიდან გადაგდებულ იქნა, მაგრამ შემდეგში მან სხვა ფორმებში ნახა თავისი გამოხატულება—გვირგვინების მიტანა, გვირგვინების ყიდვა-გაყიდვა და ბოლო დროისათვის წაბურვის სახელი გაქრა, თუმცა მოქმედება ძველებურად სრულდება.

ტ. ართმელაძის აზრით, წაბურვა ძველად სანოვაგით სცოდნიათ და „შესაწიერი" რქმევია. დროთა ვითარებაში მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თავმომწონეობის გამო ხალხმა 'შესაწირავის ეს ფორმა ე. ი. „შესაწიერი" შეცვალა ფულის შეწევნით, რომელსაც „წასაბურავი" უწოდა[11].

უნდა აღინიშნოს, რომ „წაბურვა" იმ მნიშვნელობით, როგორც ეს გურიაში შემწევნობის გამომხატველ ტერმინად გვევლინება, ქართველ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა-ორბელიანს არა აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. ამიტომ ჩვენ ამ ტერმინის სიძველის ამ გზით ძიების შესაძლებლობას ერთობ მოკლებული ვართ.

აპ. წულაძეს მიაჩნია, რომ სიტყვა წასაბურავი ძველი ქართულია და უნდა მომდინარეობდეს იმ პერიოდიდან, როცა მიცვალებულებს კუბოს გარეშე მთლიანად ბურავდნენ მარტო სუდარით. ამრიგად, სუდარა ყოფილა წასაბურავი — სახისა და სხეულის დასაფარავი — და რაკი უწინდელი მიცვალებული მხოლოდ „წასაბურს" ითხოვდა და მეტს არაფერს, ალბათ, ამ ფულად შესაწირსაც დაერქვა წასაბურავი, სუდარის შესაძენი დახმარება. მიცვალებულის პირისახის დანახვა ცოდვად ითვლებოდა, „ქამობას" მოასწავებდა, „წაბურვაც" ამიტომ იყო სავალდებულო[12].

წაბურვის შესატყვისია „დაბურვა" და „ბურვა". „ბურვილი", საბას განმარტებით, დაფარებულს ნიშნავს. დაბურვასთან კი იგი მიუთითებს დაბადების ტექსტზე — გამოსვლაის ერთ-ერთ თავზე, სადაც კიდობნის დაბურვაზეა ლაპარაკი[13].

წაბურვის აპ. წულაძისეული გაგება სწორია. ადრე, როცა კუბოს ხმარება წესად არ იყო, ქართველი ტომების წინაპრები, როგორც ჩანს, მიცვალებულის შესაბურ საშუალებად ტილოს, შალის ქსოვილს და ტყავებს იყენებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმში წაბურვის 'შესატყვისი ტერმინები „გადასაფენი" და გადასახურავი ყოფილა ხმარებაში[14].

---

[11] გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1899, № 872.

[12] აპ. წ ულ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., გვ. 176.

[13] დაბადება, გამოსვლა, თავი მ., წიგნი ბ—მოსესი.

[14] მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1951, გვ. 132.

ასე, რომ წაბურვა-გადახურვა, გადაფენა-დაბურვა მიცვალებულის დამარხვის წესის გამოხატულების აღმნიშვნელი ტერმინი გვიანი დროისათვის გამოხატავს სულ სხვა მოქმედებას, ე. ი. ფულით ან სანოვაგით დაზარალებული ოჯახისადმი შეწევნა-დახმარებას.

გურიაში, ჩვენი მასალების მიხედვით, დამოწმებულ იქნა დაკრძალვასთან დაკავშირებული ხის მოჭრის წესი. დაკრძალვის დღეს ოჯახის მეზობლები ეზოში ერთ რომელიმე ხეს მოჭრიდნენ. ზოგი მთხრობელის გადმოცემით, ისეთი ხე უნდა მოეჭრათ, რომელიც ყველაზე უფრო საყვარელი იყო. ზოგის თქმით, სულ ერთი იყო, ოღონდ ხე ყოფილიყო. მთხრობელთა დაკავშირებით, ხეს ჭრიან ან ზოგჯერ ძირფესვიანად იღებენ იმიტომ, რომ ის ხე მიცვალებულის სამოთხის ხედ გახდება.

ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოს საქართველოსა-ში" როცა აფხაზთა ჩვეულებაზე წერს, აღნიშნული აქვს, რომ აფხაზები მიცვალებულებს კუბოთი შედგამდნენ ხოლმე ხეზე[15]. ჩვენი აზრით, შესაძლებელია ამ ჩვეულებას ადრე კოლხეთში საყოველთაო გავრცელება ჰქონდა და, როცა შეიცვალა ხეზე მიცვალებულის დასვენების წესი, შეიძლება მაშინ დაიწყეს მისი წილი ხის მოჭრა. ქართველთა წარმოდგენით, ყოველ ადამიანს თავისი ბედის ვარსკვლავი აქვს. მისი სიკვდილის შემდეგ მისი ვარსკვლავიც ქრება. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ძველად მოქმედებდა წესი, რომ უნდა დაერგოთ ხე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის ბედზე დარგული ხეც უნდა მოჭრილიყო. ტრადიცია ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ხის დარგვისა უფრო ადრე იქნა მივიწყებული, ხოლო ხის მოჭრის ჩვეულებამ გვიანობამდე შემოინახა თავი.

შემთხვევითი არ არის, რომ ხე ადამიანს გარკვეულად ცოცხალ ორეულად ჰქონდა წარმოდგენილი. ქართულ ხალხურ ზღაპრებში არაერთგან გვხვდება ადამიანს ხედ გადაქცევა, შემდეგ ხის ნაფოტიდან კვლავ ადამიანის გაცოცხლება და სხვ.

როგორც ჩანს, ძველი შეხედულების მიხედვით, ადამიანის სიცოცხლე ხის სიცოცხლესთან არის დაკავშირებული, ადვილი შესაძლებელია, რომ გურიაში ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ხის მოჭრის ჩვეულებაში შემონახული იყოს უძველესი ტრადიცია.

---

[15] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 172.

Н. А. КАДЖАЯ

КУЛЬТ УСОПШИХ В ГУРИИ

Резюме

В работе рассмотрены обряды, связанные с культом мертвых и ритуальные дни, описаны своеобразные обряды похорон, распространенные в Гурии и происшедшие в них изменения.

На основании собранных материалов выясняется, что в древние времена в Гурии не хоронили в гробах. Деревянные гробы стали изготовлять в Гурии во второй половине XIX в.

В Гурии были засвидетельствованы обычаи выкапывание дерева на имя покойника. По мнению автора живое дерево воспринималось двойником живого человека. Поэтому после смерти человека вырубали какое-нибудь одно дерево.

Выявленный материал о похоронах и траурных обрядах проанализирован с антирелигиозных позиций.

გ. ჯალაბაძე

ხელოსნობის ზოგიერთი დარგი და მეთევზეობა გურიაში

მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე ო ბ ა. გურიაში კერამიკული წარმოების ძირძველარს მეჭურჭლე ეწოდება. მეჭურჭლეობას მხოლოდ ორ სოფელში მისდევდნენ, აცანასა და აკეთში. საჭურჭლე თიხები აკეთში. აცანელებს თიხა აკეთიდან მიაქვთ. თიხის გამჭლეევებას აწარმოებენ სილით, რომელსაც საკმაოდ შორი მანძილიდან ეზიდებიან.

გურიაში დამზადებული ჭურჭელი სადაა, მის მოსალამაზებლად ან გაუმტარობის მიზნით არ იყენებენ არც წერანაქს და არც ჭიქურს.

ჭურჭლის სახეობებიდან ფართო გავრცელება ჰქონდა ჭურებს, საშაშხე დერგებს, ჭარიკებს (კოკა), ლიტრას (ლაგინა), ქოთნებს (დულუბა), ჯამებს, კეცებს (კელამიტა), სამკვეთოს და სხვ.

ჭურჭელი მზადდებოდა დაბალ, ხელის მორგვზე. ხელის მორგვზე მზადდებოდა ჭურებიც. გურიაში დიდი ზომის ჭურებს არ აკეთებდნენ. მეჭურჭლეთა გადმოცემით, 5 ფუთიანზე ზევით გურიაში ჭური არ უმზადებიათ. უფრო დიდი ზომის ჭურები შემოჰქონდათ იმერეთიდან.

ჭური მორგვზე საფეხურებად შენდებოდა, მის შენებას იწყებდნენ ძირიდან. ძირიდან ორი მტკაველის სიმაღლეზე რომ ამოიყვანდნენ, ერთ დღეს შეასვენებდნენ. შესვენებისას მშენებარე ადგილზე ჭურს უტოვებდნენ სქელ სარტყელს, რომ შემდეგი შენების დროს თიხა კარგად გადაბმულიყო. შესვენების ადგილზე დატოვებული სისქე ჭურს სარტყლად რჩებოდა.

გურიაში მეჭურჭლეებს, მსგავსად მეგრელი ხელოსნებისა, ძველად უკეთებიათ მცირე ზომის ჭურები, რომელსაც ახალი მიცვალებულების პატრონები იძენდნენ და საფლავთან ფლავდნენ ხოლმე. საფლავის ჭურში ღვინოს ასხამდნენ და მიცვალებულის მოსახსენებელ დღეებში ან რელიგიური ხასიათის დღეს სასაფლაოზევე იხარჯებოდა. ეს ჩვეულება, როგორც სამეგრელოში, ისე გურიაში საკმა-

ოდ ფეხმოკიდებული ყოფილა. გვიანი დროისათვის ეთნოგრაფიული მასალა სპორადულად დასტურდება, უფრო მეტად სამეგრელოში, ნაკლებად გურიაში. ეს ჩვეულება აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

სხვანაირად ძნელი ასახსნელია სასაფლაოებზე არსებული საოჯახო და საგვარიშვილო საზედაშე ქვევრები, რომლებშიაც შემოდგომით თავანკარა ღვინოს ასხამდნენ და შემდეგ მიცვალებულთა მოსაგონარ რელიგიურ დღესასწაულებზე იხარჯებოდა ხოლმე.

როგორც სამეგრელოში, ისე გურიაში საფლავთან ქვევრის დაფლვის ჩვეულებას შესაძლებელია იმის შემდეგ დაედო დასაბამი, როცა ქვევრში დაკრძალვის წესი იქნა უკუგდებული.

დასავლეთ საქართველოში საფლავებზე ახლაც ხშირად გვხვდება საფლავებთან დატოვებული სასმელები და სასმისები, იმ მიზნით თითქოს, რომ სასაფლაოზე მოსულმა კაცმა შენდობა უთხრას მიცვალებულს. ქართლში მიცვალებულს ბოთლით წყალს უდგამენ კუბოში. ამ რიტუალებში თუ წესში შემორჩენილი უნდა იყოს, ძველი ჩვეულების, ე. ი. როცა მიცვალებულს თავთან ჭურს უმაოხავდნენ, მისი ტრანსფორმირებული სახე. სამეგრელოში ოჯახის მამაკაცის სახელზე ეზოში საგანგებო ადგილზე ჩადგმული იყო მცირე ზომის ჭურები, რომლებშიც თავანკარა ღვინოს ინახავდნენ. თუ მამაკაცი გარდაიცვლებოდა, ვის სახელზედაც ქვევრი იყო დათქმული, მაშინ იმ ქვევრს იღებდნენ და მიჰქონდათ ადამიანისა და პირუტყვისათვის უხვედრ ადგილზე და იქ ამტვრევდნენ. ქართლსა და კახეთში ხატსალოცავების სახელზე ყველა ოჯახი ინახავდა ზედაშეს. ზოგიერთ სოფელში ზედაშეები უშუალოდ ეკლესიის კარზე იყო, ხოლო ზოგს საზედაშე ქვევრები სახლში გააჩნდა. თუ ოჯახი რაიმე მიზეზით ზედაშეს ვეღარ მიიტანდა ეკლესიის კარზე, მაშინ სახლიდან საზედაშე ქვევრი მიჰქონდა და ეკლესიის კარზე ტოვებდა. საოჯახო ზედაშეები გვიანდელი მოვლენაა. მისი ადრინდელი სახე ის უნდა ყოფილიყო, როცა ზედაშე ეკლესიის კარზე თავსდებოდა.

მართალია, მიცვალებულის საზედაშე ჭურებს სასოფლო ზედაშეებთან ნაკლები კავშირი აქვთ, მაგრამ მათი განხილვა ერთ ასპექტში უნდა ხდებოდეს, რადგან ეს წეს-ჩვეულებები მიცვალებულის კულტს უკავშირდება და ჭური ამ შემთხვევაში ამ რიტუალთა მატერიალური ატრიბუტის სახით გვევლინება.

გურიაში მეჭურჭლეთა ნახელავი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, ისე როგორც იმერეთსა და სამეგრელოში. ერთი შეხედვით აქაური მეჭურჭლეობა ღარიბულია და მარტივის შთაბეჭდილებას

ტოვებს, მაგრამ მეჭურჭლეთა ეს მცირე ნომენკლატურა მაღალ დონეზეა დახვეწილი და დამუშავებული. არც ერთი ზედმეტი ნიუანსი არ შეინიშნება საღვინე დოქებში, ჭარიკებსა თუ საშაშხე დერგებში კერამიკული ჭურჭელი, რომელიც გურიაში მზადდებოდა, ადგილობრივი მეურნეობის ყველა სფეროს ემსახურებოდა. თუ რამდენად დახვეწილია თვითოეული კერამიკული ნაწარმი, ეს ჩანს თუნდაც სამკვეთლო ჭურჭლის მაგალითიდან. სამკვეთლო ჭურჭელი საღვინეს ფორმის დოქია, ტუჩი ისევე აქვს მოწყობილი როგორც საღვინეს. ხელი გვერდიდან აქვს მიძერწილი, ხოლო ზურგიდან მუცლის თავზე ამოჭრილი აქვს საკოვზე. ამოჭრილი ფანჯრიდან აგდებდნენ დვრიტას, ურევდნენ კოვზით და უმატებდნენ შრატს. გვერდიდან მიძერწილი სახელურის საშუალებით ძოხერხებულად ხდებოდა სამკვეთლოს მოძოაობა, რძის ასაჭოელი დვრიტის სითხის გადასხმა რძის ჭურჭელში (სურ. 1).



სურ. 1. კერამიკული ჭურჭელი

სამწუხაროდ, ეს უნიკალური სამკვეთლო ჭურჭელი იშვიათობად არის ქცეული და ხელოსნებიც აღარ აკეთებენ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არც ერთ სხვა რაიონში მსგავსი ჭურჭელი არ მოიპოვება, მას მხოლოდ აკეთელი მეჭურჭლეები ამზადებდნენ.

საინტერესოა კერამიკული საღვინე დოქის ფორმები, რომლებიც მსხლის ფორმებს იმეორებენ. განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული საღვინეებისა, სადაც მუცელი და ყელი მკვეთრად განიყოფება, გურულ საღვინე ჭურჭელში ეს შეუმჩნეველია,თითქოს მთლიანობაშია მოცემული. აქ თითქოს მწარე ხაპის ფორმებიდან უნდა იყოს ნასესხები ეს ფორმა, რომელიც საკმაოდ ფართოდ იყო ხმარებული გურულ მეღვინეობაში.

ველზე მუშაობის დროს დამოწმდა საღვინე დოქების ორი სახეობა: მანიკა მცირე საღვინე და ფიჩხაური დიდი საღვინე დოქი, რომელშიც 5 ლიტრი ჩადიოდა (არჩილ ალექსანდრეს ძე ხუხუნაშვილი, 81 წლისა, სოფ. ზომლეთი, 1978 წ.). ფიჩხაურს, როგორც ჩანს, საწყაოდაც იყენებდნენ. 1808 წლის ნიხრში, რომელიც სოლომონ იმერეთის მეფის ბრძანებით მამია გურიელს შეუდგენია, კერამიკული ჭურჭელიც შეუფასებიათ. აქ ვკითხულობთ: „ექვსდოქიანი საწყავი 4 ფარა, ფიჩხაური 2 ფარა, დოქი 1 ფარა, ორი ლიტრი 1 ფარა, ღვინის ქვევრი 30 კოკიანი 4 ყურუში, 15 კოკიანი 2 ყურუში"[1]. ამ ნიხრის მიხედვით, გურიაში ხმარებულ ჭურჭელს შორის გარკვეული კანონზომიერებაა დაცული. 6 დოქიანი საწყავის ფასი ორჯერ აღემატება ფიჩხაურის ფასს, ხოლო ერთი ფიჩხაურის ფასი ორჯერ აღემატება დოქის ფასს. აქედან გამომდინარე, ამ ჭურჭელს შორის სიდიდეში მსგავსი განსხვავება უნდა იყოს (სურ. 2).



სურ. 2 გურული კერამიკული ჭურჭლის ზოგიერთი სახეობანი

[1] Д. Бакрадзе Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПБ, 1878, с. 57.

გურიაში მეჭურჭლეობას ძირითადად კაცები მისდევდნენ. კერამიკული ნაწარმის ერთადერთი სახე კეცი იყო, რომელსაც ქალებიც ამზადებდნენ. ქალები მეჭურჭლე მამაკაცებს ეხმარებოდნენ თიხის დაზელვასა და მასალის მიმარჯვებაში.

გამომწვარ-გამზადებული ჭურჭელი ცხენის ან ურმის ტკირთით ბაზარზე გაჰქონდათ. გურული კერამიკული ჭურჭელი გურიაშივე იყიდებოდა.

სამეგრელოსა და იმერეთისაგან განსხვავებით, გურიაში ჭურჭლის დასამზადებლად მორგვს ბორბალი ეწოდება, ხოლო გამოსაწვავ ქურას — თორნე. როგორც ჩანს, ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის ყველაზე ადრეული სახელი გურიამ შემოინახა.

მ ე კ რ ა მ ი ტ ე ო ბ ა. გურიაში მეკრამიტეობის ხელობას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ძველად საცხოვრებელი სახლები ყავრით ან ისლით იყო გადახურული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ ქალაქებში დაიწყეს კრამიტით სახლების გადახურვა, ხოლო შემდეგ მან სოფლებშიც ფართოდ მოიკიდა ფეხი. კრამიტს ძირითადად პალატიანი სახლების გადასახურავად იყენებდნენ.

გურიაში მეკრამიტეობის სამ ცენტრს ასახელებენ: სუფსას, ჯურუყვეთს და აკეთს. კრამიტი ერთი სახისა კეთდებოდა „გულიანი“ — ღარიანი.

მეკრამიტეობა მძიმე სამუშაოა. გარდა იმისა, რომ მის მკეთებლობას დახელოვნება სჭირდება, იგი დაკავშირებულია თიხების გარკვეულ საბადოებთან. ჯურუყვეთელი მეკრამიტის (სევერიან ალძასხანის ძე ჩავლეიშვილის 75 წლისა, 1978 წ.) გადმოცემით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეკრამიტეებს (ჯურუყვეთი) სცოდნიათ შეამხანაგებით მუშაობა. 5—10 კაცი შეთანხმდებოდნენ, მოთხრიდნენ მიწას, მოიტანდნენ შეამზადებდნენ, დაზელავდნენ, ყალიბში მოკრიდნენ, გააშრობდნენ და გამოწვავდნენ. შემოსავალს თანაბრად გაინაწილებდნენ.

საკრამიტე მიწის დაზელას აწარმოებდნენ ხის კოდში, რომელშიც მოწყობილი იყო ღერძზე დამაგრებული ფრთები. ღერძს მიმაგრებული ჰქონდა გრძელი ლატანი, რომელშიც გაბმული ჰყავდათ ცხენი, ცხენის ძალის გამოყენებით მოძრაობაში მოდიოდა კოდში ჩადგმული ფრთებიანი ღერძი და მიმდინარეობდა თიხის დაზელვა. თიხაში გასამჭლეველად შესამედს სილას ურევდნენ. დაზელილი თიხა გადაჰქონდათ დაზგაზე, სადაც იღებდნენ გუნდებად, თიხის გუნ-

დას ყალიბში ჩადებდნენ და ასწორებდნენ ლაღას გადასმით. გადასწორებული კრამიტი გადაჰქონდათ ფორმაზე ე. ი. მოგლუვებულ ფიცარზე, რომელიც კრამიტს ღარის ფორმას აძლევდა. ამის შემდეგ ფორმაზე გადატანილი კრამიტი ხონჩით გაჰქონდათ საშრობში. გამოშრობას ერთი კვირა მაინც უნდოდა. ამის შემდეგ კრამიტი შეჰქონდათ ქურაში და იწყებოდა მისი გამოწვა.

გარდა კრამიტისა, ამავე პუნქტებში უკეთებიათ აგრეთვე აგურიც.

1930 წლიდან კრამიტის წარმოებას სოფელ ჯურუყვეთში ფართო ხასიათი მიეცა, მისი ორგანიზაციული მხარე სარეწაო კავშირს ევალებოდა, მაგრამ ეს კოლმეურნეობისთვის ხელსაყრელი არ იყო. კოლმეურნეობას მუშახელი უცდებოდა, შემოსავალი კი მის დოვლათს არ ემატებოდა. ამ წინააღმდეგობებმა და იმანაც, რომ შიფერის სახით იაფი სახურავის მასალა გაჩნდა, კრამიტის კუსტარულმა წარმოებამ აზრი დაკარგა და გურიაში იგი შეწყდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოდა-საცხოვრებელ ნაგებობებს კრამიტით გადახურვა უფრო მეტად ამშვენებს, ვიდრე სხვა რომელიმე მასალით.

ქ ვ ი ს დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ი ს წ ე ს ე ბ ი. ქვის საბადოების სიუხვით გურია არ გამოირჩევა, მაგრამ არის რამდენიმე პუნქტი, სადაც ქვის დამუშავების ხელობას ადგილობრივნი შორეული წარსულიდან მისდევდნენ. გურიაში ქვის ოსტატთა ნახელავი დღესაც მოწონებაშია და ამდენად, ხელოსნობის ეს დარგი ჯერ კიდევ ბოგინობს.

ქვის მოხელეობას მისდევდნენ სოფლებში: ამაღლებაში, ზომლეთში, ვანში და საჭამიასერში (სურ. 3).

ზომლეთელები და ვანელები ქვის ორი საბადოდან სამაჭვრანიდან და კონცხოულადან სარგებლობდნენ. ზემო ამაღლება — საკეციადან. ქვის მოხელეებს ზოგადად მოწაკატეებს უწოდებდნენ. ქვის მოხელეობა შიგნით დაყოფილი იყო ცალკეული საგნების დამზადების კვალობაზე. ვანელები და ზემო ამაღლებელნი უმეტესად კეცებს ამზადებდნენ და მათ მეკეცეებს („მეკეციე კაცები") უწოდებდნენ. ზომლეთელებს უმეტესად დოკონები — ბაჯგები უთლიათ. ისინივე ამზადებდნენ ღომის ჩამურს, ბუხრის თავებს, გურიაში წისქვილის ძველი ქვებიდან აკეთებდნენ ხელწისქვილებსაც. საჭამიასერის სოფლებში დამოწმდა ქვის კოდიანი წისქვილი. ადგილობრივთა გადმოცემით, ქვის კოდები ადგილობრივ ყოფილა დამუშავებული. ქვის საბადოებიდან ქვის მოტეხვა, რასაც ადგილზე მოკრასაც უწოდებდნენ, საკმაოდ ძნელ სამუშაოს წარმოადგენდა. მეწაკატეს უნდა სცოდნოდა კარგად ქვის მოსატეხი ხაზების მიმართულება.

ზელოსანთა დაკვირვებით, ქვას აქვს საური. ქვის გადატეხვა ამ საურის მიმართულებით უნდა მოხდეს. იმის შესაბამისად თუ რა ზომისა და რა დანიშნულების მასალა უნდოდათ, ქვაზე აელებდნენ ღარს. ღარის გასავლებად იყენებდნენ წვერიან წაკატს, ღარში თანამიმდევრობით რკინის სოლებს აწყობდნენ და თანამიმდევრულად სცემდნენ ურიოს.



სურ. 3. ქვის დასამუშავებელი იარაღები

ქვის მოსაჭრელად პალოების გარდა იყენებდნენ „ლაღუმსაც". მთხრობელთა დაკვირვებით, ქვა გამოდიოდა მაგარიც და რბილიც. მაგარი ქვა უფრო ადვილი მოსატეხი, ხოლო რბილი ქვა უფრო ძნელი მოსატეხი იყო და მას უფრო მეტი პალოები სჭირდებოდა. თუ

ლაღუმით უნდოდათ ქვის მოტეხა, მაშინ ქვაში ლომის საშუალებით ღრმად ჩადიოდნენ. ქვის მტვერს კოვზით იღებდნენ და ფოსოს ასუფთავებდნენ. ამოსუფთავებულ ფოსოებში „ლაღუმის წამალს ყრიდნენ, შემდეგ ლაღუმის წამალს და ნავთს ერთიმეორეში მოზელდნენ, იღებდნენ ისლის ღერს, რომელსაც შუაში ჩაჭრიდნენ, ლაღუმის ცომს შიგ ჩააგლესავდნენ და შეკრავდნენ ერთი წვერით მოათავსებდნენ ქვის ფოსოში, რომელშიც ლაღუმი იყო ჩაყრილი, შემდეგ ისლს მისცემდნენ ცეცხლს და შორს გაიქცეოდნენ".

მოტეხილი ქვა საბადოდან ფრჩხილებიანი ურმით გამოჰქონდათ. ადგილზე აკოპიტებდნენ და ზოგჯერ ადგილზევე ასუფთავებდნენ.

სურ 4. ქვის გვიმი (ჭის თავი)

„მეკეცე კაცებს" საკეცე დანიშნულებით მოჭრილი ქვა გაკოპიტებული მიჰქონდათ სახლში. კეცის გულის ამოღებას, ძირის და კიდეების შემოსუფთავებას სახლში აწარმოებდნენ, საკეცე ქვას მოამრგვალებდნენ, რისთვისაც ძირითადად წაკატს ხმარობდნენ, შემდეგ ამავე იარაღით იწყებდნენ გულის ამოწაკატებას. გულის ამოსაღებად ორი სახის წაკატი იხმარებოდა „საჭარი წაკატი"—

* იხ. რუხაძე, ხალხური აგრარული კულტურა დასავლეთში, თბ., 1976, გვ. 28.

პირველი პირისათვის და „საღები წაკატი“ — მეორე პირისათვის. საღები წაკატით ხდებოდა გულის ძირითადი ფენის ამოჭრა. ამის შემდეგ კი იყენებდნენ პირთხელს. პირთხელით კეცის გულსა და კიდეებს მოასარკეევებდნენ. ერთი ხელოსანი — მეკეცე თუ მას მოჭრილი ქვა გააჩნდა, დღეში საშუალო ზომის (საშ. ზომის კეცის d = 40 სმ) 4—5 კეცს გააკეთებდა. კარგი ქვით დამზადებული კეცი 2 წლამდე ძლებდა. იმისათვის, რომ კეცი ძლიერი ცეცხლით არ გადახურებულიყო და არ დამწვარიყო, მას თეჯერაზე ახურებდნენ. ქვის კეცს თიხის კეცთან შედარებით მრავალ უპირატესობას აძლევდნენ.

გურიაში ქვის მთლელები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ამზადებდნენ სასიმინდე ნალიებისა და სახლის ბიჯგებს. სასიმინდე ნალიისათვის გრძელი ქვა უნდა მოჭრილიყო, რომელიც მიწაში ჩასმის მერე საშუალო კაცის სიმაღლისა მაინც უნდა დარჩენილიყო.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ბუხრისთავების დამზადებას. შემდგომში, როცა გურიაში შუაცეცხლიანი სახლების ნაცვლად პალატიანი სახლები გაჩნდა, ბუხრისთავებზე მოთხოვნილება გაიზარდა. პალატიანი სახლები ისეა აგებული, რომ რამდენი ოთახიცაა, იმდენი ბუხრის „ტაფა“ გააჩნია, ახალი სახლების ინტერიერში ბუხარი გამსაზღვრელ და ძირითად კომპონენტად დარჩა. ამიტომ, ისე როგორც ძველად შუა ცეცხლი, ისლით გადახურულ სახლში განსაზღვრავდა სახლის ინტერიერს, ახალ სახლებშიც ბუხარი წამყვან ელემენტად გვევლინება. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა ბუხრის მოპირკეთებასა და ბუხრის თავების (თაღების) სილამაზეს.

ყ ა ვ რ ი ს გ ა მ ო ხ დ ა გურიაში ყავრის გამოხდას ძირითადად მისდევდნენ სუფსისა და გუბაზოულის ხეობის ზედა სოფლებში (ბასილეთის და ნაბეღლავის თემებში).

ყავარს ხდიდნენ ნაძვისა და ფიჭვის ხისაგან, არა იშვიათად წიფლის ხესაც იყენებდნენ.

საყავრე ხის შერჩევა სცოდნიათ როგორც ხის ექსპოზიციის მიხედვით, ისე უშუალოდ ხის ნაზარდი ხაზების მიმართულებაზე დაკვირვებით. თუ ხე სწორტანიანი იყო და გვერდით ხეები ზრდის მიმართულებაში ხელს უშლიდნენ, ასეთი ხე საყავრედ გამოდგებოდა. ხეს თუ გვერდით სხვა ხეები ედგა, რომელიც სწორ ზრდაში უჩრდილავდა, და ეს უკანასკნელი მზის სხივების ძიებაში წვალობდა, მას ტანი შეიძლება სწორი ჰქონოდა, მაგრამ საზრდელი ხაზები მიგრეხილ-მოგრეხილი. ასეთი ხე საყავრედ არ გამოდგებოდა.

საყავრე ხეს სასინჯ ნაფოტს გამოაპობდნენ. ნაფოტის მიხედვით

არჩევდნენ სამი მიმართულების ხაზს — მარჯვენას, მარცხენას და სწორს. თუ ნაფოტს სწორი ხაზები გააჩნდა, ის კარგი საყავრე მასალის მანიშნებლად ითვლებოდა. თუ ხაზები მარცხენა მხრით იყო მიმართული, მაშინ ამ ხიდან ბევრი და უკეთესი ყავარი გამოიხდებოდა — ამგვარი ცნობა მოგვაწოდეს სოფ. ნაბეღლავში უშუალოდ მეყავრეებმა. მაგრამ სოფ. ზემო სურებში ყავრის მოხელე სოლომონ ბეზეიშვილი საყავრედ ამჯობინებდა მარჯვენა მხარეზე მიმართულ ხაზებიან ხეს.



სურ. 5. ქვის საკოდი იარაღები

ეთნოგრაფ გ. გასიტაშვილს ბორჯომის ხეობის მეყავრეებთან ჩაწერილი მასალის მიხედვით, საყავრე ხეს მარცხნივ უნდა ჰქონოდა მიმართულება[2]. იქვე გ. გასიტაშვილი, ეყრდნობა რა თ. ჩიქოვანის აჭარულ მასალებს, აღნიშნავს, რომ აჭარლები ამჯობინებდნენ თუ ხეს ნაზარდის მიმართულება მარჯვნივ ექნებოდა[3].

მთხრობელთა დაკვირვებით, ხე უნდა იყოს 15 „ვერშოკიანი“ მაინც. ხეს მოჭრიდნენ და 1,5 არშინიან მორებად დახერხავდნენ

[2] გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 76.

[3] იქვე.

(120 სმ), მორებს დაანაოთხლებდნენ. ნაოთხალს ერთი თავით სამართში-კალაპოტში ჩადგამდნენ. ყავრის დაშნით-დანით ნაოთხალს ნეკი თითის სისქეზე როკოტინას-კვეყოს ნელი ცემით პირს აუხსნიდნენ, თანდათან ტარით დანას ამოძრავებდნენ და დაბლა ეშვებოდნენ. ყავრის ფურცელი 3—6 „ვერშოკის" სიფართისა იყო. ერთი ნაოთხალიდან 6—8 ფურცელი ყავარი ამოდიოდა.

ყავრის რაოდენობას საპალნით და ბეღლით გამოხატავდნენ, ერთი საპალნე 100 ფურცელს გულისხმობდა, 5 საპალნე ერთ ბეღელს შეადგენდა.

საპალნე ცხენის ერთ ტვირთს შეადგენდა. ყავრის ფურცლებს (ერთ ტვირთს) ორ კონად კრავდნენ, თითო კონაში 50 ფურცელი თავსდებოდა. კონები ერთიმეორეზე იყო გადაბმული და უნაგირზე გადაკიდებული.

ხელმარჯვე მეყავრე, თუ მას დამორილი მასალა გააჩნდა, დღეში ერთ ბეღელს დახევდა. დახეულ ყავარს, რომ არ დაბრეცილიყო, საგანგებოდ აწყობდნენ, რასაც დაბეღვლა ეწოდებოდა. ბეღელში ყავარი სათვალავით ლაგდებოდა ე. ი. 500 ცალი უნდა დაეწყოთ. ბეღელში ყავარი შრებოდა და სწორად დგებოდა.

მთხრობელთა გადმოცემით, სოფელ ნაბეღლავს მეყავრეობის ნიადაგზე შერქმევია სახელი.

ყავარი იყიდებოდა, როგორც ადგილზე, ისე მეზობელ სოფლებში და ქალაქებში.

ყავრით ხურავდნენ, როგორც ოდა სახლებს, ისე ძველებურ „ქუხნა სახლებს".

ყავარმა გარკვეულ ეტაპზე შეცვალა გურული სახლების ძირითადი სახურავი ისლი, ხოლო XIX ს. ისლი შეცვალა ჯერ ყავარმა, შემდეგ კი კრამიტმა.

მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა გ უ რ ი ა შ ი. მეთევზეობა დამხმარე მეურნეობის ერთი ისეთი დარგია, რომელსაც გურულთა ყოფაში დიდი ხნის ისტორია გააჩნია. გურია თავისი მდებარეობით თევზის მისადევარ უბანს წარმოადგენს. თხელი სანაპირო ზღვის ზოლი, ზღვაში ჩამდინარე მოზრდილი მდინარე სუფსა და ძრავალი მცირე მდინარე დიდძალ თევზს იზიდავდა. მდინარეთა მთის ზოლში დიდი რაოდენობით იყო კალმახი, ხოლო გავაკებაზე წვერა, კობრი, კეფალი, ქაშაყი, ჭაფალი, ზუთხი.

ზღვისპირა ზოლის ძველი მოსახლეობა მეთევზეობას ოდითგანვე მისდევდა. არქეოლოგმა ნ. ხოშტარიამ დიხა გუძუბას ნამოსახლარზე, რომელიც ნეოლითის შემდგომი ხანით თარიღდება, აღმო-

აჩინა ბადის საწაფი ქვები[4]. ბადის საწაფად ქვების გამოყენების ფაქტი, სამეგრელოში არქანჯელო ლამბერტსაც დაუმოწმებია[5].

სურ. 6. ხის ჭურჭელი

თევზის, როგორც საკვები პროდუქტების სიუხვე ადგილობრივ მოსახლეობას ეკონომიკური თვალსაზრისით გარკვეულ შეღავათს აძლევდა. თევზის დასაჭერად მის მოსაპოვებლად იმთავითვე მრავალი საშუალება შემუშავებულა.

გურულები ფრინველებზე დაკვირვებით ადგენდნენ თევზის მოძრაობის მიმართულებას. მდინარის გასწვრივ წყლის იხვის-აკინის — მოძრაობით საზღვრავდნენ თევზის მოძრაობის მიმართულებას. ასევე ამავე ფრინველის ზღვის სანაპიროზე ფრენით გებულობდნენ, თუ სად მოიყარა თევზმა თავი. თევზის მოძრაობის დადგენას განსაკუთრებით მაშინ ეძლეოდა დიდი მნიშვნელობა, როცა თევზაობა წარმოებდა დიდი მასშტაბით. დიდი მასშტაბით თევზაობა კი მაშინ სცოდნიათ, როცა თევზაობა სახელმწიფო მნიშვნელობის დონეზე მიმდინარეობდა.

---

[4] ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დიხა გუძუბა, კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, № 2, 1944, გვ. 211.

[5] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 182.

სახელმწიფო მნიშვნელობის დონეზე თევზაობა ნიშნავდა, იმას, რომ გურული გლეხებისათვის თევზის ბეგარა მუდმივი ბეგარის სახეს წარმოადგენდა[6]. ამიტომ მის გადასახდელად საჭირო იყო თევზის მოპოვება-დაჭერა და სათანადო დამუშავებულის მირთმევა ბატონისათვის.

• თევზჭერა მიმდინარეობდა ინდივიდუალური და კოლექტიური გზით. კოლექტიური ხასიათის თევზჭერა უფრო ადრეულია. თევზჭერის იარაღებიც ორი მიზნით იხმარებოდა. იყო ერთდროულად ძრავალი თევზის დასაჭერი საშუალებანი (ბადე, გოდორი). თევზაობა მიმდინარეობდა აგრეთვე სათევზაო იარაღებისა და საშუალებების გარეშე, მოხელავებით.

გურიაში მეთევზეობასთან დაკავშირებით დადგენილი საშუალებებიდან უძველეს ფორმად მისაჩნევია თევზის ჭერა მდინარის ტოტის გადაწურვით. მდინარის ტოტის გადასაწურად რამდენიმე კაცი შეამხანაგდებოდა. შეამხანაგება წინასწარ სოფელშივე ხდებოდა. შეამხანაგებულებს თან მიჰქონდათ: ბარი, თოხი, ნიჩაბი, ხელგობი, გოდორი ინთა და სხვ. გადასაწური მდინარის ტოტის სათავესთან მიიტანდნენ მოკრილ ბელტს, ხის ფოთლოვან ტოტებს. ქვით ყორეს გაავლებდნენ, ტოტებსა და ბელტს მიუგებდნენ და წყალს სხვა მიმართულებით გადაუგდებდნენ. ტოტის სათავეში ჩატარებული მუშაობის შედეგად თევზი ფრთხებოდა და ბოლოს აწყდებოდა. იმისათვის, რომ თევზი ბოლოდან არ გაპარულიყო ბოლოში რამდენიმე კაცი იგზავნებოდა ბოლოს „გასაჩხოკად" — გასაღობად. მოსაწური ტოტის ბოლოში ქვებით გადაღობავდნენ, ფოთლოვან ხის ტოტებს მიუგებდნენ და შუაში პირჩაბოუნებულ გადორს გაუგდებდნენ. გადაწურულ ტოტში თევზს ხელით იჭერდნენ. დაჭერილ თევზს ბლის კანისაგან დამზადებულ ინთაში აწყობდნენ. თევზაობის დამთავრების შემდეგ გადაწურულ ტოტს თავსა და ბოლოს აუშვებდნენ და წყალს ისევ შეუშვებდნენ.

დაჭერილ თევზს თანაბრად ინაწილებდნენ წილის ყრით. თევზაობის ეს ფორმა საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული.

ბოლთობა ანუ ჭვილთით თევზაობა—ასე ეწოდება თევზაობის ერთ-ერთ სახეობას. რომელიც ბარჯის—ჭვილთის საშუალებით მიმდინარეობდა. ჭვილთით თევზაობა შედარებით რთულია და მეთევზეთა დიდ დახელოვნებას მოითხოვს. პირველ ყოვლისა, მეთევზემ უნ-

---

[6] გ. ხ ა ჭ ა პ ო რ ი ძ ე, გურიის აჯანყება 1841 წელს, თბ., 1933, გვ. 20.

და მიაკვლიოს დაბოლთებულ თევზს. თევზის დაბოლთაება ძირითადად ზამთრის პერიოდში ხდება. მეთევზეთა დაკვირვებით, ზამთარში თევზები თავს ერთად იყრიან. სადაც ღრმა ადგილია, იქ ჩერდებიან, ან „ჯიკვის“ გვერდში „დაბოლათდებიან“, „ჩაწოლილ თევზებს სითბოთი ორთქლი ასდის“. დაბოლათებული თევზის საძებნელად დილით ადრე მიდიოდნენ. დაწშენდილ წყალს აკვირდებოდნენ და, თუ თევზს შენიშნავდნენ, მაშინ ზემოდან „სამპოტიკე ჭვილთს“ ჩასცემდნენ. ჭვილთი-ბარჯი სამთითიანია და წვერები ისრისფრთებით უბოლოვდება. როცა თევზს ბარჯს დასცემდნენ ისრისწვერიანი თითებიდან მერე თავს ადვილად ვეღარ დაიხსნიდა. ბარჯით ცალკეულადაც დადიოდნენ და ორ-სამი კაციც ერთად ამხანაგდებოდა ხოლმე. დაჭერილ თევზს თანაბრად ინაწილებდნენ.



სურ. 7. სათევზაო ჭვილთი

გ ო დ რ ი თ თ ე ვ ზ ა ო ბ ა.

წინათ გურიაში ხშირად თევზაობდნენ გოდრით. გოდორი იწნვოდა თხილის წნელისაგან. კონუსისებური ფორმისა, რომელსაც შიგნიდან მეორე ასეთი მცირე კონუსისებური ფორმის გოდორი ჰქონდა შექსოვილ-ჩაწნული. გოდორს უგებდნენ მდინარის დინების საპირისპიროდ „ნდორე“ ადგილებში. გოდორში შესული თევზი ადვილად ვერ აღწევდა თავს. გოდორს საღამოს უგებდნენ, მდინარეში ჩასობილ მარგილებზე აბამდნენ, დილით სიხჯავდნენ და თევზებს იღებდნენ. ამ ტიპის გოდრები (საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია № 19—47/30) საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული და სხვადასხვა სახელს ატარებდა: პირშექცეული, კოკოზა, გოდორი და სხვ. როგორც სათევზაო იარაღი, ისე ამ

ირაღით თევზაობა ძველ საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

ს ა ღ ო ბ ი ბ ა დ ი თ თ ე ვ ზ ა ო ბ ა. გურიაში, ისე როგორც ზღვისპირა სხვა კუთხეებშიც სცოდნიათ მდინარეზე საღობი ბადით თევზაობა. თვით სიტყვა საღობი ნიშნავს, რომ მთლიანად მდინარის გადაღობვა ხდებოდა. საამისოდ საჭირო იყო არამარტო დიდი ზომის ბადე, არამედ მისთვის მოხერხებული ადგილის შერჩევა და სათანადოდ გამართვა. საღობი ბადის გასაწყობად მდინარეში მარგილებს ჩასვამდნენ. მარგილები ერთიმეორის გასწვრივ უნდა ჩასხმულ ყოფილ. მარგილებს შორის ბადეები გაიბმოდა ბადეები ხის რკალზე იყო მოქსოვილი. ბადეს ჰქონდა კონუსისებური ფორმა.

ბადეს დაბოლოებაზე ჰქონდა წვრილი კუშტული. აღნიშნული დეტალის გამო საღობ ბადეს კუშტულიან ბადესაც უწოდებდნენ. საღობი ბადით უმთავრესად ღამით იცოდნენ თევზაობა. ღამით თევზაობისათვის ამზადებდნენ „სამძირს“ სამძირი წარმოადგენდა ხის სამკუთხა ჩარს, რომელსაც ერთ თავში შეკრავდნენ. ბოლოები გაიდგმოდა და მას წყალში ჩადგამდნენ იმ ადგილზე, საცა საღობი ბადე იყო გაბმული. სამძირზე სინათლეს ანთებდნენ. მეთევზეთა დაკვირვებით „სინათლეზე თევზი მიდის და ბადეში ვარდება“. ამ საქმის მიყოლა ყველას არ შეეძლო და ამდენად იშვიათიც იყო. თუმცა ისტორიულ საბუთებში მესაღობე და საღობი ბადე მოიხსენიება. საბუთებში არ ჩანს, მაგრამ უნდა ვიფარაუდოთ, რომ მესაღობე გლეხი თევზის დიდ ბეგარას იხდიდა. ეს ჩანს თუნდაც 1787 წლის საბუთიდან, ამ საბუთის მიხედვით მესაღობე გლეხს „1 მარჩილის მეტი არა ეთხოვებოდა რა“[7], იმ დროს, როცა ამავე მესაღობე გლეხის თანამოძმე ტყვირელი ჩაგუნავები იმის გარდა, რომ დაჭერილი ზუთხის ნახევარს იხდიდნენ, ბეგარისა და სამსახურისაგან მაინც არა თავისუფლდებოდნენ[8].

დ ი დ ბ ა დ ი თ თ ე ვ ზ ა ო ბ ა. საქართველოში საკმაოდ გავრცელებული სათევზაო საშუალებას წარმოადგენდა დიდბადით თევზაობა. გურიაში დიდბადეს იყენებდნენ ძირითადად სუფსის აუზში და ზღვის სანაპირო ზოლში. სუფსის აუზში მოქმედ დიდ ბადეს სიგრძე სუფსის ერთი ნაპირიდან მეორეზე გამწვდენი უნდა ჰქონოდა. სიგანე კი იმდენი, რომ მდინარის სიღრმეს დაწვდენოდა. დიდბადე ორფად იყო შედგენილი. პირველი წვრილთვლიანი ნაქსოვი

---

[7] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, თბ., 1921, გვ. 92.

[8] იქვე.

იყო. მეორე მსხვილთვლიანი ბადეს გააჩნდა ორი გრძივი „ლარი“, ზედა და ქვედა. ქვედა ლარზე ტყვიის საწაფები ჰქონდა ასხმული. ზედა ლარზე კი ასხმული ყოფილა „ხაპები“, რომ ბადე მოქმედების დროს არ დაძირულიყო და ვერტიკალური მდგომარეობა შეენარჩუნებინა.

ბადეებს უმთავრესად მონასტერში „მოლოზნები“ ქსოვდნენ. ცალკეულ სოფლებში იყვნენ ბადეების მქსოველი ქალები. საერთოდ დასავლეთ საქართველოში ბადეებს ქალები ქსოვდნენ. ბადეების გაწყობა ხაპებით, ტყვიით, კუშტულის მიბმა და სხვა მამაკაცთა საქმეს წარმოადგენდა.

დიდბადის შეძენას მისი სიდიდის და, აქედან გამომდინარე, სიძვირის გამო, ერთი გლეხი ვერ ახერხებდა. ამიტომ 8—10 კაცი ერთად შეამხანაგდებოდა და თითო „ფხარ“ ბადეს საზიაროდ გადაბამდნენ. დიდბადის ეს შემადგენელი ნაწილი „ერთი ფხარი“ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ მამია გურიელის სინიხრო გარიგებაშიაც არის მოხსენებული და იგი 1 რუბსა და 1 ფარას ფასობდა[9]. ბადეების საზიაროდ გადაბმის შესახებ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალშიც“ არის აღნიშნული[10]. როგორც ჩანს, დიდბადით თევზაობის ორგანიზაცია საკმაო სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

თევზაობისას დიდბადეს ერთი წვერით, რომელსაც 4—5 კაცი ეწეოდა, მდინარეში შეიტანდნენ. ამდენივე რჩებოდა მეორე წვერთან და იწყებდნენ მდინარის საპირისპირო მიმართულებით ბადის გაწევას. ბადეს თან უნდა მიჰყოლოდა ერთი მყვინთავი. მყვინთავის მოვალეობას შეადგენდა ქვებზე ან ხეებზე მოდებული ბადე დაეხსნა და ხელი შეეწყო ბადის ტარებაში. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ბადის ერთი წვერი უნდა ნაპირისაკენ წამოეღოთ და ბადე გამოეთრიათ ნაპირზე.

დიდბადეს სუფსაში განსაკუთრებით „თევზის კაკლობის“ დროს იყენებდნენ, რომელსაც „ტობობას“ უწოდებდნენ. მთხრობლის გადმოცემით, „ტობობა მარტის თვიდან იწყებოდა, ეს კაკლობაა თევზისა, თევზი ღელეებს ეძებს, სადაც ღელეა იქ შეძრობა, მიდის ახლა შით. თევზი ამ დროს ყვირის და ქვებს ეშხაფუნება, რომ კაკალა დაჟაროს. ხანდიხან ძალზე ბევრი შემოდის. აქ ერთი გადაუდგამს ბადეს. სხვები ხანდახან ოციც კია, იჭირავს ხელით, ზოგი ბადით დახდება. თევზს ამ დროს სქელი კანი აქვს და არა სხლტება. დაჭერა ადვილია“.

---

[9] იქვე.

[10] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, თბ., 1884, გვ. 23.

საინტერესოა გურიაში გამოყენებული ტერმინი ტობობა. იგი თევზთ კაკლობას ნიშნავს. სულხან საბას ლექსიკონის მიხედვით თევზთა პეპლობა ყოფილა ტულაობა.

გურიაში თევზის დასაჭერი საშუალებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ს ა ს ა რ ო ლ ი ბ ა დ ი თ დ ა ფ ა რ ო ნ ი ბ ა დ ი თ თ'ე ვ ზ ა ო ბ ა. სასროლი ბადით ერთი კაციც წავიდოდა სათევზაოდ. ფარონი ბადით თევზაობას კი ორი კაცი სჭირდებოდა. ფარონი ბადე სიგანეში 1—1,5 მეტრი იყო, სიგრძით კი 2—3 მეტრი. მას ორი კაცი ატარებდა და მდინარის საპირისპირო მიმართულებით მოუსვამდნენ ხოლმე.

თევზის დასაჭერად ხმარობდნენ ანკესებს. იცოდნენ გაბმული ანკესებით თევზაობა და იცოდნენ ცალი ანკესით თევზაობა. ცალი ანკესით ღელეებზე და მდინარის სანაპიროზე თევზაობდნენ. გაბმულ ანკესებს ზღვაში და დიდი მდინარის მორევებში იყენებდნენ. ზღვაზე მოთევზავეთა ამხანაგობები ჩვენი მასალებით ვერსად დავადასტურეთ, განსაკუთრებით არჩევდნენ მდინარეთა ან მდინარის ტოტების შესაყარ ადგილებს, სადაც ღამღამობით ჩასადგმელი ბადით თევზაობდნენ. ჩასადგმელ ბადეს გამობმული ჰქონდა საცნაური ძაფი, რომელიც ხელზე ჰქონდა მეთევზეს გამობმული. ამ ძაფის საშუალებით იგებდნენ ბადეში თევზის შესვლას.

თევზისჭერა არ შეიძლებოდა მაისში, ივნისში და ივლისში. დაჭერილ თევზს, თუ იგი დიდი რაოდენობით იყო, გაფატრავდნენ, მარილს დააყრიდნენ და გობზე აჩერებდნენ სამი დღის მანძილზე. სამი დღის შემდეგ დაკიდებდნენ გასაშრობად. ასე დამარილებულ-გაშრალი თევზი საოჯახო მოთხოვნილებისათვის ინახებოდა.

თევზს გურიაში სათანადო ადგილი ეკავა არა მარტო საკვებ რაციონში, არამედ რელიგიური ხასიათის რიტუალებში. შემთხვევით არ გვეჩვენება, რომ თევზი, როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლო, გარკვეულ მონაწილეობას ღებულობდა ახალწლის რიტუალში. სახელდობრ, გურიაში არაეთგზის დამოწმდა ახალწლის დღეს ჭურის თავზე კალმახის დაკვლის წესი.

ცოცხალი თევზით ახალი წლის მიკვლევა ოჯახისადმი ნაყოფიერების და გამრავლების სიმბოლოს წარმოადგენდა.

Т. В. ДЖАЛАБАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ОТРАСЛИ РЕМЕСЛЕННОГО ПРОИЗВОДСТВА И РЫБОЛОВСТВО В ГУРИИ

Резюме

В работе изучены: керамическое производство, обработка камня, изготовление дранних кровлей и способы рыболовства в Гурии. Автором усатновлено, что в Гурии изготовляли керамическую посуду в основном в селениях Акети, Ацана и Супса. Выявлены ритуальные кувшины для хранения вина «Зедаше», которые открывались в поминальные дни.

Дается описание способы изготовления черепицы и кирпича. В работе также представлены материалы об обработке камня. В Гурии из камня изготовляли разные предметы: ручные мельницы, подпорки для жилых домов и зернохранилище, каменные сковородки для печения хлеба—мчади и др.

Описываются разные способы рыболовства, рыболовные орудия, ритуалы, связанные с культом рыбы и дана богатая терминология.

Автором выявлен один из древнейших ритуалов, который выполняли в день Нового года. Гурийцы закалывали форель над винным кувшинном в знак плодородия и обилия в наступающем году. Рыбьи кости и изображение рыб служили фетишами от дурного глаза.

ა. ა. ნადარაია

დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში*

დემონოლოგიის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ქრისტიანულ, ისე წინაქრისტიანულ რელიგიებში (ანტიკური ქვეყნები, ეგვიპტე, მცირე აზია...).

ორფიკების სწავლებით, სულის ცოდვა მისი პირადი თვითგამორკვევაა. ის ასულია მიწისა და ვარსკვლავიანი ცისა. კაცობრიობა არ განირჩევა ტიტანებისაგან, რომელთა ფერფლიდანაც ის წარმოიშვა[1]. „ტიტანები არიან მრავალტანჯული ხალხის საწყისი და პირველწყარო“ (Orphi hymn., XXXVII,4)[2]. ორფიკული დოგმატით, ცოდვილი, დამნაშავე წინაპრები ერთდროულად ტიტანებიც არიან და მემკვიდრეობით განაგრძობენ ტიტანების ღმერთთან ბრძოლას. მხოლოდ დიონისური ღმერთთაყვანისმცემლობით, რომლის იდეა ესაა იდეა სიკვდილ-სიცოცხლის იგივეობისა, ამცირებენ ისინი თავიანთ პირველშობილ ცოდვას[3]. „უეჭველია—შენიშნავს ვ. ივანოვი—ტიტანები ხტონური ძალებია ქალური მატერიალური პირველსაწყისისა (მიწის დედისა)[4]“.

„განსხვავებულად უნდა იყვნენ თაყვანცემული ღმერთები“ ამბობს მაცნე ესქილეს ტრაგედიაში „აგამემნონი“ (სტ. 637): ის—განაგრძობს ვ. ივანოვი—გულისხმობს შერევის აკრძალვას ცის ბინადართა მიმართ აღვლენილი ლოცვა-დიდებისას, ასეთსაევსთან, მიწის წიაღში მყოფთადმი მიმართულთან. ის, რაც განეკუთვნება მიწის-ქვეშეთის ძალთა სფეროს და საიქიოს საზღვრის მიღმა სულებს,

* რეცენზენტები—ისტ. მეცნ. კანდიდატები: ა. სოხაძე, მ. ჩართოლანი, ირ. სურგულაძე.

[1] В. Иванов. Дионис и прадионисийство, Баку, 1923. с. 175, 177.

[2] იქვე, გვ. 176.

[3] იქვე, გვ. 175, 177.

[4] იქვე, გვ. 178.

არის რაღაც არაწმინდა (miasma, miaron) ოლიმპისადმი განკუთვნილ წეს-ჩვეულებათა წრეში[6]. ჰომეროსის სკოლა ეძიებდა მასების ბნელი დემონოლოგიისათვის დაეპირისპირებინა ნათელი სისტემა ჰარმონიულად მოწყობილი ოლიმპისა.

ქრისტიანობა ფარულად ითვისებდა ანტიკური წეს-ჩვეულებისა და სარწმუნოებრივი სწავლების ურიცხვ ელემენტებს თავისი დოგმატური და ლიტურგიული მოძღვრებისათვის. მათ შორის დემონოლოგიის საკითხსაც, უფრო ზუსტად: ტიტანოდემონოლოგიის საკითხსაც. ბერძნული daimon ორფიკებთან და პითაგორელებთან ნიშნავდა მფარველ სულს[8], ქრისტიანებთან—ბოროტ სულს.

ამრიგად, ტიტანურ-დემონური ბუნების ამოსავალი ხტონური და ღამისეული არსია. ის, რაც ტიტანურია წარმართულში, დემონურია ქრისტიანულში.

შუასაუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში ინკვიზაციის მიერ ცეცხლზე დაწვა უმთავრესად ქალებს ემუქრებოდა[7]. ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებშიც მავნე, დემონური ძალის მთავარი მატარებელია ქალური ბუნება. მისი უმაღლესი განსახიერებაა კუდიანების უფროსი როკაპი, რომელიც საზარელი მოხუცი ქალის სახით არის წარმოდგენილი. ხალხი ავ ქალს როკაპს ეძახის — „როკაპი ავი ქალია"[8].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კუდიანებზე არსებობდა ისეთივე წარმოდგენები, როგორიც გავრცელებული იყო შუა საუკუნეებისა და უფრო მოგვიანო ხანის ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში. ეკლესიის მამების განცხადებებიდან ჩანს, რომ არსებული შეხედულების მიხედვით, კუდიანობასა და ჯადოქრობას ვნება მოჰქონდა, პირველ ყოვლისა, საქონლისა და ყანებისათვის; შეეძლო სეტყვის გამოწვევა და სხვ[9]. გურულებში არსებული წარმოდგენითაც, კუდიანების ღამეს, რომელიც 1 ენკენისთვეს (სექტემბერი) იყო ძვ. სტ. (აღსანიშნავია, რომ კუდიანების დღეობა და მცხეთობა ძვ. სტ. 1 სექ-

---

[5] იქვე, 187, აგრეთვე 189.

[6] Дж. Томсон. Исследования по истории девнегреческого общества, М., 1958, с. 338—339.

[7] М. М. Шейнман, Вера в дьявола в истории религии, М. 1977, стр. 36, 49, 50.

[8] ჩოხატაურის რ-ნი, 1978 წ. სოფ. ძირი განახლება, ნათელა ირაკლის ასულ ჟღენტი—დოლიძე, გამოთხოვილი სოფ. სამებიდან 50. წლისა; იხ. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956 წ. გვ. 19.

[9] М. М. Шейнман, დასახ. ნაშრ., გვ. 49, 50, 52.

ტემბერს, ე. წ. დადეგობას მოდის...), კუდიანები „ჭაჭვეთში“ მოიყრიდნენ თავს, წარსდგებოდნენ როკაპის წინაშე და მოახსენებდნენ, თუ ვის რა გაუფუჭეს. „ჭაჭვეთში“ წასვლის წინ კუდიანები ყველაფერს გააფუჭებდნენ, რასაც თაფლის სანთელი არ ეკნებოდა მიწებებული. ამიტომ ყველაფერს სანთლით შებეჭავდნენ. ბავშვები ყანებს შემოუვლიდნენ, სანთელს მიაწებებდნენ და იძახდნენ: „შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე, ჰაუ, კუდიანებო“[10]. „შებეჭავდნენ ყანებს, სახლს, ნალიას... ყურის ძირში შეიბეჭავდნენ თავს“[11].

ასეთი წარმოდგენა ციდან ჩამოტანილი არ იყო. ეს იყო ღვთისშეტყველთა კომენტირებებით წარმოდგენილი წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების რემინისცენცია. გამოძახილი ქრისტიანულ სარწმუნოებაში.

უნებურად გვაგონდება სვანების წარმოდგენა მიცვალებულთა სულებზე, რომლებსაც შეუძლიათ სვანის ოჯახს მიწის მოსავალი გაუდიდონ, საქონელი გაუმრავლონ და ა. შ. ან, პირიქით, მოუსაკლიანობა დაუმკვიდრონ, საქონელი ამოუწყვიტონ და ა. შ.... სიკვდილიანობით დასცენ და გაანადგურონ. მიცვალებულის კულტში მოცემული ეს ფალიური ელემენტი, როგორც ვ. ბარდაველიძე წერს, დაკავშირებულია ნაყოფიერების იდეასთან, რომელიც მოიცავს ბუნების ძალების კვდომა-აღდგომის, მცენარეული და ცხოველური სამყაროს ნაყოფიერების იდეას[12].

„როკაპის ადგილსამყოფელად მიჩნეულია მიუვალი კლდეები, ზღვისპირას მდებარე ქვეყანა, რომელსაც გურულები ჭაჭვეთს უწოდებენ. არაევინ იცის, სად მდებარეობს ის[13] (შდრ. მესეფენიც ზღვის მხრიდან მოდიან).

ჩოხატაურის რ-ის სოფ. ზემო სურებში (უბანი ანუ გორი ციციშოური) 108 წლის აკვილინა ილარიონის ასული თევზაძე-ჯულაყიძისაგან (გამოთხოვილი შუა სურებიდან) ჩავიწერეთ სრულიად განსხვავებული გადმოცემა როკაპის ადგილსამყოფელის შესახებ.

---

[10] ჩოხატაურის მუზეუმში დაცული სოფ. ქვენობნის ისტორია (ხელნაწერი).

[11] ჩოხატაურის რ-ნი,სოფ. ხიდისთავი, სონია ესეს ასული ვაჩეიშვილი—ალადაძე, გამოთხოვილი სოფ. ბეოლეთიდან, 80 წლისა.

[12] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 60.

[13] Т. М а м а л а д з е. Народные обычаи и поверья гурийцев, СМОМПК, 17, отд. II, Т., 1893, с. 63.

„ერთი ოჯახი იყო. ღამე ვიღაც შეეჩვია. სხვენზე ქვებს უწყობ-და და ესროდა. მერე მიხთენ, რომ მათი გოგო იყო. ეს გოგო ეიყვა-ნეს, დაანთეს ნაგულეს ცეცხლი, კვიმი (კვამლი) დააყენეს და ზედ ფეხებით დაჰკიდეს ეს გოგო — კვიმი თვალებში შეუვიდოდა. ეკით-ხებიან, რაი გასწავლა და სა, ვინ გასწავლაო. გოგო გამოტყდა: ერთი დედაბერი იყო, კუდიანი, იმან მასწავლაო. აი ამბავი რო მოხდა, შეი-კრიბა ხალხი. სამი თოფიანი კაცი წავიდა ამ დედაბერთან, მაგრამ არ წამოყვა. მერე ექვსი კაცი წავიდა და წამოიყვანეს. აი გოგომ თქვა: რო დაღამდებოდა და ფეხის ბანას რო შეუდგებოდნენ, რაცხა ამი-ყვანდა ზეითო — სხვენზე. კუდიანი დედაბერი (თავისი) კერიის ქვეშ მოუსობდა ხელს და საცხა ერთად მიდიოდნენ. იანეულში (სოველი) რო შევედით ფრენა-ფრენითო, გავაღეთ საქათმის კარი და წამე-ვიყვანეთო (ქათამი?). სულ პირველად ამ კუდიანმა წისქვილში ნა-ხა აი გოგო და მოუფუჩქა თავი, კატას რომ ბალანი აქვს, იმფერი ბა-ლანი მოუქცია თავზე. მერე ხალხმა უთხრა ამ კუდიანს, რავარც ქონდა ბალანი, ისევე გოუხადეო. სახლში ვიზამო. არაო, აქვე გოუკე-თეო. მერე გოუსწორა ბალანი. კუდიანს, როცა ვინმეს მოკუდიანე-ბა უნდა, თმას მოუფუჩქავს.

კუდიანებს ზარე ქონდნენ. იმ ზარს რომ დაკრავდა, ყველა შეი-ყრიდა თავს. როკაპი იყო იმ კუდიანების უფროსი. როკაპი საცა დოუ-სახელებდა, იქინა შეიყრიდნენ თავს. როკაპი იმფერი გლახა შესახე-დავი იყო! იტყვიან, როკაპის ძვალივით რავა არ იხარშებაო. ვიტყ-ვით ახლა, მაგ., ხორცი თუ არ იხარშება და აგვიანდება მოხარშვა, ვიტყვით მაშინ, როკაპის ძვალივით რავა არ იხარშებაო. აქვენ თურმე ქვაი ერთი, გამოქვაბული, და შით ინახება როკაპი. ცეცხლი არ უნ-თია, ისეა, საპაიჭიოს სერზე არის ის ქ ვ ა ი, კ ლ ი ტ ე ადენა ზედ, კაი დიდი კლიტე და ამბობენ, როკაპია შით მომწყვდეულიო. იმ ქვას უძახიან ხვარმადის ქვას. ამ როკაპმა კივილი იცოდაო, გამეის-ჩოდა ხმაიო, მაგრამ ეხლა დიდი ხანია არ ისმის. კლიტე ახატია ზედ, მართლა კი არ უბია. დიდი, უშველებელი ქვაი არის, გზაზეა“ (აკვი-ლინა ჯანსაღი შესახედაობისაა, კარგად აზროვნებს და მეტყველებს. „ბაბუე იყო ჩემი 120 წლის, დაამთავრა და მოკვდა მაშინ“, — თქვა მან).

საინტერესო პარალელია: როკაპს გამოქვაბულში ცეცხლი არ უნთია და მაცილ-ეშმაკებთან მებრძოლ ღვთაება პირქუშსაც ხევსუ-რები უცეცხლო ანგელოზად იხსენიებენ[14]. ჭინკეულს ცეცხლისა ეში-

[14] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, ტფ., 1935, გვ. 239.

ნია[15], უფრო ზუსტად — დაწვისა. ღამით სახლში შესაღწევი გზაც მისთვის ჩამქრალი ბუხარია. ამიტომაც დაღავდნენ ეშმაკეულს. აღსანიშნავია, რომ გურიაში კუდიანების გამოცდა იმავე წესით ხდებოდა, როგორიც აღნიშნულია პოლონეთში 1775 წლამდე, და რომელიც ტარდებოდა 1543 წლის წესდების მიხედვით[16]. სოფ. ბუკისციხელი ილია დავითის ძე სიხარულიძე, 84 წლისა, გვიყვება:

„ბაბუაჩემის გადმოცემით, მის დროს ხალხში გავრცელებული იყო ხმა, რომ სოფელში არიან ავი სულები, კუდიანები და, რომ საჭიროა მათი გამოცნობა და დაშანთვა, რათა ყველამ იცოდეს, რომელია. ამისათვის შემჩნეულ ხალხს მოუყრიდნენ თავს სუფსის ნაპირზე. ხიდთან ცეცხლი იყო დანთებული. იქ გურის ტბაა. ტბას იმიტომ ეძახიან, რომ მდორედ მიდის წყალი და შემომრგვალებულია. აქ იყო მთავარი ხალხისაგან შექმნილი კომისია. თითო-თითოს გეიყვანდნენ ხიდზე, გააძრობდნენ და გადააგდებდნენ წყალში. თუ დაძირავდა, მაშინ არ იყო მავნე და თავისუფლდებოდა. თუ არ დაძირავდა, მაშინ ის იყო კუდიანი[17] და დაშანთავდნენ.

ზოგიერთ ადამიანში არის ენერგია და მოქმედებს შენზე. მაგ., შეეხარბე შენ. ერთი კუდიანი იყო, ბავშვს ჭიპზე ხელი დაადო და გაშავდა ის ადგილი. კუდიანი ქალიც შეიძლებოდა ყოფილიყო და კაციც. კუდიანების უფროსია როკაპი. მიუვალ მთებში და ტყეებშია“.

ჩოხატაურის მუზეუმში დაცულ სოფ. ქვენობნის ისტორიაში შესულია ამბავი ერთი საწყალი მოხუცი დედაკაცისა, რომელსაც კუდიანობა შესწამეს და გახურებული ვირის ნალით დადაღეს უკანა ნაწილზე და შუბლზე. მასზე ამბობდნენ. „ღამით მგელზე შეჯდება და ჭაჭვეთში მიდის როკაპთანო. თავის შვილიშვილს... ღამით ენას ამოართმევს, დაამუნჯებს და შემდეგ ისევ ჩაუდგავსო“ (გვ. 35).

მგელი[18] და ტურა კუდიანებისათვის განკუთვნილი ცხოველებია. დას. საქართველოში კუდიანობას ტურაობას ეძახიან, კუდიან ქალს კი ტურა-ქალს. „მამის სოფელში კუდიანობას ტურაობას ეძახდნენ, შამევიდოდა ეს კუდიანი, ამეიყვანდა ბავშვს აკვნიდან

---

[15] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 337.

[16] М. М. Шейнман, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

[17] მსგავსადვე. ცდიდნენ სამეგრელოში, იხ. თ. ს ა ხ ო კ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 21.

[18] იქვე, გვ. 18, 19.

და ძირს აგორებდა. მერე მამამ დაღადრა, პირი დაუღადრა, როცა ბუხრიდან ჩამოდიოდა"[19].

მგელი არის სვანური[20] და, როგორც ჩანს, აგრეთვე გურული ლამპრობის მნიშვნელოვანი პერსონაჟი. გურიაში არის ასეთი თქმა: „ლამპრობა, ლამპრობა, მამალი მგელის შუა გაპობა"[21].

გურულთა გადმოცემით, ლამპრობა ანუ ე. წ. ჟირჟღილობა (1—2 თებერვალი) მიცვალებულებისათვის ეწყობა: „ორ თებერვალს ლამპრობა იყო, მირქმა (1 თებერვალი)—მიგებებას (2 თებერვალი) სულ გაანათებდნენ ყველაფერს. მიცვალებულები ვისაც ყავს, მადლიაო. ნენა მეტყოდა: აანთე, აანთე, მადლიაო ნენაო, განათდებაო. ძველიზა და ახალი მიცვალებულებიზა კეთდებოდა, უფრო ძველებიზა. ლოცულობდნენ, ჩვენი მიცვალებულები აკურთხოს ღმერთმაო. ამ დღეს მიცვალებულები მოდიან და რომ ნახავენ განათებულს, გაუხარდებათო. მოვლიან, მიათვალ-მოათვალიერებენ ყველაფერს. კარგად იყო დახვეტილი, დალაგებული. ჩემი დედა დეიკავებდა სახლის წინ, სუფთა ადგილზე ლამპარს..."[22]

„ჟირჟღილობა მიცვალებულის საკურთხია. ვისაც არ გაუკეთებენ, ის მიცვალებული იტყვის, ბნელში ვარო"[23]. „მისაა ბაიო, კვდრის· დღეიაო"[24]. „ჟირჟღილი ახლაც იციან. ნაძვის ანთებული კვარები ეკავათ ხელში კუდიანების წინააღმდეგ..."[25].

სვანურ ლამპრობაში ლამპრისა და მიცვალებულის სულის სიმბოლური კავშირის მაუწყებელია ის ფაქტი, რომ დღეობა ლიმპა-

---

[19] სოფ. შუა განახლება, იულინა მიხეილის ასული მეიშვილი—მოთოშია, გამოთხოვილი სამტრედიის რ-ნის სოფ. ხუნჯულოურიდან, 77 წლისა; სამეგრელოსა (1965 და 74 წწ.) და იმერეთის (1971, 72, 73 წწ.) ეთნოგრაფიული მასალები. ღვთაება ტურას სახით იხ. Реальный словарь классических древностей... Anūbis, Avoubis.

[20] В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 47. 48.

[21] ისტორიის მეცნ. კანდ. გ. კვირკველია.

[22] ჩოხატაურის რ-ის სოფ. ზომლეთი, კესარია სიკოს ასული გელაძე—კვაჭანტირაძე, გამოთხოვილი სოფ. დაბლა აკეთიდან, 80 წლისა. ლამპრობის შესახებ იხ. ა. წ ე ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 120; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960, გვ. 57.

[23] ჩოხატაურის რ-ნი სოფ. ძირი განახლება, ნინა კაპიტონის ასული თევზაძე—დოლიძე, გამოთხოვილი სოფ. ვანიდან, 75 წლისა.

[24] ჩოხატაურის რ-ნი, სოფ. ხიდისთავი, სონია ესეს ასული ვაჩეიშვილი—კალანდაძე, გამოთხოვილი ს. ბეოლოეთიდან, 80 წლისა.

[25] სოფ. ბუკისციხის მასალები.

რიელისათვის (ხორციელის კვირა) ლამპრების დამზადება აუცილებლად მიცვალებულთა დღეობა ლიფანალის პირველ დღეს უნდა მომხდარიყო.[26] ლამპარი სიმბოლოა სულისა. რომაელები სატურნს ადამიანის მაგიერ მსხვერპლად ჩირაღღნებს სწირავდნენ. იყო ლამპრების ღმერთი დიონისეც.[27]. გურული და სვანური ლამპრობა აერთიანებს წარმოდგენებს მიცვალებულის სულზე, ცეცხლზე და მგელზე. მგელთან ერთად ამ წრეში ექცევა წარმოდგენა კუდიანებზე[28]. ყველა ამ წარმოდგენას კი გარკვეული წესითა და რიგით წარმართავს ყოვლისმომცველი იდეა ნაყოფიერებისა, ბუნების აღმძვრელი ძალისა, რომელიც ასე თვალნათლივ ვლინდება გაზაფხულზე. ლამპრობა, როგორც გაზაფხულის დღესასწაული (გურიაში „ძველი კაცები გაზაფხულის მაგიერ გალამპრობას ხმარობდნენო“[29]), შეიძლება შევადაროთ ლუპერკალიებს, მწყემსებისა და ფარათა დამცველი ღვთაებების დღესასწაულს, რომელიც 15 თებერვალს იმართებოდა ძველ რომში და აღინიშნებოდა გამანაყოფიერებელი ცემით[30]. როგორც გურული და სვანური ლამპრობა, ისე ეს დღესასწაულიც მგელთან არის დაკავშირებული: „ლუპერკუს“—ლათ. lupus მგელი და arceo—ვაკავებ, არ ვუშვებ[31] (შდრ. სვანური თხერობ, ლითხარ ანდა თხერემი ლამპრობ[32]). აღსანიშნავია მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც: სვანური მიცვალებულთა დღეობის სახელწოდების ლიფანალის ტერმინოლოგიური მსგავსება ლათინურ lūpánár-თან—საროსკიპო სახლი (სიტყვიდან lūpa—1) ძუ მგელი; 2) მეძავი)[33]. მსგავსებაა აგრეთვე ძველბერძნულ λἐπαινω—ცხიმის წასმა, განაყოფიერება; λἰπᾰρἐω გადატანა, მოთმინებით ატანა; λύπη დორ. λύφα(ῡ)-η-სევდა, ნაღველი, მწუხარება[34]. რაც შეეხება რომაელების ლემურიებს (Lemūres, იგივე Larvae), რომელსაც ვ. ბარდაველიძე უდარებს

---

[26] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. სვანურ დღეობათა კალენდარი I ა... მსე, VI, 1953, გვ. 248.

[27] იხ. აგრეთვე ანთებული სანთლებით „სულების დაწვის“ წესი, რომელსაც სოფლის ახალგაზრდობა ასრულებდა; იქვე, გვ. 288, 289. В. И в а н о в, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

[28] შდრ. ცეცხლის დღეობები. მწვანე მგლის ძმობა., Дж, Ф р е з е р. Золотая ветвь, в. IV, г., с. 157.

[29] ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, თბ., 1967, გვ. 300.

[30] Реальный словарь... Faunus.

[31] იქვე, აგრეთვე Б. С. Э. II изд., т. 25. Луперкалии.

[32] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო.... გვ. 47,48.

[33] ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 წ.; Латинско-русский словарь, сост. А. М. Малинин, М., 1961 г.

[34] Древнегреческо-русский словарь, т. I, М., 1958 г., შდრ. ჭვარტლიანი ქონით გამერვა ლიფანალში.

ლიფანალს[35], ლემურიები იყო მხოლოდ ნაწილი მიცვალებულთა ისეთი დიდი კულტისა, როგორიც იყო ლარების—Lares—კულტი[36].

ორგიული ელემენტი უცხო არ იყო მიცვალებულის კულტისათვის საქართველოში[37]. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სახელწოდება როკაპი. ეს სიტყვა შესაძლოა მიღებული იყოს სპარსული „როსპიკი (როსკიპ—„ურიდოთ მეძავი", საბა)[38]—საგან (აქცენტის აღებით საღეთო პროსტიტუციაზე). „ნათვალევის" შელოცვის ერთ-ერთ ვარიანტში სიტყვა „როსკიპი" იხმარება „როკაპის" მნიშვნელობით: „...შამეევიდა ერთი ევა როსკიპი ქალი, შვიდ თვარეს შექმნილი, შაფათ დღეს დაბადებული, გამითვალყვა ქსელი ჩემი... რაც სულიერმა ავი თვალით და ყურით შეხედა,..."[39] ეს „ავი თვალით" შემხედვარი ქალი როკაპია, რადგან ხალხი ავ ქალს როკაპს ეძახის (იხ. წინ). შელოცვის სხვა ვარიანტში მას სცელის „ქარი ქარავანი" ან „ერთი ქალი"[40]. აღსანიშნავია, რომ მესხეთში ალის ქალს ალის ქარსაც უწოდებენ. ეფთვმე მთაწმინდელის „სახელის დებან"-ში როკაპი არ იხსენიება ისეთ წარმართულ ღვთაებებს შორის, როგორიც არიან დიოსი, აპოლონი, არტემის (არტემიდა ეფესური წყვილი), ბოჩი, გაცი, ბადაგონი, არმაზი, დიონისე[41]. მიწის ქალღმერთის ერთ-ერთი ასპექტი ნადირობის ღვთაებაა (ქალი, არტემიდა), ხოლო ამავე ქალღმერთის ყველაზე ბნელ ასპექტს განასახიერებს როკაპის ბუნების ღვთაება.

საინტერესოა, რომ დამარცვლით წინა-უკმო წაკითხვით იკითხება ზოგიერთი ორი სხვადასხვა ღვთაების სახელიც: Ἄρτεμις, (от ἀρτεμής) და Δημήτηρ, Diana და Anailis, Ἀναῖτις (Анасхид).[42] შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს საკრალური ხასიათის კრიპტოგრამასთან, ღვთაების სახელის დაფარვასთან[43], ა სახელის შეცვლა-შებრუ-

---

35 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ... ლიფანალი... მსე, VI, 1953, გვ. 243, 244.

36 Реальный словарь... по Любкеру... Lares, Larvae.

37 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური).. 1953 წ. გვ. 61, 62, 92, 93.

38 მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 366.

39 ა. წ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

40 ჩოხატაურის მუზეუმში დაცული ფოლკლორული მასალები, სოფ. ნაბეღლავი, სოფ. სამება (გვ. 19).

41 VI მსოფლიო კრების კანონების ქართული თარგმანი. გამ. ა. ხახანაშვილისა, გვ. 113. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 86, 87.

42 Реальный словарь... по Любкеру...

43 Дж. Ф р е з е р. Золотая ветвь, в. II,.. с. 105.

ნებასთან ერთი ასპექტიდან მეორე ასპექტში გადანაცვლების გამო[44], ანდა ანაბეჭდთან.

როკაპის ქვის (გამოქვაბულის) სახელწოდებას „ხვარმადის ქვა" საბასთან ეიებნება სიტყვა „ხუარაზმი... ბანოვანი გაშგებელი..."[45] ხუარაზმი — ხუარმაზი — ხუარმადი — ხვარმადი.

საერთოდ ქვები, მათ შორის ასეთი ქვაბულები მიჩნეულია ჭინკეულის, ეშმაკეულის[46] სამყოფელად. სოფ. ფარცხმის ტერიტორიაზე არის დიდი ქვა, წოდებული „ჭინკეს ქვა"-დ. ამ ქვას აქვს პატარა დარბაზი, საიდანაც თითქოს გამოდიოდნენ ჭინკები. „სოფ. „გოგოლესუბანში არის „ჭინკეს ქვა" — ვკითხულობთ ჩოხატაურის მუზეუმში დაცულ ტოპონიმიკურ მასალებში. ესაა დიდვაკის დასავლეთ კალთაზე (ფლატეზე) მკვეთრად აშოწეული, უზარმაზარი ქვა, რომლის ცენტრალური ნაწილი ნაპრალის გაჩენის შედეგად ამოვარდნილა და ამ გზით გაჩენილა ოთახის ოდენა ქვაბული, რომლის იატაკი ფართე და ჰორიზონტალურია, ხოლო ჭერი წინ წამოწეული და დამრეცი, წვიმის დროს კარგი საყუდარია. ალბათ ამიტომ შეარქვეს მას ჭინკეს ქვა"[47]. ჭინკების სამყოფელია აგრეთვე ღელეები და უფსკრული ადგილები მაგ. სოფ. ნაბეღლავის გზაზე, საქათმიაღ წოდებულ ადგილზე. იქ დალაშებისა ეშინოდათ, რადგან იქ ჭინკები ქვებს ისვრიანო. საფ. ძირი განახლებაში არის „ჭინკეს ღელე", რომელშიც, გადმოცემით, ჭინკები ბანაობენ და თამაშობენ, წყალს უტყაპუნებენო.

ჭინკებზე აქ გავრცელებულია ისეთივე წარმოდგენები, როგორიც იმერეთსა და სამეგრელოში. ამბობენ, ჭინკა მრავალნაირია და ყველანაირად შეიძლება მოგალანდოს თავიო (სოფ. ნაბეღლავში ერთ-ერთი მთხრობლის მამას ის ცეცხლივით თვალებიანი, ექვსი თვის თეთრი კვიცის სახით მოლანდებია გვიმრიანში). ის შეიძლება იყოს რაღაც ბობოლი — მწერი, ან რაღაც პატარა ცხოველი, მაგ., ერთგვარი თაგვი, რომელიც საბალახოდ გაშვებულ ცხენს ისე უწნის და უბსკვნის ძუა-ფაფარს, რომ ადამიანი ვერ გამოხსნის. წარმოიდგინება მაიმუნის მაგვარად და მის ოდენად. ზოგან ალქაჯს ეძახიან. ადამიანმა რომ „მეიკაკიოს" ზურგზე ჭინკა, ვერ ზიდავსო. ან რომ „მოგიკაკიოს" მხარზე, გაგაფრენსო სადღაც[48].

---

[44] В. Иванов, დასახ. ნაშრ., с. 179. 180.

[45] სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ.

[46] მ. ნადარაია, წვიმის პატარა ღვთაებები—ჭინკები და მცსეფნი, კრ. სამეგრელო (მასალები სამეგრელოს ეთნოგ. შესწავლისათვის), 1979. გვ. 132—147.

[47] რვ. მ. № 20, 24, გვ. 4, 16. მთხრობელი სარდიონ სიხარულიძე.

[48] ს. შუა განახლება, სარდიონ ეპიფანეს ძე ჯიბლაძე. 85 წ. (მასწავლებელი); ოლინა მიხეილის ასული მეიშვილი—მოთოშია, 77 წლისა; ს. ძირი განახლება,

„ჭინკები მე მინახავს — ყვება სოფ. სურებელი 108 წლის აკვილინა (იხ. წინ). ჩემი ბუდუები (ძოძნათვლელები) მყავდნენ ორნი, ცოლ-ქმარი. იმ კაცმა თქვა, კორკიმელი მქონდა ძირადო და აღარ ება იმაზეო. იქვე რაღაც სხვაფერი ფეხის კვალი იყოვო. მოალ მე აქა და ხაქონელს მოვდენი. ასე, ღრუბლიანი დღეია და წვიმიანი. რომ მევედი იმ ადგილას, კორკიმელთან, წყალია იქა და რაცხა მომებოდიალა ზურგში. შემეშინა ნემეტარი და მოვდივარ და მოვკივი. ნუ გეშინია აკვილინე, მეც შენი აფხანიკი ვარ და მუალ შენთანო (ჭინკა ეუბნება). მოსახლის ეზოში რომ მევედი და ძაღლმა დეიყეფა, მოძშორდა. ჭინკა დაბალი ქალი იყო, დაბალნული. თმაი მისხელე. შავი, შავი თმით შებალნული. შემილოცენ მერე და სამი დღის მერე ამევიდგი ენა. ჭინკობა მარტში და აპრილში შუამდე იყო. მერე ჩაცვივოდა წყალში და წეიღებდა წყალი. წყალიდგან ამოდის. ჭინკობის დღეებს ვუძახდით, დღეს არ დევიღამებდით, დაღამებამდე მევიდოდით. ჭინკას ფეხის ქუსლები წინ აქვს და თითები უკან აქვს მოქცეული. ჭინკობის თვეში რომ დეიბადებოდა ბავშვი, იმას მეტად ელტვისო და ამიტომ უფრო გიორგის დაარქმევდნენ — ეშმაკის ფეხზეა ბავშვი გაჩენილი და უშველისო წმ. გიორგი“.

სოფ. ჯვარცხმაში არის ადგილი ოსკოჯური. წინათ აქ თითქოს ჭინკები ცხოვრობდნენ. აქ ამოდიოდა ბალახი „ოქროსყურა“, რომელსაც ვითომ ისინი ჭამდნენ. ამიტომ, შემდგომში, გადმოცემით, ბალახსაც და ადგილსაც ოსკოჯური უწოდესო[49].

საინტეროსოა ერთი უცნაური დამთხვევა: ჩოხატაურის მუზეუმში ინახება დიდი, თვალური ქვა, ხელის გასაყრელი ნახვრეტით. გადმოცემით, საფ. ჯაპანაში მცხოვრებ ვინმე ჯიჯავო ჯიჯავაძეს ამ ქვისათვის გაუყრია მკლავი და რამდენიმეჯერ შემოუტარეშია თავისი ქოხისათვის[50]. იმავე დროს სამეგრელოში ასახელებენ ვინმე ჯიჯავას, რომელსაც თითქოს მესეფის დატოვებული თეთრი ძაღლი ყოლია[51].

ბონდი ივანეს ძე დოლიძე, 63 წლის; ს. ბუკისციხე, ნინა გიგლოს ასული მამალაძე-სიხარულიძე, 70 წლისა; ს. ნაბეღლავი, ნადია ივანეს ასული გიორგაძე—ქორიძე, 66 წლის; ს. შუა ფარცხა, ნაუმი ეფრემის-ძე ბარამიძე, 75 წლის და სხვ. იხ. აგრეთვე, ნ. დ უ მ ბ ა ძ ე, ჭინკები, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1978, 20 ოქტ., № 43, გვ. 3.

[49] ტოპონიმიკის მასალები, რვ. 2, გვ. 11.

[50] ს. შუა განახლების ეთნოგრაფიული დღიურები.

[51] მ. ა. ნ ა დ ა რ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

სამეგრელოში გრძნეულების დღეებად მიჩნეულია კვირის სამი დღე: სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი. ეს იყო ლოცვა-შელოცვის დღეები, რომლებსაც უწოდებენ „გეკულა“-ს (გეკულა ღამე — წმინდა ღამეა, უბრალო ღამე არაა. ორშაბათს 12 საათს რომ გადავა, სამშაბათის 12 საათამდე გეკულაა). სხვა დღეს შელოცვას ძალა არ ექნებოდა[52]. გურიაში ახალ მთვარეზე ხუთშაბათი და შაბათი უკუნ დღედ ითვლებოდა, დანარჩენი — წარმოდ. ძველ მთვარეზე პირიქით—ხუთშაბათი და შაბათი — წარმო, დანარჩენი — უკუნი (კვირისა და პარასკევის გამოკლებით). ძველი მთვარის უკუნი (ორშაბათი, სამშაბათი...) მიაჩნდათ გამძლეობისა და ხანგრძლივობის ნიშნად[53].

რას ნიშნავს ან სადაურია წარმოშობის სიტყვაა „გეკულა“ (იტყვიან: „გეკულა-რე“)? მეგრულში ამ სიტყვის მნიშვნელობა გაურკვეველია. ლათინურში მას ფონეტიკურად შეესატყვისება seculo—საუკუნე (ასწლეული), seculare—ძველთაგან არსებული[54]. ლათინური seculo-ს მნიშვნელობას შეესაბამება ძველბერძნული სიტყვის ეკატონის ἑκᾰτόν, oi, ai, τα indecl-ასი, ასეული-ს მნიშვნელობა[55], ბერძნული თვე ჰეკატომბაიონი, რომელიც უდრის იელისა—გვისტოს, აღნიშნავს იმას, რაც „ასი ხარი“ ღირს[56]. ჰეკატომბა კი ნიშნავს მსხვერპლშეწირვას „ასი ხარისაგან“.[57] „ეკატონ“-ის და „ჰეკატე“-ს (Ἑκάτη, დორ. Ἑκάτα)[58]საერთო ფუძეა „κᾰτ“. ძველბერძნული κατά (τά) აღნიშნავს მოძრაობას ზემოდან ქვემოთ. წინდებული κατα აღნიშნავს მოძრაობას ქვემოთ, უკუ, დასრულებას...[59] (შდრ. რუსული катиться, спускаться. ho kato Zeus—მიწისქვეშა ზევსი[60].

---

[52] წალენჯიხის (1965 წ.) და გეგეკკორის (1974 წ.) რ-ების ეთნოგრაფიული მასალები.

[53] ა. წ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 122, 155, 156.

[54] ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961; Русско-Итальянский словарь, М., 1953 (მადლობას მოვახსენებ ისტ. მეცნ. დოქტ. ბ-ნ აკ. სოხაძეს ამ სიტყვის მითითებისათვის).

[55] Древнегреческо-русский словарь, т. I, М., 1958 г.

[56] პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პარალელური ბიოგრაფიები, I, თბ., 1957., გვ. 309, შენ. 13 და გვ. 296, შენ. 92.

[57] Древнегреческо-русский словарь, т. I.

[58] იქვე.

[59] იქვე.

[60] В. И в а н о в, დასახ. ნაშრ., გვ. 179, 180.

საბასთან მითითებულია „ხეკატა“[61]. საინტერესოა აგრეთვე ბალახეულის დასახლებანი: კატაბალახა ანუ კატაპარია, კატაბარდა და ა. შ.[62].

ამრიგად, მეგრული „გეკულა“-ს იგივე ლათინური seculo-ს მნიშვნელობას სავსებით შეესაბამება გურულთა „უკუნი დღის“ მნიშვნელობა. სიტყვა „უკუნი“ აღნიშნავს ასსაც-სა-უკუ-ნეანუ ასწლეული, მარადიულსაც—უკუნითი-უკუნისამდე და ძლიერ ბნელსაც—უკუნეთი. წინდებული უკუ კი საწინააღმდეგო, უკუ მოძრაობას. სრული ანუ ძველი მთვარის უკუნი იანგარიშებოდა 15-ის მთვარიდან. ეს ის მთვარეა, რომელიც ითვლებოდა სამსახოვანი კოლხური ქალღვერთის ჰეკატეს მთვარედ[63], ჯადოსნური ბალახეულის მცოდნე ღვთაების[64]. (ამ ღვთაების სახელთან დაკავშირებით საინტერესოა როგორც სიტყვა „კატ“-თი დაწყებული ·ბალახეულის დასახელებები, ასევე კატაზე არსებული რწმენა-წარმოდგენები[65], ხოლო სახელწოდება „კარატი“-სათვის (ხევსურთა ხატი)[66] საინტერესოა სახელი კრატეია. კრატეიოს κρᾶτέω, რომლითაც ჰომეროსი. მოიხსენიებს ჰეკატეს[67]).

დემონურ ღვთაებათა რიცხვს განეკუთვნებიან „ბატონები“ (ყვავილი, წითელა...)[68]). ბატონები უძველესი ავადმყოფობებია[69]. ისტორიული ხანგრძლივობა განაპირობებდა ამ ღვთაებების ერთიანი და დასრულებული სახის ფორმირებასა და მათი ამოსავალი ნიშნების სიძველეს. ყვავილებს, მათ შორის განსაკუთრებით იასა და ვარდს, დიდი ადგილი ეკავათ ბატონების კულტში. მათი ემბლე-

---

[61] სელხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV[1], 1956. სიტყვა „კატა“.

[62] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955 წ.

[63] Дж. Томсон. Исследования по истории древнегреческого общества, М., 1958, с. 227.

[64] აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1954, გვ. 66, 67, 98, 398.

[65] თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 18; გ. თედორაძე (ექიმი), ხუთი წელიწშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, გვ. 201; ა. ოჩიაური, თქმულებები ხევსურეთ ღვთაებათა და ღვთისშვილთა შესახებ, 1938, ისტორიის ინსტ. ეთნ. განყ-ის არქივი, ხელნაწ. M[1], 15, გვ. 105, 107, 160.

[66] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 96—98.

[67] აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., ტექსტები, გვ. 249.

[68] თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[69] В. В. Бардавелидзе. Древнейшие.. გვ. 81, 85. ბატონები, მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები დეტალურად აქვს შესწავლილი, აღწერილი და გამოკვლეული მთელი საქართველოს მასშტაბით ვ. ბარდაველიძეს. მის მიერვეა გამოვლენილი ბატონების დიდი დედის ნანას სა-

მა ყვავილია, რაზედაც მიუთითებს როგორც დიდი ბატონების სახელწოდება „ყვავილბატონები“, ასევე მათი გამონაყარის წოდება „ყვავილებად“. „ბატონებმა გაზაფხულზე იციან ძოსვლა. ბატონები იარებიანო, ღამით მოვაო. დედამ ღეინასა, რომ გაანაცა ეზოში და მეორე დღეს გამოუბრძანდა ბაღნებს. სიზმარში ყვავილს შოგიტანს და გაცნობებს იმით“[71]. „ბატონები არ ამობრძანდება და არ ჩაბრძანდება, თუ არ მოუბოდიშე და ყვავილების თაიგული არ მიართვი. ისე არ ამოიფოთლება“[72].

ყვავილები, მათ შორის ია და ვარდი, ქვესკნელის სამეფოს ინსიგნიებია[73]. იითა და ვარდით მოოხების ცერემონიალი მიუთითებს ბატონების მიწისქვეშეთურ ბუნებაზე. ამასვე უნდა მოწმობდნენ მათი სხვა თავისებურებანიც, როგორიცაა მათი დამოკიდებულება სიტყვისადმი „ძაღლი“, ერთვარი ტაბუ ამ სახელზე[74]; მათი ღამეული ხასიათი[75], მათთვის მისართმევი, თხის სისხლით სავსე ჯამი[76]...

ლენინგრადის რელიგიისა და ათეიზმის მუზეუმში (ყაზანის ტაძარი), შესასვლელიდან ხელმარჯვნივ გამოფენილია ძაღლისთავიანი წმ. ქრისტეფორეს ხატი, XVI საუკ., წარწერით, რომ ეს წმინდანი ითვლებოდა გადამდებ სნეულებათაგან მფარველად. წმინდანს შუბი უჭირავს ხელში. სახე, თმები და მანტია წითელი ფერისაა. იქვე, მიყოლებით, მეორე ხატია XIX საუკ., წარწერით: ცხენისთავიანი წმ. ქრისტეფორე[77].

პოეტები ჰეკატეს წარმოსახავდნენ სამი თავით: ცხენის, ძაღლის და ლომის და მას ძაღლებს სწირავდნენ[78] ჰეკატეს უძველეს წარმოსახვასთან საოცარ მსგავსებას პოულობს ხევსურთა ასტრალურ ღვთა-

---

ხე (იხ. იქვე, 78—93). ბატონები ჩვენ გვაინტერესებს როგორც დემონური ღვთაებები. ამასთან დაკავშირებით იხ. ა. ლეკიაშვილი სვანური ქალბაბარის ბუნებისათვის: ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სიაუბილეო კრებული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976, გვ. 458—462.

[70] В. В. Бардавелидзе, იქვე, გვ. 85.

[71] სოფ. ზემო სურებიის ეთნოგრაფიული.

[72] სოფ. ძირი განახლების ეთნოგრაფიული.

[73] ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 324; ა. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 233.

[74] თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 34.

[75] იქვე, გვ. 35.

[76] მივლინება ლენინგრადში 1968 წ.

[77] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 90

[78] Реальный словарь.. «Hecāte».

ებათა დამხმარე სულების შესახებ არსებული წარმოდგენა. აქაც[79] და იქაც—მითში[80] გველები და ძაღლები (მწევარნი) წარმოდგენილია ღვთაების თანმხლებ და დამხმარე სულებად. მიწისქვეშა ღამის ქალღმერთის Nyx ანუ Styx-ის ასულები ერინიებიც ბერძნებს წარმოდგენილი ყავდათ გველებდახვეულ მწევრებად ხელებში ჩირაღდნებით[81]. ე. ი. გველის და ძაღლის სახე, ჩირაღდანთან ერთად, როგორც მოუცილებელი ნიშანი, ყოველთვის თან ახლავს ღამის, მთვარისა და წიაღისეულ სიღრმეთა ღვთაებას. ამ სამ ნიშანთაგან ძაღლის სახე დამახასიათებელი ჩანს ბატონებისათვის.

ელევსინის დემეტრეს კულტში პერსეფონეს მოტაცების მითის უძველეს ელემენტს წარმოადგენს ყვავილების მისტიკური შეგროვება, რაც ეყრდნობა ბალახეულის მაგიას, რომელიც სამიწათმოქმედოზე ადრინდელია. მიცვალებულთა მბრძანებელი პერსეფონეს იტაცებს გაზაფხულის ყვავილების შეგროვების დროს, როდესაც ქალიშვილი ნარგიზს წაეტანება[82] (შდრ. ბატონების ალვის ხეს „ტოტები აქვს ნარგიზისო[83]). ე. ი. მიცვალებულთა ბრძანებელს პერსეფონე იმ სახის სიკვდილით მიჰყავს, როგორითაც მიჰყავდათ ყვავილბატონებს.. ამ სახის სიკვდილის სიმბოლური გამოსახულება ანუ ემბლემა კი ყვავილია. მეგრელის რწმენით „ბატონების "სული კაცს კი არ ჰკლავს, არამედ თავის სამეფოში მიჰყავს, როგორც ყმა და მონა"[84]. ეს სამეფო საიქიოა. თუ რანდენად საკრალური მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო ამ სახის სიკვდილი, ეს ჩანს მთხრობლის სიტყვებიდანაც: „ბატონებით გარდაცვლილზე არ იცოდნენ თქმა მოკვდაო. იტყოდნენ: ბატონებმა მიიღოვო. არც ყვავილბატონებზე და არც წითელბატონებზე არ იტყოდნენ მოკვდაო. ყვავილბატონებიანს ღამით ასაფლავებდნენ, არ იტირებდნენ. წითელბატონებით გარდაცვლილი იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ეტირათ, თუ ოჯახს მეორე ბატონებიანი ბავშვი არ ეწვა სახლში. თუ ბატონებიანი სხვაც ყავდათ, მაშინ ტირილი ეწყინებათო"[85].

---

[79] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29, 30.

[80] Аполлоний Родосский. Аргонавтика, пер. Гр. Церетели, Тб., 1964, п. III. 1210 и 1215, с. 199.

[81] В. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 22, 23, 51.

[82] Дж. Томсон, დასახ. ნაშრ., გვ. 231.

[83] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 27.

[84] თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 132. ეს საკითხი უნდა უკავშირდებოდეს მონების საკითხს რომაული ღარების კულტში. იხ. Е. М. Штаерман. Из истории фамильного культа в древнем Риме, М., 1964 г.

[85] ჩოხატაურის რ-ნი, სოფ. ნაბეღლავი, ნადია ივანეს ასული გორგაძე-ქორიძე, გამოთხოვილი სოფ. ერკეთიდან, 66 წლის.

ბატონებით გარდაცვლილს შიშვლად ასაფლავებდნენ[86]. სიშიშვლე დემონურ ღვთაებათა ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა[87]. ნოქალაქეველი ქრისტინე კოკაიას თქმით, ბატონებს ტიტველი უნდა ეცეკვაო, უკანა ტანი ტიტველი უნდა უჩვენო, გეეხარდებათ"-ო. "შიშველია ჭინკეული, წყლის ქალი, ალი და სხვ. შიშველია ბატონების დედაც. მისი სახლის დედაბოძი ბატონებმოხდილია თვალებით არის მოჭედილი[88]. ამ ნიშნის მიხედვით, მისი უშუალო პარალელია ამირანის მამის თვალის მომტაცებელი დევი[89], ანდა დევის დამაბრმავებელი ჯადოქარი დედაბერი[90], თვალს, როგორც მხედველობის ორგანოს, ადამიანი შეიგრძნობდა როგორც მთავარ ეპიცენტრს ადამიანში მოცემული ენერგიის გამოსხივებისას, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონებოდა კეთილი ან მავნე ზემოქმედება. „თვალის ჭრის" ასეთ გაგებას უკავშირდება გახვრეტილი ქვების გამოყენება. ეს ფეტიშები, როგორც აკ სოხაძე შენიშნავს, განსაკუთრებული არქაულობით ხასიათდება[91].

ამრიგად, ბატონების სხვა ნიშნებს შორის თვალს ცენტრალური ადგილი უკავია. ყვავილბატონები და თვალი სინონიმებია: თუ გურიაში ბატონების დღედ ყველიერის ორშაბათი ითვლებოდა („იგი დღეი ყვავილ-ბატონებს ეკუთვნისო"[92]), სამეგრელოში თეთრ ანუ ყველიერის ორშაბათს („თუთაშხა ბედნიერ") თვალზე ლოცვა — „თოლიშ ხვამა" — სრულდებოდა[93]. საფიქრებელია, რომ თვალზე არსებული ლოცვა-შელოცვები განეკუთვნებოდა ბატონების ღვთაებების უფლებების სფეროს, შედიოდა მათს კომპეტენციაში. ამიტომაც შედიოდა „ბატონების ხონჩაში" მრავალი პატარა ბურთულა კვერი[94], სწორედ ისეთები, როგორებიც კეთდებოდა „თოლიშ ხვამა"-სათვის: „მრგვალ კვერს გავაკეთებდით ყველიანს, ათს, და მოვ-

---

[86] თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 132. კავშირი ჩანს მოტირალთა ნაწილობრივ გაშიშვლების წესთან დატირების ზოგადირიტუალიდან; იქვე, გვ. 123; ტ. მამალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[87] Критика нудейской религии, М., 1962, с. 43.

[88] ვ. ბარდაველიძე, დასახ., ნაშრ., გვ. 79.

[89] მიხ. ჩიქოვანი, ამირანის თქმულება, თბ., 1961, გვ. 47, 48.

[90] მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები ტ. I, თბ., 1938, გვ. 101.

[91] ა. სოხაძე, რელიგიური გადმონაშთები... რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, კრ., ნ. I, თბ., 1968, გვ. 7.

[92] ა. წულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

[93] გეგეკორის რ-ნი, სალხინო, სოფ. ვახა, 1974, პართენ ივანეს ძე კეკუტია 74 წლის.

[94] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91, ტაბ., VIII, სურ. II.

ხარშავდით. სულზე ორ-ორს. მთავარი კაცი ილოცავდა"[95]. ერთ-ერთი მთხრობლის თქმით, ასეთი საბატონებო კვერები მიწისაგან კეთდებოდა: „ბატონების ხონჩას გზაჯვარედინზე[96], სამპოტიკა გზაზე დებდნენ... აქვე აიღებდნენ მიწას, გააკეთებდნენ პატარა ბურთივით კვერებს, რამდენიც უნდოდათ, იმდენს, მხოლოდ სამზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო... შვიდ სოფელს შეევეფინენით, კაციც არ დაგეიწვენია, ჩიტიც არ აგვიფრენია"[97]. საფიქრებელია, რომ თვალი, როგორც ღვთაების სიმბოლო, თავის საწყისში გველთან იყოს დაკავშირებული, რომელიც ნატვრის თვალის სახით ფლობს მხედველობის მისტიკურ პირველწყაროს. იგივე გველი—გველეშაპი ემტერება და ულაპავა მზეს- -მანათობელ ცის თვალს, როგორც კუთვნილ სიმბოლოს...

ბატონებს (გარდა ყვავილისა) ძირითადად ბავშვობის ასაკში იხდიდნენ, რასაც არსებითად უნდა განეპირობებინა ბატონების ღვთაების ხასიათი. მათი მობრძანება ემთხვეოდა ადრეულ გაზაფხულზე ბუნების პირველ გამოღვიძებას და აღინიშნებოდა მისი პირველი მახარობლის იის გამოჩენით. ყვავიბატონებით გამოწვეული „ნაყვავილარი" (არსებობდა აზრი, რომ თუ ადამიანს სადმე ჭრილობა ჰქონდა, ის ყვავილბატონებს ვერ გადაურჩებოდა)[98] ატარებდა რაღაც ზებუნებრივი ინიციაციის ხასიათს და შესაძლოა მასვე შეექმნა პირველი წარმოდგენა ტატუირებაზე. როგორც ისეთ მაგიურ საშუალებაზე. რომელიც დაიცავდა ბოროტი სულებისაგან[99].

ამ მხრივ საინტერესო ჩანს „ბატონების ხონჩაში" შემავალი „ბატონების სათამაშო ბურთი"[100]. ბურთი იყო პერსეფონეს მისტერიისა და განდობის ძველბერძნული ცერემონიალის მნიშვნელოვანი საგანი. სპარტული ბურთების ბრძოლა შედიოდა ბიჭების განდობის წესთა რიცხვში. ათენა პალადასადმი მიძღვნილი ე. წ. არეფორიის ცერემონია, რომელშიც შედიოდა ბურთით თამაში, დაკავშირებული იყო გველის კულტთან[101], ე. ი. ატარებდა ხთონიურ ხასიათს და ა. შ. ამ თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს ჭაბუკობის

---

95 იხ. სქ. 85.

96 „ავმა სულებმა" ჯორადინა გზებზე იციან სიარული." ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალ-ხური აგრიკულტურა ... თბ., 1976, გვ. 163, სქ. 14.

97 სოფ. ქვენობანი, ნინა ისიდორეს ასული ჯიშიაშვილი—ცხოიძე, ტყიბული-დან, 58 წლის.

98 ჩოხატაურის რ-ნი სოფ. შუა განახლება, სარდიონ ეპიფანეს ძე ჯიბლაძე

99 წლის მასწავლებელი.

99ა Б. С. Э. изд. П, т. 42. I Татуировка.

100 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 91, 93; ტაბ. VIII, ნახ. 11.

101 Дж. Т о м с о н, დასახ. ნაშრ., გვ. 231, 218.

ზურთის თამაშობანი, რომლებიც აღდგომის მიჯნებში იმართებოდა გურიაში[102] და ასაკის საზომიც იყო, როგორც მაგ. ჭაკუნობია[103].

ბატონები შვიდნია, „შვიდნი ძმანი, შვიდნი, დანი“[104]. ბატონებით დაავადებისას აღინიშნებოდა სამი სტადია: სანამ ბატონები მსუბუქი ფორმით ელინდებოდა, მას სხვადასხვა დამცველ საშუალებას—ფაქიზი მოვლა, იის წყალი, წითელი ფერი და სხვ.—და, საერთოდ, „მორიდებას“ აკმარდნენ. მაგრამ გართულების შემთხვევაში გადადიოდნენ „მობოდიშებაზე“, რომელიც გაცილებით უფრო მისტიკური ხასიათისა იყო და ნაკლები დოზით შეიცავდა რაციონალურს, ვიდრე პირველი ნაწილი, რადგან გართულებული ფორმის მკურნალობის ნაკლები ან თითქმის არავითარი საშუალება არ იყო ცნობილი. ეს ვითარება აღნიშნული აქვს ვ. ბარდაველიძესაც, რომელიც წერს, რომ როდესაც ამოიწურებოდა დაცვის ყველა რაციონალური საშუალებანი, მოსახლეობა იხსენებდა „ბატონების“ კულტთან დაკავშირებულ ოდითგანდელ წეს-ჩვეულებებსო[105]. მესამე, ბოლო ნაწილი იყო ე. წ. „ბატონების გადალოცვა“.

ბატონების მეორე სტადია „მობოდიშეპა“ აღინიშნებოდა წითლებში ჩაცმული ცხრა სხვადასხვა გვარის ქალის საბოდიშო ვედრება-გართობით (მხოლოდ ერთმა მთხრობელმა თქვა, „ჩემზე თხუთმეტმა ქალმა დეიჩოქა“-ო[105]). „შავათ რომ გადააფენს, მაშინ უნდა მეტანია, გამჯავრებელია. ცხრაი გვარის ქალის მოწვევა იცოდნენ. ცხრაი სხვადასხვა გვარის ქალის ფორთხვა იციან“. „დუუძახეთ ცხრაი სხვადასხვა გვარის ქალს. სულ წითლებში მორთული მოვიდნენ“[107]. „მივედი მკითხავთან. შაეები ეცვა. ჩახედული ქალი იყო. სიზმარი რომ ვუთხარი, იკივლა. შეყარა ცხრაი გვარის ქალი...“[108] „გუშლამ ბატონებით კვდებოდა ბაღანა. მევიდა ბებიეი მისი. შევულოცე იეი და მივეცი. კარგო ბატონებო, შენი მუხლის ჭირიმე, ნუ წაართუმ ამ ბაღანას, დუუტოვე! ბატონებს მამიდის შეხვერწება უყვართ. რომ გამჯავრდება დიდი ბატონები და წითელა, მერე ის შა-

---

[102] ტ. მამალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51—59 და ა. წულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86— 95.

[103] ა. წულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

[104] ვ. ქოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 26, 27, 326.

[105] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[106] ჩოხატაურის რ-ნი, სოფ. ძირი განახლების ეთნოგრაფიული დღიური.

[107] სოფ. ნაბეღლავის 1978 წლის ეთნოგრ. მასალები.

[108] სოფ. ბუკისციხე, ნინა გიგილოს ასული მამალაძე-სიხარულიძე, 70 წლის.

ვია, გაშიება იცის. მტერს იგი. მერე ველარ გამეიარს. ცხრაი სხვა-დასხვა გვარის ქალს მოვიწვევთ, კაცებსაც გუურევთ, ვინც ლოცვა იცის. ერთ ბაღანას ბატონები ქონდენ. რო წუუბძანდა, გაწყობილი სტოლი, კამფეტები, წითლად შეღებილი ცოცხალი ჭუჭული გადააბრძანეს. სადმე ტყეში უნდა გადაბრძანება. ყველა ბატონებზე კაია ქალის რძეი, ცხენის რძეი, ჯორის რძეი. ასმევენ. ბატონებს ნემეტარი დაბალზე უმღერდნენ"[109].

ბატონების მთელი რიტუალი ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ რელიგია არის გარესამყაროს საგანთა და მოვლენათა და ადამიანის შინაგან სამყაროსთან მათი უხილავი კავშირების აღქმისა და შემეცნების თავისებური ფორმა. რომ ყოველი რელიგიური მოვლენის არსებით მიზანს შეადგენს ადამიანის ფიზიკური არსებობისა და მისი ფსიქიკური სამყაროს დაცვა. რაც უფრო ნაკლებია. ნაკლებადაა ცნობილი გარკვეული ვითარებისას საამისო რაციონალური საშუალებანი, მით უფრო დიდია ზებუნებრივისადმი რწმენის წილი, მით უფრო მისტიკურია მასთან დაკავშირებული რელიგიური მოვლენა. ამიტომაც არის, რომ მისტიკა თავის აპოგეუმს აღწევს მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღმერთის ამბავში, ანუ, უბრალოდ რომ ითქვას, იმ ქვეყნად სიცოცხლის განგრძობის ამბავში, რომლის მიღწევის რეალური საშუალება რეალურ გარემოში არ არსებობს და ადამიანის მისწრაფება იფარგლება მხოლოდ ფსიქიკის სფეროთი, რომელშიც ისახება ირეალურის შესაძლებლობა.

„მობოდიშების" ზემოაღწერილი ცერემონია წარმოადგენს განწმენდის თავისებურ აქტს, რომლის წამყვანი იდეა ცხრა რიცხვის მისტიკაში მდგომარეობს. ცხრა და ზემოაღნიშნული შვიდი (ბატონები შვიდნია), როგორც ზერეალური, წმინდა რიცხვების დაპირისპირება გვხვდება შელოცვებშიც: „ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი..." „მეუფეო გადმუუშვი ცხრა კლიტული..." „მოვიდა ქარი ქარავანი, შვიდისა მთვარესა შექმნილი, შაბათ დღეს დაბადებული..."[110] ანდა „შვიდი საიდუმლო", „შვიდი ლოცვა", „შვიდეული (შვიდი მღვდლის წირვა)", საეტლოს საწირავი ცხრა მტრედი ან ცხრა ცოცხალი თევზი[111] და ა. შ. შვიდი რიცხვი გამოდის მეტწილად მავნე და ბნელი, ძლიერი ძალის სიმბოლოდ, ცხრა კი მისგან განმწმენდ დამფარველ რიცხვად.

---

[109] სოფ. ზემო სურების 1978 წლის ეთნოგრ. დღიური.

[110] ჩოხატაურის მუზეუმში დაცული ფოლკლორული მასალები. სოფ.-ბი: ბუკნარი (გვ. 8), ნაბეღლავი, სამება (გვ-ბი: 19, 20, 21); ა. წ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 116.

[111] ა. ჭ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 141, 181.

ძველი აღმოსავლეთისა თუ ანტიკური სამყაროს რელიგიებში შვიდი რიცხვი ფიგურირებს როგორც ღვთაების, ბუნების ძალთა და ასტრალური მოვლენის სიმბოლო. მიეწერება, შესაბამისად, კარგი ან ცუდი მნიშვნელობა[112]. დამახასიათებელი ჩანს ქართველი ხალხის უძველესი რელიგიური აზროვნებისათვისაც...

ცხრა ჩვეულებრივი თუ ცხრა დიადი (კოსმიური) წელი იყო სასჯელის ანუ განწმენდის ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ოლიმპიელნი, რომლებიც დაარღვევდნენ დიდი ქალღმერთის სტიქსის უფლებებს, სტიქსით ფიცს, იმყოფებოდნენ სიკვდილის მდგომარეობაში. ცხრა სრული წელი იყო ადამიანის ხორცის ჭამის აკრძალვის ვადა მგლის კელავ ადამიანად გახდომის ძველ-ბერძნულ ლიკეის მისტერიაში[113] და სხვ.

დაბოლოს, კვირის დღეთა სახელებიდან შაბათი სამწერლობო ქართულში იწოდება კრონოსის დღედ, მეგრულში და ჭანურში — საბატონი, სვანურში — საფტინ[114]. ეს სახელწოდება კომენტარს არ საჭიროებს, რომ მასში „ბატონების" სახელწოდების დღე დავინახოთ. საფიქრებელია, რომ ეს ღვთაებები, განასახიერებდნენ რა ღვთაებათა შვიდეულს, მსგავსად შაბათისა (ორშაბათი, სამშაბათი...[115]) შეადგენდნენ კვირის დღეთა შვიდეულის სისტემას. მეშვიდე ცაზე მყოფი კრონოსი დასაბამს აძლევდა კვირის დღეთა გარკვეულ სისტემას იმ გაგებით, რომ კვირის ყოველი დღის სახელობის ღვთაება ეკუთვნოდა ტიტანთა გვარეულობას, რომლის უფროსი წარმომადგენელი კრონოსი იყო[116].

---

[112] Дж. Томсон. Первые философы; М., 1959, с. 79—81; Г. Винклер. Вавилонская культура, с. 78—86; В. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 172, 173, 174; ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 325; К. Тацит, т. II, 1969; с. 191. Белявский В. А. Вавилон легендарный и Вавилон исторический, М., 1971, с. 163.

[113] В. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 8, 9, 19.

[114] იგ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

[115] შდრ. Sibitti-ს, ბაბილონელთა მიწისქვეშა სამყაროს სულების შვიდეულს. Л. Я. Штернберг. Античный культ Бдизнецов при свете этнографии, П., 1916, с. 133.

[116] Реальный словарь... по Любкеру, Titanes, Zeüs, Κρονος.

М. А. НАДАРАЯ

К ВОПРОСУ ДЕМОНОЛОГИИ В ГРУЗИИ

Резюме

Вопрос демонологии имеет определенное значение в деле изучения аграрного культа. Если олицетворением обобщенной идеи жизни, т. е. творителем бессмертной жизни, является божественная сила, противоположной ей силой, творящей смерть, является демоническая сила, созидательница акта мученичества, через которую проходит умирающий и вновь воскресающий бог.

Главный носитель демонической силы — женская природа. Ее наивысшее олицетворение — глава колдунь — Рокапи. Название места, где пребывает Рокапи, по новому варианту, записанному в дер. Земо Суреби, т. н. «камень Хвармады», сближается со словом Хуаразми — «Хуаразми — правительница над женщинами» (Са́ба). Само слово Рокапи должно происходить от персидского слова «Роспик» (Роскип) — открыто предающаяся блуду».

Гурийский и сванский праздник «Лампроба», т. е. сванский праздник волков, объединяет представления об огне, духе мертвого и волке, с ним связываются представления и о колдуньях и о главе Рокапи. Все эти представления определенным порядком направляет всеобъемлющая идея плодородия.

Значение мингрельского слова «гекула» (гекула-ре), производное от латинского seculo (век, столетие), соотвествует значению грузинского слова «укуни», «укуни дге». Им же соответствует значение греческого слова ἑκατόν (сто, столетие). С луной «полной укуни» сходится колхидской богини.

Эмблема божеств детских заразных болезней (корь, оспа...), т. н. «Господ», цветок. Эта эмблема берет свое начало с травной магии. Оспенная татуировка в виде бугров или пустул, т. н. «цветов», носит характер естественной инициации. С этой точки зрения вызывает интерес «игральный мяч господ» в связи с играми в мяч мальчиков в Гурии, так как игры в мяч входили в число посвятительных обрядов.

Господа демонические божества. Роль цветов, в особенности фиалки и розы в их культе, наряду с другими данными, указывает на их тонический характер.

Грузинское название дня недели, субботы — «Сабатони» — означает то, что этот день предназначался божествам «Батонеби», т. е. «Господам», которые возможно и составляли семерочную систему дней недели.

სარჩევი

რედაქტორისაგან 3

გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, ძველი და ახალი სამეურნეო კულტურები გურიაში 9

Г. В. Д ж а л а б а д з е. Старые и новые хозяйственные культуры в Гурии. Резюме . . 37

თ. გ ე ლ ა ძ ე, კოლექტიური შრომის ფორმები გურიაში . 39

Т. Ш. Г е л а д з е. Коллективные формы труда в Гурии. Резюме 53

მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები გურიაში . . 55

М. Н. М а к а л а т и я. Религиозные верования и обряды связаны со скотоводством в Гурии. Резюме 76

ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ქალის ტანსაცმელი გურიაში 78

Ц. И. Б е з а р а ш в и л и. Женская одежда в Гурии. Резюме 109

ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი. ღებვის ხალხური წესები გურიაში 112

Л. Н. М о л о д и н и. Народные способы крашения в Гурии. Резюме 129

ნ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, ხალხური გართობა-თამაშობანი გურიაში 131

Н. С. Г о г о б е р и д з е. Народные игры-развлечения в Гурии. Резюме . . 153

ნ. ქ ა ჯ ა ი ა, მიცვალებულის კულტი გურიაში 155

Н. А. К а д ж а я. Культ усопших в Гурии. Резюме . 164

გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, ხელოსნობის ზოგიერთი დარგი და მეთევზეობა გურიაში 165

Г. В. Д ж а л а б а д з е. Некоторые отрасли ремесленного производства и рыболовство в Гурии. Резюме 182

მ. ნ ა დ ა რ ა ი ა, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში 183

М. А. Н а д а р а я. К вопросу демонологии в Гурии. Резюме . 202

МАТЕРИАЛЫ ДЛЯ ЭТНОГРАФИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ГУРИИ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები: გ. გასიტაშვილი, მ. ჩართოლანი, ა. სოხაძე

ІІБ 1152

რედაქტორი გ. ჯალაბაძე
გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ა. დუმბაძე
კორექტორი ლ. ჯიქია

გადაეცა წარმოებას 17.3.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.2.1981;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 12,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.9;

უე 01030; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1202;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19